

**აპათა კრისტი**

---

**მკვლევარა**

**მკვლელის სესლუი**

ინგლისურიდან თარგმნა  
პაატა ჩხეიძემ

## თავი I

ბევრი ვიფიქრე, საიდან დამენყო თხრობა, და ბოლოს არჩევანი ერთ-ერთ ოთხშაბათზე შევაჩერე, როდესაც შინ, ლანჩზე შევიკრიბეთ. მართალია, საუბარი იმ თემას არ შეეხებოდა, რაც ახლა უნდა გიამბოთ, მაგრამ იყო მასში ორი-ოდე ეპიზოდი, რომელმაც განვითარებულ მოვლენებზე განსაზღვრული ზეგავლენა მოახდინა.

როდესაც მოხარშული საქონლის ხორცი დავჭერი, ჩემს ადგილს დავუბრუნდი და სასულიერო პირისთვის შეუფერებელი სიფიცხით განვაცხადე, ვინც პოლკოვნიკ პროტეროს მოკლავს, ქვეყანას უდიდეს სამსახურს გაუნეცს-მეთქი.

დენისმა, ჩემმა ახალგაზრდა დისშვილმა, მაშინვე მომახალა:

– ამ სიტყვებს მაშინ გაგიხსენებენ, როდესაც მაგ ბებერს სისხლის გუბეში აღმოაჩენენ. ამას მერიც დაადასტურებს. არა, მერი? იტყვის, როგორ აქნევდით დანას მრისხანე სახით.

მერიმ, რომლისთვისაც მღვდლის სახლში მუშაობა ერთგვარი ტრამპლინია უკეთეს და უფრო მაღალანაზღაურებად სამსახურში მოსაწყობად, ხმამაღლა, საქმიანი კილოთი განაცხადა: „მწვანილიო“, და გამძვინვარებული სახით დაახეთქა გაბზარული თეფში დენისის ცხვირწინ.

– დენისმა თავი მოგაბეზრა, არა? – თანაგრძნობით მკითხა ცოლმა.

პასუხის თქმა ვერ მოვახერხე – მწვანილის შემდეგ მერიმ ახლა მე მომიტანა სახესთან ნახევრად უმი და უსიამოვნო შესახედაობის ცომის გუფთით სავსე თეფში. ძლივს მოვასწარი „გმადლობ, არ მინდა“-მეთქის თქმა, რომ იქვე დამიგდო და ოთახიდან ისარივით გავარდა.

– რა სამწუხაროა, რომ ასეთი საშინელი დიასახლისი ვარ, – ჩაილაპარაკა ჩემმა ცოლმა და მის ხმაში გულწრფელი სინანული მომესმა.



მზად ვიყავი, დავთანხმებოდი. მას ხომ გრიზელდა<sup>1</sup> ჰქვია – უაღრესად შესაფერისი სახელი მღვდლის ცოლისთვის. მაგრამ რაც შეეხება სხვა თვისებებს... თვინიერების ნასახიცი კი არ გააჩნდა.

ყოველთვის იმ აზრს ვემხრობოდი, რომ მღვდელს ცოლი არ უნდა მოეყვანა. ჩემთვის ახლაც საიდუმლოა ის, თუ რამ წამომიარა, როდესაც ოცდაოთხი საათის გაცნობილ ქალს ხელი ვთხოვე. მანამდე ვფიქრობდი, რომ ქორწინება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, რომელსაც ხანგრძლივი ფიქრი და განსჯა სჭირდებოდა, გემოვნებისა და ჩვევების მსგავსება კი – მისი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

გრიზელდა ჩემზე თითქმის ოცი წლით უმცროსია. იგი ძალიან ლამაზია, მაგრამ სერიოზულობა მისთვის სრულიად უცხოა. რიგიანად ვერაფერს აკეთებს და მასთან ერთად ცხოვრება არცთუ ადვილია. ჰგონია, რომ ჩემი მრევლი მის გასართობად და თავშესაქცევად არსებობს. არაერთხელ ვცადე მისი გარდაქმნა, მაგრამ ამაოდ. ახლა კი უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, დარწმუნებული ვარ, რომ სასულიერო პირისთვის დაუქორწინებლობა საუკეთესო გზაა. ამის შესახებ გრიზელდასაც გადავუკარი რამდენჯერმე სიტყვა, მაგრამ მსგავსი აზრები მასში მხოლოდ სიცოცხლის იწვევდა.

– ჩემო ძვირფასო, – ვუთხარი მე, – შენ რომ სულ ცოტა მოგენდომებინა...

– განა არ მოვინდომე? – მიპასუხა მან, – მაგრამ რაც მეტს ვცდილობ, უარესი გამომდის. როგორც ჩანს, ბუნებით არ ვარ დიასახლისი. გადავწყვიტე, ეს საქმე მერის გადავულოცო და ის აზრი გავითავისო, რომ ზოგიერთ უხერხულობასთან შეგუება და საძაგელი საქმლის ჭამა მომიწევს.

– საკუთარ ქმარზე თუ იფიქრე, ჩემო კარგო? – ეუსაყვედურე მე და ეშმაკს მივბაძე, საღვთო წერილს თავისი

<sup>1</sup> გრიზელდა – გერმანული წარმოშობის სახელი. ნიშნავს მებრძოლ ქალიშვილს; ქვას.

ზრახვების სასარგებლოდ რომ ციტირებდა: – თვალყურს ადევნებს, რაც მის სახლში ხდება!...

– აჯობებს, იმაზე იფიქრო, როგორ გაგიმართლა, ლომების საჯიჯგნი რომ არ გახდი, – სწრაფად გამანყვეტინა გრიზელდამ, – ან კოცონზე არ დაგწვეს. ღირს კი, ამასთან შედარებით ალიაქოთის ატეხა უგემური საჭმლის, გადაუნმენდავი მტვრისა და გამოუგველი მკვდარი ბზიკების გამო? მოდი, პოლკოვნიკ პროტეროზე მიაგებე. ადრეულ ქრისტიანებს ის უპირატესობა მაინც ჰქონდათ, რომ მნათე<sup>2</sup> არ ჰყავდათ.

– გაბლენძილი, ბებერი ხეპრე, – თქვა დენისმა, – ტყუილად როდი გაექცა პირველი ცოლი.

– არ ვიცი, სხვა რაღა დარჩენოდა, – მიუგო ჩემმა ცოლმა.

– გრიზელდა, – მივმართე მკაცრად, – ასეთ საუბარს ვერ შევეგუები.

– ძვირფასო, – მითხრა ცოლმა ალერსიანად, – მომიყევი მის შესახებ. რა მოხდა, რატომ ატყდა ერთი ამბავი? იმიტომ ხომ არა, რომ მისტერ ჰოუზი ყოველ წამს წელში იხრება, თავს აქნევს და პირჯვარს იწერს?

ჰოუზი ჩვენი ახალი მღვდელია. სამ კვირაზე მეტია, რაც ჩვენს სამწყსოში მოვიდა, ეკლესიის ყველა წესს ზედმიწევნით ასრულებს და პარასკეობით მარხულობს. პოლკოვნიკი პროტერო კი ყოველგვარი რიტუალის სასტიკი წინააღმდეგია.

– ამჯერად არა. თუმცა ესეც ახსენა. არა, ყველა უსიამოვნება მისის პრაის რიდლის გაუბედურებულ, ერთგირვანქიან ბანკნოტს მოჰყვა.

მისის პრაის რიდლი ჩემი კონგრეგაციის<sup>3</sup> ღირსეული წევრია. თავისი ვაჟიშვილის გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებულ დილის წირვაზე შეწირულობის ყუთში ერ-

<sup>1</sup> ბიბლია, „იგავნი სოლომონისა“, 31:27.

<sup>2</sup> მნათე – არჩევითი თანამდებობის პირი ანგლიკანურ მრევლში, რომელსაც ეკლესიის საკუთრებაზე თვალყურის დევნება აკისრია.

<sup>3</sup> კონგრეგაცია – აქ: გაერთიანება, ორგანიზაცია.

თგირვანქიანი კუპიურა ჩააგდო. მოგვიანებით, როდესაც მრევლისთვის შემომნირველთა სია გამოქვეყნდა, მან ძალიან განიცადა ის ფაქტი, რომ ყველაზე მსხვილი ბანკონოტი ათშვილინგიანი იყო.

მისის რიდლიმ ამის შესახებ ჩემთან დაინუნუნა, რაზეც მივუგე, რომ, ალბათ, რალაც შეეშალა.

– არცთუ ახალგაზრდები ვართ, – ვუთხარი, რაც შემეძლო, ტაქტიანად, – ნლები თავისას შვრება.

ჩემმა სიტყვებმა მასზე პირუკუ იმოქმედა, რამაც ძალზე გამაკვირვა. განაცხადა, რომ უცნაური ამბები ხდება, რასაც, მისდა გასაოცრად, მე ვერ ვამჩნევ. ამის შემდეგ მისის პრაის რიდლიმ, როგორც ვხვდები, პოლკოვნიკ პროტეროსთან დაიჩივლა. ეს უკანასკნელი ნებისმიერ საქმეზე ერთ ამბავს დაანევს ხოლმე. ახლაც ასე მოიქცა. სამნუხაროდ, ამისთვის მან ოთხშაბათი შეარჩია, როდესაც საკვირაო სკოლაში გაკვეთილები მაქვს და ისე ვიქანცები, რომ დღის ბოლომდე საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნი.

– დიდი ამბავი, ალბათ, გართობა მოუნდა, – მითხრა ცოლმა სამართლიანი და მიუკერძოებელი მოსამართლის სახით, – მის გარშემო არავინ ტრიალებს, არავინ უნოდებს „ძვირფას ვიკარიუსს“<sup>1</sup>, არავინ აჩუქებს საშინაო ფეხსაცმელს, არც ღამის თბილ წინდებს – საშობაოდ. ცოლი და ქალიშვილი კრიჭაში უდგანან. ვფიქრობ, სიამოვნებს, როდესაც რალაცაში მაინც გრძნობს თავს მნიშვნელოვან ფიგურად.

– ამისთვის სულაც არ არის აუცილებელი სხვების შეურაცხყოფა, – საკმაოდ ცხარედ მივუგე, – ასე მგონია, ვერც კი ხვდება, რა შეიძლება დაასკვნას კაცმა მისი სიტყვებიდან. საეკლესიო ანგარიშების შემონმება სურს – გაფლანგვა ხომ არ მოხდაო. სწორედ ასე თქვა! იქნებ ფიქრობს, რომ მე მივისაკუთრე ეკლესიის კუთვნილი თანხა?

– შენზე ამას ვინ იფიქრებს, ჩემო კარგო, – თქვა გრი-

<sup>1</sup> ვიკარიუსი – მღვდელი ანგლიკანურ ეკლესიაში.

ზელდამ, – ისე შორს დგახარ ყოველგვარი ეჭვისგან, რომ ამის გაკეთება თავისუფლად შეგიძლია. როგორ მინდა, რომ სახარების გავრცელების საზოგადოების<sup>1</sup> ფული მიითვისო – ვერ ვიტან მისიონერებს. ვერც ვერასდროს ვიტანდი.

ამ სიტყვებისთვის ცოლის გაკიცხვას ვაპირებდი, მაგრამ ამ დროს მერიმ ნახევრად უმი ბრინჯის პუდინგი შემოიტანა. გაპროტესტება ვცადე, მაგრამ გრიზელდამ განაცხადა, იაპონელები ყოველთვის ბოლომდე მოუხარშავ ბრინჯს მიირთმევენ და ამიტომაც უჭრით გონებაო.

– გავბედავ და ვიტყვი, – თქვა მან, – შენ რომ კვირამდე ყოველდღე ჭამო ასეთი ბრინჯის პუდინგი, ისე მშვენივრად იქადაგებდი, ყველა აღფრთოვანებული დარჩებოდა.

– ღმერთმა დამიფაროს, – მივუგე შემკრთალმა და დავამატე: – პროტერო ხვალ სალამოს შემომივლის და ერთად გადავაკლებთ თვალს ყველა ანგარიშს. დღეს კი „იემსში“<sup>2</sup> გამოსასვლელი სიტყვა მაქვს დასასრულებელი. ციტატას ვეძებდი კანონიკ შირლის „რეალობაში“ და ისე გავერთე, რომ ბოლომდე ველარ მივიყვანე. დღეს რის გაკეთებას აპირებ, გრიზელდა?

– საკუთარი მოვალეობის, ვიკარიუსის მეუღლის მოვალეობის შესრულებას, – მიპასუხა გრიზელდამ, – ჩაი და ჭორები ხუთის ნახევარზე.

– ვინ მოვა?

გრიზელდა თითებზე შეუდგა ჩამოთვლას. სახეზე სათნო ღიმილი გაუკრთა.

– მისის პრაის რიდლი, მის უოთერბი, მის ჰარტნელი და ის საშინელი მის მარპლი.

– მე კი მომწონს მის მარპლი, – ვთქვი მე, – იუმორის გრძნობა მაინც აქვს.

– ყველაზე დიდი ჭორიკანაა მთელ სოფელში, – თქვა

<sup>1</sup> სახარების გავრცელების საზოგადოება – მისიონერთა საზოგადოება ინგლისის ეკლესიაში, დაარსდა 1701 წელს.

<sup>2</sup> „იემს“ – ინგლისის ეკლესიის მამაკაცთა საზოგადოება.



გრიზელდამ, – ყველაფერი იცის, რაც კი ხდება, და მუდამ რალაც ცუდს ელის.

უკვე გითხარით, რომ გრიზელდა ჩემზე გაცილებით ახალგაზრდაა. ჩემს ასაკში ადამიანები უკვე ხვდებიან, რომ ყველაზე ცუდი მოლოდინი, როგორც წესი, მართლდება ხოლმე.

– გრიზელდა, შეგიძლია, ჩაიზე არ დამელოდო, – განაცხადა დენისმა.

– სადაგელო! – შესძახა გრიზელდამ.

– რა ვქნა, პროტერომ მთხოვა, ჩოგბურთი ვითამაშოთო.

– სადაგელო! – გაიმეორა გრიზელდამ.

დენისმა კეთილგონიერება გამოიჩინა და გაიძურნა, მე და გრიზელდამ კი ჩემს კაბინეტში გადავინაცვლეთ.

– კიდევ ვის დავუძახო ჩაიზე? – მკითხა გრიზელდამ და მაგიდაზე წამოსკუპდა, – დოქტორ სტოუნსა და მის კრემს ხომ არა? და მისის ლესტრენჯსაც. სხვათა შორის, გუშინ სალამოს დავურეკე, მაგრამ შინ არ იყო. არა, მისის ლესტრენჯს აუცილებლად უნდა დავუძახო. იდუმალებით მოცული პიროვნებაა – მოვიდა, სახლი იქირავა და გარეთ ცხვირს არ ყოფს. ძალაუნებურად, დეტექტიური მოთხრობები მაგონდება – „არავინ იცოდა, ვინ იყო ის ფერმკრთალი, ლამაზი, იდუმალი ქალი და რა გადახდა თავს წარსულში. საბედისწერო ქალს ჰგავდა“. ვფიქრობ, დოქტორმა ჰეიდოკმა რალაც უნდა იცოდეს.

– ძალიან ბევრ დეტექტივს კითხულობ, გრიზელდა, – შევნიშნე რბილად.

– შენ თვითონ? – შემომიტია აქეთ, – ამას წინათ, სანამ შენ აქ ქადაგებას წერდი, „ლაქა იატაკზე“ ძებნაში მთელი სახლი გადავატრიალე. ბოლოს მოვედი, რომ მეკითხა, თვალი ხომ არსად მოგიკრავს-მეთქი, და რა ვნახე?

სინდისი მეყო და წამოვწითლდი.

– შემთხვევით გადავანყდი. შემდეგ რომელიღაც ფრაზამ მიიპყრო ჩემი ყურადღება და...

– ვიცი, რაც არის ეს შემთხვევითობა, – მითხრა გრი-

ზელდამ და შთამბეჭდავი ხმით განაგრძო: „ამ დროს რა-  
ღაც გასაოცარი მოხდა – გრიზელდა წამოდგა, ოთახი გა-  
დაჭრა და ნაზად აკოცა თავის ხანში შესულ ქმარს“.

იგი სიტყვიდან საქმეზე გადავიდა.

– ეს მართლა წამდვილად გასაოცარია? – ვკითხე მე.

– მეკითხები კიდევ? – შესძახა გრიზელდამ, – თუ ხვდე-  
ბი მაინც, ლენ, რომ შემეძლო ცოლად მინისტრს, ბარო-  
ნეტს, საქმოსანს, სამ უმცროს ოფიცერსა და დახვენილი  
მანერების მქონე უსაქმურს გავყოლოდი, მაგრამ მაინც შენ  
აგირჩიე? განა ამან არ განგაცვიფრა?

– მაშინ – კი, – ვთქვი მე, – ხშირად მიფიქრია, ასე რატომ  
მოიქეცი.

გრიზელდას სიცილი აუტყდა.

– ამან საკუთარ ყოვლისშემძლეობაში დამარწმუნა,  
– ჩურჩულით წარმოთქვა მან, – ყველა ფიქრობდა, რომ  
მშვენიერი ქალი ვიყავი და მათ ღირსეულ ცოლობას გავუ-  
წევდი. მაგრამ ჩემში ხომ ის არის თავმოყრილი, რაც შენ არ  
გიყვარს და არ იწონებ, არადა, წინააღმდეგობა ვერ გამი-  
წიე! ჩემმა პატივმოყვარეობამ ამაზე უარი ვერ თქვა. რომ  
იცოდე, გაცილებით სასიამოვნოა, როდესაც ჩუმად გალ-  
მერთებენ და აცნობიერებენ, რომ ეს ცოდვია, ვიდრე ის,  
როდესაც შენით ამაყობენ და თითოთი საჩვენებელი ხარ.  
ზოგჯერ საშინელ დღეში გაგდებ და ხელსაც გიშლი, მაგ-  
რამ შენ მაინც სიგიჟემდე გიყვარვარ. ხომ გიყვარვარ სი-  
გიჟემდე, არა?

– ცხადია, ძალიან მიყვარხარ, ძვირფასო.

– ოჰ, ლენ! შენ მე მალმერთებ! გახსოვს, ქალაქში რომ  
დავრჩი და ამის შესახებ გიდებუშე – შენ ის არ მიგიღია,  
რადგან ფოსტის უფროსის დამ სწორედ მაშინ გააჩინა  
ტყუპი ბავშვი და გამოგზავნა დაავინყდა! თავგზა აგებნა,  
სკოტლენდიარდში<sup>1</sup> დარეკე და ერთი ამბავი ატეხე.

არსებობს ეპიზოდები, რომელთა გახსენებაც ადამიანს

<sup>1</sup> სკოტლენდიარდი – დიდი ლონდონის საქალაქო პოლიციის სამ-  
სახურის შტაბბინა. იგულისხმება ლონდონის პოლიცია.

არ სიამოვნებს. იმ შემთხვევაში მართლა სულელურად მოვიქეცი.

– თუ წინააღმდეგი არ ხარ, ძვირფასო, – ვთქვი მე, – ჩემს „იემსს“ მივხედავ.

გრიზელდამ ღრმად ამოიხვნეშა, თმა ამიჩეჩა, შემდეგ კვლავ გამისწორა და თქვა:

– შენ ჩემი ღირსი არ ხარ. სიმართლეს გეუბნები. არა, მხატვართან უნდა გავაბა რომანი. ასეც მოვიქცევი. ხომ წარმოგიდგენია, რა მითქმა-მოთქმა ატყდება მრევლში?

– უამისოდაც საკმარისზე მეტია, – რბილად ჩავურთე.

გრიზელდას გაეცინა, ჰაეროვანი კოცნა გამომიგზავნა და ფანჯრიდან<sup>1</sup> გაუჩინარდა.

## თავი II

გრიზელდა ზოგჯერ გასაქანს არ მაძლევდა. ლანჩის შემდეგ, მაგიდიდან მშვენიერ ხასიათზე ავდექი, მზად ვიყავი, შთამაგონებელი მიმართვა დამენერა ინგლისის ეკლესიის მამაკაცთა საზოგადოებისადმი. ახლა კი, გონება-გაფანტული ვიჯექი და ვერაფერი მომეხერხებინა.

ის იყო, დაეწყნარდი და სამუშაოს უნდა შევდგომოდი, რომ კაბინეტში ლეტიცია პროტერო შემოხეტიალდა. სიტყვა „შემოხეტიალდა“ განზრახ ვიხმარე. რომანებში არცთუ იშვიათობაა უსაზღვრო ენერჯის მქონე ახალგაზრდები – joie de vivre<sup>2</sup> – ახალგაზრდობის გასაოცარი სიხალისე... მაგრამ პირადად მე, ცხოვრებაში რატომღაც ისეთი ყმანვილები მხვდებოდნენ, რომლებიც აჩრდილებს უფრო მაგონებდნენ.

დღეს ლეტიცია განსაკუთრებით ჰგავდა აჩრდილს. იგი ძალიან კარგი გოგონაა, მაღალი, ქერათმიანი, მაგრამ ერ-

<sup>1</sup> იგულისხმება ფრანგული ფანჯარა (პანორამული ფანჯარა იატაკამდე).

<sup>2</sup> joie de vivre – სიცოცხლით სავსე (ფრანგ.).

თგვარად აწრიალებული. იგი ჩემთან ფრანგული ფანჯრიდან შემოხეტივდა, დაბნეულად მოიხადა ყვითელი ბერეტი და უაზროდ ჩაილაპარაკა, თითქოს რაღაც მოულოდნელობას ნაანყდაო:

– აჰ, ეს თქვენ ხართ?

ძველი სახლიდან ტყის გავლით ბილიკი პირდაპირ ჩვენს კუტიკართან მოდის, ამიტომ იქიდან შემოსული სტუმრები ზედ კაბინეტის კართან აღმოჩნდებიან ხოლმე – ეს ურჩევნიათ შორიდან მოვლასა და მთავარი შემოსასვლელიდან შემოსვლას. ლეტიციას გამოჩენას არ გავუოცებოვარ, მაგრამ მისმა საქციელმა ოდნავ გამაღიზიანა.

როდესაც მღვდლის სახლში მიდიხართ, მზად უნდა იყოთ, რომ იქ მღვდელს შეხვდებით.

ლეტიცია კი შემოვიდა და ერთ-ერთ დიდ სავარძელში მონყვეტით ჩაჯდა, რატომღაც თმა ჩამოიქაჩა და ჭერს მიაჩერდა.

– დენისი ხომ არ არის აქ?

– ლანჩის შემდეგ აღარ მინახავს. როგორც მივხვდი, თქვენს კორტებზე ჩოგბურთი უნდა ეთამაშა.

– ოჰ! – შესძახა ლეტიციამ, – იმედია, ასე არ მოქცეულა. იქ არავინ დახვდება.

– ასე თქვა, რომ თქვენ მიიწვიეთ.

– მჯერა, რომ ასეა, მაგრამ ეს პარასკევს უნდა მომხდარიყო, დღეს კი სამშაბათია.

– ოთხშაბათი, – შევუსწორე.

– ოჰ, რა საშინელებაა! – თქვა ლეტიციამ, – მაშასადამე, უკვე მესამედ დამავინყდა, რომ ლანჩზე მიმიწვიეს.

საბედნიეროდ, იგი ამის გამო არცთუ ძალიან წუხდა.

– გრიზელდა სად არის?

– ვფიქრობ, მას ბაღში მდებარე სახელოსნოში მიაგნებთ. ალბათ, ლოურენს რედინგისთვის პოზირებს.

– მის გამო ერთი ამბავია ატეხილი, – თქვა ლეტიციამ, – ხომ იცნობთ მამაჩემს. საშინელი ვინმეა.

– რა ამბავი... რატომ?



- იმიტომ, რომ მხატავს. მამამ კი გაიგო. საინტერესოა, რატომ არ მაქვს საცურაო კოსტიუმით პოზირების უფლება? თუ პლაჟზე შემოძლია ასე ჯდომა, ნახატმა რა დააშავა?

ლეტიცია ცოტა ხნით გაჩუმდა, შემდეგ კი განაგრძო:

- რალაც აბსურდი გამოვიდა - მამამ ახალგაზრდა კაცს ჩვენს სახლში მოსვლა აუკრძალა. ცხადია, მე და ლოურენსი კინალამ გადავირიეთ. ამიერიდან თქვენს სახელოსნოში ვივლი ხოლმე.

- არ შეიძლება, ჩემო კარგო, - ვუთხარი მე, - თუ მამამ აგიკრძალათ, არ შეიძლება.

- ოჰ, ღმერთო ჩემო! - თქვა ლეტიციამ და ამოიოხრა, - როგორ დამლალეთ ყველამ. გამანამეთ. ძალა აღარ შემრჩა. ფული რომ მქონდეს, აქედან გავიქცეოდი, მაგრამ უფულოდ სად წავიდე? აი, მამა რომ სიკეთეს გამოიჩენდეს და მოკვდებოდეს, ყველაფერი მოგვარდებოდა.

- არ შეიძლება ასე ლაპარაკი, ლეტიცია.

- გასაგებია, მაგრამ თუ მას არ უნდა, რომ მის სიკვდილს დაველოდო, ფულის გამო ასე საშინლად ნუ იქცევა. სულაც არ მიკვირს, დედაჩემმა რომ მიატოვა. სხვათა შორის, დიდი ხნის განმავლობაში მკვდარი მეგონა. ნეტავ, სიმპათიური თუ იყო ის ახალგაზრდა კაცი, ვისთან ერთადაც დედა გაიქცა?

- ეს მამათქვენის აქ ჩამოსვლამდე მოხდა.

- საინტერესოა, როგორ წარიმართა მისი ცხოვრება. დარწმუნებული ვარ, ენი ვინმესთან რომანს გააბამს. იგი ვერ მიტანს. არა, ნორმალურად მექცევა, მაგრამ ვძულვარ. ასაკი ემატება და ეს არ მოსწონს. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ეს სულ ასაკის ბრალია.

მე კი ის მაინტერესებდა, ლეტიცია როდემდე აპირებდა ჩემს კაბინეტში ჯდომას - სალამომდე ხომ არა?

- ჩემი გრამფირფიტებისთვის ხომ არ მოგიკრავთ თვალი?

- არა.

- რა მომქანცველია ეს. ვიცი, სადღაც დამრჩა. ძალღიჯ

დამეკარგა – სადღაც გაიქცა. აღარც ჩემი მაჯის საათი ჩანს, მაგრამ ეს ძალიანაც არ მადარდებს – ისედაც არ მუშაობდა. ოჰ, ღმერთო ჩემო, როგორ მეძინება. არც კი ვიცი, რატომ! თერთმეტამდე არ ავმდგარვარ. ცხოვრება ძალიან მომქანცველია, არა? ღმერთო ჩემო, უნდა წავიდე. სამ საათზე დოქტორ სტოუნის მიერ ჩატარებული გათხრების შედეგებს დამათვალეებინებენ.

საათს დავხედე და შევამჩნიე, რომ ოთხს ოცდახუთი წუთი აკლდა.

– ოჰ, რა საშინელებაა! ნეტავ, მელოდებიან თუ უჩემოდ წავიდნენ? აჯობებს, ქვევით დავეშვა და გავარკვიო.

იგი კვლავ წამოდგა, გასასვლელისკენ გაემართა და სიტყვა მომიგდო:

– დენისს გადაეცით, კარგი?

ანგარიშმიუცემლად ვუპასუხე, – გადავცემ-მეთქი. როდესაც მივხვდი, რომ არ ვიცოდი, კონკრეტულად რა უნდა მეთქვა დენისისთვის, უკვე გვიან იყო. ცოტა რომ დავფიქრდი, დავასკენი, რომ ამას მნიშვნელობა არც კი ჰქონდა. დოქტორი სტოუნი გამახსენდა – ცნობილი არქეოლოგი, რომელიც ცოტა ხნის წინ გაჩერდა სასტუმრო „ცისფერ ტახში“ და პოლკოვნიკ პროტეროს კუთვნილ მინის ნაკვეთზე გათხრები დაიწყო. ამის გამო მათ გვარიანად იჩხუბეს. სასაცილოა, რომ დოქტორმა ლეტიცია გათხრების სანახავად მიიწვია.

თავში გამიელვა, რომ ლეტიციას საკმაოდ მწარე ენა ჰქონდა. საინტერესოა, მის კრემს, არქეოლოგის მდივანს როგორ შეეწყობოდა. მის კრემი ოცდახუთი წლის ჯან-ლონით სავსე, ხმაურიანი, ლოყებლაჟლაჟა, უსაზღვრო ენერჯის მქონე ახალგაზრდა ქალიშვილი გახლდათ. პირს რომ დააღებდა, იფიქრებდით, რომ ნორმაზე მეტი კბილი ჰქონდა ჩანიკნიკებული.

სოფელში აზრი ორად გაიყო. ნაწილი ფიქრობდა, რომ იგი სხვებისგან არ განსხვავდებოდა, ნაწილს კი მიაჩნდა, რომ მკაცრი წესების მიმდევარი იყო და პირველი შესაძ-

ლებლობისთანავე, მისის სტოუნი გახდებოდა. ის და ლექტიცია სრული ანტიპოდები იყვნენ.

ჩემი აზრით, ოულდჰოლში ცხოვრებას ბედნიერს ძნელად თუ უწოდებდა კაცი. პოლკოვნიკი პროტერო მეორედ ხუთი წლის წინ დაქორწინდა. ახალი მისის პროტერო სილამაზით, ოლონდ უჩვეულო სილამაზით გამოირჩეოდა. თავიდანვე ვხვდებოდი, რომ გერთან არცთუ კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

კიდევ ერთხელ გამანყვეტინეს. ამჯერად თანაშემწე ჰოუზი იყო, რომელსაც ჩემი და პროტეროს საუბრის დეტალები აინტერესებდა. ვუთხარი, რომ პოლკოვნიკმა უკმაყოფილება გამოხატა მისი „რომაული ტენდენციების“<sup>1</sup> გამო, თუმცა სულ სხვა მიზნით მესტუმრა. ჩემი მხრივ, მეც გამოვთქვი პროტესტი და მკაფიოდ მივანიშნე, რომ დადგენილ წესებს უნდა დამორჩილებოდა. მთლიანობაში მან მშვიდად მიიღო ყველა შენიშვნა.

მისი წასვლის შემდეგ საკუთარი თავი გავეკიცხე იმის გამო, რომ უფრო გულთბილად არ მივიღე. დარწმუნებული ვარ, რომ ქრისტიანისთვის მიუღებელია ადამიანების დაყოფა ირაციონალური მონონება-არმონონების ნიშნით.

ამოვიხვენე და შევამჩნიე, რომ სანერ მაგიდაზე მდგარ საათზე ხუთს თხუთმეტი წუთი აკლდა, თუმცა სინამდვილეში ხუთის ნახევარი იყო. სასტუმრო ოთახში გავედი.

მრევლის ოთხი წევრი უკვე იქ იჯდა და ჩაის მიირთმევდა. მაგიდის თავში მოკალათებული გრიზელდა ცდას არ აკლებდა, რომ ბუნებრივად მოქცეულიყო, მაგრამ ეს ჩვეულებრივზე უფრო ცუდად გამოსდიოდა.

რიგრიგობით ჩამოვართვი ხელი ყველას და მის მარპლსა და მის უოთერბის შორის დავეჯექი.

მის მარპლი თეთრთმიანი ხანდაზმული ქალი იყო, სასიამოვნო მანერებით, მის უოთერბი კი – ჭორაობის დაუშრეტელი წყარო. ცხადია, რომ მის მარპლთან მეტი სიფრთხილე მმართვებდა.

<sup>1</sup> იგულისხმება კათოლიციზმისკენ სწრაფვა.

- სწორედ ახლა დოქტორ სტოუნისა და მის კრემის შესახებ ვსაუბრობდით, - დათაფლული ხმით მითხრა გრიზელდამ.

მაშინვე დენისის მიერ შეთხზული უხამსი ლექსი გამახსენდა:

„დილა არის თუ ბინდია, მის კრემს ფეხებზე ჰკიდია“.

მოულოდნელად, ამ სიტყვების ხმამაღლა თქმისა და მის მიერ გამონვეული ეფექტის ნახვის სურვილმა ამიტანა, მაგრამ, საბედნიეროდ, საკუთარ თავს მოვეერიე.

- წესიერი ქალიშვილი ასე არ მოიქცეოდა, - მოკლედ მოჭრა მის უოთერბიმ და ტუჩები უკმაყოფილოდ მოკუმა.

- როგორ არ მოიქცეოდა? - ვკითხე მე.

- უცოლო კაცთან მდივნად მუშაობას არ დაინწყებდა, - ცივად მიპასუხა მის უოთერბიმ.

- ოჰ, ჩემო ძვირფასო, - თქვა მის მარპლმა, - ჩემი აზრით, ცოლიანები უარესები არიან. გაიხსენეთ მოლი კარტერი.

- რა თქმა უნდა, ცოლიანი მამაკაცები საშინლად იქცევიან სახლს გარეთ, - დაეთანხმა მის უოთერბი.

- თუნდაც სახლში იყვნენ, თუნდაც მეუღლის გვერდით, - ხმადაბლა ჩაილაპარაკა მის მარპლმა, - მახსოვს...

- მომისმინეთ, - შევანწყვეტინე მას ეს საეჭვო მოგონება, - ჩვენს დროში ქალსაც ისევე შეუძლია სამსახურში მონყობა, როგორც მამაკაცს.

- და დასაკარგავში წასვლა? იმავე სასტუმროში გაჩერება? - მკაცრად განაცხადა მისის პრაის რიდლიმ.

მის უოთერბიმ მის მარპლს წასჩურჩულა:

- საძინებლები ერთ სართულზე ყოფილა...

მის ჰარტნელმა, ამ გამობრძმედილმა და მხიარულმა ქალმა, რომელსაც ღარიბები ისე უფრთხოდნენ, როგორც ცეცხლს, ხმამაღლა, მტკიცედ წარმოთქვა:

- საბრალო, უკან მიხედვასაც ვერ მოასწრებს, რომ დაიჭერენ. იგი ხომ ახალშობილი ბავშვივით უცოდველია.

საოცარია, სადამდე მივყავართ ჩვეულებრივ გამოთ-



ქმებს. იქ მყოფ ქალბატონთაგან ერთსაც არ მოუვიდოდა თავში აზრად ნამდვილი ახალშობილის ხსენება, სანამ ეს უკანასკნელი აკვანში, ყველას თვალწინ არ აჭყლოპინდებოდა.

– საზიზღრობაა და მეტი არაფერი, – განაგრძო მის ჰარტნელმა მისთვის ჩვეული უტაქტობით, – ის ხომ მასზე ოცდახუთი წლით უფროსია.

სამივე ქალი ერთდროულად შეუდგა ლაპარაკს ქოროში მომღერალი ბიჭების პიკნიკის, დედების ბოლო შეკრებაზე მომხდარი არასასიამოვნო შემთხვევისა და ეკლესიაში ორპირი ქარების შესახებ. მის მარპლი გრიზელდას თვალეზაცემციმეებული შესცქეროდა.

– ხომ არ ფიქრობთ, – თქვა ჩემმა ცოლმა, – რომ შესაძლებელია, მის კრემს მხოლოდ საინტერესო სამუშაო მოსწონდეს და დოქტორ სტოუნს ისე უყურებდეს, როგორც დამქირავებელს?

შეკითხვას პასუხად დუმილი მოჰყვა. აშკარად ჩანდა, რომ ოთხი ქალბატონისგან მას ერთიც არ ეთანხმებოდა. სიჩუმე მის მარპლმა დაარღვია. მან გრიზელდას ხელზე ხელი გადაუსვა და მიუგო:

– ჩემო ძვირფასო, თქვენ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხართ. ახალგაზრდობა კი გამოუცდელი და მიმნდობია.

გრიზელდამ აღშფოთებით ჩაილაპარაკა, რომ სულაც არ იყო გამოუცდელი და მიმნდობი.

– ბუნებრივია, – განაგრძო მის მარპლმა, რომელმაც დიასახლისის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია, – თქვენ მხოლოდ კარგს ფიქრობთ ადამიანებზე.

– ნუთუ მართლა გგონიათ, რომ მას იმ მელოტ სულელზე გათხოვება სწადია?

– როგორც ჩემთვის ცნობილია, დოქტორი შეძლებული კაცია, – თქვა მის მარპლმა, – ოღონდ, ფიცხი ხასიათი აქვს. გუშინ იგი პოლკოვნიკ პროტეროს წაეჩხუბა.

ქალებმა ყურები დაცქვიტეს.

– პოლკოვნიკმა პროტერომ მას უმეცარი უწოდა.

- პოლკოვნიკი პროტერო ნამდვილად იტყოდა ასეთ სისულელეს, ეს მას ახასიათებს, - თქვა მისის პრაის რიდლიმ.

- ცხადია, ახასიათებს, მაგრამ სისულელისა კი რა მოგახსენოთ, - შენიშნა მის მარპლმა, - ხომ გახსოვთ, აქ რომ ერთი ქალი მოვიდა, როგორც თვითონ განაცხადა, სოციალური უზრუნველყოფის საზოგადოებიდან, ხელმონერებით შემონირულობა შეაგროვა და უკვალოდ გაქრა. როგორც აღმოჩნდა, სოციალურ უზრუნველყოფასთან კავშირი სულაც არ ჰქონია. რასაც გვეტყვიან, ყველაფრის გვეჯერა, ძალიან მიმნდობი ხალხი ვართ.

ვერასდროს ნარმოვიდგენდი, თუ მის მარპლს უცნობებისადმი ნდობა ახასიათებდა.

- ახალგაზრდა მხატვრის გამოც ყოფილა ხმაური. თუ არ ვცდები, მისტერ რედინგია, არა? - იკითხა მის უოთერბიმ.

მის მარპლმა თავი დააქნია.

- პოლკოვნიკმა პროტერომ იგი სახლიდან გააგდო. როგორც ირკვევა, იგი საბანაო კოსტიუმში გამონყობილ ლექტიციას ხატავდა.

- ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მათ შორის რაღაც ხდებოდა, - განაცხადა მისის პრაის რიდლიმ, - ახალგაზრდა კაცი სულ კუდში დასდევდა. სამწუხაროა, რომ გოგონას გვერდით ნამდვილი დედა არ ჰყავს. დედინაცვალი მას ვერასდროს შეცვლის.

- გავბედავ და ვიტყვი, რომ მის პროტერო ყველაფერს აკეთებს, რაც კი შეუძლია, - თქვა მის პარტნელმა.

- გოგონები ძალიან ეშმაკები არიან, - დაინუნუნა მისის პრაის რიდლიმ.

- ნამდვილი რომანია, არა? - გულჩვილობა მოეძალა მის უოთერბის, - ძალიან სიმპათიური ყმანვილი კი არის.

- და თავაშვებულიც, - თქვა მის პარტნელმა, - აუცილებლად იქნება. მხატვარი! პარიზი! მენატურე ქალები!

- მაშასადამე, საბანაო კოსტიუმით ხატავდა, - შენიშნა მისის პრაის რიდლიმ, - არცთუ რიგიანი საქციელია.

- იგი მეც მხატავს, - თქვა გრიზელდამ.

– მაგრამ არა საბანაო კოსტიუმით, ჩემო კარგო, – შეახსენა მის მარპლმა.

– შესაძლოა, უარესიც მომხდარიყო, – მიუგო გრიზელდამ.

– აი, შე ცელქო, შენა! – თქვა მის ჰარტნელმა, რომელსაც საკმარისი იუმორის გრძნობა აღმოაჩნდა, რათა ხუმრობას მიმხვდარიყო. დანარჩენი ქალბატონები კი ოდნავ გაოცებულნი ჩანდნენ.

– გიამბოთ ლეტიციამ საკუთარი უსიამოვნების შესახებ? – მკითხა მის მარპლმა.

– მე?

– დიახ. დავინახე, როგორ შემოვიდა ბალში და თქვენი კაბინეტისკენ გამოემართა.

მის მარპლს არაფერი გამოეპარება. მებაღეობა მისთვის მხოლოდ კვამლის საფარია, საიდანაც მძლავრი ლინზებით ჩიტებს აკვირდება.

– მართალია, მან გაკვრით ახსენა ეს, – ვალიარე მე.

– მისტერ ჰოუზი შენუხებულნი ჩანდა, – თქვა მის მარპლმა, – ვიმედოვნებ, მუშაობამ არ დაღალა.

– ოჰ! – შესძახა მის უოთერბიმ, – ეს როგორ დამავინყდა! მე ხომ თქვენთვის სიახლე მაქვს. დავინახე, როგორ გამოდიოდა დოქტორი ჰეიდოკი მისის ლესტრენჯის სახლიდან.

ქალებმა ერთმანეთს გადახედეს.

– იქნებ შეუძლოდ გახდა, – ივარაუდა მისის პრაის რიდლიმ.

– მაშინ ეს ახლახან მომხდარა, – დაასკვნა მის ჰარტნელმა, – დღის სამ საათზე ბალში დასეირნობდა და ავადმყოფობის არაფერი ეცხო.

– ის და დოქტორი ჰეიდოკი ძველი ნაცნობები უნდა იყვნენ, – თქვა მისის პრაის რიდლიმ, – მაგრამ ექიმს ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

– საინტერესოა, – ჩაილაპარაკა მის უოთერბიმ, – გაკვრითაც არ უხსენებია.

– სინამდვილეში... – დაიწყო გრიზელდამ ჩუმი და იღუმალნი ხმით და შეყოყმანდა.

ცნობისმოყვარეობისგან აღელვებული ქალები მისკენ გადაიხარნენ.

– ვიცი, რაც მოხდა, – განაგრძო გრიზელდამ შთაგონებით, – მისი ქმარი მისიონერი გახლდათ. საზარელი ამბავია. უნდა გითხრათ, რომ იგი შეჭამეს. მართლა შეჭამეს. ქალი კი ბელადს დაუსვეს ცოლად. იგი დოქტორმა ჰეიდოკმა გადაარჩინა, რომელიც იმ ექსპედიციაში მონაწილეობდა.

ცოტა ხანს ყველა დაბნეულობამ მოიცვა, შემდეგ კი მის მარპლმა საყვედურის კილოთი, მაგრამ ღიმილით ჩაილაპარაკა:

– ცელქი, ნამდვილი ცელქი.

მან გრიზელდას ხელზე ხელი მოუთათუნა და დაამატა:

– არცთუ გონივრულად იქცევით, ჩემო კარგო. როდესაც ზღაპრებს იგონებთ, ხალხს სჯერა მათი. ამას კი ხშირად გართულება მოსდევს.

სტუმრებს თვალებში სიცივე ჩაუდგათ. ორი ქალბატონი წამოდგა და წასასვლელად მოემზადა.

– საინტერესოა, ახალგაზრდა ლოურენს რედინგსა და ლეტიცია პროტეროს შორის თუ არის რამე, – თქვა მის უოთერბიმ, – ვფიქრობ, ეს სავსებით შესაძლებელია. თქვენ რას იტყვით, მის მარპლ?

მის მარპლი ჩაფიქრებული ჩანდა.

– მე ასე არ ვიტყოდი, – მიუგო მან, – ოლონდ, ლეტიცია არა. აქ სულ სხვა პიროვნება უნდა იყოს გარეული.

– მაგრამ პოლკოვნიკ პროტეროს აზრით...

– იგი ყოველთვის საკმაოდ უჭკუო კაცად მიმაჩნდა, – თქვა მის მარპლმა, – ჯიუტია და თუ რამეს ამოიჩემებს, ველარაფერი გადაათქმევინებს. ჯო ბაკნელი თუ გახსოვთ, „ცისფერი ტახის“ უწინდელი მფლობელი? იყო ერთი მითქმა-მოთქმა, რომ მისი ქალიშვილი ვითომდა ახალგაზრდა ბეილის ხვდებოდა. სინამდვილეში კი, ეს მისი გარყვნილი ცოლი აღმოჩნდა.

ამას რომ ამბობდა, თან გრიზელდას შესცქეროდა. უეცრად აღვშოთდი და თავი ველარ შევიკავე.



- ხომ არ გეჩვენებათ, მის მარპლ, - ვთქვი მე, - რომ ძალიან ბევრს ვჭორობთ ირგვლივ მყოფ ადამიანებზე? სათნოება ბოროტებასთან შეუთავსებელია. განუზომელი ზიანის მიყენება შეიძლება, თუ ენას თავის ნებაზე მივუშვებთ, ათასგვარ სისულელეს ვილაპარაკებთ და ბოროტ ქორებს გავავრცელებთ.

- ძვირფასო ვიკარიუსო, - მიპასუხა მის მარპლმა, - თქვენ სხვა სამყაროს ეკუთვნით. ვშიშობ, ადამიანთა ბუნებისგან, რომელსაც ამდენი წლის განმავლობაში ვაკვირდები, კარგს არაფერს უნდა ველოდოთ. რა თქმა უნდა, ლაქლაქი და ჭორობა ცუდი და არასასიკეთო საქმეა, მაგრამ ვაი, რომ იგი ხშირად მართლდება ხოლმე, ასე არ არის?

პართიელების მიერ გამოტყორცნილმა ისარმა მიზანს უნია<sup>1</sup>.

### თავი III

- საძაგელი, ბებერი ქორიკანა, - თქვა გრიზელდამ, როგორც კი კარი მიიხურა.

მან ნასული სტუმრების მიმართულებით სახე დამანჭა, შემდეგ შემომხედა და გაეცინა.

- ლენ, ნუთუ მართლა ფიქრობ, რომ ჩემსა და ლოურენს რედინგს შორის რამე ხდება?

- რა თქმა უნდა, არა, ჩემო ძვირფასო.

- მაგრამ გაიფიქრე, რომ მის მარპლი სწორედ ამაზე მიგანიშნებდა და ჩემს დასაცავად აღდექი - გამძვინვარებულ ვეფხვს ჰგავდი.

წამით თავი უხერხულად ვიგრძენი. ინგლისის ეკლესიის მღვდელმსახურს არ შეშვენის ისე მოქცევა, რომ ვინმემ იგი გამძვინვარებულ ვეფხვს შეადაროს. თუმცა ვიცოდი, რომ გრიზელდა აჭარბებდა.

<sup>1</sup> გადმოცემის თანახმად, პართიელები გაქცევისას მტერს შემოუბრუნდებოდნენ ხოლმე და ისრებს ესროდნენ.

- ვგრძნობდი, რომ ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გამოგქომაგებოდით, - ვთქვი მე, - მაგრამ, გრიზელდა, მინდა, რომ დაუკვირდე, რას ლაპარაკობ.

- კაციჭამიებს გულისხმობ? - მკითხა მან, - თუ იმას, რომ ლოურენსი შიშველს მხატვავდა?! რა იციან, რომ ამ დროს ბენვისსაყელოიანი, თბილი მოსასხამი მეცვა. ასეთი ჩაცმულობით თვით რომის პაპსაც კი ვესტუმრებოდი - ცოდვილი სხეულის ნაგლეჯიც კი არსად ჩანდა. გულწრფელად გეტყვი: ჩვენ შორის ისეთი სინმინდია, მიკვირს კიდევ. ლოურენსს ერთხელაც არ უცდია ჩემთან გაარშიყება. ვერ გამიგია, რა ხდება.

- ალბათ, იცის, რომ გათხოვილი ქალი ხარ...

- თავს ნუ იკატუნებ, ლენ, ნოეს კიდობნიდან ახალი გადმოსულივით. კარგად მოგეხსენება, რომ მომხიბლავი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ხანში შესული ქმარი ჰყავს, ღვთიური საჩუქარია ახალგაზრდა კაცისთვის. არა, აქ რაღაც სხვა მიზეზი უნდა იყოს - მიმზიდველობა მაინც არ მაკლია!

- გინდა, რომ გაგეარშიყოს?

- ა-ა-არა, - თქვა გრიზელდამ და იმაზე მეტხანს შეეყოყმანდა, ვიდრე ამას ვისურვებდი.

- თუკი მას ლეტიცია პროტერო უყვარს...

- მის მარპლს ამის არ სჯერა.

- მის მარპლი შესაძლოა, ცდებოდეს.

- იგი არასდროს ცდება. მისი მსგავსი ბებერი ჭორიკანები ყოველთვის მართლები არიან, - იგი ნუთით გაჩუმდა, შემდეგ ცერად გამომხედა და მკითხა: - შენ ხომ გჯერა ჩემი, არა? ანუ იმის, რომ ჩემსა და ლოურენსს შორის არაფერი ხდება.

- რასაკვირველია, ჩემო ძვირფასო, - მივუგე ცოტათი გაოცებულმა.

გრიზელდამ ჩემთან მოირბინა და მაკოცა.

- როგორ მინდა, რომ ასეთი გულუბრყვილო არ იყო, ლენ. რაც უნდა გითხრა, ყველაფერი გჯერა.

- ასეც უნდა იყოს. ოლონდ, ძვირფასო, სიტყვები შეარჩიე და დაუკვირდი, რას ლაპარაკობ. გახსოვდეს, რომ ამ ქალებს იუმორის გრძნობა არ გააჩნიათ და ყველაფერს სერიოზულად იღებენ.

- მათ ცოტა ამორალურობა არ აწყენდათ, - თქვა გრიზელდამ, - მაშინ დრო აღარ დარჩებოდათ, რომ ეს სხვაში გაფაციცებით ეძებნათ.

ამ სიტყვებით იგი ოთახიდან გავიდა, მე კი საათს შევხედე და დაუყოვნებლივ გავემართე ვიზიტების განსახორციელებლად, რომლებიც ჯერ კიდევ დილით უნდა მომესტუმრებინა.

სალამოს ნირვას, ჩვეულებისამებრ, ცოტა ხალხი ესწრებოდა, მაგრამ როდესაც შესამოსელი გამოვიცვალე და ეკლესიიდან გამოვდიოდი, იქ მხოლოდ ერთი ქალი იდგა, რომელიც ვიტრაჟს ათვალთვლებდა. ჩვენს ფანჯრებში საუცხოო, ძველებური, ფერადი ვიტრაჟია ჩასმული, თვითონ ეკლესიაც იზიდავს მნახველის თვალს. ჩემი ფეხის ხმის გაგონებაზე ქალი შემობრუნდა და მასში მისის ლესტრენჯი შევიცანი.

ცოტა ხანს ორივენი ვდუმდით, შემდეგ კი ვთქვი:

- ვიმედოვნებ, მოგეწონათ ჩვენი ეკლესია.

- ვიტრაჟმა გამიტაცა, - მიპასუხა მან.

მას სასიამოვნო, დაბალი, კარგად დაყენებული ხმა ჰქონდა, სიტყვებს მკაფიოდ წარმოთქვამდა.

- ვწუხვარ, რომ გუშინ თქვენს ცოლს ვერ შევხვდი, - დაამატა მისის ლესტრენჯმა.

რამდენიმე წუთის განმავლობაში კიდევ ვისაუბრეთ ჩვენი ეკლესიის შესახებ. ჩემ წინაშე აშკარად კულტურული ქალი იდგა, იგი კარგად იცნობდა ეკლესიის ისტორიასა და არქიტექტურას. გარეთ ერთად გამოვედით და ფეხით გავუყევით გზას, რომელიც ორივე ჩვენგანის სახლამდე მიდიოდა. როდესაც მის კუტიკარს მივუახლოვდით, მან თავაზიანად მომმართა:

- ხომ არ შემოხვიდოდით? თქვენი აზრი მაინტერესებს ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით.

მინვევას დავთანხმდი. კოტეჯი, სახელნოდებით „პატარა კუტიკარი“, უნინ ინდოეთში ნამსახურ ინგლისელ პოლკოვნიკს ეკუთვნოდა. შვება ვიგრძენი, როდესაც სპილენძის მაგიდებსა და ბირმულ კერპებს თვალი ველარსად მოვკარი. სახლი უბრალოდ, მაგრამ გემოვნებით მოეწყოთ. ყველგან ჰარმონია და სიმშვიდე სუფევდა.

ვერაფრით მივმხვდარიყავი, რამ მოიყვანა მისის ლესტრენჯისნაირი ქალი სენტ-მერიმიდში. ამ, ყოველმხრივ დახვეწილ პიროვნებას საცხოვრებლად ეს მიყრუებული ადგილი აერჩია.

განათებული სასტუმროს შუქზე პირველად შევძელი მისი რიგიანად შეთვალეერება.

მაღალი ქალი იყო. ოქროსფერ თმაზე მონითალო ელფერი დაჰკრავდა. მუქი ნარბ-ნამნამი ჰქონდა – ვერ დავადგინე, შეელება თუ ბუნებას დაემადლებინა. თუ იღებავდა კიდევ, როგორც ვეჭვობდი, ამას ძალზე ოსტატურად აკეთებდა. დამშვიდებულს სახე რალაციით სფინქსისას მიუგავდა. მისი უჩვეულო, თითქმის ოქროსფერი თვალების მსგავსი ცხოვრებაში არასოდეს მენახა.

უზადოდ ეცვა, თავი ძალზე ბუნებრივად ეჭირა, ეტყობოდა, რომ შესანიშნავი აღზრდა მიელო, მაგრამ იყო მასში რალაც ისეთი, რაც არ შეეფერებოდა, და ეს გაუგებრად და სულელურად მეჩვენებოდა. იგრძნობოდა, რომ აქ რალაც საიდუმლო იმალებოდა. გრიზელდას ნათქვამი სიტყვა გამახსენდა – „საბედისწერო“. „აბსურდია“, – გავივლე გულში, მაგრამ იყო კი აბსურდი? თავში ახალმა აზრმა მომაკითხა: „ეს ქალი უკან არაფერზე დაიხვეს“.

ჩვეულებრივ თემებზე ვსაუბრობდით: ნახატებზე, წიგნებზე, ძველებურ ტაძრებზე. შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ მისის ლესტრენჯს რალაციის თქმა სურდა, ოლონდ სრულიად სხვა საკითხზე.

რამდენჯერმე მისი უცნაური მზერა დავიჭირე, რომელიც გაუბედავად მოეპყრო ჩემთვის, თითქოს, სათქმელად ძალ-ლონის მოკრებას ცდილობდა და ვერ ახერხებდა. სასაუბროდ განყენებულ თემებს ირჩევდა. ქმარი, მეგობრები და ახლობლები ერთხელაც არ უხსენებია.

თვალეებით შველას მთხოვდა. ასე მეგონა, რომ მეკითხებოდა: „შეიძლება, რომ ყველაფერი გითხრათ? ამის გაკეთება ძალიან მინდა. ვერ დამეხმარებით?“

მაგრამ ეს გამომეტყველება თანდათან მინავლდა – შესაძლოა, ამ ყველაფერში ჩემი წარმოსახვის ხელიც ერია. ვიგრძენი, რომ ჩემი ყოფნა აღარ სიამოვნებდა. წამოვდექი და დავემშვიდობე. ოთახიდან გასვლისას უკან მოვიხედე და მისი დაჟინებული, გაოცებული, ეჭვით აღსავსე მზერა დავიჭირე. იმპულსურად უკან დავბრუნდი და ვუთხარი:

– თუ თქვენი დახმარება შემიძლია...

– ძალიან კეთილი ხართ... – ყოყმანით ჩაილაპარაკა მან. ორივენი გავჩუმდით. შემდეგ მან თქვა:

– თვითონაც არ ვიცი. ეს ძალიან ძნელია. არა, ვფიქრობ, ველარავინ შეძლებს ჩემს დახმარებას. გმადლობ კეთილი განზრახვისთვის.

როგორც ჩანს, მან საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. წასვლის მეტი აღარაფერი დამრჩენოდა. ასეც მოვიქეცი, მაგრამ ეჭვები გულიდან ვერ ამოვიგდე. სენტ-მერიმიდში გაუმხელელ საიდუმლოებებს მიჩვეული არ ვიყავით.

თითქოს, ამის დასტურად, როგორც კი ჭიშკარი მივხურე, მაშინვე თავს დამესხნენ. მის ჰარტნელს შეტევაზე გადმოსვლა და უკან დასახევი გზების მოჭრა კარგად ეხერხებოდა.

– დაგინახეთ! – შესძახა მან, როგორც თვითონ ფიქრობდა, იუმორით, – და ძალიანაც ავლელდი. ახლა კი ყველაფერი მომიყევით.

– რის შესახებ?

– საიდუმლოებით მოცულ ქალბატონზე! ქვრივია თუ ქმარი ჰყავს?

– მაგაზე ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან თვითონ არაფერი უთქვამს.

– უცნაურია. შემთხვევით მაინც უნდა წამოსცდენოდა რამე. ხომ არ ფიქრობთ, რომ რაღაც მიზეზის გამო ვერ ამბობს სიმართლეს?

– არა მგონია, ასე იყოს.



- აჰ! სწორად ამბობს ძვირფასი მის მარპლი, რომ სხვა სამყაროს ეკუთვნით. მითხარით, დიდი ხანია, რაც იგი დოქტორ ჰეიდოკს იცნობს?

- მას ამის შესახებ არაფერი უთქვამს, მეც არ ვიცი.

- მართლა? ხომ ვერ მეტყვით, რაზე საუბრობდით?

- ნახატებზე, მუსიკაზე, ნიგნებზე, - მივუგე გულახდილად.

მის ჰარტნელმა, რომელიც, ძირითადად, მხოლოდ სხვების პირად ცხოვრებაზე საუბრობდა ხოლმე, ეჭვიანად და უნდობლად შემომხედა. სანამ ახალ შეკითხვას მოიფიქრებდა, მისი ნუთიერი ყოყმანით ვისარგებლე, ღამე მშვიდობისა ვუსურვე და იქაურობას სწრაფად გავეცალე.

სოფელში რამდენიმე სახლში შევიარე, შინ ბალის კუტიკარის გავლით დავბრუნდი და იმ სახიფათო ადგილს ჩავუარე, სადაც, შესაძლოა, მის მარპლი დამლოდებოდა. თუმცა ვერ წარმომედგინა, როგორ უნდა შეეტყო ასე მოკლე დროში მისის ლესტრენჯთან ჩემი სტუმრობის შესახებ, და თავს მეტ-ნაკლებად უხიფათოდ ვგრძნობდი.

კუტიკარი რომ ჩავკეტე, ფარდულის მონახულება გადავწყვიტე, რომელსაც ახალგაზრდა ლოურენს რედინგი სახელოსნოდ იყენებდა, რათა გრიზელდას პორტრეტისთვის თვალი შემეველო.

მოვიყვან სქემას, რომელიც შესაძლოა, გამოგადგეთ მომავალში მომხდარი მოვლენების უკეთ გასააზრებლად.

ასეთ დროს სახელოსნოში არავის ველოდი. იქიდან ჩქამიც არ ისმოდა, ჩემი ნაბიჯების ხმას კი ბალახი ახშობდა.

კარი გავაღე და გაოცებული ზღურბლზე გავშეშდი. სტუდიაში ორნი იდგნენ: მამაკაცს ქალი თავის მკლავებში მოექცია და ვნებიანად კოცნიდა.

ესენი მხატვარი ლოურენს რედინგი და მისის პროტერო იყვნენ.

სასწრაფოდ გამოვბრუნდი და ჩემს კაბინეტში ვდურთე თავი. სავარძელში ჩავჯექი, ჩიბუხი ამოვიღე და ჩავფიქრდი. ბოლო მოვლენამ შოკში ჩამაგდო. განსაკუთრებით, ლეტი-

ციასთან დღევანდელი საუბრის შემდეგ – დარწმუნებული ვიყავი, რომ მასა და მხატვარს შორის ახალი ურთიერთობა ჩაისახა. მჯეროდა, რომ ქალიშვილიც ასე ფიქრობდა. ახლა კი მზად ვიყავი, დამეფიცა, რომ დედინაცვლისადმი ახალგაზრდა კაცის დამოკიდებულების შესახებ არაფერი იცოდა.

ყველაფერი აიბურდა. გუნებაში პატივი მივაგე მის მარპლის გამჭრიახობას. მან თავი არავის გააცურებინა და საკმარისად ზუსტად დახატა რეალური სურათი. მე კი არასწორად გავიგე მისი მრავლისმეტყველი მზერა, რომელიც მან გრიზელდას მიაპყრო.

მისის პროტეროზე ამგვარს ვერასდროს ვიფიქრებდი. იგი რალაციტო, შესაძლოა, სიმშვიდითა და გულჩახვეულობით, კეისრის ცოლს მაგონებდა, რომლისთვისაც ძლიერი გრძნობები უცხო იყო.

ფიქრი კაკუნმა გამანყვეტინა. ავდექი, კარისკენ გავემართე და გამოვალე. ხელში მისის პროტერო შემრჩა. იგი მიპატიჟებას აღარ დაელოდა, დაუკითხვად შემოვიდა, აჩქარებული სუნთქვით ოთახი გადაჭრა და ღონეგამოცლილი დივანზე დაეშვა.

მომეჩვენა, რომ უნინ იგი ასეთი არასდროს მინახავს. მშვიდი და საკუთარ თავში ჩაკეტილი პიროვნება სადღაც გაქრა და ახლა მის ადგილას კუთხეში მიმწყვდეული, სუნთქვაშეკრული არსება იდგა. პირველად შევამჩნიე, რომ ენი პროტერო ლამაზი ქალი იყო.

მას ნაბლისფერი თმა, ფერმკრთალი სახე და ღრმად ჩამჯდარი ნაცრისფერი თვალები ჰქონდა. იგი განითლდა, აღელვებისგან მკერდი მძლავრად აუდ-ჩაუდიოდა. გაცოცხლებულ ქანდაკებას ჰგავდა. ამგვარმა გარდაქმნამ თვალი მომჭრა.

– თქვენთან შემოვლა საუკეთესო გამოსავლად მივიჩნიე, – თქვა მან, – დაინახეთ, ხომ, ახლახან?

თანხმობის ნიშნად თავი დაუუქნიე, მან კი მშვიდად განაგრძო:

– ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი...

ახლაც კი, როდესაც დაბნეული და სასონარკვეთილი

ჩანდა, ტურები ღიმილმა გაუპო. იმ ქალის ღიმილს ჰგავდა, რომელიც რაღაც საუცხოოსა და ულამაზესზე ფიქრობდა.

ვიდექი და ხმას არ ვიღებდი.

– თქვენ ეს, ალბათ, საშინელ ცოდვად გეჩვენებათ, არა?  
– მკითხა მან.

– განა ასე არ უნდა მეჩვენებოდეს, მისის პროტერო?

– არა, არა, სხვაგვარ პასუხს არც ველოდი.

შევეცადე, შეძლებისდაგვარად, რბილად მეთქვა:

– თქვენ გათხოვილი ქალი ბრძანდებით...

– ოჰ! ვიცი... ვიცი, – გამანყვეტინა მან, – ნუთუ ფიქრობთ, რომ ამ სიტყვებს მეც არ ვუმეორებ საკუთარ თავს? უზნეო ქალი არ ვარ – არავითარ შემთხვევაში. ყველაფერი ისე არაა, როგორც თქვენ გგონიათ.

– მიხარია ამის მოსმენა, – ვუთხარი სერიოზულად.

– ჩემს ქმარს უამბობთ? – მკითხა შეშფოთებით, რაზეც ცივად მივუგე:

– რატომღაც ყველას ჰგონია, რომ მღვდელს ჯენტლმენივით მოქცევა არ შეუძლია. ეს მცდარი აზრია.

მან მაღლიერებით შემომხედა.

– უბედური ქალი ვარ, საშინლად უბედური! ასე ცხოვრება აღარ შემიძლია. აღარ შემიძლია. არც ის ვიცი, როგორ მოვიქცე, – მას ხმა აუთრთოლდა. ჩანდა, რომ ისტერიკამდე ბევრი აღარაფერი აკლდა, – თქვენ ხომ არ იცით, რა დღეში ვარ. ლუციუსთან თავიდანვე უბედური ვიყავი. ასეთი ადამიანის გვერდით ქალი ბედნიერი ვერ იქნება. მინდა, რომ მოკვდეს... ეს საშინელებაა, მაგრამ მის სიკვდილს ვნატრობ... სასონარკვეთილი ვარ, უკიდურესად სასონარკვეთილი.

იგი შეკრთა და კარისკენ გაიხედა.

– ეს რა იყო? მომეჩვენა, თუ ვიღაც არის? ალბათ, ლოურენსია.

კართან მივუძვინკედი, რომელიც ღია დამრჩენოდა, გარეთ გავიხედე და ბაღში გავიხედე, მაგრამ ვერავის მოვკარი თვალი. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ვიღაცის ფეხის ხმა მომესმა. თუმცა, შესაძლოა, ეს ქალმა შთამაგონა.



როდესაც კაბინეტში დავბრუნდი, იგი წინ გადახრილი იჯდა და თავი ხელებზე ჩამოედო. იმედდაკარგული ჩანდა. მან კვლავ გაიმეორა:

– არ ვიცი, როგორ მოვიქცე. რა გავაკეთო?

მივუახლოვდი და გვერდით მივუჯექი. ჩემი მდგომარეობის შესაფერისი სიტყვებით მივმართე. ვცდილობდი, დამაჯერებლად მელაპარაკა, მაგრამ გამუდმებით ვგრძნობდი სინდისის ქეჯნას – ამ დილით ხომ გრძნობებს ავყევი და ვთქვი, რომ პოლკოვნიკ პროტეროს გარეშე სამყარო უკეთესობისკენ შეიცვლებოდა.

უპირველეს ყოვლისა, ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებისგან თავის შეკავება ვთხოვე – სახლიდან წასვლა და ქმრის მიტოვება უსერიოზულესი ნაბიჯი იყო.

ვფიქრობ, მისი დარწმუნება ვერ მოვახერხე. მრავალი წლის გამოცდილება მკარნახობდა, რომ შეყვარებულთა დაყოლიებას აზრი არ ჰქონდა. თუმცა ვფიქრობ, რომ ჩემმა სიტყვებმა ერთგვარად დაამშვიდა და გაამხნევა კიდეც.

წასვლისას მადლობა გადამიხადა და შემპირდა, რომ ჩემს რჩევაზე დაფიქრდებოდა.

მარტო დარჩენილი მოუსვენრობამ შემიპყრო. მივხვდი, რომ აქამდე სრულიად არ ვიცნობდი ენი პროტეროს. ახლახან ჩემ წინ სასონარკვეთილებამდე მისული ქალი იდგა. ასეთები ყველაფერზე მიდიან, როდესაც ძლიერი გრძნობა ეუფლებათ. მისის პროტეროს კი სიგიჟემდე უყვარდა მასზე რამდენიმე წლით ახალგაზრდა ლოურენს რედინგი. ეს არ მომწონდა.

#### თავი IV

სულ გადამავიწყდა, რომ ვახშმად ლოურენს რედინგი მოვიწყვიეთ. როდესაც სალამოს გრიზელდა ჩემთან შემოვარდა და გვარიანად გამკიცხა იმის გამო, რომ სტუმრების მოსვლამდე ორიოდე წუთი რჩებოდა, მე კი ჯერ მზად არ ვიყავი, ძალიან გავოცდი.

- ვფიქრობ, ყველაფერი კარგად ჩაივლის, - მომადახა გრიზელდამ კიბეზე ასვლისას, - საუზმობისას შენი ნათქვამი გავითვალისწინე და გემრიელი კერძის მომზადება ვცადე.

სხვათა შორის, ვახშამმა სრულებით დაადასტურა გრიზელდას მტკიცება, რომ, როდესაც იგი საქმის კეთებას ცდილობდა, ყველაფერი გაცილებით ცუდად მიდიოდა. ამბიციური მენიუ კი შეედგინათ, მაგრამ მერის ხან ნახევრად უმი კერძი შემოჰქონდა, ხან - ზედმეტად მოხრაკული, რაც მას თითქოს გაუკულმართებულ სიამოვნებას ანიჭებდა. სამაგიეროდ, გრიზელდას მიერ შეკვეთილ ხამანკებს არ ემუქრებოდა საფრთხე, - ისინი ხომ უმი იჭმება, - მაგრამ ვერც მას გავუსინჯეთ გემო, რადგან სულ ბოლო წამს გაირკვა, რომ სახლში მათი გასახსნელი ხელსაწყო არ გვქონდა.

ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ლოურენს რედიინგი არ მოვიდოდა. თავისუფლად შეეძლო უარი შემოეთვალა და მოებოდიშებინა.

მაგრამ იგი დათქმულ დროს დაუგვიანებლად გამოცხადდა და სუფრას ოთხნი მივუსხედით.

თქმა არ უნდა, ლოურენს რედიინგი მიმზიდველი პიროვნება იყო. ოცდაათ წლამდე იქნებოდა. მუქი თმა და საოცრად ცისფერი თვალები ჰქონდა. იმ ახალგაზრდათა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებსაც ყველაფერი ეხერხებათ. საუკეთესო მოთამაშე, მსროლელი, მოყვარული მსახიობი და მთხრობელი გახლდათ. ნებისმიერი კომპანიის სული და გული ხდებოდა. ვფიქრობ, მის ძარღვებში ირლანდიური სისხლი ჩქეფდა. მხატვარს არც კი ჰგავდა და, თუმცა ამ საქმის ბევრი არაფერი გამეგება, ვფიქრობ, შესანიშნავად, მოდერნისტულად ხატავდა.

ბუნებრივია, ცოტათი დაბნეული ჩანდა, მაგრამ მთლიანობაში მაინც ძალდაუტანებლად იქცეოდა. არა მგონია, გრიზელდასა და დენისს რამე შეემჩნიათ. ის კი არა, მომხდარის შესახებ რომ არ მცოდნოდა, ვერც მე შევამჩნევდი.

გრიზელდამ და დენისმა ბევრი იმხიარულეს. ვინ მოთვლის, რამდენი იხუმრეს დოქტორ სტოუნისა და მის კრემის შესახებ – ადგილობრივი ქორბიურო შესანიშნავად მუშაობდა! უეცრად ტკივილი მომეძალა, როცა გავაცნობიერე, რომ ასაკით გრიზელდას ჩემზე მეტად დენისი შეეფერებოდა. იგი მე ბიძია ლენს მეძახდა, გრიზელდას კი სახელით მიმართავდა. თავი რატომღაც საოცრად მარტოსულად ვიგრძენი.

უნუგეშო ფიქრები არ მახასიათებდა, ამიტომ დავასკვენნი, ალბათ, მისის პროტეროსთან საუბარმა გამალიზიანამეთქი.

ხუმრობა-ხუმრობაში გრიზელდამ და დენისმა რამდენჯერმე ძალიან ღრმად შეტოპეს, მაგრამ შენიშვნის მიცემისგან თავი შევიკავე. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ სასულიერო პირის თუნდაც უსიტყვოდ ყოფნაც კი დამსწრე საზოგადოებაზე, სამწუხაროდ, დამთრგუნველად მოქმედებდა.

მხიარულ საუბარში ლოურენსიც აქტიურად მონაწილეობდა. შევამჩნიე, რომ ზოგჯერ ჩემკენ იყურებოდა, ამიტომ სულ არ გამკვირვებია, როდესაც ვახშმის შემდეგ ისე მოანყო, რომ ჩემს კაბინეტში მხოლოდ ჩვენ ორნი აღმოვჩნდით.

როგორც კი პირისპირ დავრჩით, იგი სრულიად შეიცვალა.

– თქვენ ჩვენი საიდუმლო შეიტყვეთ, სერ, – მითხრა მან, – რას აპირებთ ამასთან დაკავშირებით?

რედინგთან გაცილებით თავისუფლად შემეძლო საუბარი, ვიდრე მისის პროტეროსთან. ყველაფერი გულახდილად ვუთხარი. მან ყურადღებით მომისმინა და თქვა:

– ცხადია, სხვაგვარად ვერც იტყოდით. თქვენ ხომ მღვდელი ხართ – ამას სანყენად როდი ვამბობ. მზად ვარ, დაგეთანხმოთ კიდევ, მაგრამ მე და ენის თავისებური ურთიერთობა გვაკავშირებს.

მივუგე, რომ ამგვარი ფრაზებით ადამიანები ჯერ კიდევ ათადან და ბაბადან იმართლებდნენ თავს. უცნაურად, ძლივს შესამჩნევად გაელიმა.

– იმის თქმა გსურთ, რომ თავისი შემთხვევა ყველას უნიკალურად მიაჩნია? შესაძლოა, ასეც იყოს. მაგრამ მხოლოდ ერთ რამეში უნდა მენდოთ.

იმის მტკიცებას შეუდგა, რომ მათ შორის ნებადაურთველი არაფერი ხდებოდა. მისი თქმით, ენისნაირი ერთგული ქალი დედამინის ზურგზე არ დადიოდა. არ იცოდა, წინ რა ელოდათ.

– ეს რომ მწერლის მიერ დანერგული რომანი იყოს, – პირქუშად თქვა მან, – მოხუცი კაცი მოკვდებოდა და ყველა შვებით ამოისუნთქავდა.

ამ სიტყვების გამო ვუსაყვედურე, რაზეც მიპასუხა:

– არა! ის არ მიგულისხმია, რომ ზურგში დანას ჩავცემდი, თუმცა გულწრფელ მადლობას გადავუხდინი ყველას, ვინც ამას გააკეთებდა. ერთი ადამიანიც კი არ მოიძებნება, ვინც მასზე კარგს იტყვის. მიკვირს, როგორ არ გამოასალმა იგი სიცოცხლეს პირველმა მისის პროტერომ. ის ქალბატონი ერთხელ ვნახე, დიდი ხნის წინ და მომეჩვენა, რომ ამის გაკეთების ძალა შესწევდა. იმ თავშეკავებული ქალების რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც უკან არაფერზე იხევენ. პროტერო მუდამ ხმაურობს, აყალმაყალს ტებს, ნუნურაქია და საზიზლარი ხასიათი აქვს. თქვენ ხომ არ იცით, რამდენი გადაიტანა ენიმ. ჯიბეგაფხეკილი რომ არ ვიყო, დაუფიქრებლად წავიყვანდი აქედან.

მე მას სერიოზულად მივმართე. ვთხოვე, რომ სენტ-მერიმიდიდან წასულიყო, რადგან აქ დარჩენით ენი პროტეროს იმაზე მეტ ტანჯვას მიაყენებდა, ვიდრე აქამდე განეცადა. ხალხი ჭორაობას დაიწყებდა, რაც პოლკოვნიკ პროტეროს ყურამდეც მიაღწევდა და მისი შეყვარებული საშინელ დღეში ჩავარდებოდა.

– ჩვენ შესახებ მხოლოდ თქვენ იცით, პადრე<sup>1</sup>, – მითხრა მან.

– ძვირფასო ჭაბუკო, თქვენ სოფლის მცხოვრებთა დე-

---

<sup>1</sup> პადრე – კათოლიკეებში: მღვდელი.



ტექტიურ ნიჭს სათანადოდ არ აფასებთ. სენტ-მერიმიდში ყველამ ყველაფერი იცის სხვების ინტიმური ცხოვრების შესახებ. მთელ ინგლისში ერთი დეტექტივიც კი ვერ შეედრება გაუგებარი ასაკის გაუთხოვარ ქალს, რომელსაც თავისუფალი დრო თავზე საყრელად აქვს.

მშვიდად მიპასუხა, რომ ამ მხრივ სანერვიულო არაფერი ჰქონდა, რადგან, ხალხის აზრით, მას ლეტიცია მოსწონდა.

– იმაზე ხომ არ დაფიქრებულხართ, რომ შესაძლოა, ლეტიციაც ასე ფიქრობდეს? – ვკითხე მე.

ჩემმა სიტყვებმა ლოურენსი გულწრფელად გააოცა. მისი აზრით, ლეტიცია მას ყურადღებას არც კი აქცევდა.

– უცნაური ქალიშვილია, – თქვა მან, – თითქოს სულ ბურანშია ან ტრანსში, მაგრამ ვფიქრობ, რომ სინამდვილეში ძალზე პრაქტიკული ადამიანია. მეოცნებისთვის დამახასიათებელი დაბნეულობა მხოლოდ პოზაა და მეტი არაფერი. ლეტიციამ მშვენივრად იცის, რასაც აკეთებს. მასში ერთგვარი შურისმგებლობა იგრძნობა. უცნაურია, მაგრამ ენი სძულს, ძალიან სძულს. არადა, ენი მას ყოველთვის კეთილი ანგელოზივით ექცევა.

ბოლო ფრაზაში, ცხადია, ეჭვი შემეპარა. თავისი შეყვარებული ყველა ახალგაზრდა კაცს ანგელოზი ჰგონია. თუმცა, რასაც კი საკუთარი თვალთვლით ვხედავდი, ენი თავისი გერის მიმართ ყოველთვის გულკეთილი და სამართლიანი იყო. ამიტომაც გამაოცა დღეს დედინაცვლის მიმართ ლეტიციას მტრულმა განწყობამ.

საუბარი შევწყვიტეთ, რადგან ოთახში გრიზელდა და დენისი შემოცვივდნენ და მითხრეს, რომ ჩემს ხელში ლოურენსი მალე მოსაწყენ ბერიკაცად გადაიქცეოდა.

– ოჰ, ღმერთო ჩემო! – შესძახა გრიზელდამ და სავარძელში ჩაეშვა, – რამე საინტერესო მაინც მოხდეს. თუნდაც მკვლელობა... ან ძარცვა მაინც.

– აქ გასაძარცვიც არავინაა, – მხარი აუბა ლოურენსმა, – მის ჰარტნელს თუ მოჰპარავს ვინმე კბილების პროთეზს.

- რა საშინლად ატკაცუნებს, - თქვა გრიზელდამ, - მაგრამ რაც შეეხება ძარცვას, აქ კი ცდებით. ოულდჰოლში განსაცვიფრებელი ძველებური ვერცხლია. აგრეთვე, ჩარლზ II-ის დროინდელი თეფშები, ჭიქა და მსგავსი ნივთები. დარწმუნებული ვარ, ათასობით გირვანქა სტერლინგი ეღირება.

- ბერიკაცი კი საბრძოლო პისტოლეტიდან აგიტეხდათ სროლას, - თქვა დენისმა, - თანაც სიამოვნებით.

- აბა, კი, - მიუგო გრიზელდამ, - ჩვენ დავასწრებდით და იარაღს საფეთქელზე მივადებდით. ვის აქვს რევოლვერი?

- მე მაუზერის სისტემის პისტოლეტი მაქვს, - განაცხადა ლოურენსმა.

- მართლა? რა საინტერესოა! საიდან გაქვთ?

- ომის სუვენირია, - მოკლედ უპასუხა ლოურენსმა.

- დღეს მოხუცი პროტერო დოქტორ სტოუნს თავისი ვერცხლეულით აწონებდა თავს, - განაცხადა დენისმა, - ბებერი სტოუნი კი თავს ისე აჩვენებდა, თითქოს მართლა აინტერესებდა.

- მე კი მეგონა, რომ გათხრების გამო წაიჩხუბნენ, - თქვა გრიზელდამ.

- არა, ბოლოს მორიგდნენ, - მიუგო დენისმა, - ვერ გამიგია, რაში სჭირდებათ ეს გათხრები.

- მე კი ვერ გამიგია, სტოუნი რა კაცია, - თქვა ლოურენსმა, - ძალიან დაბნეული მეჩვენება. ზოგჯერ მზად ვარ, დავიფიცო, რომ არქეოლოგია მისთვის უღრანი ტყეა.

- სიყვარულის ბრალია, - დაახეთქა დენისმა, - ამ მშვენიერ გლედის კრემს კბილები უქათქათებს, მოდი, ერთად გავფრინდეთ, „ცისფერ ტახში“ შევიდეთ. და იქ, სანოლოთახში...

- გეყოფა, დენის, - ვთქვი მე.

- ჩემი წასვლის დროა, - თქვა ლოურენსმა, - დიდი მადლობა, მისის კლემენტ, ასეთი მშვენიერი სალამოსთვის.

იგი გრიზელდამ და დენისმა გააცილეს. დენისი კაბი-

ნეტში მარტო დაბრუნდა. ბიჭი რალაცას გაებრაზებინა –  
ოთახში სახემოლუშული დადიოდა და გაგულისებული ში-  
გადაშიგ უდანაშაულო ავეჯს ფეხს გაჰკრავდა ხოლმე.

ჩვენი გასაცოდავებული ავეჯისთვის უფრო მეტი ზიანის მიყენება თითქმის შეუძლებელი იყო, მაგრამ ვიგრძენი, რომ მაინც უნდა გამოვექომაგებოდი.

– ბოდიში, – ჩაიბურტყუნა დენისმა.

იგი ცოტა ხანს ჩუმად იყო, შემდეგ კი კვლავ იფეთქა:

– რა საშინელებაა ეს ქორები!

– რა მოხდა? – ვკითხე ოდნავ გაოცებულმა.

– არ ვიცი, უნდა გითხრათ თუ არა.

ახლა მართლა გავოცდი.

– ქორაობა საშინელი სიმდაბლეა, – თქვა დენისმა, – და-  
დიან აქეთ-იქით და სისაძაგლეს ლაპარაკობენ. არა, კი არ  
ლაპარაკობენ, მიგანიშნებენ. დალახვროს ეშმაკმა... მაპა-  
ტიეთ... არ ვიცი, შევძლებ თუ არა ამ საზიზღრობის გამე-  
ორებას.

ცნობისმოყვარეობით შევცქეროდი და არაფერს ვამ-  
ბობდი, თუმცა ძალიან მაინტერესებდა, რა უნდა ეთქვა –  
დენისს ხომ გულთან ახლოს არაფერი მიჰქონდა.

ამ დროს ოთახში გრიზელდა შემოვიდა.

– ახლახან მის უოთერბიმ დამირეკა, – თქვა მან, – მისის  
ლესტრენჯი ცხრის თხუთმეტ წუთზე სახლიდან გასულა  
და ჯერაც არ დაბრუნებულა. არაფერ იცის, სად წავიდა.

– რატომ უნდა იცოდნენ?

– დოქტორ ჰეიდოკთან არ არის. მის უოთერბიმ ეს ზუს-  
ტად იცის – მის ჰარტნელს დაურეკა, რომელიც მის მეზობ-  
ლად ცხოვრობს და აუცილებლად დაინახავდა.

– ჩემთვის კი დღემდე საიდუმლოა, – ვთქვი მე, – რო-  
გორ იკვებება აქ ხალხი. ალბათ, ფეხდგომელა ჭამენ, რათა  
არაფერი გამოჩეთ, რაც გარეთ ხდება.

– კიდევ არის რალაც, – განაცხადა სახეგაბრწყინებულ-  
მა გრიზელდამ, – „ცისფერი ტახი“ საფუძვლიანად შეუს-  
წავლიათ. დოქტორი სტოუნი და მის კრემი მეზობელ ოთა-

ხეებში ცხოვრობენ, ოლონდ – მან საჩვენებელი თითი გადააქნია – მათ შორის კავშირი არ დადასტურდა.

– რამხელა იმედგაცრუებაა ყველასთვის, – შევნიშნე ირონიულად.

გრიზელდას გაეცინა.

ხუთშაბათი ცუდად დაიწყო. ჩემი მრევლის ორი დარბაისელი ქალი ტაძრის მორთულობის შესახებ საუბრისას ნაკამათდა. იძულებული გავხდი, მსაჯულის როლი შემესრულებინა ხანში შესული ქალბატონების დავაში, რომლებიც სიბრაზისგან ცახცახებდნენ. რომ არა მათი ჯანმრთელობის გამო ნუხილი, ინტერესით დავაკვირდებოდი ამ ფიზიკურ მოვლენას.

შემდეგ შენიშვნა მივეცი გუნდში მომღერალ ორ ბიჭს იმის გამო, რომ ღვთისმსახურების დროს შაქარყინულს ნუნნიდნენ, მაგრამ ეს არცთუ დამაჯერებლად გამომივიდა და თავი უხერხულად ვიგრძენი.

ბოლოს კი, ჩვენი ორგანიზტის დაშოშმინება მომიხდა, რომელსაც რალაც სწყენოდა. მას ყოველთვის ასე ემართება – წყენიაა და იმიტომ.

ამას ისიც დაემატა, რომ ჩვენი მრევლის ოთხმა უღარიბესმა წევრმა მის ჰარტნელის წინააღმდეგ გაილაშქრა, მან კი ჩემთან მოიბრინა და ამის შესახებ აღშფოთებულმა შემატყობინა.

შინისკენ მიმავალი პოლკოვნიკ პროტეროს შევხვდი. მშვენიერ ხასიათზე იყო – მოსამართლის რანგში განაჩენი გამოეტანა სამი ბრაკონიერისთვის.

– სიმტკიცე! – შესძახა მან რიხიანად. მას ყურს აკლდა და, სხვა სმენადაქვეითებულების მსგავსად, ხმამალლა ლაპარაკობდა, – ჩვენს დროში მხოლოდ სიმტკიცეა საჭირო! როგორც გავიგე, ის არამზადა არჩერი ციხიდან გამოსულა და ჩემზე შურისძიებას აპირებს. თავხედი ნაძირალა. თუმცა ნათქვამია, ვისაც ემუქრებიან, დიდხანს ცოცხლობსო. ერთი გაბედოს და ხელი ახლოს ჩემს ხობებებს, ვანახვებ, რა არის შურისძიება. ძალიან გულჩვილები კი გავხდით. თავს



გვაცოდებენ, ცოლი და შვილები გვყავსო. სისულელეა! თავის საქციელზე ყველამ უნდა აგოს პასუხი და საჭირო არ არის ცოლ-შვილზე ნუნუნნი. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ არის – ექიმი, ადვოკატი, მღვდელი, ბრაკონიერი თუ მანან-ნალა ლოთი, – თუ დანაშაული ჩაიდინა, კანონის მიხედვით უნდა დაისაჯოს. დარწმუნებული ვარ, მეთანხმებით.

– თქვენ გავინყდებათ, – მივუგე, მე, – რომ ეკლესია ყველაფერზე მაღლა გულმონყალებას აყენებს.

– მე კი სამართლიანი ადამიანი ვარ. ეს ყველამ იცის.

ვდუმდი, ამიტომ მკვახედ მკითხა:

– რატომ გაჩუმებულხართ? მითხარით, რას ფიქრობთ.

მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტე, რომ მეთქვა:

– როდესაც ჩემი აღსასრულის დრო მოვა, გული დამწყდება, თუ საკუთარი თავის გასამართლებლად მხოლოდ იმის თქმა შემეძლება, რომ სამართლიანი ვიყავი. მაშინ მეც ასე განმსჯიან...

– კარგი რა! ჩვენს ქრისტიანობას მებრძოლი სული აკლია. საკუთარ მოვალეობას ყოველთვის პირნათლად ვასრულებდი. თუმცა გვეყოფა ამის შესახებ. როგორც მოვილაპარაკეთ, ამ საღამოს შემოგივლით. ოღონდ, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ექვსის ნაცვლად, შვიდის თხუთმეტი წუთზე შევხვდეთ. სოფელში ვილაც მყავს სანახავი.

– შვიდის თხუთმეტი წუთიც მანყობს.

იგი ჯოხის ქნევით გამშორდა. შემოვტრიალდი და პოუზს შევეჩეხე. მინდოდა, დელიკატურად მიმეთითებინა ზოგიერთ შეცდომაზე მის საქმიანობასთან დაკავშირებით, მაგრამ ისეთი ფერმკრთალი და დაძაბული მომეჩვენა, ვიფიქრე, ავად არის-მეთქი.

ასეც ვუთხარი. თავდაპირველად დუნედ შემენინა-აღმდეგა, შემდეგ კი გამომიტყდა, რომ თავს შეუძლოდ გრძნობდა. შინ წასვლა და ლოგინში ჩანოლა ვურჩიე. დამეთანხმა.

სწრაფად მოვუღე ლანჩს ბოლო და დაგეგმილი ვიზიტე-

ბის განსახორციელებლად გავემართე. გრიზელდა ლონდონში გაემგზავრა – ხუთშაბათობით მატარებლის ბილეთი იაფი ღირდა.

შინ რომ დავბრუნდი, ოთხს დაახლოებით თხუთმეტი წუთი აკლდა. საკვირაო ქადაგების მონახაზის გაკეთებას ვაპირებდი, მაგრამ მერიმ მაცნობა, რომ კაბინეტში მისტერ რედინგი მელოდებოდა.

როდესაც ოთახში შევედი, შენუხებული სახით წინ და უკან დადიოდა. ფერმკრთალი და დაღლილი სახე ჰქონდა.

ფეხის ხმაზე მკვეთრად შემოტრიალდა.

– მომისმინეთ, სერ. ბევრი ვიფიქრე იმაზე, რაც გუშინ მითხარით. მთელი ღამე არ მეძინა. მართალი ბრძანდებით. აქაურობას უნდა გავეცალო.

– სწორი გადანყვეტილებაა, – ვთქვი მე.

– ენიზეც სიმართლე თქვით. თუ აქ დავრჩები, ზიანს მივაყენებ. იგი... იგი ძალიან კარგი ადამიანია და ამას ვერ დავუშვებ. ვხედავ, რომ უნდა წავიდე. მას ისედაც ბევრი უსიამოვნება მივაყენე. იქნებ ღმერთმა შემინდოს.

– ვფიქრობ, ერთადერთი სწორი გადანყვეტილება მიიღეთ, – ვუთხარი მე, – მესმის, ეს როგორ გიმძიმდათ, მაგრამ საბოლოოდ ასე უკეთესი იქნება.

შევატყვე, ფიქრობდა, რომ სათქმელად ადვილი იყო მისთვის, ვინც არ იცოდა, რის შესახებ საუბრობდა.

– შეგიძლიათ, ენის ყურადღება მიაქციოთ? მას მეგობარი სჭირდება.

– მაგაზე არ იღელვოთ – ძალისხმევას არ დავაკლებ.

– გმადლობ, სერ, – მითხრა მან და ხელი მაგრად ჩამომართვა, – კარგი ადამიანი ხართ, პადრე. ამ საღამოს მისის პროტეროს უკანასკნელად შევხვდები და დავემშვიდობები, ხვალ კი, ალბათ, აქედან გავემგზავრები. არ ღირს აგონიის გაგრძელება. იმაზეც მადლობას მოგახსენებთ, რომ თქვენს ფარდულში მუშაობის შესაძლებლობა მომეცით. სამწუხაროა, რომ მისის კლემენტის პორტრეტის დასრულება ვერ მოვასწარი.

- ეგ არაფერია, ჩემო კარგო. მშვიდობით, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

მისი ნასვლის შემდეგ ქადაგების ტექსტს მივუბრუნდი, მაგრამ გული ვერ დავუდე - კვლავ ლოურენსსა და ენი პროტეროზე ვფიქრობდი.

საკმაოდ უგემური და ცივი შავი ჩაი დავლიე. ექვსის ნახევარზე ტელეფონის ზარი გაისმა. შემატყობინეს, რომ „ქვედა ფერმაში“ მცხოვრები მისტერ ებოტი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა. სასწრაფოდ მისვლას მთხოვდნენ.

მაშინვე ოულდჰოლში დავრეკე - „ქვედა ფერმამდე“ თითქმის ორი მილი იყო და შვიდის თხუთმეტი წუთისთვის შინ დაბრუნებას ვერაფრით მოვასწრებდი. ველოსიპედის ტარება ვერაფრით ვერ ვისწავლე.

მიპასუხეს, პოლკოვნიკი პროტერო ახლახან ავტომობილით გაემგზავრაო. რალა დამრჩენოდა: გზას გავუდექი, მერის კი დავუბარე, პოლკოვნიკისთვის გადაეცა, რომ სასწრაფოდ გამომიძახეს და შინ შვიდის ნახევრისთვის ან ცოტა მოგვიანებით ვიქნებოდი.

## თავი V

როდესაც ჩემი სახლის კუტიკარს მივუახლოვდი, შვიდის ნახევარი კი არა, თითქმის შვიდი საათი ხდებოდა. უეცრად იგი გაიღო და იქიდან ლოურენს რედინგი გამოვიდა. თვალი რომ მომკრა, ადგილზე გაქვავდა. მისმა გარეგნობამ გამაოცა - შეშლილს ჰგავდა. უცნაური მზერა მომაპყრო. მკვდარივით გაფითრებულს მთელი სხეული უცახცახებდა.

წამით გავიფიქრე, ნასვამი ხომ არ არის-მეთქი, მაგრამ ეს აზრი მაშინვე უკუვავდე.

- სალამო მშვიდობისა, - ვუთხარი, - ვხედავ, კვლავ ჩემს სანახავად მოსულხართ. ვნუხვარ, რომ არ დაგხვდით. შიგ-

ნით შევიდეთ. პროტეროსთან ერთად რაღაც საქმე უნდა განვიხილო, მაგრამ ეს ცოტა დროს ნაიღებს.

– პროტერო, – გაიმეორა მან და გაიციინა, – პროტერო? პროტეროს ნახვას აპირებთ? ოჰ! პროტეროს ნახავთ, რა თქმა უნდა. ოჰ, ღმერთო ჩემო... დიახ.

გაოცებული მივაჩერდი და ინსტინქტურად ხელი გავუნოდე. მან უკან დაიხია.

– არა! – თითქმის იყვირა მან, – უნდა ნავიდე და ვიფიქრო. დიახ, ვიფიქრო. კარგად უნდა ვიფიქრო.

იგი სოფლისკენ გაიქცა და მალე თვალს მიეფარა, მე კი კვლავ გავიფიქრე, მთვრალი ხომ არ არის-მეთქი.

ბოლოს გონს მოვეგე და სახლისკენ გავემართე. ჩვენი კარი არასდროს იკეტება, მაგრამ ზარი მაინც დავრეკე. კარი მერიმ გამიღო, რომელიც ხელებს წინსაფარზე იმშრალეზდა.

– დაბრუნდით, როგორც იქნა, – შენიშნა მან.

– პოლკოვნიკი პროტერო აქ არის? – ვკითხე მე.

– კაბინეტშია. შვიდის თხუთმეტი ნუთიდან გელოდებათ.

– მისტერ რედინგიც შემოვიდა?

– რამდენიმე ნუთის წინ. თქვენ გიკითხათ. ვუთხარი, რომ ნუთი-ნუთზე დაბრუნდებოდით, პოლკოვნიკი კი კაბინეტში იყო. ასე თქვა, მეც დაველოდებო და იქით გაემართა. ახლაც იქ არის.

– არა, – ვუთხარი მე, – ახლახან შევხვდი, სოფლისკენ გაემართა.

– მისი გამოსვლა არ გამიგია. ორი ნუთი თუ გავიდოდა. ქალბატონი კი ქალაქიდან ჯერ არ დაბრუნებულა.

თავი დაბნეულად დაუქნიე. მერი სამზარეულოში დაბრუნდა, მე კი დერეფანი გავიარე და კაბინეტის კარი შევაღე.

ჩაბნელებული დერეფნის შემდეგ სალამოს მზის შუქმა თვალი მომჭრა. რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გადავდგი და გავშეშდი.

რამდენიმე წამის განმავლობაში ვერაფრით მოვახერხე იმის გააზრება, რასაც ვხედავდი.

პოლკოვნიკი პროტერო საწერ მაგიდას დამხობოდა. საშინელი, არაბუნებრივი პოზა მიეღო. თავთან რალაცის გუბე დამდგარიყო, რომელიც იატაკზე მონოტონურად წვეთავდა: ნკაპ, ნკაპ, ნკაპ.

ძალა მოვიკრიბე და მივუახლოვდი. შევვხე – სიცივე ვიგრძენი, ხელი ავუნე – ძირს ჩამოუვარდა. მკვდარი იყო – ტყვია თავში მოხვედროდა.

მერის დავუძახე. ვუთხარი, რომ უბედურება მოხდა, და ვუბრძანე, სასწრაფოდ დოქტორ ჰეიდოკთან გაქცეულიყო, რომელიც ჩვენს მეზობლად, კუთხეში ცხოვრობდა.

შემდეგ კაბინეტში დავბრუნდი, კარი მივხურე და ექიმს დაველოდე.

საბედნიეროდ, მერიმ მას შინ მიუსწრო. ჰეიდოკი კარგი ბუნების კაცი იყო, მაღალი, წარმოსადეგი, პატიოსანი, მაგრამ ოდნავ მკაცრი სახით.

როდესაც უსიტყვოდ მივუთითე კაბინეტის სიღრმისკენ, გაოცებულმა წარბები მაღლა აზიდა. მაგრამ, როგორც ნამდვილ ექიმს შეეფერება, გრძნობების დამალვა მოახერხა, მიცვალებულის თავზე დაიხარა და სწრაფად შეათვალიერა. ბოლოს წელში გასწორდა და შემომხედა.

– რას იტყვით? – ვკითხე მოუთმენლად.

– მკვდარია, წყალი არ გაუვა. ეს დაახლოებით ნახევარი საათის წინ მოხდა.

– თვითმკვლელობა?

– გამორიცხებულია. ჭრილობას დააკვირდით. ასეც რომ იყოს, იარაღი სად არის?

მართლაც, ოთახში პისტოლეტის მსგავსი არაფერი იყო.

– ხელი არაფერს ვახლოთ, – თქვა ჰეიდოკმა, – და სასწრაფოდ პოლიციაში დავრეკოთ.

მან ყურმილი აიღო და ლაკონიურად შეატყობინა პოლიციას მომხდარის შესახებ, შემდეგ კი სავარძელს მოუახლოვდა, რომელშიც ვიჯექი.



- ცუდი საქმე მოხდა. თქვენ როდის ნახეთ?

მოკლედ ავუხსენი.

- ეს... მკვლელობაა? - ვკითხე ჩამწყდარი ხმით.

- ალბათ. სხვა რა უნდა იყოს. უცნაურია, ვის უნდა მოეკლა სანყალი ბერიკაცი? ცხადია, ვიცი, რომ პოპულარობით არ სარგებლობდა, მაგრამ ამის გამო ადამიანს არ კლავენ... ბედი არ ჰქონია.

- კიდევ ერთი უცნაურობაა, - ვთქვი მე, - დღეს დამირეკეს და მომაკვდავთან მისვლა მთხოვეს. როდესაც იქ მივედი, ყველა საშინლად გაოცდა. ავადმყოფი, წინა დღეებისგან განსხვავებით, თავს გაცილებით უკეთ გრძნობდა, მისმა ცოლმა კი კატეგორიულად განაცხადა, რომ ჩემთან არ დაურეკავს.

ჰეიდოკმა შუბლი შეიჭმუნა.

- საეჭვოა, ძალზე საეჭვო. თქვენ, უბრალოდ, აქაურობას მოგაცილეს. მისის კლემენტი სად არის?

- ლონდონში გაემგზავრა მთელი დღით.

- მოსამსახურე?

- სამზარეულოში იყო, სახლის მეორე მხარეს.

- მაშინ, ვერც კი გაიგებდა, რაც მოხდა. დიახ, საზიზღარი საქმეა. ვინ იცოდა, რომ სალამოს პროტერო აქ იქნებოდა?

- ეს თვითონ გამოაცხადა ყველას გასაგონად.

- იმის თქმა გსურთ, რომ მთელმა სოფელმა იცოდა? თუმცა აქაურებმა ისედაც ყველაფერი იციან. ვინმე ხომ არ მტრობდა მას?

თვალწინ მკვდარივით გაფითრებული, შეშლილს დამსგავსებული ლოურენს რედინგი წარმომიდგა. მაგრამ ამ დროს დერეფანში ნაბიჯების ხმა გაისმა და პასუხის გაცემა აღარ მომიხდა.

- ეს პოლიციაა, - თქვა ჩემმა მეგობარმა და წამოდგა.

პოლიციას კონსტებლი<sup>1</sup> პერსტი წარმოადგენდა, რო-

<sup>1</sup> კონსტებლი - ინგლისსა და ზოგიერთ ინგლისურენოვან ქვეყანაში - დაბალი ჩინის პოლიციელი.

მელსაც სერიოზული, მაგრამ ოდნავ შეშფოთებული სახე ჰქონდა.

- სალამო მშვიდობისა, ჯენტლმენებო, - მოგვესალმა იგი, - ინსპექტორიც ახლავე მოვა. მანამდე კი, მის მითითებებს შევასრულებ. როგორც გავიგე, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული პოლკოვნიკი პროტერო ვიკარიუსის სახლში აღმოაჩინეს.

იგი გაჩუმდა და ცივი და ეჭვიანი მზერა მომაპყრო. შევეცადე, რომ ასეთი შემთხვევის შესაფერისი, დამწუხრებული და უდანაშაულო კაცის გამომეტყველება მიმელო.

კონსტებლი მაგიდას მიუახლოვდა და გამოგვიცხადა:

- ინსპექტორის მოსვლამდე ხელი არაფერს ახლოთ!

მკითხველისთვის რომ უფრო გასაგები იყოს, ოთახის გეგმასაც წარმოგიდგენთ.

კონსტებლმა ბლოკნოტი ამოიღო, ფანქარი დანერწყვა და კითხვის გამომხატველი მზერა მოგვაპყრო.

გავიმეორე, თუ როგორ აღმოვაჩინე მიცვალებული. როდესაც ყველაფერი ჩაიწერა, რასაც საკმაოდ დრო მოანდომა, კონსტებლმა ექიმს მიმართა:

- დოქტორო შეიძოკ, თქვენი აზრით, რამ გამოიწვია სიკვდილი?

- მას ახლო მანძილიდან ესროლეს თავში.

- რომელი იარაღით?

- სანამ ტყვიას არ ამოიღებენ, ზუსტად ვერ მოგახსენებთ, მაგრამ, სავარაუდოდ, მცირეკალიბრიანი პისტოლეტი უნდა იყოს, ვთქვათ, მაუზერ-25.

შევეკრთი - გამახსენდა, როგორ აღიარა ლოურენს რედინგმა, რომ მასაც ასეთი პისტოლეტი ჰქონდა. კონსტებლმა თევზივით ცივი თვალებით შემომხედა.

- რამე ხომ არ თქვით, სერ?

თავი გადავაქნიე. მართალია, ეჭვი მღრღნიდა, მაგრამ ეს მხოლოდ ეჭვი იყო და ხმამაღლა არ უნდა მეტყვა.

- თქვენი აზრით, როდის მოხდა ტრაგედია?

ექიმი ნუთით შეყოყმანდა და თქვა:

– დაახლოებით ნახევარი საათის წინ. მეტი დრო ნამდვილად არ გასულა.

ჰერსტი ახლა მე მომიბრუნდა:

– მოსამსახურეს არაფერი გაუგონია?

– როგორც ვიცი, არაფერი, – ვთქვი მე, – აჯობებს, თვითონ მას ჰკითხოთ.

სწორედ ამ დროს ინსპექტორი სლეკი შემოვიდა, რომელიც ორი მილის მანძილზე მდებარე მაჩ-ბენჰემიდან მანქანით მოსულიყო.

მის შესახებ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მასავით არავინ ცდილობდა, საკუთარი სახელის სრულ ანტიპოდად წარმოეჩინა თავი<sup>1</sup>. ეს გახლდათ შავთმიანი, მოუსვენარი და ენერგიული მამაკაცი. შავ თვალებს გამუდმებით აქეთ-იქით აცეცებდა. უხეშობა და ქედმაღლობა ახასიათებდა.

ჩვენს მისაღებაზე თავი ოდნავ დაგვიკრა, ხელქვეითს ბლოკნოტი გამოსტაცა, გადაფურცლა, რამდენიმე ფრაზა ხმადაბლა უთხრა და მიცვალებულის გვერდით გაჩნდა.

– ალბათ ყველაფერი გადათელეთ და გადააქოთეთ, – თქვა მან.

– ხელი არაფრისთვის მიხლია, – ჩაილაპარაკა ჰეიდოკმა.

– არც მე, – კვერი დავუკარი ექიმს.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ინსპექტორს ჩვენთვის არ ეცალა – იგი მაგიდაზე არსებულ ნივთებსა და სისხლის გუბებს აკვირდებოდა.

– აჰა! – შესძახა მან საზეიმო ხმით, – სწორედ ეს გვჭირდებოდა. როდესაც კაცი დაეცა, საათი გადაყირავდა. ახლა დანაშაულის ჩადენის ზუსტი დრო ვიცი. შვიდის ოცდაორი წუთი. რა თქვით, ექიმო, როდის მოკვდაო?

– ნახევარი საათის წინ-მეთქი, მაგრამ...

ინსპექტორმა საკუთარ საათს დახედა.

– ამჟამად რვის ხუთი წუთია. მე ათი წუთის წინ დამიკავშირდნენ, შვიდს რომ ხუთი წუთი აკლდა. გვამი დაახ-

---

<sup>1</sup> Slack – დუნე, ზარმაცი, ნელი (ინგლ.).

ლოებით ექვს საათსა და ორმოცდახუთ წუთზე აღმოაჩინეს. როგორც ვიცი, მაშინვე გამოგიძახეს. გვამის დათვალიერება ექვს საათსა და ორმოცდაათ... დიახ, დრო ნამი ნამში ემთხვევა.

– ზუსტ დროს ვერ მოგახსენებთ, – თქვა ჰეიდოკმა, – ეს მიახლოებითი შეფასებაა.

– კარგია, სერ, საკმაოდ კარგია.

რაღაცის თქმა დავაპირე.

– სხვათა შორის, ჩვენი საათი...

– მაპატიეთ, სერ, მაგრამ რაც მაინტერესებს, იმის შესახებ შეკითხვას თვითონ დაგისვამთ. დრო ცოტა გვაქვს. თქვენგან აბსოლუტურ სიჩუმეს მოვითხოვ.

– გასაგებია, მხოლოდ იმის თქმა მსურდა...

– აბსოლუტური სიჩუმე-მეთქი! – გაიმეორა ინსპექტორმა და მრისხანედ შემომხედა. სხვა რა გზა მქონდა – დავემორჩილე.

იგი კვლავ მაგიდას ათვალიერებდა.

– აქ რატომ დაჯდა? – ჩაიბურტყუნა მან, – რამე ხომ არ უნდა დაენერა... აჰა! ეს რა არის?

მან გამარჯვებული კაცის სახით აიღო მაგიდიდან ფურცელი. თავისი აღმოჩენით აღფრთოვანებულმა მასთან მიახლოებისა და ქალაქის ნახვის უფლებაც კი მოგვცა.

ეს ჩემი სანერი ფურცელი იყო, რომლის თავშიც დრო მიეთითებინათ – 6:20.

„ძვირფასო კლემენტ, – ეწერა შიგნით, – მაპატიეთ, მეტს ველარ დაგელოდებით, მაგრამ უნდა...“

ბოლო სიტყვას მოკლე, უსწორმასწორო ხაზი მოჰყვებოდა.

– ყველაფერი ცხადია, – განაცხადა ინსპექტორმა სლეკმა ტრიუმფალური ხმით, – იგი აქ ჯდება და წერას იწყებს, მკვლელი კი ჩუმად შემოდის ფანჯრიდან, ეპარება და ესვრის. კიდევ გინდათ რამე?

– მხოლოდ იმის თქმა მინდოდა... – დავინწყე მე.

- თუ შეიძლება, გზა დამითმეთ, სერ. უნდა ვნახო, კვალი ხომ არ დარჩა.

იგი მუხლებზე დაეშვა და ღია ფანჯრისკენ გაემართა.

- ვფიქრობ, აუცილებლად უნდა იცოდეთ... - ჯიუტად ვცაადე ერთხელაც.

ინსპექტორი წამოდგა და ცივი, მტკიცე ხმით მითხრა:

- მაგის შესახებ შემდეგ ვისაუბროთ. ახლა კი, ძალზე დამავალბებთ, ჯენტლმენებო, თუ ოთახს დაცლით. აბა, გასასვლელისკენ, თუ შეიძლება.

ნება მივეცით, რომ ოთახიდან პატარა ბავშვებივით გამოვებუნძულებიხეთ.

მეგონა, დიდი დრო გავიდა-მეთქი, მაგრამ ჯერ მხოლოდ რვის თხუთმეტი წუთი იყო.

- რა გაეწყობა, - თქვა ჰეიდოკმა, - თუ ამ პატივმოყვარე ვირს რამეში დავჭირდები, ჩემი კაბინეტისკენ მიმავალი გზა მიასწავლეთ. აბა, დროებით.

- ქალბატონი ჩამოვიდა, - მომახარა სამზარეულოდან გამოსულმა მერიმ და ცნობისმოყვარე და აღელვებული მზერა მომაპყრო, - ხუთი წუთის წინ.

გრიზელდას სასტუმრო ოთახში მივაგენი. დაღლილი, მაგრამ ალგზნებული ჩანდა.

მან ყურადღებით მოისმინა ჩემი მონათხრობი.

- ბარათის თავში 6:20 ეწერა, - დავასრულე მე, - საათი კი დაეცა და 6:22-ზე გაჩერდა.

- გასაგებია, - თქვა გრიზელდამ, - ის თუ უთხარი, რომ ჩვენი საათი თხუთმეტი წუთით წინაა?

- არა, - მივუგე მე, - როგორ ვეცაადე, მაგრამ არ მათქმევინა.

გრიზელდა უცნაურად შეიჭმუხნა.

- მომისმინე, ლენ, - თქვა მან, - ეს წარმოუდგენელია. როდესაც საათი შვიდის ოც წუთს უჩვენებდა, სინამდვილეში შვიდის ხუთი წუთი იყო და პოლკოვნიკი პროტერო ჯერ სახლშიც არ იქნებოდა შემოსული.



## თავი VI

ერთხანს საათთან დაკავშირებით ვიმტვრევდით თავს, თუმცა ვერაფერი დავასკვენით. გრიზელდამ მითხრა, რომ ერთხელაც უნდა მეცადა ინსპექტორ სლეკისთვის ამის თქმა, მაგრამ რომ იტყვიან, ვირივით გავჯიუტდი.

ინსპექტორი სლეკი, ყოვლად უმიზეზოდ, ძალიან უხეშად იქცეოდა. მოუთმენლად ველოდი იმ ნუთს, როდესაც ჩემს მნიშვნელოვან ცნობას მივანვდიდი და შევარცხვენდი. საყვედურნარევი კილოთი ვეტყვოდი:

– თქვენ რომ ჩემთვის მოგესმინათ, ინსპექტორო სლეკ...

იმედს არ ვკარგავდი, რომ მოგვიანებით მაინც დამელაპარაკებოდა, მაგრამ, ჩვენდა გასაოცრად, მერისგან შევიტყვეთ, რომ კაბინეტი გასაღებით ჩაეკეტა, დაებარებინა, შიგ არავინ შევიდესო, და წასულიყო.

გრიზელდამ ოულდჰოლში მოისურვა წასვლა.

– ენი პროტერო საშინელ დღეში იქნება – აქეთ პოლიცია, იქით კიდევ... იქნებ რამით მაინც დავეხმარო.

განზრახვა მოვუნონე და ისიც გაემგზავრა, ოღონდ შემპირდა, რომ აუცილებლად დამირეკავდა, თუ აღმოჩნდებოდა, რომ მეც შემეძლო რამე სარგებლობის მოტანა, თუნდაც ენის ან ლეტიციას ნუგეშისცემა.

მაშინვე შევუდექი საკვირაო სკოლის მასწავლებლებთან რეკვას, რომლებიც შვიდ საათსა და ორმოცდახუთ ნუთზე უნდა მოსულიყვნენ – კვირაში ერთხელ ყოველთვის ვიკრიბებოდით მომდევნო გაკვეთილებისთვის უკეთ მომზადების მიზნით. შექმნილ ვითარებაში კი გადავწყვიტე, რომ შეხვედრის გადადება ჯობდა.

შემდეგი პიროვნება, რომელიც დანაშაულის ადგილზე გამოჩნდა, ჩოგბურთის კორტიდან დაბრუნებული დენისი იყო. ვიკარიუსის სახლში მომხდარმა მკვლელობამ მას, ერთი შეხედვით, უდიდესი სიამოვნება მიანიჭა.

– ოჰ, რა საინტერესოა დანაშაულის ადგილზე ყოფნა! – შესძახა მან, – ამას ყოველთვის ვნატრობდი. რატომ ჩაკეტა პოლიციამ კაბინეტი? სხვა კარის გასაღები არ მოერგება?

განვაცხადე, რომ მსგავსს არაფერს დავუშვებდი. დენისი გაიბუტა. შემდეგ ყველაფერი დანვრილებით გამომკითხა და ბაღში წავიდა კვალის საპოვნელად, მანამდე კი თქვა, ძალიან კი გაგიმართლათ, რომ მხოლოდ მოხუცი პროტერო მოკლეს, რომელსაც ისედაც ვერავინ იტანდაო.

მეხამუშა მისი გულქვაობასთან შეზავებული მხიარულება, მაგრამ გავიფიქრე, რომ ბევრი არ მოეკითხებოდა. დენისის ასაკის ბიჭებს დეტექტივები ყველაფერს ერჩივნათ. აქ კი ყველაფერი რეალურად ხდებოდა, თანაც მიცვალებულიც აქვე იყო, მის საკუთარ სახლში. სულაც არ უნდა გამკვირვებოდა, რომ, როგორც ჯანმრთელ ყმანვილს შეეფერებოდა, სიხარულით ცას სწვდებოდა. თექვსმეტი წლის ბიჭისთვის სიკვდილი ხომ თითქმის არაფერს ნიშნავს.

გრიზელდა დაახლოებით ერთ საათში დაბრუნდა. იგი მაშინ მისულა ენი პროტეროსთან, როდესაც ინსპექტორი მომხდარი ამბის შესახებ უყვებოდა.

მისის პროტეროს უთქვამს, რომ ქმარს სოფელში დაახლოებით ჩვიდმეტ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე დაშორებოდა და მეტი არაფერი იცოდა. ინსპექტორი სლეკი დამშვიდობებია და დაუბარებია, უფრო სერიოზული საუბრისთვის ხვალ შემოგივლითო.

- ძალზე თავაზიანად კი ესაუბრებოდა, - უხალისოდ თქვა გრიზელდამ.

- მისის პროტერომ როგორ მიიღო ეს ამბავი? - ვკითხე მე.

- რა გითხრა... მშვიდად იყო, მაგრამ იგი ყოველთვის ასეთია.

- მართალია, - დავეთანხმე მე, - ვერც კი წარმომიდგენია ისტერიკაში ჩავარდნილი მისის პროტერო.

- ცხადია, ეს მისთვის საშინელი დარტყმაა. ემჩნეოდა კიდევ. მადლობა გადამიხადა მისვლისთვის, მაგრამ მითხრა, რომ დახმარება არ სჭირდებოდა.

- ლეტიცია?

- შინ არ დამხვდა. ჩოგბურთის სათამაშოდ წასულა.

- იცი, ლენ, - მითხრა გრიზელდამ მცირე პაუზის შემ-

დეგ, – მისის პროტერო უცნაურად, ძალიან უცნაურად იქცეოდა.

– ეს შოკია, – გამოვთქვი ვარაუდი.

– ჰო... მეც ასე ვფიქრობ. და მაინც... – გრიზელდამ შუბლი შეიჭმუნა, – რალაც არ მომენონა. იმდენად დათრგუნვილი ან შენუხებული არ იყო, რამდენადაც, შეშინებული.

– შეშინებული?

– ჰო, მაგრამ ცდილობდა, რომ ეს არ დასტყობოდა, რათა ჩვენ არ შეგვემჩნია. არადა, თვალეგაფაციცებული იყურებოდა. ისიც გავიფიქრე, იქნებ იცის, ვინც მოკლამეთქი. რამდენჯერმე იკითხა კიდეც, ვინმეზე ხომ არ ჰქონდათ ეჭვი.

– მართლა? – ვკითხე ჩაფიქრებით.

– ჰო. ცხადია, ენი შესანიშნავად აკონტროლებს თავს, მაგრამ ჩანდა, რომ ძალიან შეშფოთებული იყო. უფრო მეტად, ვიდრე ველოდი: ბოლოს და ბოლოს, იგი ქმრის სიყვარულით არ დნებოდა. ის კი არა, საერთოდ არ უყვარდა, თუ სიმართლე გინდა.

– ზოგჯერ სიკვდილი გრძნობებს ცვლის, – ვთქვი მე.

– ჰო, გეთანხმები.

ამ დროს აღელვებული დენისი შემოვარდა – ყვავილნარში ვილაციის კვალისთვის მიეგნო. დარწმუნებული იყო, რომ პოლიციამ ყურადღება არ მიაქცია ამ უმნიშვნელოვანეს სამხილს, რომელსაც მკვლელობის საიდუმლოს ამოხსნა შეეძლო.

ლამე მოუსვენრად გავატარე. დენისი უთენია წამოხტა და სახლიდან საუზმობამდე კარგა ხნით ადრე გავიდა, როგორც თვითონ თქვა, „საქმის ვითარების უკეთ გასაცნობად“.

მიუხედავად ამისა, მან კი არა, მერიმ მოიტანა იმ დილით ყველაზე სენსაციური ცნობა.

ის იყო, სასაუზმოდ დავსხედით, რომ თვალეგანთებული და ლოყებანთებული ოთახში შემოიჭრა და მისთვის ჩვეული მოურიდელობით გამოგვიცხადა:

- დაუჯერებელი რამ მოხდა! ახლახან მეფუნთუშემ მითხრა. ახალგაზრდა ლოურენს რედინგი დაუპატიმრებიათ!

- ლოურენსი? - უნდობლად შესძახა გრიზელდამ, - შეუძლებელია. ალბათ, სულელური შეცდომაა.

- სულაც არ არის შეცდომა, ქალბატონო, - ფარული სიხარულით შეეკამათა მერი, - მისტერ რედინგი თვითონ გამოცხადდა და ყველაფერი აღიარა. ნუხელ, გვიან ღამით. შევიდა, პისტოლეტი მაგიდაზე დააგდო და თქვა: „ეს მე ჩავივინე“. სწორედ ასე მოხდა.

მან შემოგვხედა, თავი ენერგიულად დააქნია და, განხორციელებული ეფექტით კმაყოფილი ოთახიდან გავიდა. მე და გრიზელდა ერთმანეთს მივაშტერდით.

- ოჰ, არა! ეს ტყუილია! - თქვა გრიზელდამ, - შეუძლებელია, სიმართლე იყოს.

რომ არაფერი ვთქვი, ჩამეკითხა:

- ლენ, ნუთუ ფიქრობ, რომ ეს სიმართლეა?

არ ვიცოდი, რა მეთქვა. ვიჯექი და ვდუმდი, თავში კი ფიქრები ერთმანეთში მერეოდა.

- ალბათ გაგიჟდა, - თქვა გრიზელდამ, - ნამდვილად გაგიჟდა. ხომ არ ფიქრობ, რომ, შესაძლოა, პისტოლეტს ერთად ათვალთქვებდნენ, მას კი შემთხვევით გაუვარდა?

- ნაკლებად დამაჯერებლად უღერს.

- არა, ეს უბედური შემთხვევაა. მოტივის ნასახიც არ არსებობს. რატომ უნდა მოეკლა ლოურენსს პოლკოვნიკი პროტერო?

ამ შეკითხვაზე საკმაოდ დამაჯერებელი პასუხის გაცემა შემეძლო, მაგრამ ენი პროტეროს სახელს ვუფრთხილდებოდი. ჯერ კიდევ რჩებოდა შანსი, რომ იგი ამ საქმეში არ იყო გარეული.

- გაიხსენე, როგორ წაკინკლავდნენ ისინი ცოტა ხნის წინ.

- ლეტიციასა და მისი საბანაო კოსტიუმის გამო? ჰო, მაგრამ ეს ხომ აბსურდია. ლოურენსი და ლეტიცია ფარუ-

ლად დანიშნულებიც რომ ყოფილიყვნენ, ვერც ეს გახდებოდა საცოლის მამის მოკვლის მიზეზი.

– ჩვენ ხომ არ ვიცით, სინამდვილეში რა ხდებოდა, გრიზელდა.

– მაშასადამე, შენ გჯერა, არა, ლენ? როგორ შეგიძლია! დარწმუნებული ვარ, რომ ლოურენსს მისთვის თითიც კი არ დაუკარებია.

– თუ გახსოვს, მე მას კუტიკართან შეეხვდი. შეშლილივით გამოიყურებოდა.

– ჰო, მაგრამ... ოჰ! ეს შეუძლებელია!

– არც საათი დაგავიწყდეს, – ვთქვი მე, – ეს ყველაფერს ხსნის. ლოურენსს შეეძლო, იგი უკან, 6:20-ზე გადაენია ალიბის შესაქმნელად. ინსპექტორი სლეკი გაება კიდეც ამ მახეში.

– ცდები, ლენ. ლოურენსმა იცოდა, რომ საათი წინ იყო. „რათა ჩვენს ვიკარიუსს არსად დაავიანდეს“, – ასე ამბობდა იგი ყოველთვის. ლოურენსი არასდროს გადასწევდა მას უკან, 6:22-ზე. პირიქით, ისრებს უფრო შესაფერის დროზე, მაგალითად, 6:45-ზე დააყენებდა.

– მას შესაძლოა, არც კი სცოდნოდა პროტეროს მოსვლის დრო. იქნებ დაავიწყდა, რომ საათის ისრები გადანული იყო.

გრიზელდა არ დამეთანხმა.

– არა, როდესაც ადამიანი მკვლელობას სჩადის, იგი ყველა წვრილმანის დამახსოვრებას ცდილობს.

– რა იცი, ჩემო კარგო, – ვუთხარი რბილად, – შენ ხომ ამგვარი რამ არასდროს ჩაგიდენია.

სანამ გრიზელდა პასუხის თქმას მოასწრებდა, მაგიდას ვილაცის ჩრდილი დაეცა. წამსვე სასიამოვნო ხმაც მოგვესმა:

– იმედია, ხელი არ შეგიშალეთ. გთხოვთ, მომიტევეთ. მაგრამ ასეთ სამწუხარო ვითარებაში, ფრიად სამწუხარო ვითარებაში...

ეს ჩვენი მეზობელი, მის მარპლი გახლდათ. მან ჩვენი



თავაზიანი პასუხი მოისმინა და ნაბიჯი წინ გადმოდგა. სასწრაფოდ სკამი მივუჩოჩე. აღელვებული ჩანდა, ლოყებიც კი ავარდისფრებოდა.

– რა საშინელებაა, არა? საბრალო პოლკოვნიკი პროტერო. მართალია, სასიამოვნო და პოპულარული კაცი არ იყო, მაგრამ მაინც ძალზე სამწუხაროა. როგორც გავიგე, აქ, თქვენს კაბინეტში მოუკლავთ, არა?

დავუდასტურე, რომ ეს სიმართლეს შეესაბამებოდა.

– მაგრამ ჩვენი ძვირფასი ვიკარიუსი ამ დროს შინ არ ყოფილა, ხომ? – მის მარპლმა შეკითხვით გრიზელდას მიმართა. მე ჩემი არყოფნის მიზეზი გავახმოვანე.

– მისტერ დენისი დღეს თქვენთან ერთად არ საუზმობს?  
– იკითხა მის მარპლმა და ოთახი მოათვალიერა.

– დენისს თავი მოყვარულ დეტექტივად წარმოუდგენია, – მიუგო გრიზელდამ, – ყვავილნარში ვილაცის კვალს მივაგნო, რამაც ძალზე ალაგზნო. ალბათ პოლიციაში გაიქცა ამის შესატყობინებლად.

– ღმერთო ჩემო, რა ალიაქოთია! – შესძახა მის მარპლმა, – მისტერ დენისი დარწმუნებულია, რომ იცის, ვინც ჩაიდინა დანაშაული. ვფიქრობ, ყველას გვგონია, რომ ვიცით.

– მიგაჩნიათ, რომ ეს ასე ამკარაა?

– არა, ჩემო კარგო, სულაც არ ვფიქრობ ასე. იმის თქმა მინდოდა, რომ თითოეული ჩვენგანისთვის ეს განსხვავებული პიროვნებაა. ამიტომაც მთავარი მტკიცებულებებია. აი, თუნდაც მე. დარწმუნებული ვარ, ვიცი, ეს ვინც ჩაიდინა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ უმნიშვნელო სამხილიც კი არ გამაჩნია. ისიც ვიცი, რომ მსგავს შემთხვევებში განსაკუთრებული წინდახედულებაა საჭირო. ყოველი დაუფიქრებლად წამოსროლილი სიტყვა, შესაძლოა, ცილისწამებად იქნეს აღქმული, რასაც სამართლებრივი დევნა მოჰყვება, მგონი, ასე უნოდებენ, არა? ამიტომაც ვიჩენ სიფრთხილეს ინსპექტორ სლეკთან ურთიერთობისას. მან მთხოვა, გადმომეცა, რომ ამ დილით შემოივლიდა, მაგრამ ახლახან დარეკა და თქვა, რომ ამის აუცილებლობა აღარ არსებობს.

- იმ დაპატიმრების შემდეგ, ალბათ, მართლა აღარ არსებობს, - ჩავურთე მე.

- დაპატიმრების შემდეგ? - იკითხა მის მარპლმა და წინ გადმოიხარა. ალელვებისგან ლოყები შეუწითლდა, - დაპატიმრების შესახებ არაფერი გამიგია.

იშვიათად, რომ მის მარპლს ჩვენზე მწირი ინფორმაცია ჰქონოდა. რას წარმოვიდგენდი, თუ მან ბოლო მოვლენების შესახებ არაფერი იცოდა.

- ვფიქრობ, განსხვავებულ თემებზე ვსაუბრობდით, - ვთქვი მე, - მათ ლოურენს რედინგი დააპატიმრეს.

- ლოურენს რედინგი? - გაოცდა მის მარპლი, - ამას ვერასდროს წარმოვიდგენდი.

- მე ახლაც არ მჯერა, - აიტაცა გრიზელდამ, - მიუხედავად იმისა, რომ თვითონ აღიარა.

- აღიარა? - ჩაილაპარაკა მის მარპლმა, - თქვენ თქვით, რომ მან აღიარა? ო, ღმერთო ჩემო, ახლა კი ვხვდები ყველაფერს...

- მე კი ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ეს უბედური შემთხვევაა, - თქვა გრიზელდამ, - შენ რას იტყვი, ლენ? მას შემდეგ, რაც პოლიციაში გამოცხადდა და აღიარა, ეს ამკარად ვიგრძენი.

მის მარპლი მოუთმენლად გადაიხარა წინ.

- მაშ, თვითონ გამოცხადდა პოლიციაში?

- დიახ.

- ოჰ! - შესძახა მის მარპლმა და შვებით ამოისუნთქა, - მიხარია, ძალიან მიხარია!

მას გაოცებით შევხედე და ვთქვი:

- ჩემი აზრით, ეს გულწრფელი სინანულია.

- სინანული? - ახლა მის მარპლის გაოცების რიგი დადგა, - ახლა არ მითხრათ, ძვირფასო ვიკარიუსო, რომ იგი დამნაშავედ მიგაჩნიათ.

გავშტერდი.

- მაგრამ თუ მან აღიარა...

- სწორედ ეს ამტკიცებს მის უდანაშაულობას, არა? ცხადია, რომ მას არაფერი ჩაუდენია.

- არა, - ვთქვი მე, - შესაძლოა, სულელი ვარ, მაგრამ ეს ჩემთვის სულაც არ არის ცხადი. თუ ადამიანს მკვლელობა არ ჩაუდენია, არ მესმის, რატომ უნდა აილოს დანაშაული საკუთარ თავზე.

- ოჰ, რა თქმა უნდა, ამის მიზეზი არსებობს, - განაცხადა მის მარპლმა, - ბუნებრივია, მიზეზი ყოველთვის არსებობს, ასე არ არის? ახალგაზრდები კი ხშირად გრძნობებს აპყვებიან ხოლმე და ყოველივე ცუდს იჯერებენ.

- ხომ მეთანხმებით, ჩემო კარგო? - მიმართა მან გრიზელდას.

- მე... მე არ ვიცი, - გამოტყდა გრიზელდა, - არც კი ვიცი, რა ვიფიქრო. ვერ გამიგია, რატომ მოიქცა ლოურენსი იდიოტივით.

- შენ რომ გუშინ სალამოს მისი სახე გენახა... - დავინყე მე.

- მომიყევით, - მთხოვა მის მარპლმა.

დანვრილებით ვუამბე, რასაც შევესწარი. მან ყურადღებით მომისმინა და თქვა:

- ვიცი, რომ ზოგჯერ სულელურად ვიქცევი და ყველაფერს ისე არ აღვიქვამ, როგორც საჭიროა, მაგრამ ამჯერად თქვენი მართლა არ მესმის. ჩემი აზრით, თუ ახალგაზრდა კაცმა უღირსი საქმის ჩადენა - სხვისი სიცოცხლის ხელყოფა გადანყვიტა, ასეთი სასონარკვეთილება არ უნდა დაეუფლოს. ეს წინასწარ მოფიქრებული, ცივსისხლიანი დანაშაული იქნებოდა, და თუმცა დასაშვებია, რომ მკვლელი აღელდეს და უმნიშვნელო შეცდომა დაუშვას, ისე საშინლად არ უნდა აღეგზნოს, როგორც თქვენ აღწერეთ. რთულია, საკუთარი თავი მსგავს ვითარებაში წარმოიდგინო, მაგრამ ასეთ დღეში მაინც არ ჩავვარდებოდი.

- ჩვენ ხომ ყველაფერი არ ვიცი, - ვცადე შეპასუხება, - თუ მათ იჩხუბეს, ლოურენსი გაშმაგდა და გაისროლა, ჩადენილი საქციელი თავზარს დასცემდა. მირჩევნია ვიფიქრო, რომ მართლა ასე მოხდა.

- ვიცი, ძვირფასო მისტერ კლემენტ, ზოგჯერ გვინდა, რომ მოვლენა ჩვენთვის უფრო მისაღები კუთხით დავინა-

ხოთ. მაგრამ ფაქტებსაც ხომ უნდა გავუნიოთ ანგარიში? ვფიქრობ, რომ ფაქტები თქვენებურ ინტერპრეტაციას არ შეესაბამება. მოსამსახურემ მკაფიოდ თქვა, რომ მისტერ რედინგმა სახლში ორიოდ ნუთი დაჰყო, ეს კი საკმარისი არ იქნებოდა ისეთი ჩხუბისთვის, როგორსაც თქვენ გულისხმობთ. გარდა ამისა, როგორც გავიგე, პოლკოვნიკს თავში მაშინ ესროლეს, როდესაც იგი ბარათს წერდა. ყოველ შემთხვევაში, ჩემმა მოსამსახურემ ასე მითხრა.

- მართალია, - თქვა გრიზელდამ, - ცხადია, რომ იგი წერილს წერდა, რათა შეეტყობინებინა, რომ მეტს ველარ დაელოდებოდა. ფურცელზე დროც იყო მითითებული - 6:20, საათი კი გადმოვარდა და 6:22-ზე გაჩერდა. ეს ძალიან უცნაურია. მე და ლენს თავგზა აგვებნა.

მან დაამატა, რომ საათი ყოველთვის თხუთმეტი ნუთით წინ ეყენა.

- საინტერესოა, - თქვა მის მარპლმა, - ძალიან საინტერესოა. მაგრამ ბარათი უფრო საინტერესოდ მეჩვენება. იმას ვგულისხმობ, რომ...

იგი გაჩუმდა და უკან მიიხედა. კართან ლეტიცია პროტერო იდგა. ქალიშვილი შემოვიდა, თავი დაგვიკრა და „დილა მშვიდობისაო“, ჩაიბურტყუნა.

შემდეგ სავარძელში ჩაეშვა და ჩვეულებრივზე ცოცხლად წარმოთქვა:

- ყური მოვკარი, ლოურენსი დაუპატიმრებიათ.

- დიახ, - უთხრა გრიზელდამ, - ამან ყველა შოკში ჩავვაგდო.

- არასდროს მჯეროდა, რომ ვინმეს მამას მოკვლა შეეძლო, - თქვა ლეტიციამ. იგი აშკარად ამაყობდა, რომ არც ნუხილი ეტყობოდა და არც რამე სხვა გრძნობა, - თუმცა დარწმუნებული ვარ, ეს ბევრს უნდოდა. ზოგჯერ ამის სურვილი მეც კი გამიჩნდებოდა ხოლმე.

- რამეს ხომ არ მიირთმევთ, ლეტიცია? - ჰკითხა გრიზელდამ.

- არა, გმადლობ. ისე შემოვხეტიალდი. ჩემს ბერეტს ვე-

ძებ – უცნაური, პატარა, ყვითელი ქუდია. ვფიქრობ, გუშინ კაბინეტში დამრჩა.

– თუ ასეა, იქ დაგხვდებით, – თქვა გრიზელდამ, – მერის იქიდან არაფერი გამოაქვს.

– ნავალ, მოვძებნი, – თქვა ლეტიციამ და ადგომა დააპირა, – მაპატიეთ, ზედმეტად რომ განუხებთ, მაგრამ ყველა ქუდი დავკარგე და აღარაფერი დამრჩა თავზე დასახურად.

– ვშიშობ, ახლა იქ ვერ მოხვდებით, – ვუთხარი მე, – ინსპექტორმა სლეკმა კარი გასაღებით ჩაკეტა.

– ოჰ, რა ცუდია! ვერც ფანჯრიდან გადავძვრები?

– ვერა. შიგნიდან არის ჩაკეტილი. თუმცა, ლეტიცია, ასე მგონია, რომ ბერეტი არცთუ ძალიან გჭირდებათ.

– გლოვასა და მისთანებს გულისხმობთ? შავების ჩაცმას არ ვაპირებ. ვფიქრობ, ეს საშინელი, არქაული გადმონაშთია. სამნუხაროა, ლოურენსს რომ არ გაუმართლა. ძალიან სამნუხაროა.

იგი ნამოდგა. იდგა და დაბნეული სახით იჭმუხნებოდა.

– ეს, ალბათ, ჩემი საბანაო კოსტიუმის გამო მოხდა. რა სისულელეა ეს ყველაფერი...

გრიზელდამ პირი დაალო და რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა.

ლეტიციამ უცნაურად გაიღიმა.

– აჯობებს, შინ წავიდე, – ჩუმად, თავისთვის ჩაილაპარაკა, – ენის ლოურენსის დაპატიმრების შესახებ ვეტყვი.

ქალიშვილი გავიდა. გრიზელდა მის მარპლს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– ფეხზე ფეხი რატომ დამაჭირეთ?

მოხუც ქალბატონს გაეღიმა.

– მომეჩვენა, რომ რალაცის თქმას აპირებდით, ჩემო კარგო. მაგრამ ზოგჯერ უკეთესია, დააკვირდეთ, თუ როგორ ვითარდება მოვლენები თავისით. თუ დამიჯერებთ, ლეტიცია სულაც არ დაფრინავს ღრუბლებში, როგორც ამის წარმოჩენა სურს. მას თავში სრულიად მკაფიო ჩანაფიქრი აქვს და მის შესაბამისად იქცევა.



მერიმ კარზე ხმამალლა დააკაკუნა და მაშინვე სასადილო ოთახში შემოვარდა.

- რა მოხდა? - ჰკითხა გრიზელდამ, - მერი, დაიმახსოვრეთ, თუ შეიძლება, რომ დააკაკუნება საჭირო არ არის. ეს ასჯერ მაინც მითქვამს თქვენთვის.

- რა ვიცი, იქნებ დაკავებული ბრძანდებით, - მიუგო მერიმ, - პოლკოვნიკი მელჩეტი მობრძანდა. ოჯახის უფროსის ნახვა სურს.

პოლკოვნიკი მელჩეტი საგრაფოს მთავარი კონსტებლი იყო. დაუყოვნებლივ წამოვდექი.

- ვიფიქრე, შემოსასვლელში მისი დატოვება არ ივარგებს-მეთქი და სასტუმრო ოთახში შევიყვანე, - გვაცნობა მერიმ, - მაგიდა ავალაგო?

- ჯერ არა, - უთხრა გრიზელდამ, - დაგირეკავთ, როცა დამჭირდებით.

იგი კვლავ მის მარპლს მიუბრუნდა, მე კი ოთახიდან გავედი.

## თავი VII

პოლკოვნიკი მელჩეტი ენერგიული, დაბალი კაცი იყო. წითური თმა და კაშკაშა ცისფერი თვალები ჰქონდა. ჩვეულებად გადაჰქცეოდა მოულოდნელად ცხვირით ფრუტუნნი.

- დილა მშვიდობისა, ვიკარიუსო, - მითხრა მან, - საზიზღარი საქმე კი მოხდა. საწყალი მოხუცი პროტერო. არ იფიქროთ, რომ მომწონდა. სულაც არა. არც სხვებს ეხატებოდათ გულზე. ახლა რამდენი უსიამოვნება მოჰყვება თან?! ვიმედოვნებ, თქვენი მეუღლე ღირსეულად უძლებს ამ ყველაფერს.

ვუთხარი, რომ გრიზელდა თავს კარგად გრძნობდა.

- შესანიშნავია. როდესაც ასეთი რამ საკუთარ კაბინეტში ხდება, გასახარებელი არაფერია. უნდა გითხრათ, რომ

ახალგაზრდა რედინგმა გამაკვირვა – ამგვარი დანაშაული, თანაც სხვის სახლში. გარშემო მყოფი ადამიანების გრძნობებს ყურადღება არ მიაქცია.

სიცილის გიჟურმა სურვილმა წამომიარა, მაგრამ პოლკოვნიკი მელჩეტი, როგორც ჩანს, სასაცილოს ვერაფერს ხედავდა იმაში, რომ მკვლელს სხვა ადამიანების გრძნობებისთვის ანგარიში უნდა გაენია, ამიტომ თავშეკავება ვარჩიე.

– საკმაოდ გავოცდი, როდესაც მითხრეს, ის ყმანვილი თავისი ნებით ჩაჰბარდაო, – განაგრძო პოლკოვნიკმა მელჩეტმა და სკამზე მონყვეტით დაჯდა.

– ეს როგორ მოხდა?

– გუშინ, საღამოს ათი საათისთვის, შემოდის, პისტოლეტს მაგიდაზე აგდებს და ამბობს: „აი, მოვედი. ეს მე ჩავიდინე“. მოკლედ მოჭრა.

– დანაშაულის შესახებ რას ამბობს?

– თითქმის არაფერს. ჩვენ იგი ცრუ ჩვენების თაობაზე გავაფრთხილეთ. ის კი იცინის და მეტი არაფერი. ამბობს, რომ აქ თქვენს სანახავად შემოიარა და პოლკოვნიკს გადაანყდა. შეკამათდნენ და ესროლა. კამათის მიზეზს არ ამხელს. მომისმინეთ, კლემენტ, – ეს ჩვენ შორის დარჩება, – რამე ხომ არ იცით? ჭორად გავიგე, რომ იგი სახლიდან გაუგდიათ თუ რალაც ამგვარი. იქნებ ქალიშვილი შეაცდინა? არ გვინდა საქმეში იმ გოგონას ჩართვა, სანამ ეს შესაძლებელია, ისევ მის საკეთილდღეოდ. ნუთუ ყველაფერი ამის გამო აგორდა?

– არა, – ვთქვი მე, – შეგიძლიათ სიტყვაზე მენდოთ, რომ მთავარი ეს არ არის, მაგრამ ამჟამად მეტს ვერაფერს გეტყვით.

მან თავი დამიქნია და წამოხტა.

– მიხარია ამის გაგონება, თორემ ხალხი რას აღარ ამბობს. ძალიან მომრავლდნენ ჭორიკანები ჩვენს მხარეში. ახლა კი ჩემი ნასვლის დროა. ჰეიდოკი უნდა ვნახო. სადღაც გამოუძახებიათ, მაგრამ მალე დაბრუნდება. რომ

არ დაგიმალოთ, მეცოდება ეს რედინგი. ყოველთვის კარგად ამიანად მიმაჩნდა. იქნებ რამე მოიფიქრონ მისი საქციელის გასამართლებლად. ომის ზეგავლენა, კონტუზია, რამე ამგვარი. ყველაზე მთავარი კი შესაფერისი მოტივია. აბა, ნავედი. ჩემთან ერთად ხომ არ წამობრძანდებოდით?

სიამოვნებით დავეთანხმე და გზას გავუდექით.

ჰეიდოკის სახლი ჩვენს მეზობლად მდებარეობს. მოსამსახურემ გვითხრა, ექიმი ახლახან დაბრუნდაო და სასადილო ოთახში შეგვიძღვა. ჰეიდოკი მაგიდასთან იჯდა, მის წინ კი ახალმომზადებულ ბეკონიან ერბოკვერცხს ორთქლი ასდიოდა. მან მისალმების ნიშნად თავი დაგვიქნია.

– მაპატიეთ, მაგრამ ნასვლა მომიხდა. მშობიარე ქალი მელოდებოდა. მთელი ღამე კი თქვენს საქმეს გადავყევი და ტყვია დაგახვედრეთ.

მან პატარა კოლოფი მაგიდაზე ჩვენკენ გამოაცურა. მელჩეტმა ტყვია შეათვალიერა.

– ნული მთელი ოცდახუთია?

ჰეიდოკმა თავი დააქნია.

– ტექნიკურ მახასიათებლებს გამოძიებისთვის შემოვინახავ, – გვითხრა მან, – თქვენ კი მხოლოდ ერთი რამის ცოდნა გჭირდებათ – სიკვდილი, პრაქტიკულად, მყისიერად დადგა. იმ ახალგაზრდა სულელმა ის თუ თქვა, ეს რატომ გააკეთა? სხვათა შორის, იმან გამაკვირვა, რომ გასროლის ხმა არავის გაუგონია.

– დიახ, – თქვა მელჩეტმა, – მართლა საოცარია.

– სამზარეულოს ფანჯარა მეორე მხარეს გადის, – ავუხსენი მე, – როდესაც ყველა კარი დახურულია, – კაბინეტშიც, საკუჭნაოშიც და სამზარეულოშიც, – ხმაურს ძნელად თუ გაიგებს კაცი, სახლში კი მოსამსახურის გარდა არავინ იყო.

– ჰმ, – თქვა მელჩეტმა, – მაინც უცნაურია. საინტერესოა, იმ მოხუცმა ქალმა თუ გაიგონა რამე... რა ჰქვია... მის მარპლმა. კაბინეტის ფანჯარა ღია იყო.

– შესაძლოა, გაიგონა კიდევც, – თქვა ჰეიდოკმა.

- არა მგონია, - ვთქვი მე, - ახლა ხან იგი ჩვენთან ბრძანდებოდა და ამის შესახებ არაფერი უთქვამს. დარწმუნებულ ვარ, რომ გაეგო, აუცილებლად იტყოდა.

- იქნებ გაიგონა კიდევ, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია - მანქანის უნესივრობას მიაწერა.

შევამჩნიე, რომ, გუშინდელთან შედარებით, ამ დილით ჰეიდოკი გაცილებით კარგ ხასიათზე იყო. იმ ადამიანს ჰგავდა, რომელიც ცდას არ აკლებს, რომ მის გულში დაგროვილი სიხარული ვერავინ შეამჩნიოს.

- მაყუჩი ხომ არ ეყენა? - დაამატა მან, - არც ამის გამორიცხვა შეიძლება. ასეთ შემთხვევაში ვერავინ ვერაფერს გაიგონებდა.

მელჩეტმა თავი გადააქნია.

- სლექმა ვერაფერს მიაგნო. შემდეგ კი ჯიქურ ჰკითხა რედინგს. თავდაპირველად ის ვერც კი მიხვდა, რას ეკითხებოდნენ. როცა გაიგო, კატეგორიულად უარყო მსგავსი რამ. ვფიქრობ, შეიძლება მისი ნდობა.

- დიახ, ასეა. საბრალო.

- ეშმაკმა დალახვროს ის სულელი ახალგაზრდა! - თქვა პოლკოვნიკმა მელჩეტმა, - მაპატიეთ, კლემენტ, მაგრამ ეს მართლა ასეა. ვერაფრით წარმომიდგენია იგი მკვლელის როლში.

- მოტივზე რას იტყვით? - იკითხა ჰეიდოკმა, დარჩენილი ყავა გადაკრა და წამოდგა.

- ამბობს, რომ შეკამათდნენ, თავი ველარ გააკონტროლა და ესროლა.

- სურს, რომ წინასწარ გულუზრახ მკვლელობად ჩაუთვალონ, არა? - ექიმმა თავი გადააქნია, - ეს ვერსია კრიტიკას ვერ უძლებს. იგი უკნიდან მიეპარა, როდესაც მოხუცი წერილს წერდა, და კეფაში ესროლა. სად არის აქ ჩხუბი?

- მათ ჩხუბისთვის დროც არ ჰქონდათ, - ჩავერიე მე და მის მარპლის ნათქვამი გამახსენდა, - მიეპარა, ესროლა, საათი უკან გადასწია, 6:20-ზე დააყენა და იქაურობა დატოვა - ამდენს ვერ მოასწრებდა. არასდროს დამავინწყდე-

ბა მისი სახე, როდესაც კუტიკართან შეეხვდი და მითხრა: „პროტეროს ნახვას აპირებთ? ოჰ! პროტეროს ნახავთ, რა თქმა უნდა“. მხოლოდ ესეც კი აღმიძრავს ეჭვს იმ მოვლენების მიმართ, ჩვენს შეხვედრამდე რამდენიმე წუთით ადრე რომ მოხდა.

ჰეიდოკი გაოცებული მომაჩერდა.

– რას ნიშნავს „ჩვენს შეხვედრამდე რამდენიმე წუთით ადრე“? თქვენი აზრით, როდის გაისროლა რედინგმა?

– ჩემს მოსვლამდე რამდენიმე წუთით ადრე.

ექიმმა კვლავ გადააქნია თავი.

– შეუძლებელია. სრულიად შეუძლებელია. ამ დროს იგი უკვე კარგა ხნის მკვდარი იყო.

– მაგრამ, ჩემო კარგო, – შესძახა პოლკოვნიკმა მელჩეტმა, – თქვენ ხომ თქვით, ნახევარი საათი მხოლოდ მიახლოებითი დროაო?

– ნახევარი საათი, ოცდათხუთმეტი ან ოცდახუთი წუთი, ოციც კი – დასაშვები შუალედია, ნაკლები – არავითარ შემთხვევაში. მაშინ, ჩემი მოსვლის დროისთვის, გვამი ჯერ კიდევ თბილი იქნებოდა.

ერთმანეთს მივაჩერდით. მოულოდნელად, ჰეიდოკს სახე შეეცვალა, ნაცრისფერი დაედო, თითქოს დაბერდა კიდევ. ამ ცვლილებამ ძალიან გამაოცა.

– მომისმინეთ, ჰეიდოკ, – ენა ამოიდგა პოლკოვნიკმა, – თუ რედინგმა მას რვის თხუთმეტ წუთზე ესროლა...

ჰეიდოკი წამოხტა.

– გეუბნებით, ეს შეუძლებელია-მეთქი, – ილრიალა მან, – თუ რედინგი ამტკიცებს, რომ პროტერო რვის თხუთმეტ წუთზე მოკლა, ეს ნიშნავს, რომ რედინგი ცრუობს. დალაზეროს ეშმაკმა, მე ექიმი ვარ და უკეთ ვიცი. გეუბნებით, რომ სისხლის შედედება უკვე დაწყებული იყო.

– თუ რედინგი ცრუობს... – დაიწყო მელჩეტმა, მაგრამ გაჩუმდა და თავი გადააქნია.

– პოლიციის განყოფილებაში უნდა წავიდეთ და დაველაპარაკოთ, – თქვა მან.



## თავი VIII

მთელი გზა თითქმის ჩუმად ვიყავით. ჰეიდოკი ოდნავ ჩამორჩა და ხმადაბლა მითხრა:

– არ მომწონს ეს ყველაფერი. ძალიან არ მომწონს. რა-  
ლაცას ვერ ვხვდებით.

მას ძალზე შენუხებული სახე ჰქონდა.

ინსპექტორი სლეკი პოლიციის განყოფილებაში დაგვხ-  
ვდა და მალე ლოურენს რედინგი ჩვენ წინ იჯდა.

ფერმკრთალი და დაღლილი სახე ჰქონდა, მაგრამ, შექ-  
მნილი ვითარების გათვალისწინებით, საოცრად მშვიდად  
გამოიყურებოდა. მელჩეტი კი განუწყვეტლივ ფრუტუნებ-  
და, ეტყობოდა, რომ ნერვიულობდა.

– მომისმინეთ, რედინგ, – თქვა მან, – ჩვენ გავეცანით  
ჩვენებას, რომელიც ინსპექტორ სლეკს მიეცით. ამტკი-  
ცებთ, რომ ვიკარიუსის სახლში დაახლოებით თვრამეტ  
საათსა და ორმოცდახუთ წუთზე მიხვედით, იქ პროტეროს  
შეხვედით, შეკამათდით, პისტოლეტიდან ესროლეთ და ნახ-  
ვედით. ოქმს არ გიკითხავთ, მაგრამ ეს ძირითადი მომენ-  
ტებია.

– დიახ.

– მინდა, რამდენიმე შეკითხვა დაგისვათ. უკვე გეტყოდ-  
ნენ, რომ შეგიძლიათ არ უპასუხოთ მათ, თუ ასე გადანყ-  
ვეტთ. თქვენი ადვოკატი...

ლოურენსმა გაანყვეტინა:

– დასამალი არაფერი მაქვს. პროტერო მე მოვკალი.

– აჰა! გასაგებია... – მელჩეტმა ჩაიფრუტუნა, – პისტო-  
ლეტი როგორ აღმოგაჩნდათ?

– ჯიბეში მედო, – მიუგო ლოურენსმა და ოდნავ შეიშ-  
მუნა.

– როდესაც ვიკარიუსთან ნახვედით, თან წაიღეთ?

– დიახ.

– რატომ?

– ყოველთვის თან დამაქვს.

იგი კვლავ შეყოყმანდა და საბოლოოდ დაერწმუნდა, რომ იტყუებოდა.

- საათი უკან რატომ გადმოსწიეთ?

- საათი? - გაიკვირვა ლოურენსმა.

- დიახ, ისრები 6:22-ს უჩვენებდა.

ლოურენსს სახეზე შიში დაეცყო.

- აჰ, დიახ... საათი... მე გადავნიე.

საუბარში უეცრად ჰეიდოკი ჩაერთო:

- სად ესროლეთ პოლკოვნიკ პროტეროს?

- ვიკარიუსის კაბინეტში.

- სხეულის ნაწილს ვგულისხმობ.

- ა-ა! მე... ვფიქრობ, თავში. დიახ, თავში ვესროლე.

- დარწმუნებული არ ხართ?

- თქვენ ხომ ისედაც იცით. ვერ გამიგია, რატომ მეკითხებით.

ეს სუსტი, მოუხერხებელი მცდელობა იყო თავის დაძვრენისა. გარედან რალაც ხმაური მოისმა. უჩაფხუტო კონსტებლმა ბარათი შემოიტანა.

- ნერილია ქორეპისკოპოსთან. ანერია, რომ საჩქაროა.

კონვერტი გავხსენი და წავიკითხე:

„გთხოვთ... ძალიან გთხოვთ... ჩემთან მობრძანდით. არ ვიცი, როგორ მოვიქცე, საშინელ დღეში ვარ. ვინმეს უნდა მოეუყვე. თუ შეიძლება, დაუყოვნებლივ მობრძანდით და ვინც გნებავთ, ის წამოიყვანეთ. - ენი პროტერო“.

მელჩეტს მრავლისმეტყველად გადავხედე. იგი მიმიხვდა და ერთად გავედით. მანამდე, მხარს ზემოდან, ლოურენს რედინგს შევაველე თვალი. ისეთი სასონარკვეთილი და ტანჯული სახით მისჩერებოდა იმ ფურცელს, რომელიც ხელში მეჭირა, როგორიც ცხოვრებაში არასოდეს მენახა.

ჩემს დივანზე მჯდომი ენი პროტეროს ნათქვამი გამახსენდა: „სასონარკვეთილი ვარ“. გული დამიმძიმდა. უეცრად ლოურენს რედინგის გამირული თვითბრალდების მიზეზს ჩავწვდი. ამასობაში მელჩეტი სლექს ელაპარაკებოდა.

- თუ გაარკვიეთ, რას აკეთებდა რედინგი მთელი დღის განმავლობაში? სრული საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ,

რომ მან პროტერო იმაზე ადრე მოკლა, ვიდრე თვითონ ამბობს. ყველაფერი გაარკვიეთ და მომახსენეთ.

იგი ჩემკენ მოტრიალდა. უსიტყვოდ გავუწოდე ენი პროტეროს ნერილი. მან თვალი გადააქო და გაოცებულმა ტუჩები მოკუმა, შემდეგ კი დაჟინებით მომაცქერდა.

– ამაზე მიმანიშნეთ დილით?

– დიახ. ოღონდ, დარწმუნებული არ ვიყავი, ყველაფერი უნდა მომეყოლა თუ არა. ახლა კი ამაში ეჭვი აღარ მეპარება.

მოვუყევი, რაც სახელოსნოდ გადაქცეულ ფარდულში ვნახე.

პოლკოვნიკმა და ინსპექტორმა ერთმანეთში რაღაც მოილაპარაკეს, რის შემდეგაც ოულდჰოლისკენ გავემართეთ. დოქტორი ჰეიდოკიც ჩვენთან ერთად წამოვიდა.

კარი უზადოდ ჩაცმულმა მსახურთუფროსმა გაგვიღო, რომელსაც სამგლოვიარო ვითარების შესაფერისი გამომეტყველება და მანერები ჰქონდა.

– დილა მშვიდობისა, – მიესალმა მელჩეტი, – სთხოვეთ მოსამსახურეს, რომ მისის პროტეროს ჩვენი მოსულის შესახებ აუწყოს, შემდეგ კი დაბრუნდით – თქვენთან რამდენიმე შეკითხვა მაქვს.

მსახურთუფროსი ფაცხაფუცხით ნაეიდა, მალე დაბრუნდა და განაცხადა, რომ დავალება შეასრულა.

– ახლა კი გუშინდელ დღეზე ვისაუბროთ, – თქვა პოლკოვნიკმა მელჩეტმა, – თქვენმა ბატონმა შინ ისადილა?

– დიახ, სერ.

– ჩვეულებრივ ხასიათზე იყო?

– ვფიქრობ, დიახ, სერ.

– შემდეგ რა მოხდა?

– მისის პროტერო მოსასვენებლად თავისი ოთახისკენ გაემართა, პოლკოვნიკი კაბინეტში შევიდა, მის პროტერო კი ორადგილიანი სპორტული მანქანით ჩოგბურთის სათამაშოდ ნაეიდა. პოლკოვნიკმა და მისის პროტერომ ხუთის ნახევარზე სასტუმრო ოთახში ჩაი მიირთვეს. მძლოლს უთხრეს, რომ მანქანა ექვსის ნახევრისთვის გაემზადებინა,

რადგან სოფელში აპირებდნენ გავლას. მათი გამგზავრებისთანავე მისტერ კლემენტმა დარეკა, – მან თავი დამიკრა, – რომელსაც მოვახსენე, რომ ქალბატონი და ბატონი შინ არ იყვნენ.

– ჰმ, – თქვა პოლკოვნიკმა მელჩეტმა, – მისტერ რედინგი როდის იყო აქ უკანასკნელად?

– სამშაბათს, დღისით, სერ.

– როგორც ვიცი, ნაკამათდნენ, არა?

– ალბათ, სერ. მიბრძანეს, რომ ამიერიდან მისტერ რედინგი სახლში აღარ შემომეშვა.

– თუ გაიგონეთ, რაზე ჩხუბობდნენ? – იკითხა პოლკოვნიკმა მელჩეტმა.

– პოლკოვნიკი პროტერო, ჩვეულებრივ, ხმამაღლა ლაპარაკობდა ხოლმე, სერ, განსაკუთრებით გაბრაზებისას. უნებლიეთ მესმოდა ცალკეული სიტყვები.

– კამათის მიზეზი თუ შეიტყვეთ?

– როგორც მივხვდი, სერ, პორტრეტზე საუბრობდნენ, რომელსაც მისტერ რედინგი ხატავდა – მის ლეტიციას პორტრეტზე.

მელჩეტმა ჩაიფრუტუნა.

– ნასვლის წინ თუ ნახეთ მისტერ რედინგი?

– დიახ, სერ, მე გავაცვილე.

– გაბრაზებული იყო?

– არა, სერ, პირიქით, კმაყოფილი ჩანდა.

– გუშინ ხომ არ მოსულა აქ?

– არა, სერ.

– ვინმე სხვა?

– გუშინ არა, სერ.

– გუშინწინ?

– დღის მეორე ნახევარში მისტერ დენის კლემენტმა შემოიარა. დოქტორი სტოუნცი იყო ცოტა ხნით. საღამოს კი ქალბატონი მობრძანდა.

– ქალბატონი? – გაოცდა მელჩეტი, – რომელი ქალბატონი?

მსახურთუფროსმა სახელი ვერ გაიხსენა. უცნობმა ქალმა, რომელიც მანამდე არასდროს ენახა, ცხადია, თქვა თავისი ვინაობა. ვინაიდან ოჯახი სადილობდა, ქალბატონმა დალოდება გადაწყვიტა და მან იგი მოსაცდელ ოთახამდე მიაცილა.

– მას პოლკოვნიკ პროტეროსთან სურდა შეხვედრა და არა მისის პროტეროსთან. სადილის დასრულების შემდეგ პოლკოვნიკს მის შესახებ მოახსენეს და იგი სტუმრისკენ გაემართა.

რამდენ ხანს დარჩა ქალბატონი? დაახლოებით ნახევარი საათი. პოლკოვნიკმა თვითონ გააცილა იგი. აჰ! ახლა კი გაახსენდა მისი სახელი. უცნობ ქალს მისის ლესტრენჯი ერქვა.

ეს ყველასთვის სიურპრიზი აღმოჩნდა.

– საინტერესოა, – თქვა მელჩეტმა. – ძალიან საინტერესოა.

საუბრის გაგრძელება ველარ შევძელით, რადგან შეგვატყობინეს, რომ მისის პროტერო გველოდებოდა.

ენი სანოლში იწვა. გაფითრებულს თვალები უელავდა. მისმა მკაცრმა და პირქუშმა სახემ გამაოცა. მან მე მომმართა:

– გმადლობ, რომ მობრძანდით. როგორც ვხედავ, მიმიხვდით, ვის ნამოყვანასაც გთხოვდით.

იგი გაჩუმდა, ცოტა ხნის შემდეგ კი განაგრძო:

– აჯობებს, ყველაფერი ხელის ერთი მოსმით დავასრულოთ, არა? – მან უცნაურად, შესაბრალისად გაიღიმა, – ვალდებული ვარ, ეს თქვენ განგიცხადოთ, პოლკოვნიკო მელჩეტ. საქმე ისაა, რომ ჩემი ქმარი მე მოვკალი.

პოლკოვნიკმა მელჩეტმა უჩვეულოდ რბილად წარმოთქვა:

– ძვირფასო მისის პროტერო...

– ოჰ! ეს სიმართლეა. ყველაფერი პირდაპირ მოგახსენეთ. ისტერიკა არ მჩვევია. ქმარი დიდი ხნის განმავლობაში მეზიზღებოდა, გუშინ კი მოვკალი.

იგი ბალიშებზე მიწვა და თვალები დახუჭა.



- სულ ეს არის. ვფიქრობ, დამაპატიმრებთ და წამიყვანთ. ცოტა ხანში ძალას მოვიკრებ, ავდგები და ჩავიცვამ. თავს შეუძლოდ ვგრძნობ.

- ის თუ იცით, მისის პროტერო, რომ მისტერ ლოურენს რედინგმა უკვე აღიარა ეს დანაშაული?

ენიმ თვალი გაახილა და თავი დააქნია.

- ვიცი. სულელი ბიჭია. უნდა გითხრათ, რომ შეყვარებულია ჩემზე. ძალიან კეთილშობილური და ძალიან ბრიყვული საქციელია.

- მან თუ იცოდა, რომ დანაშაული თქვენ ჩაიდინეთ?

- დიახ.

- ეს როგორ გაიგო?

იგი შეყოვნდა.

- თქვენ თვითონ უთხარიტ?

ქალი პასუხს აგვიანებდა. თითქოს ვერ გადაენწყვიტა, რა ეთქვა.

- დიახ, მე ვუთხარი...

მან მხრები ნერვიულად შეათამაშა.

- ხომ ვერ დამტოვებდით? უკვე ყველაფერი გითხარიტ. ამ თემაზე ლაპარაკი აღარ მსურს.

- პისტოლეტი სად იშოვეტ, მისის პროტერო?

- პისტოლეტი? ოჰ, ის ჩემი ქმრისაა. მისი ტუალეტის მაგიდის უჯრიდან ამოვიღე.

- გასაგებია. და ვიკარიუსის სახლში წაიღეთ?

- დიახ. ვიცოდი, რომ ქმარი იქ უნდა ყოფილიყო.

- ეს როდის მოხდა?

- ალბათ, ექვსის შემდეგ - შვიდის თხუთმეტ ან ოც წუთზე. დაახლოებით ამ დროს.

- პისტოლეტი ქმრის მოკვლის მიზნით წაიღეთ?

- არა... მე... ჩემთვის წავიღე.

- გასაგებია. მაგრამ თქვენ ვიკარიუსთან წახვედით?

- დიახ. ფანჯარასთან მივედი. ხმები არ ისმოდა. კაბინეტში შევიხედე. ქმარი დავინახე. რალაცამ მიბიძგა და ვესროლე.

– შემდეგ?

– შემდეგ? ოჰ, შემდეგ ნამოვედი.

– და ყველაფერი მისტერ რედინგს უამბეთ?

შევამჩნიე, რომ პასუხის გაცემამდე კვლავ შეყოყმანდა.

– დიახ.

– ვინმემ თუ დაგინახათ, როდესაც ვიკარიუსის სახლისკენ მიდიოდით ან იქიდან ბრუნდებოდით?

– არა... თუმცა კი. მოხუცმა მის მარპლმა. რამდენიმე წუთის განმავლობაში ველაპარაკე. იგი თავის ბალში იყო. მისის პროტერო მოუსვენრად ანრიალდა ბალიშებზე.

– წუთუ საკმარისი არაა? ხომ ყველაფერი გითხარით. თავს რატომ არ მანებებთ?

დოქტორი ჰეიდოკი სანოლს მიუახლოვდა, ქალს პულსი გაუსინჯა და პოლკოვნიკ მელჩეტს დაუძახა.

– მე მასთან დავრჩები, – უთხრა ჩურჩულით, – სანამ თქვენ ყველაფერს მოამზადებთ. მისი მარტო დატოვება არ შეიძლება. თავს რამე არ აუტეხოს.

მელჩეტმა თავი დაუქნია.

ოთახიდან გავედით და ქვევით ჩავედით. თვალი მოვკარი, რომ მეზობელი ოთახიდან გამხდარი, მკვდარივით გაფითრებული კაცი გამოვიდა. ინსტინქტურად, უკან დავბრუნდი და ვკითხე:

– თქვენ პოლკოვნიკ პროტეროს კამერდინერი ხართ?

– დიახ, სერ, – მიპასუხა გაოცებულმა.

– ხომ არ იცით, თქვენი ბატონი პისტოლეტს სადმე თუ მალავდა?

– ამის შესახებ არაფერი ვიცი.

– იქნებ ტუალეტის მაგიდის რომელიმე უჯრაში ედო? კარგად დაფიქრდით, მეგობარო.

კამერდინერმა მტკიცედ გადააქნია თავი.

– დარწმუნებული ვარ, რომ არა, სერ. ასეთ შემთხვევაში, აუცილებლად ნავანყდებოდი.

სწრაფად დავეშვი კიბეზე და დანარჩენებს შევუერთდი. მისის პროტერომ იცრუა პისტოლეტის შესახებ.

რატომ?

## თავი IX

მას შემდეგ, რაც მთავარმა კონსტებლმა პოლიციის განყოფილებაში შეტყობინება დატოვა, განაცხადა, რომ მის მარპლის მონახულება სურდა.

– კარგი იქნება, თუ გამომყვებით, ვიკარიუსო, – მითხრა მან, – არ მინდა, მრევლის წევრებს შორის პანიკა ატყდეს. თქვენი ყოფნა კი მშვიდი გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს.

გამელიმა. სუსტი აღნაგობის მიუხედავად, მის მარპლს ვერც რომელიმე პოლიციელის დანახვა შეაშინებდა და ვერც – თუნდაც მთავარი კონსტებლისა.

– როგორი ადამიანია? – მკითხა პოლკოვნიკმა, როდესაც ზარი დაერეკეთ, – შეგვიძლია, ვენდოთ მის ნათქვამს თუ არა?

ცოტა ხნით დავფიქრდი.

– ვფიქრობ, ნდობას იმსახურებს, – დავიწყე ფრთხილად, – ყოველ შემთხვევაში, იმასთან დაკავშირებით, რაც საკუთარი თვალთ იხილა. მსჯელობისა კი, რა მოგახსენოთ. მას ძალზე მდიდარი ფანტაზია აქვს და ყოველთვის ყველაზე ცუდს მოელის ხოლმე.

– ტიპური ხანში შესული შინაბერა ყოფილა, – გაეცინა მელჩეტს, – კარგად ვიცი, რა ჯიშია. ნარმომიდგენია, რა ხდება აქ ჩაის სმის დროს!

მინიატიურული მოსამსახურე ქალი პატარა სასტუმრო ოთახში შეგვიძღვა.

– სივინროვეა, – თქვა პოლკოვნიკმა მელჩეტმა და იქაურობა მოათვალიერა, – მაგრამ გემოვნებითაა მონყობილი. ნამდვილი ქალბატონის ოთახია, არა, კლემენტ?

დავეთანხმე. სწორედ ამ დროს კარი გაიღო და მის მარპლი შემოვიდა. მივესალმე და მელჩეტი გავაცანი.

– მაპატიეთ, რომ განუხებთ, მის მარპლ, – უთხრა პოლკოვნიკმა სამხედროსთვის დამახასიათებელი პირდაპირობით, რაც, მისი აზრით, ხანში შესულ ქალბატონებს ძალიან მოსწონდათ, – მაგრამ, მოგეხსენებათ, მოვალეობას ვასრულებ.

- რასაკვირველია, რასაკვირველია, - თქვა მის მარპლ-მა, - თქვენი მშვენივრად მესმის. დაბრძანდით, გეთაყვა. ალუბლის ნაყენს ხომ არ მიირთმევდით? თვითონ მოვამზადე ბებიაჩემის რეცეპტის მიხედვით.

- გმადლობ, მის მარპლ. ძალიან თავაზიანი ბრძანდებით. სამწუხაროდ, უარი უნდა გითხრათ. ჩემი დევიზია - არც ერთი წვეთი ლანჩამდე. ახლა კი საქმეზე გადავალ. აქ სამწუხარო, ძალზე სამწუხარო შემთხვევამ მომიყვანა, რომელსაც ყველანი განვიცდით. თქვენი სახლი და ბალი ისეთ ადგილას მდებარეობს, რომ აქედან გუშინ სალამოს ჩვენთვის მნიშვნელოვანი რამ შეგეძლოთ, დაგენახათ.

- დიახ, მე ბალში გახლდით სალამოს ხუთი საათიდან. იქიდან კი ყველაფერი ჩანს, შეუძლებელია, რომ ვერ დაინახოთ, რაც მეზობელ სახლში ხდება.

- როგორც ვიცი, მის მარპლ, წუხელ თქვენ მისის პროტერომ ჩაგიარათ, არა?

- დიახ, ჩამიარა. მე მას დავუძახე, იგი კი ჩემმა ვარდებმა აღაფრთოვანა.

- ხომ ვერ დააზუსტებდით, ეს როდის მოხდა?

- შვიდის თხუთმეტი ორიოდე წუთის გასული იქნებოდა. ეკლესიის საათმა ის-ის იყო, თხუთმეტი წუთის აღსანიშნავად ჩამოჰკრა.

- ძალიან კარგი. შემდეგ რა მოხდა?

- მისის პროტერომ თქვა, რომ ვიკარიუსის სახლში მყოფ ქმართან აპირებდა მისვლას, რათა იქიდან მასთან ერთად დაბრუნებულიყო. იგი ორლობეს გაუყვა და მღვდლის სახლს უკანა კუტიკარიდან, ბალის გავლით მიუახლოვდა.

- აქამდეც ორლობით მოვიდა?

- დიახ, ახლავე გაჩვენებთ.

მის მარპლი ენერგიულად გაგვიძღვა ბალისკენ და უკან მდებარე ორლობე დაგვანახვა.

- აი, იმ ბილიკს ოულდჰოლამდე მივყავართ, ოლონდ ალაგეზეა საჭირო გადასვლა, - თქვა მან, - ამ გზით უნდა დაბრუნებულიყვნენ. მისის პროტერო კი სოფლიდან მოვიდა.

- შესანიშნავია, შესანიშნავი, - ჩაილაპარაკა პოლკოვნიკმა მელჩეტმა, - და იგი ამ გზას მღვდლის სახლისკენ გაუყვა?

- დიახ, დავინახე, როგორ შეუხვია კუთხეში. როგორც ჩანს, პოლკოვნიკი ჯერაც არ იყო მოსული, რადგან ქალი ნამსვე გამობრუნდა და მღვდლოს გავლით სახელოსნოსკენ, აი, იმ პატარა შენობისკენ გაემართა. ვიკარიუსმა ნება დართო მისტერ რედინგს, რომ იგი სახელოსნოდ გამოეყენებინა.

- გასაგებია. სროლის ხმა ხომ არ გაგიგონიათ, მის მარპლ?

- არა, მაშინ არ გამიგონია, - თქვა მის მარპლმა.

- მაგრამ გასროლა მაინც მოგესმათ?

- დიახ, მომეჩვენა, რომ ტყეში ვილაც ისროდა. ოღონდ ეს ხუთი, შესაძლოა, ათი წუთის შემდეგ მოხდა, თანაც ტყეში, როგორც გითხარით. შეუძლებელია... შეუძლებელია...

იგი გაჩუმდა და აღელვებისგან ფერი დაეკარგა.

- დიახ, დიახ, ამის შესახებ კიდევ ვისაუბრებთ, - თქვა პოლკოვნიკმა მელჩეტმა, - განაგრძეთ, თუ შეიძლება. მისის პროტერო სახელოსნოში შევიდა, არა?

- დიახ, შევიდა. მალე სოფლის მხრიდან, ორლობის გავლით, მისტერ რედინგი მოვიდა. იგი კუტიკარს მოუახლოვდა, მიიხედ-მოიხედა...

- და თქვენ დაგინახათ, მის მარპლ.

- უნდა გითხრათ, რომ არ დავუნახავვარ, - განაცხადა მის მარპლმა და ოდნავ განითლდა, - სწორედ მაშინ იმ საშინელი ბაბუანვერების გასამარგლად დავიხარე, - გამანამეს ამ ბაბუანვერებმა, ის კი კუტიკარს გასცდა და სახელოსნოსკენ გაეშურა.

- სახლს არ მიახლოებია?

- არა, პირდაპირ სახელოსნოსკენ გაემართა. ზღურბლზე მისის პროტერო შეეგება და ორივენი შიგნით გაუჩინარდნენ.

მის მარპლი მრავლისმეტყველად გაჩუმდა.

- იქნებ პოზირებდა? - გამოვთქვი ვარაუდი.



- შესაძლოა, - მითხრა მის მარპლმა.

- იქიდან როდის გამოვიდნენ?

- ათიოდე წუთში.

- ეს დაახლოებით როდის მოხდა?

- ეკლესიის საათმა ნახევრის აღსანიშნავად დარეკა. ისინი კუტიკარიდან გავიდნენ და ორლობეს გაუყვნენ. სწორედ ამ დროს, უოლდჰოლის მხრიდან დოქტორი სტოუნი გამოჩნდა, ლობეზე გადაძვრა და მათ შეუერთდა. ყველანი სოფლისკენ დაიძრნენ. ორლობის ბოლოში, როგორც მომეჩვენა, - თუმცა დარწმუნებული არ ვარ, - მის კრემიც შეუამხანაგდათ. ჩემი აზრით, მის კრემი იყო, რადგან ძალიან მოკლე ქვედაკაბა ეცვა.

- შესანიშნავი მხედველობა უნდა გქონდეთ, მის მარპლ, თუ ასე შორს ხედავთ.

- ჩიტს ვუთვალთვალედი, - თქვა მის მარპლმა, - ჩემი აზრით, ოქროსფერი ქოჩორა ნარჩიტა იყო. ძალიან საყვარელი არსებაა. ბინოკლით ვაკვირდებოდი, ამიტომაც დავინახე მის კრემი (თუ ეს მის კრემი იყო, რაშიც თითქმის დარწმუნებული ვარ), როდესაც იგი მათ მიუახლოვდა.

- აჰა! გასაგებია. სავსებით შესაძლებელია, - თქვა პოლკოვნიკმა მელჩეტმა, - ახლა კი, მის მარპლ, ვინაიდან შესანიშნავი დაკვირვების უნარი გაქვთ, ხომ არ შეგიმჩნევიათ მისის პროტეროსა და მისტერ რედინგის გამომეტყველება, როდესაც მათ თქვენს ბაღს ჩაუარეს?

- ილიმებოდნენ და მასლაათობდნენ, - განაცხადა მის მარპლმა, - ორივეს ბედნიერი სახე ჰქონდა. ხვდებით, ალბათ, რასაც ვგულისხმობ.

- წუხილი ან შეშფოთება ხომ არ ეტყობოდათ?

- ოჰ, არა! პირიქით.

- ძალზე უცნაურია, - ჩაილაპარაკა პოლკოვნიკმა, - ეს ყველაფერი ძალზე უცნაურად მეჩვენება.

უეცრად მის მარპლმა მშვიდი ხმით, ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი შეკითხვა დაგვისვა, რამაც კინალამ სუნთქვა შეგვიკრა:

– მისის პროტერო ალბათ ამბობს, რომ მკვლელობა მან ჩაიდინა, არა?

– ღმერთო დიდებულო! – შესძახა პოლკოვნიკმა მელჩეტმა, – ამას როგორ მიხვდით, მის მარპლ?

– ჩვეულებრივად, მომეჩვენა, რომ ეს შესაძლებელი იყო, – მიუგო მის მარპლმა, – ვფიქრობ, მშვენიერი ლექტიციაც ასე ფიქრობს. იგი ძალიან გონებაგამჭრიახი გოგონაა. ოღონდ, ზოგჯერ მეტისმეტი ნესიერებით არ გამოირჩევა. მაშასადამე, ენი პროტერო ამბობს, რომ საკუთარი ქმარი მოკლა. გასაგებია, გასაგებია. არა მგონია, ეს სიმართლე იყოს. უფრო მეტიც – დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასე არ არის. ენი პროტერო სხვაგვარი ქალია. თუმცა ბოლომდე ადამიანს მაინც ვერ ენდობა კაცი, ასე არ არის? ყოველ შემთხვევაში, ჩემი გამოცდილება ამას მკარნახობს. რას ამბობს, როდის ვესროლეო?

– შეიძის ოც ნუთზე. თქვენთან საუბრის დამთავრებისთანავე.

მის მარპლმა თავი ნელა და დანანებით დააქნია. ვფიქრობ, ეს გრძნობა ჩვენ, ორ ზრდასრულ მამაკაცს უფრო გვეკუთვნოდა, რომლებიც ისეთი სულელები აღმოვჩნდით, რომ მსგავსი ზღაპარი დავიჯერეთ. ყოველ შემთხვევაში, ასე მომეჩვენა.

– რა იარაღით მოკლა?

– პისტოლეტით.

– სად იშოვა?

– თან მოიტანა.

– ამას ვერაფრით გააკეთებდა, – მოულოდნელად მტკიცედ განაცხადა მის მარპლმა, – მზად ვარ, დავიფიცო კიდევ. მას თან არაფერი ჰქონდა.

– იქნებ გამოგრჩათ?

– აუცილებლად შევამჩნევდი.

– იქნებ პატარა ხელჩანთაში ედო?

– არც ხელჩანთა ჰქონია.

– კარგი, მაშინ... მ-მ... ტანსაცმელში ჰქონდა დამალული. მის მარპლმა მას სიბრაღულითა და საყვედურით შეხედა.

- ძვირფასო პოლკოვნიკო მელჩეტ, ნუთუ, თანამედროვე ახალგაზრდა ქალიშვილებს არ იცნობთ? მათ სულაც არ ეთაკილებათ იმ სახით გამოჩენა, როგორც ეს ღმერთმა ინება. იგი ცხვირსახოცსაც კი ვერსად დამალავდა.

მელჩეტი გაჯიუტდა.

- უნდა აღიაროთ, რომ ყველაფერი ემთხვევა, - თქვა მან, - დრო, გადაყირავებული საათი, რომელიც 6:22-ს უჩვენებდა...

მის მარპლი ჩემკენ მოტრიალდა.

- მისთვის საათის შესახებ ჯერ არაფერი გითქვამთ?

- რა მოხდა, კლემენტ?

მე ყველაფერი მოუყევი. იგი ძალიან გაბრაზდა.

- ლეთის გულისათვის! სლექს რატომ არ უამბეთ ეს გუშინ?

- იმიტომ, რომ სიტყვის თქმა არ მაცალა.

- სისულელეა, მეტად უნდა მოგენდომებინათ.

- ინსპექტორი სლექი მე და თქვენ სხვადასხვაგვარად გვექცევა, - ვთქვი მე, - რამის თქმის იოტისოდენა შანსიც კი არ მქონდა.

- ნარმოუდგენელია, - თქვა მელჩეტმა, - თუ კიდევ გამოჩნდება ვინმე და ამ მკვლელობას დაიბრალებს, ჩემი ფეხით ნავალ საგიჟეთში.

- თუ ორიოდ სიტყვის თქმის უფლებას მომცემთ... - ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა მის მარპლმა.

- გისმენთ!

- თქვენ რომ მისტერ რედინგს უთხრათ, რაც მისის პროტერომ გააკეთა, და დაარწმუნოთ, რომ გჯერათ კიდევ ეს, შემდეგ კი მისის პროტერო ინახულოთ და შეატყობინოთ, რომ მისტერ რედინგი კარგადაა, შესაძლოა, ორივე მათგანმა სიმართლე გაგიმხილოთ. სიმართლე კი ყოველთვის გამოგადგებათ, თუმცა მგონია, რომ ბევრი არაფერი ეცოდინებათ.

- ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ პროტეროს მოკვლის მოტივი ხომ მხოლოდ ამ ორ ადამიანს ჰქონდა?

– ოჰ, მე ასე არ ვიტყვოდი, პოლკოვნიკო მელჩეტ, – არ დაეთანხმა მის მარპლი.

– როგორ! თქვენ ფიქრობთ, რომ სხვასაც ჰქონდა მოტივი?

– დიახ, რა თქმა უნდა. ახლავე მოგახსენებთ, – მის მარპლი თითებით თვლას შეუდგა, – ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი და შესაძლო მეშვიდე. სულ ცოტა, შვიდი ადამიანის დასახელება შემიძლია, რომლებსაც ძალიან გაუხარდებოდათ პოლკოვნიკ პროტეროს გზიდან ჩამოცილება.

– შვიდი ადამიანი? სენტ-მერიმიდში? – შესაბრალისი ხმით იკითხა მელჩეტმა.

მის მარპლმა თავი ენერგიულად დაუქნია.

– ყურადღება მიაქციეთ, რომ არ ვაკონკრეტებ, – თქვა მან, – ამის გაკეთება არ შეიძლება. ვშიშობ, რომ ამქვეყნად ბევრი ბოროტება არსებობს. მაგრამ საიდან უნდა იცოდეს ამის შესახებ თქვენნაირმა წესიერმა, პატიოსანმა და გულმართალმა ჯარისკაცმა?

შემეშინდა, მთავარ კონსტებლს ტვინში სისხლი არ ჩაექცეს-მეთქი.

## თავი X

როდესაც მის მარპლის სახლიდან გარეთ გამოვედით, პოლკოვნიკმა მელჩეტმა იგი არცთუ სასიამოვნო სიტყვებით მოიხსენია.

– როგორც ჩანს, ამ ჩამომხმარ შინაბერას ჰგონია, რომ ყველაფერი იცის. არადა, სოფლის გარეთ ცხვირი არასდროს გაუყვია. სისულელეა. რა უნდა იცოდეს ცხოვრების შესახებ?

მორიდებით ვუთხარი, შესაძლოა, მის მარპლს დიდ ქალაქებში არ უცხოვრია, სამაგიეროდ, სენტ-მერიმიდის შესახებ ყველაფერი დაწვრილებით იცის-მეთქი.

მელჩეტი უხალისოდ დამეთანხმა. მის მარპლი მნიშვნე-

ლოვანი მონმე იყო, განსაკუთრებით, მისის პროტეროსთან დაკავშირებით.

– მის ნათქვამში ეჭვის შეტანის საფუძველი ალბათ არ უნდა გვექონდეს, არა?

– თუ მის მარპლმა თქვა, რომ მისის პროტეროს პისტოლეტი თან არ ჰქონდა, ამას წყალი არ გაუვა, – ვთქვი მე, – ამის უმცირესი შესაძლებლობაც რომ არსებობდეს, იგი ყველაფერს გამოიკვლევდა. მას მახვილი თვალი აქვს.

– მართალია. ნავიდეთ, სახელოსნო დავათვალიეროთ.

ეგრეთ ნოდებული „სახელოსნო“ ერთი უბრალო, უფანჯრო, შუშისსახურავიანი ფარდული იყო. შესვლა-გამოსვლა მხოლოდ ერთადერთი კარიდან შეიძლებოდა. ამაში რომ დარწმუნდა, მეღჩეტმა მითხრა, რომ სახლში ინსპექტორთან ერთად მოვიდოდა.

– ახლა კი პოლიციის განყოფილებაში ნავალ.

როდესაც სახლში შევედი, რალაც ხმები შემომესმა. სასტუმრო ოთახის კარი შევაღე.

დივანზე, გრიზელდას გვერდით, მის გლედის კრემი იჯდა და გაცხოველებით ლაპარაკობდა. ფეხები, რომლებზეც მჭიდროდ მორგებული, მბზინავი, ვარდისფერი ნინდები ეცვა, გადაეჯვარედინებინა, ასე რომ, შეუძლებელი იყო, მისი ვარდისფერზოლიანი აბრეშუმის ტრიკო არ შემემჩნინა.

– გამარჯობა, ლენ, – მითხრა გრიზელდამ.

– დილა მშვიდობისა, მისტერ კლემენტ, – მომესალმა მის კრემი, – რა საშინელება შეემთხვა პოლკოვნიკს! საბრალო, მოხუცი ჯენტლმენი.

– მის კრემმა სიკეთე გამოიჩინა, – ამიხსნა ჩემმა ცოლმა, – და დახმარება შემოგვთავაზა ბავშვების ხელმძღვანელებთან დაკავშირებით. თუ გახსოვს, მოხალისეებს ვეძებდით გასულ კვირას.

ეს მშვენივრად მახსოვდა და დარწმუნებული ვიყავი (ამას, გრიზელდასავით, მისი კილოთი მივხვდი), რომ მოხალისეთა რიგის შევსება მის კრემს თავში აზრადაც არ მოუ-



ვიდოდა, რომ არა ჩვენს სახლში მომხდარი ამაღელვებელი მოვლენა.

– სწორედ ახლა ვეუბნებოდი მისის კლემენტს, – განაგრძო მის კრემმა, – რომ ამ ამბის გაგებამ თავზარი დამცა.

– მკვლელობა? – ვთქვი მე. – ამ მიყრუებულ, წყნარ სოფელში. აქ ხომ სინყნარეა – არც მუზეუმია, არც კინო. როდესაც შევიტყვე, რომ ეს პოლკოვნიკ პროტეროს შეემთხვა, ვერაფრით დავიჯერე. მეგონა, მისნაირ ადამიანს არავინ მოკლავდა.

– აი, რატომ შემოირბინა მის კრემმა – დეტალების გასაგებად, – ამიხსნა გრიზელდამ.

შემეშინდა, ასეთი პირდაპირობა სტუმარმა სანყენად არ მიიღოს-მეთქი, მაგრამ მის კრემმა თავი უკან გადასწია, გულიანად გაიცინა და ყველა კბილი გამოაჩინა.

– ცუდი საქმე მოხდა. თქვენ კი, მისის კლემენტ, ენერგიული ქალი ყოფილხართ. ეს ბუნებრივიცაა – ყველას სურს ყველაფრის დაწვრილებით გაგება. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ, რაც შემეძლება, სიამოვნებით დაგეხმარებით ბავშვებთან დაკავშირებით. ეს ძალიან საინტერესოა. არადა, აქ საშინელი მონყენილობაა. არა, სამუშაო კარგი მაქვს, ნორმალურადაც მიხდიან, დოქტორი სტოუნი ყოველთვის ჯენტლმენურად იქცევა. მაგრამ ახალგაზრდა ქალიშვილს ხომ გართობაც უნდა სამსახურის შემდეგ. თქვენ გარდა ვერავის დაელაპარაკება კაცი – ირგვლივ მხოლოდ ბებერი ჭორიკანები არიან.

– ლეტიცია პროტერო?

გლედის კრემმა თავი გადააქნია.

– განა ის ჩემნაირებს თავს გაუყადრებს? ჰგონია, რომ მთელ საგრაფოში მისი დარი არავინ დადის. არც კი შეხედავს ისეთ ქალიშვილს, რომელსაც შრომით გააქვს თავი. თუმცა ყური მოვკარი, მუშაობის დაწყება ნდომებია. ნეტავ, ვინ მიიღებს? ან, თუ მიიღებენ, ერთ კვირაში გამოაგდებენ. მანეკენად თუ ივარგებს – იქ ხომ მხოლოდ ჩაცმა და წინ და უკან უცნაური სიარულია საჭირო. ვფიქრობ, ამას კი შეძლებს.

- მისგან მშვენიერი მანეკენი დადგებოდა, - თქვა გრიზელდამ, - საუცხოო ფიგურა აქვს, - გრიზელდას ბებერი ქორიკანასი არაფერი ეცხო, - ისე, როდის თქვა, რომ მუშაობის დაწყება უნდა?

მის კრემი ნამით შეცბუნდა, მაგრამ მაშინვე მოვიდა გონს და მისთვის ჩვეული მოხერხებით გამოვიდა მდგომარეობიდან.

- ვინმე იფიქრებს, რომ ვჭორაობ, არა? - თქვა მან, - მაგრამ გეფიცებით, ეს თვითონ თქვა. როგორც ჩანს, სახლში არ ულხინს. მე კი არაფრით დავთანხმდებოდი დედინაცვალთან ერთად ერთ სახლში ცხოვრებას. ამას ერთი ნუთითაც კი არ დავუშვებდი.

- თქვენ ხომ ასეთი ენერგიული და დამოუკიდებელი ხართ, - სერიოზული კილოთი თქვა გრიზელდამ, მე კი მას ეჭვის თვალით შევხედე.

მის კრემი აშკარად კმაყოფილი იყო.

- დიახაც. სწორედ ასეა. ჩემი ხმობა შეიძლება, დათხოვნა - არა. სწორედ ასე მითხრა ცოტა ხნის წინ ერთმა ქირომანტი<sup>1</sup>. ის ადამიანი არ ვარ, ვინც დაცინვას გულხელდაკრეფილი მოისმენს. დოქტორ სტოუნსაც თავიდანვე ვუთხარი, რომ დასვენების დღეები უნდა მქონოდა. ეს მეცნიერი ჯენტლმენები ფიქრობენ, რომ ქალიშვილი მანქანაა, რომლის არსებობა შეიძლება არც კი შეამჩნიო.

- დოქტორ სტოუნს როგორ შეენყვეთ? ალბათ საინტერესო სამუშაოა მათთვის, ვისაც არქეოლოგია იზიდავს.

- ამ საქმის ბევრი არაფერი გამეგება, - გამოტყდა ქალიშვილი, - ჩემი აზრით, ასობით წლის წინ დამარხული ადამიანების ამოთხრა ცოტათი უხერხულია - ზედმეტ ცნობისმოყვარეობას ჰგავს, არა? დოქტორი სტოუნი კი ისე ჩაეფლო ამ საქმეში, რომ ჭამაც კი ავიწყდება. მე რომ არა, შიმშილით მოკვდებოდა.

- დღეს დილითაც გათხრებს ანარმოებს? - ჰკითხა გრიზელდამ.

<sup>1</sup> ქირომანტი - პირი, რომელიც ქირომანტიას მისდევს, კითხულობს ხელისგულის ხაზების მიხედვით.

მის კრემმა თავი გადააქნია.

- დღეს ცოტა სხვანაირი ამინდია, - თქვა მან, - მუშაობის ხალისი გაუქრა. ეს კი ნიშნავს, რომ პატარა გლედისს არდადეგები აქვს.

- ცოდვია, - ვთქვი მე.

- ოჰ, არაფერია! ნუ გეშინიათ, მეორე მიცვალებული არ იქნება. აჯობებს, მომიყვეთ, მისტერ კლემენტ. როგორც მითხრეს, მთელი დილა პოლიციასთან ერთად დადიოდით. ისინი რას ფიქრობენ?

- აბა, რა გითხრათ? ჯერ ყველაფერი არ გაურკვევიათ.

- აჰა! - შესძახა მის კრემმა, - მაშასადამე, არ სჯერათ, რომ ეს მისტერ რედინგმა ჩაიდინა. რა ლამაზია, არა? კინოვარსკელაეს ჰგავს. თანაც, როგორ მომხიბლავად ილიმება მისალმებისას. როდესაც მისი დაპატიმრების შესახებ გავიგე, ყურებს ვერ ვუჯერებდი. თუმცა, ყველა ამბობს, რომ ჩვენი სოფლის პოლიციელები ბრიყვები არიან.

- ამჯერად მათ ვერაფერში დავადანაშაულებთ, - ვთქვი მე, - მისტერ რედინგი თვითონ გამოცხადდა პოლიციაში და დანაშაულიც აღიარა.

- მართლა? - იკითხა განცვიფრებულმა ქალიშვილმა, - საბრალო სულელი. მე რომ ვინმე მომეკლა, ასე ნამდვილად არ მოვიქცეოდი. მეგონა, რომ ლოურენს რედინგი უფრო ჭკვიანი იყო. ეს როგორ მოუვიდა? ან ის პროტერო რატომ მოკლა? მიზეზი არ უთქვამს? ალბათ შეკამათდნენ, არა?

- ჯერჯერობით დადასტურებული არ არის, რომ მკვლეელი ის არის, - ვთქვი მე.

- მაგრამ... თუ თვითონ ამბობს... მისტერ კლემენტ, მან ხომ უკეთ უნდა იცოდეს.

- რასაკვირველია, უნდა იცოდეს, - დავეთანხმე მე, - მაგრამ პოლიციას მისი მონათხრობი არ აკმაყოფილებს.

- რატომ იტყოდა, მოვკალიო, თუ არ მოუკლავს?

ამის ახსნა-განმარტების თავი ნამდვილად არ მქონდა, ამიტომ მის კრემს საკმაოდ ბუნდოვნად ვუპასუხე:

- ჩემი აზრით, როდესაც ასეთი გახმაურებული მკვლე-

ლობა ხდება, პოლიცია ბევრი ადამიანისგან იღებს წერილს, რომელშიც ისინი დანაშაულს საკუთარ თავზე იღებენ.

მის კრემმა ამ ინფორმაციას ზიზღნარევი და გაოცებულნი ხმით უპასუხა:

– ასე რამ გადარიათ? – და დაამატა: – ახლა კი უნდა ნავიდე, – იგი წამოდგა, – დოქტორ სტოუნისთვის საინტერესო იქნება იმის გაგება, რომ მისტერ რედინგმა მკვლელობა აღიარა.

– დააინტერესებს? – ჰკითხა გრიზელდამ.

მის კრემმა გაოცებით შეიჭმუნა შუბლი.

– უცნაური ადამიანია. ვერაფერს გაუგებს კაცი. სულ წარსულში იქექება. მინიდან ამოთხრილი რალაც საშინელი, ბრინჯაოს ხანის იარაღის თვალიერება ურჩევნია იმ დანის ყურებას, რომლითაც კრიპენმა<sup>1</sup> საკუთარი ცოლი აკუნა. ცხადია, თუ ამის შესაძლებლობა მიეცემოდა.

– უნდა ვაღიარო, რომ ამაში მეც ვეთანხმები, – ვთქვი მე.

მის კრემის თვალეში გაუგებრობა და ოდნავი ზიზღი გაკრთა. იგი კიდევ რამდენჯერმე დაგვემშვიდობა და, როგორც იქნა, წავიდა.

– არც ისე ცუდი ადამიანია, – მითხრა გრიზელდამ, როდესაც კარი მიიხურა, – რა თქმა უნდა, საშინლად ვულგარულია, მაგრამ მისნაირ დიდ, მოურიდებელ და გულკეთილ ადამიანებშიც არის რალაც სასიამოვნო. შენი აზრით, რატომ მოვიდა?

– ცნობისმოყვარეობის გამო.

– ჰო, მეც ასე ვფიქრობ. კარგი, ლენ, ახლა კი ყველაფერი თანამიმდევრობით მომიყევი. მეტის მოთმენა აღარ შემიძლია.

დავჯექი და გულახდილად მოვუყევი, რაც ვიცოდი. გრიზელდა შიგადაშიგ მანყვეტინებდა, რადგან გაოცებასა და ცნობისმოყვარეობას ვერაფერს უხერხებდა.

<sup>1</sup> ჰარვი კრიპენი – იგივე დოქტორი კრიპენი (1862-1910 წწ.) – ამერიკელი ექიმი, რომელიც საკუთარი ცოლის მკვლელობისთვის სიკვდილით დასაჯეს.

– მაშასადამე, ლოურენსი თავიდანვე ენის დასდევდა კუდში და არა ლეტიციას. ასე რამ დაგვაბრმავა ყველა! არა-და, თუ გახსოვს, სწორედ ამას მიგვანიშნებდა წუხელ მის მარპლი.

– ჰო, – მივუგე მე და თვალი ავარიდე.

ამ დროს ოთახში მერი შემოვიდა.

– ორი კაცია მოსული – რომელიღაც გაზეთებიდან. შე-მოვუშვა თუ არა?

– არა, – ვთქვი მე, – რა თქმა უნდა, არა. ურჩიე, ინსპექ-ტორ სლეკს მიაკითხონ პოლიციის განყოფილებაში.

მერიმ თავი დამიქნია და წასვლა დააპირა.

– როდესაც თავიდან მოიცილებთ, აქ მობრუნდით, – ვუთხარი მას, – რაღაც უნდა გკითხოთ.

მერიმ კვლავ დამიქნია თავი.

იგი რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა.

– ძლივს მოვიცილე თავიდან, – თქვა მან, – ვერ წარმო-იდგენთ, რა ჯიუტი ხალხია. შენ ერთს ეუბნები, ისინი მაინც თავისას გაიძახიან.

– ვშიშობ, თავს არ დაგვანებებენ, – ჩავილაპარაკე მე, – მაშ, ასე, მერი, აი, რისი კითხვა მიწოდდა – დარწმუნებული ხართ, რომ გუშინ გასროლის ხმა არ გაგიგონიათ?

– გასროლა, რომლითაც მოკლეს? ცხადია, არ გამიგო-ნია. რომ გამეგონა, წავიდოდი და ვნახავდი, რა მოხდა.

– დიახ, მაგრამ... – მის მარპლის ნათქვამი გამახსენდა, რომელსაც გასროლა ტყიდან მოესმა. გადავწყვიტე, შე-კითხვის ფორმა შემეცვალა, – საერთოდ არ გაგიგონიათ, რომ გაისროლეს? მაგალითად, შორს, ტყეში?

– ოჰ, ეს სულ სხვა საქმეა! – იგი შეყოვნდა, – დიახ, ახლა გამახსენდა, რომ იყო გასროლა. ოღონდ ბევრი არა, მხო-ლოდ ერთი. ისიც უცნაური. თითქოს რაღაც აფეთქდა.

– სწორედაც რომ, – ვთქვი მე, – ეს როდის მოხდა?

– როდის?

– დიახ, რომელ საათზე?

– მაგას კი ვერაფრით მოგახსენებთ. თუმცა ჩაის შემ-დეგ იყო.

– უფრო ზუსტად ვერ იტყვი?



- ვერა. მე ხომ უსაქმოდ არ ვზივარ. სულ ვწვრივლებ, დავფუსფუსებ. სად მაქვს საათის ყურების დრო. ასეც რომ იყოს, მალევიდარა ყოველდღე ორმოცდახუთი წუთით ჩამორჩება ხოლმე - ხან ისრები უნდა გადასწიო, ხან მომართო. ზუსტად არასდროს ვიცი, რომელი საათია.

ახლა კი მივხვდი, რატომ ვერ ვჭამდით დანიშნულ დროს. ზოგჯერ სადილს გვიგვიანებდნენ, ზოგჯერ კი საუზმე მოჰქონდათ ძალიან ადრე.

- ეს მისტიკა რედინგის მოსვლამდე დიდი ხნით ადრე მოხდა?

- არა, ცოტა ხანი იყო გასული. დიდი-დიდი, ათი-თხუთმეტი წუთი.

თავი კმაყოფილებით დავუქნიე.

- კიდევ გაქვთ შეკითხვა? - მკითხა მერიმ, - თორემ ჰაერლუმელში კერძი მაქვს შედგმული, პუდინგი კი კარგა ხანია, დულს.

- კარგი. თავისუფალი ხართ.

იგი გავიდა, მე კი გრიზელდას მივმართე.

- როგორც ჩანს, მერის ვერასდროს ვათქმევინებთ „სერს“ ან „ქალბატონოს“.

- რამდენჯერ ვუთხარი, მაგრამ ვერ იმახსოვრებს. არ დაგავიწყდეს, როდესაც ჩვენთან მოვიდა, არაფერი იცოდა.

- მშვენივრად მახსოვს, - ვუთხარი მე, - მაგრამ არმცოდნე მუდამ არმცოდნედ არ უნდა დარჩეს. ხომ შეიძლება, რამე კერძის მომზადება მაინც ისწავლოს.

- მაგაში ვერ დაგეთანხმები, - მითხრა გრიზელდამ, - მოსამსახურეს ძალიან ცოტას ვუხდით. როგორც კი რამეში დახელოვნდება, მაშინვე წავა ჩვენგან. ამას წყალი არ გაუვა. იმათთან წავა, ვინც უფრო მეტს გადაუხდის. მაგრამ ჯერჯერობით მერიმ არც საჭმლის მომზადება იცის და არც მანერები უვარგა. ასე რომ, შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ - მას არავინ გადაიბირებს.

აღმოჩნდა, რომ ჩემი ცოლი არც ისე ქაოსურად უძღვებოდა საოჯახო მეურნეობას, როგორც აქამდე მეგონა. მას თურმე თავისი მეთოდი ჰქონია. თუმცა საკამათო იყო,

ღირდა თუ არა ისეთი მოსამსახურის ყოლა, რომელმაც არც საქმლის მომზადება იცოდა და არც თავაზიანი მომსახურება და სიტყვა-პასუხი.

– გარდა ამისა, – განაგრძო გრიზელდამ, – მას ნებისმიერი უხეშობა უნდა ვაპატიოთ. ნუ მოვთხოვთ, რომ პოლკოვნიკ პროტეროს სიკვდილის გამო ცრემლად დაიღვაროს – თავისი შეყვარებული ხომ სწორედ მან ჩასვა ციხეში.

– განა მან ჩასვა ციხეში ის ახალგაზრდა კაცი?

– დიახ. ბრაკონიერობისთვის. მას შენც იცნობ – არჩერი ჰქვია. მერი მასთან ორი წლის განმავლობაში დადიოდა.

– ეს არ ვიცოდი.

– ლენ, ჩემო კარგო, შენ არასდროს არაფერი იცი.

– უცნაურია, – ჩავილაპარაკე მე, – ყველა ამტკიცებს, რომ გასროლა ტყიდან მოესმათ.

– ამაში უცნაურს ვერაფერს ვხედავ. ტყეში ისედაც ხშირად ისვრიან. ამიტომაც, როცა გასროლა გესმის, ფიქრობ, რომ ეს კვლავ ტყეში მოხდა. შესაძლოა, ჩვეულებრივზე ოდნავ ხმამაღლა მოგეჩვენოს. ცხადია, თუ მეზობელ ოთახში იმყოფები, მაშინვე მიხვდები, რომ სახლში გაისროლეს, მაგრამ მერის ადგილზე რომ ყოფილიყავი, სამზარეულოში, რომლის ფანჯარაც სულ სხვა მხარეს გადის, არც კი გაიფიქრებდი, რომ ტყვია სახლში გავარდა.

კარი კვლავ გაიღო.

– ეს კვლავ პოლკოვნიკი მელჩეტია, – თქვა მერიმ, – მასთან ერთად ინსპექტორიცაა. მთხოვეს, გადმომეცა, ძალიან დაგვაავალებს, თუ შეგვხვდებაო. კაბინეტში არიან.

## თავი XI

როგორც კი შევხედე, მაშინვე მივხვდი, რომ პოლკოვნიკ მელჩეტისა და ინსპექტორ სლეკის აზრები ამ საქმესთან დაკავშირებით ერთმანეთს არ ემთხვეოდა. წამონითლებული მელჩეტი გაბრაზებული ჩანდა, ინსპექტორს კი სახე მოლუშოდა.

- უნდა გითხრათ, - თქვა მელჩეტმა, - რომ ინსპექტორი სლეკი, სამნუხაროდ, არ იზიარებს ჩემს აზრს ახალგაზრდა რედინგის უდანაშაულობასთან დაკავშირებით.

- თუ დამნაშავე არ არის, რატომ მიდის პოლიციაში და აცხადებს, რომ მკვლეელია? - სკეპტიკურად იკითხა სლეკმა.

- თუ გახსოვთ, სლეკ, მისის პროტეროც ასე მოიქცა.

- ეს სულ სხვა რამეა. იგი ქალია, ქალებს კი სულელური ქცევა ახასიათებთ. ნამითაც არ დამიჯერებია, რომ ეს მისი გაკეთებულია. გაიგო, რომ ლოურენსი დააპატიმრეს და მაშინვე შეთხზა ზღაპარი. ასეთ თამაშებს მიჩვეული ვარ. ვერ წარმოიდგენთ, ქალების რამდენი სულელური საქციელი მინახავს. მაგრამ რედინგი ხომ სულ სხვაა. მას თავი მზრებზე აბია, და რახან აღიარა, მაშასადამე, დამნაშავეა. თანაც პისტოლეტიც მისია. ამას არაფერი ეშველება. მისის პროტეროს გამოჩენის შემდეგ მოტივიც ვიცით, თუმცა თავდაპირველად ეს ჩვენი სუსტი ადგილი იყო. ახლა ყველაფერი დაუბრკოლებლად წავა.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ მას უფრო ადრეც შეეძლო გასროლა? ვთქვათ, შვიდის ნახევარზე?

- არა, არ შეეძლო.

- შეამონმეთ, როდის სად იმყოფებოდა?

ინსპექტორმა თავი დააქნია.

- შვიდის ათ ნუთზე სოფელში იყო, „ცისფერ ტახში“. იქიდან ორლობეს გაუყვა უკანა ეზოებით, სადაც, როგორც თქვენ თქვით, მოხუცმა მეზობლის ქალმა - მას, მგონი, არაფერი გამოეპარება - დაინახა. შემდეგ, შეთანხმებისამებრ, მისის პროტეროს შეხვდა ბაღში მდებარე სახელოსნოში. შვიდის ნახევარი რომ შესრულდა, იქიდან გამოვიდნენ და სოფლისკენ გაემართნენ. მათ დოქტორი სტოუნიც შეუერთდა. მან ეს ჩემთან საუბრისას დაადასტურა. ფოსტის ნიშნები შეჩერდნენ და ცოტა ხანს საუბრობდნენ. მისის პროტერომ მის პარტნელს შეუარა, რათა ჟურნალი გამოერთმია მებაღეობის შესახებ. ესეც გადამონმებულია. თვითონ უინახულე ის ქალბატონი. მისის პროტერო მასთან თითქმის შვიდ

საათამდე მჯდარა, შემდეგ კი ანრიალებულა: უთქვამს, როგორ გამეპარა დრო, ახლა უკვე შინ უნდა ვიყო.

– თავი როგორ ეჭირა?

– მის ჰარტნელის თქმით, ძალზე ბუნებრივად და ძალდაუტანებლად. მშვენიერ ხასიათზე იყო. მის ჰარტნელი დარწმუნებულია, რომ არაფერი ანუხებდა.

– კარგი, განაგრძეთ.

– რედინგმა და დოქტორმა სტოუნმა „ცისფერ ტახში“ შეიარეს, სადაც ერთად დალიეს. ერთმანეთს თვრამეტ საათსა და ორმოც წუთზე დაშორდნენ. რედინგი სწრაფად გაუყვა სოფლის ქუჩას და ვიკარიუსის სახლთან შეუხვია. ეს ბევრმა დაინახა.

– ამჯერად ორლობის უკანა ეზოებით აღარ წასულა? – ჩაეკითხა პოლკოვნიკი.

– არა, მთავარ შესასვლელს მიადგა, ვიკარიუსი იკითხა, შეიტყო, რომ მას პოლკოვნიკი პროტერო ელოდებოდა, კაბინეტში შევიდა და ესროლა – თვითონ სწორედ ასე ამბობს. ეს სიმართლეა და მეტი აღარაფერი გვჭირდება.

მელჩეტმა თავი გადააქნია.

– არსებობს ექიმის ჩვენება. ამას ვერსად გავექცევით. პროტერო არა უგვიანეს თვრამეტ საათსა და ოცდაათ წუთზე მოკლეს.

– ოჰ, ეს ექიმები! – ზიზლით წარმოთქვა ინსპექტორმა სლეკმა, – ექიმებს რა დაეჯერებათ! ჯერ ყველა კბილს დაგადრობენ, – მეტი არაფერი შეუძლიათ, – შემდეგ კი მოგიბოდიშებენ – თურმე ბრმა ნაწლავი განუხებდათო. ექიმები!

– მთავარი დიაგნოზი არაა. დოქტორი ჰეიდოკი აბსოლუტურად დარწმუნებულია იმაში, რასაც ამბობს. სამედიცინო დასკვნის წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობთ, სლეკ.

– შემიძლია დავადასტურო, თუ ამას მნიშვნელობა აქვს, – ვთქვი მე, რადგან ერთი მივიწყებული დეტალი გამახსენდა, – გვამს მეც შევეხე. სრულიად ცივი იყო. თუ გნებავთ, ბიბლიაზეც დავიფიცებ.

– ხომ ხედავთ, სლეკ, – თქვა მელჩეტმა.

- თუ ასეა, რა გაენყოფა. ისე, დასანანი კია - საქმე ლამაზად იყო აწყობილი. რედინგი ყოველნაირად ცდილობდა, ასე ვთქვათ, ყულფში თავის გაყოფას.

- ეს კი, არცთუ ბუნებრივად მეჩვენება, - განაცხადა პოლკოვნიკმა მელჩეტმა.

- გემოვნებაზე არ დავობენ, - თქვა ინსპექტორმა, - ომის შემდეგ ბევრ ჯენტლმენს აღარ აქვს თავში ყველაფერი რიგზე. გამოდის, ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ, არა? - იგი მე მომიბრუნდა: - ვერ გამიგია, რატომ ცდილობდით საათთან დაკავშირებით შეცდომაში ჩემს შეყვანას, სერ. ამას მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლა ჰქვია.

- სამჯერ ვცადე ამის თქმა, - არ დავიხიე უკან, - მაგრამ სამჯერვე პირში ბურთი ჩამჩარეთ და არ მომისმინეთ.

- ეგ თავის დაძვრენის მცდელობაა და მეტი არაფერი, სერ. რომ მოგენდომებიანთ, მშვენივრად მეტყოდით. ბარათმა საათის ჩვენება ზუსტად დააფიქსირა. ახლა კი, როგორც აცხადებთ, საათი იტყუებოდა. მსგავსი არაფერი გამიგია. რა საჭიროა საათის თხუთმეტი ნუთით წინ გადაწევა?

- პუნქტუალურობის უზრუნველსაყოფად, - მივუგე მე.

- ვფიქრობ, აღარ ღირს ამაზე მსჯელობა, ინსპექტორო, - თქვა პოლკოვნიკმა მელჩეტმა ტაქტიანად, - ახლა მთავარია, რომ მისტერ რედინგისა და მისის პროტეროსგან სიმართლე შევიტყოთ. ჰეიდოკს დავურეკე და ვთხოვე, მისის პროტეროს შეუაროს და აქ მოიყვანოს. თხუთმეტი ნუთში მოვლენ. ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, მანამდე რედინგი მოგვეყვანა.

- განყოფილებას დავუკავშირდები, - თქვა ინსპექტორმა სლექმა და ტელეფონის ყურმილს სწვდა.

- ახლა კი ოთახის დათვალიერებას შევუდგეთ, - თქვა მან ყურმილის დადების შემდეგ და მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა.

- იქნებ უჩემოდ გსურთ ამის გაკეთება? მაშინ... - დავინყე მე.

თითქოს ამას ელოდაო, ინსპექტორმა გასასვლელად კარი გამიღო. მელჩეტმა კი მომადგა:



- როდესაც რედინგს მოიყვანენ, მასთან ერთად შემოდით, კარგი? იგი თქვენი მეგობარია, ანგარიშს გინევთ და იქნებ დაარწმუნოთ, რომ ყველაფერი გითხრას.

სასტუმრო ოთახში რომ შევედი, ჩემი ცოლი და მის მარპლი ერთმანეთს ესაუბრებოდნენ.

- ჩვენ აქ ყველა შესაძლებლობას ვიხილავდით, - მითხრა გრიზელდამ, - როგორ მინდა, რომ ეს საქმე გახსნათ, მის მარპლ, როგორც ის დაადგინეთ, თუ სად დაიკარგა მის უოთერბის შეოთხედი პინტი<sup>1</sup> გასუფთაებულ კრევეტი<sup>2</sup>. მაშინ ამაში სულ სხვა, ნახშირით სავსე ტომრის შემთხვევა დაგებმარათ.

- თქვენ გეცინებათ, ჩემო კარგო, - თქვა მის მარპლმა, - არადა, ეს არცთუ ურიგო ხერხია სიმართლის დასადგენად. ამას ახლა ინტუიციას უნოდებენ და მის გარშემო ერთი ამბავია ატეხილი. ინტუიცია მოცემული ასოების მიხედვით სიტყვების ნაკითხვის ჩვევაა. ბავშვს ეს არ შეუძლია მცირე გამოცდილების გამო. მაგრამ მოზრდილი ადამიანი სიტყვას ერთი შეხედვით ცნობს, რადგან მრავალჯერ უნახავს იგი. ხომ ხედებით, რისი თქმა მსურს, ვიკარიუსო?

- დიახ, - მიუუგე ნელა, - მგონი, კი. იმას გულისხმობთ, რომ თუ ერთი მოვლენა სხვა მოვლენას გაგონებთ, ისინი ერთი და იმავე რიგისაა.

- მართალია.

- პოლკოვნიკ პროტეროს მკვლელობა რას გაგონებთ? მის მარპლმა ღრმად ამოისუნთქა.

- სირთულე ისაა, რომ ბევრი მსგავსი შემთხვევა მახსენდება. მაგალითად, იყო ასეთი - მაიორი პარგრეივზი, მნათე და ყოველმხრივ პატივსაცემი ადამიანი. აღმოჩნდა, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში თავის მეორე ოჯახსაც არჩენდა: ყოფილ მოახლეს - ხომ ნარმოგიდგენიათ! - და ხუთ, დიახ, ხუთ ბავშვს. ეს საშინელი დარტყმა აღმოჩნდა მისი ცოლისა და ქალიშვილისთვის.

<sup>1</sup> პინტი - სიტხეებისა და ფხვიერ ნივთიერებათა მოცულობის საზომი, ზომათა ინგლისურ სისტემაში; უდრის 0,568 ლიტრს.

<sup>2</sup> კრევეტი - კიბორჩხალასებრთა ოჯახის ნარმომადგენელი.

ვცადე, მაგრამ პოლკოვნიკი პროტერო საიდუმლოებით მოცულ ცოდვილს ვერაფრით მივამსგავსე.

- თუნდაც სამრეცხაოს შემთხვევა განვიხილოთ, - განაგრძო მის მარპლმა, - მის ჰარტნელმა თავისი წინდაუხედაობით ბლუზა სამრეცხაოში ისე გაგზავნა, რომ ზედ მიმაგრებული ოპალის გულსაბნევი არ მოუხსნია. ქალი, რომელმაც ის აიღო, ქურდი არ იყო - ეს ნივთი არაფერში სჭირდებოდა. მან გულსაბნევი სხვა ქალის სახლში დამალა, პოლიციას კი შეატყობინა, მოპარული სამკაული ამა და ამ პიროვნებას აქვსო. ეს ბოლმაა, სხვისთვის ზიანის მიყენების სურვილი. ბოლმა და შური საშინელი მოტივია. ცხადია, როგორც ყოველთვის, ესეც მამაკაცის გამო მოხდა.

ამჯერად ჩვენს საქმესთან ვერანაირ, შორეულ მსგავსებასაც კი ვერ მივაგენი.

- ამას მიუმატეთ საბრალო ელველის ქალიშვილი - მშვენიერი, ჰაეროვანი არსება, რომელმაც უმცროსი ძმის დახრჩობა სცადა. და ფულთან დაკავშირებული შემთხვევა, როდესაც საეკლესიო გუნდის მომღერალი ბიჭების პიკნიკისთვის (ეს თქვენს მოსვლამდე მოხდა, ვიკარიუსო) შეგროვებული თანხა ორგანიზტმა აიღო - სამწუხაროდ, მის ცოლს დიდი ვალი დასდებოდა. დიახ, ეს საქმე ბევრ სხვას მაგონებს, ძალიან ბევრს. სიმართლის დადგენა ძალიან რთულია.

- იქნებ გამიმხილოთ, - ვუთხარი მე, - ვინ არის ის შვიდი ეჭვმიტანილი?

- შვიდი ეჭვმიტანილი?

- თქვენ თქვით, რომ შვიდი ადამიანის დასახელება შეგიძლიათ, ვისაც... რომლებსაც პოლკოვნიკ პროტეროს სიკვდილი გაუხარდებოდა.

- მართლა? თუმცა, დიახ, გამახსენდა.

- ეს სიმართლეა?

- ცხადია, სიმართლეა. მაგრამ ვერ დავასახელებ. თუ დაფიქრდებით, ამას თქვენც ადვილად შეძლებთ. ამაში ეჭვი არ მეპარება.

- გარნმუნებთ, ვერ შევძლებ. ერთადერთი, ლეტიცია პროტერო მახსენდება, ისიც იმიტომ, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ, ალბათ, მემკვიდრეობა ერგება. მაგრამ მასზე ეჭვის მიტანა სისულელეა. მის გარდა კი, თავში არაფერს მომდის.

- არც თქვენ, ჩემო კარგო? - მიმართა მის მარპლმა გრიზელდას, რომელიც, ჩემდა გასაოცრად, განითლდა, თვალეში ცრემლის მსგავსი ბრწყინვალება გაუკრთა. მან პატარა ხელები მაგრად მომუშტა.

- ოჰ! - შესძახა აღშფოთებულმა, - რა საზიზღარი ხალხია, საზიზღარი! რაღას არ ამბობენ! რა სისაძაგლეს არ იგონებენ!

ჩემს ცოლს ცნობისმოყვარეობით მივაცქერდი. ასე გაბრაზებული არასდროს მენახა. გრიზელდამ ჩემი მზერა დაიჭირა და გალიმება სცადა.

- ისე ნუ მიყურებ, ლენ, თითქოს საინტერესო ეგზემპლარი ვიყო, რომელსაც ვერაფერი გაუგე. მოდი, ნუ გავცხარდებით და ნურც თემას გადავუხვევთ. არ მჯერა, რომ ეს ლოურენსი ან ენია, ლეტიციაზე კი საერთოდ არაფერს ვამბობ. რამე სამხილი მაინც უნდა ვიპოვოთ, რომელიც დაგვეხმარება.

- ცხადია, არსებობს წერილი, - თქვა მის მარპლმა, - თუ გახსოვთ, დილით ვთქვი, რომ ერთგვარმა შეუსაბამობამ გამაოცა.

- როგორც ვხვდები, ბარათი საოცარი სიზუსტით მიუთითებს დანაშაულის ჩადენის დროს, - ვთქვი მე, - მაგრამ განა ეს შესაძლებელია? მისის პროტერო ახალი გამოსული იქნებოდა კაბინეტიდან. მან სახელოსნომდე მისვლაც კი ძლივს მოასწრო. მხოლოდ ერთი აზრი მომდის თავში - მკვლელმა, ალბათ, თავის საათს დახედა და შეამჩნია, რომ ძალიან ჩამორჩებოდა. არც კი ვიცი, სხვა რა ვიფიქრო.

- მე სხვა აზრი მაქვს, - თქვა გრიზელდამ, - დავუშვათ, ლენ, რომ საათი უკვე გადანეული იყო უკან, - არა, ასე იგივე გამოდის, - რა სულელი ვარ!

- როდესაც მივდიოდი, გადანეული არ იყო, - ვთქვი მე,

– მახსოვს, ჩემს საათს შევადარე. თუმცა მართალი ხარ – ამას ჩვენს საქმესთან კავშირი არ აქვს.

– თქვენ რას იტყვით, მის მარპლ? – ჰკითხა გრიზელდამ.

– უნდა გამოგიტყდეთ, ჩემო კარგო, რომ ამაზე არც მიფიქრია. თავიდანვე ყველაზე მეტად იმან დამაინტერესა, რაც ნერილში ეწერა.

– მე კი – არა, – გამოვთქვი განსხვავებული აზრი, – პოლკოვნიკმა პროტერომ მხოლოდ ის დანერა, რომ მეტს ველარ დამელოდებოდა...

– შვიდის ოც ნუთზე? – მკითხა მის მარპლმა, – თქვენმა მსახურმა, მერიმ, ის გააფრთხილა, რომ შვიდის ნახევრამდე არ დაბრუნდებოდით, მანაც თითქოს დალოდება გადანყვიტა. შვიდის ოც ნუთზე კი ჯდება და წერს, რომ მეტს ველარ დაგელოდებათ.

ხარბად მივჩერებოდი ხანში შესულ ქალბატონს და მის გამჭრიახ გონებას სულ უფრო მეტ პატივს ვცემდი. იგი ხომ იმას ხედავდა, რასაც ჩვენ ვერ ვამჩნევდით. ეს მართლა უცნაური იყო, ძალზე უცნაური.

– დიახ, – ვთქვი მე, – თუ თავში დრო არ იქნებოდა მითითებული.

მის მარპლმა თავი დააქნია.

– დიახ, დიახ, – თქვა მან, – თუ იქ დრო არ იქნებოდა მითითებული.

იმის გახსენება ვცაადე, რაც საკუთარი თვალით მქონდა ნანახი: ბლოკნოტის ფურცელი უსწორმასწორო სტრიქონით, ზემოთ კი აკურატულად გამოყვანილი „6:20“. ცხადია, რომ ეს ციფრები სულ არ ჰგავდა დანარჩენ ოკრობოკროს. კინალამ სუნთქვა შემეკრა.

– იქნებ სულაც არ იყო დრო მითითებული? – ვთქვი მე, – დავუშვათ, პოლკოვნიკ პროტეროს შვიდის ნახევრისთვის ლოდინი მოჰბეზრდა და ბარათის დასაწერად დაჯდა. სანამ მაგიდასთან იჯდა და წერდა, ფანჯრიდან ვილაც შემოიპარა...

– ან კარიდან, – ივარაუდა გრიზელდამ.

– ის კარის ჭრიალს გაიგონებდა და თავს ასწევდა.

- გემახსოვრებათ, რომ პოლკოვნიკ პროტეროს ყურს აკლდა, - თქვა მის მარპლმა.

- დიახ, მართალი ხართ, ვერ გაიგონებდა. თუმცა მნიშვნელობა არ აქვს, როგორ შევიდა მკვლელი ოთახში - იგი პოლკოვნიკ პროტეროს მიეპარა და ტყვია დაახალა. შემდეგ ბარათსა და საათს მოჰკრა თვალი და იდეა გაუჩნდა. წერილის თავში 6:20 დანერა, საათი კი 6:22-ზე დააყენა. ეს მახვილგონივრული აზრი იყო. მან, თავისი აზრით, მშვენიერი ალიბი შეიქმნა.

- ახლა ის ადამიანი უნდა მოვძებნოთ, - თქვა გრიზელდამ, - რომელსაც მტკიცე ალიბი აქვს 6:20-ისთვის, მაგრამ არა აქვს... დიახ, ეს არც ისე ადვილია. ზუსტი დრო ხომ არ ვიცით.

- ჩვენ სავარაუდო შუალედის შემცირება შეგვიძლია, - ვთქვი მე, - ჰეიდოკის აზრით, 6:30 ზედა ზღვარია. არაფერი დაშავდება, თუ ხუთ წუთს კიდევ ნავუმატებთ. ჩვენი მსჯელობიდან გამომდინარე, პროტერო ვერაფრით გამოამუღავნებდა მოუთმენლობას 6:30-მდე. ასე რომ, საკმაოდ ზუსტად ვიცით დრო.

- თან ის გასროლა, მე რომ მომესმა... დიახ, ვფიქრობ, სავსებით შესაძლებელია. არადა, თავში აზრადაც არ მომსვლია. დასანანი. და მაინც, როცა გახსენებას ვცდილობ, მეჩვენება, რომ ჩვეულებრივ გასროლას არ ჰგავდა. რალაცით განსხვავდებოდა.

- უფრო ხმამაღალი იყო? - ვკითხე მე.

არა, მის მარპლი ასე არ ფიქრობდა. უჭირდა იმის თქმა, თუ რა იყო მასში უჩვეულო, მაგრამ დაეჩემებინა, რომ ტყეში განხორციელებულ ჩვეულებრივ გასროლას არ ჰგავდა.

ვიფიქრებდი, სასურველი სინამდვილედ აღიქვა-მეთქი, მაგრამ ცოტა ხნის წინ ისეთი მკაფიო სურათი დაგვიხატა, ისეთი გამჭრიახობა გამოიჩინა, რომ უნებურად მონივნებას ვგრძნობდი მისი ჭკუისა და შორსმჭვრეტელობის მიმართ.

იგი წამოდგა და ჩაილაპარაკა, რომ უნდა წასულიყო, თუმცა, ძალიან უნდოდა, რომ ყველაფერი მშვენიერ გრიზელდასთან ერთად განეხილა. ჩვენი სამფლობელოების



გამყოფ კედლამდე მივაცილე, კუტიკარი მივკეტე და უკან დავბრუნდი. გრიზელდა ღრმად ჩაფიქრებული დამხვდა.

– კვლავაც ბარათის საიდუმლოს ამოხსნას ცდილობ? – ვკითხე მე.

– არა.

მოულოდნელად, იგი შეკრთა და მხრები მოუთმენლად შეათამაშა.

– ლენ, ბევრი ვიფიქრე და იმ აზრამდე მივედი, რომ ვილაცას სასტიკად სძულს ენი პროტერო.

– სძულს?

– ჰო, ნუთუ ვერ ხვდები? ლოურენსის წინააღმდეგ ერთი უტყუარი სამხილიც კი არ არსებობს – ყველა მათგანი, ასე ვთქვათ, შემთხვევითია. უეცრად აქ შემოვლა გადანყვიტა. სხვაგვარად ვერავინ იფიქრებდა, რომ მას ამ დანაშაულთან რამე კავშირი ჰქონდა. ენი კი სულ სხვაა. ნარმოიდგინე: ვილაცამ იცის, რომ იგი აქ ზუსტად შვიდის ოც ნუთზე იყო, საათიცა და წერილში დაფიქსირებული დროც აშკარად მასზე მიუთითებს. ასე მგონია, რომ საათი ალიბისტვის არ გადაუნევიათ, არც ასე მარტივად იქნება საქმე. ვილაცას სურდა, რომ ყველაფერი მისთვის გადაებრალებინა. რომ არა მის მარპლი, რომელმაც თქვა, რომ ენის თან პისტოლეტი არ ჰქონდა, და რომ მან მხოლოდ შემოიხედა აქ და მაშინვე სახელოსნოსკენ გაეშურა, დიახ, რომ არა ეს... – იგი კვლავ შეკრთა, – ლენ, ვგრძნობ, რომ ვილაცას საშინლად სძულს ენი პროტერო. და ეს... ეს არ მომწონს.

## თავი XII

როდესაც ლოურენს რედინგი მოიყვანეს, კაბინეტში მიხმეს. ლოყები ჩასცვივნოდა. გატანჯული სახე ჰქონდა. პოლკოვნიკი მელჩეტი მას გულლიად, გულთბილადაც კი შეხვდა.

– რამდენიმე შეკითხვის დასმა გვსურს, აქვე, ამ ადგილას, – თქვა მან.

ლოურენსს ჩაეცინა.

– ეს რა, ფრანგული ხერხია? დანაშაულის რეკონსტრუქცია?

– ჩემო კარგო, – უთხრა პოლკოვნიკმა მელჩეტმა, – არ არის საჭირო ჩვენთან ასეთი ტონით ლაპარაკი. თუ იცით, რომ სხვა პიროვნებამ აღიარა ის დანაშაული, რომლის აღებაც საკუთარ თავზე გასურდათ?

ლოურენსი გაშტერდა, გეგონებოდათ, მეხი დაეცაო.

– ს-ს-ხვა პიროვნებამ? – ჩაილულლულა მან, – ვინ... ვინ?

– მისის პროტერომ, – მიუგო პოლკოვნიკმა მელჩეტმა ისე, რომ მისთვის თვალი არ მოუცილებია.

– სისულელეა! იგი არაფერ შუაშია. ის ამას ვერ ჩაიდენდა. ეს შეუძლებელია!

მელჩეტმა გაანყვეტინა.

– უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ ჩვენ მას არ დავუჯერეთ. ბარემ იმასაც გეტყვით, რომ არც თქვენი გვჯერა. დოქტორი ჰეიდოკი მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ მკვლელობა ვერაფრით მოხდებოდა თქვენ მიერ დასახელებულ დროს.

– დოქტორი ჰეიდოკი ასე ამბობს?

– დიახ, ასე რომ, უდანაშაულო ხართ, მიუხედავად იმისა, მოგნონთ ეს თუ არა. ახლა კი გვინდა, რომ დაგვეხმაროთ და დანვრილებით გვიამბოთ, რაც მოხდა.

ლოურენსი კვლავ ყოყმანობდა.

– არ მატყუებთ... მისის პროტეროსთან დაკავშირებით? მასზე მართლა არ გაქვთ ეჭვი?

– პატიოსან სიტყვას გაძლევთ, – უთხრა პოლკოვნიკმა მელჩეტმა.

ლოურენსმა შვებით ამოისუნთქა.

– რა სულელი ვიყავი, – თქვა მან, – ნამდვილი სულელი. როგორ შემეძლო, ერთი წუთით მაინც დამეჯერებინა, რომ ეს მან ჩაიდინა...

– იმედია, ყველაფერს მოგვიყვებით, – შეახსენა მთავარმა კონსტებლმა.

– მოსაყოლი ბევრი არაფერია. იმ სალამოს მე... მე შევხვდი მისის პროტეროს... – იგი გაჩუმდა.

– ეს ვიცით, – უთხრა მელჩეტმა, – თქვენ, ალბათ, ფიქრობდით, რომ თქვენი და მისის პროტეროს გრძნობების შესახებ ერთმანეთის მიმართ ვერავინ ხვდებოდა, სინამდვილეში კი ეს ბევრმა იცოდა და ჭორაობდნენ კიდეც. თუმცა, ასეც რომ არ ყოფილიყო, ახლა ყველაფერი გამჟღავნდება. ამას აღარაფერი ეშველება.

– რახან ასეა, რა გაენწყობა. ვიმედოვნებ, მართალი ხართ. ვიკარიუსს დავპირდი (მან ჩემკენ გამოიხედა), რომ აქაურობას დაუყოვნებლივ გავეცლებოდი. იმ სალამოს მისის პროტეროს სახელოსნოში შვიდის თხუთმეტ წუთზე შევხვდი და ჩემი გადაწყვეტილება გავაცანი. იგი დამეთანხმა, რომ ეს ერთადერთი გამოსავალი იყო. ერთმანეთს სამუდამოდ დავემშვიდობეთ.

სახელოსნოდან გამოსვლისთანავე, დოქტორი სტოუნის მოგვიახლოვდა. ენიმ თავი ხელში აიყვანა და ძალზე ბუნებრივად იქცეოდა. მე ეს ვერ შევძელი და სტოუნთან ერთად „ცისფერ ტახში“ წავედი, სადაც დავლიეთ. იქიდან სახლისკენ გავემართე, მაგრამ ქუჩის კუთხეში გავჩერდი და ვიკარიუსთან შევლა გადავწყვიტე – ვგრძნობდი, რომ ვინმეს უნდა დავლაპარაკებოდი და გული მომეოხებინა.

კარი მოსამსახურემ გამიღო, რომელმაც მითხრა, რომ ვიკარიუსი შინ არ იყო, მაგრამ მალე მოვიდოდა, რადგან კაბინეტში პოლკოვნიკი პროტერო ელოდებოდა. გავიფიქრე, რომ ასე ხელალებით წასვლა არ ივარგებდა, რადგან ეს შესაძლოა, ისე აღექვათ, თითქოს მასთან შეხვედრას გავურბოდი. ამიტომაც ვთქვი, დაველოდები-მეთქი და კაბინეტში შევედი.

იგი გაჩუმდა.

– შემდეგ? – ჰკითხა პოლკოვნიკმა მელჩეტმა.

– პროტერო სანერ მაგიდასთან იჯდა იმ პოზაში, რომელშიც თქვენ იგი ნახეთ. მივუახლოვდი და შევეხე. მკვდარი იყო. ქვევით დავიხედე და იატაკზე, მის გვერდით, პისტოლეტს მოვკარი თვალი. ავიღე და მაშინვე ვიცანი.

გავშეშდი. ჩემი პისტოლეტი! უეცრად ერთმა აზრმა გამიელვა თავში: ენიმ ჩუმად აილო ჩემი პისტოლეტი – თავისთვის, იმ შემთხვევისთვის, თუ ცხოვრება გაუსაძლისი გახდებოდა. შესაძლოა, ჩვენი შეხვედრის დროსაც თან ჰქონდა. როდესაც სოფელში ერთმანეთს დავშორდით, იგი, ალბათ, უკან დაბრუნდა და... ღმერთო ჩემო! ნამდვილად ჭკუაზე შევიშალე, რადგან ასეთი რამ გავიფიქრე. მაგრამ იმ მომენტში მართლა ასე ვფიქრობდი. პისტოლეტი ჯიბეში ჩავიდე და გამოვედი. ჭიშკართან ვიკარიუსს შევხვდი, რომელმაც გულთბილი სიტყვებით მომმართა, მითხრა, რომ პროტეროს უნდა შეხვედროდა. უეცრად სიცილის ხასიათზე დავდექი. იგი ისეთი მშვიდი იყო, არაფერს ეჭვობდა, მე კი – საშინლად აღვზნებული. რალაც სისულელე ნამოვიძახე და დავინახე, როგორ შეეცვალა სახე. ვფიქრობ, გაგიჟებას აღარაფერი მაკლდა. იქაურობას გავცილდი. ბევრი ვიხეტიალე, მაგრამ ბოლოს ველარ გავუძელი. თუ ეს საშინელი საქმე ენიმ ჩაიდინა, ამისთვის, სულ ცოტა, მორალური პასუხისმგებლობა მე მეკისრებოდა. პოლიციაში გამოვცხადდი და დანაშაული ვაღიარე.

ლოურენსმა თხრობა დაასრულა. სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ პოლკოვნიკმა საქმიანი კილოთი თქვა:

– კიდევ რამდენიმე კითხვა. პირველი – შეეხეთ თუ არა სხეულს? ხომ არ გადაგიადგილებიათ?

– არა, არ შევხებივარ. ისედაც ჩანდა, რომ მკვდარი იყო.

– ბარათი თუ დაინახეთ მაგიდაზე, რომელსაც პოლკოვნიკი ტანით ნაწილობრივ ეფარებოდა?

– არა.

– საათისთვის ხომ არ გიხლიათ ხელი?

– არა. მახსოვს, რომ მაგიდაზე გადაყირავებული საათი იდო, მაგრამ არ მივკარებივარ.

– ახლა თქვენს პისტოლეტს დაუბრუნდეთ. როდის ნახეთ ის უკანასკნელად?

ლოურენსი ჩაფიქრდა.

– მიჭირს ზუსტად თქმა.

- სად ინახავდით?
- ოჰ! სასტუმრო ოთახში, წიგნების კარადის თაროზე, ათას წერილმანთან ერთად.
- ასე უყურადღებოდ გქონდათ მიგდებული?
- დიახ. მასზე არც ვფიქრობდი. ახლა გამახსენდა.
- მაშასადამე, ნებისმიერ მომსვლელს შეეძლო მისი და-  
ნახვა?
- დიახ.
- და არ გახსოვთ, როდის ნახეთ უკანასკნელად?  
ლოურენსმა შუბლი შეიჭმუხნა და გახსენება სცადა.
- თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ გუშინწინ ისევ იქ იდო. მახსოვს, გავნიე, როდესაც ძველი ჩიბუხი ავიღე. ვფიქრობ, ეს გუშინწინ მოხდა... თუმცა შესაძლოა, გუშინ-  
წინისწინაც მომხდარიყო.
- ვინ იყო თქვენთან ბოლო დღეებში?
- ოჰ! უამრავი ვინმე. ვილაც შემოდის, ვილაც გადის. გუ-  
შინწინ, ასე ვთქვათ, სალამოს ჩაის სმა გავმართე. ლეტიცია პროტერო, დენისი და მათი წრის ხალხი იყო. ჩემთან ზოგ-  
ჯერ მოხუცი ქორიკანებიც შემოივლიან ხოლმე.
- კოტეჯიდან გასვლისას კარს გასაღებით კეტავთ?
- არა, რატომ? მოსაპარი არაფერი მაქვს. აქ კარს არა-  
ვინ კეტავს.
- სახლს ვინ გილაგებთ?
- მოხუცი მისის არჩერი მოდის ხოლმე დილაობით „ხე-  
ლის გასაკრავად“, როგორც აქ ამბობენ.
- როგორ ფიქრობთ, ხომ ვერ გაიხსენებს იგი, ბოლოს  
როდის იდო პისტოლეტი თავის ადგილას?
- ვერაფერს მოგახსენებთ. შესაძლებელია. თუმცა არ  
მგონია, რომ მტერის საგულდაგულოდ გადანმენდა მისი  
ძლიერი მხარე იყოს.
- მაშასადამე, თქვენი პისტოლეტის ალება ნებისმიერ  
ადამიანს შეეძლო?
- ასე გამოდის.
- ამ დროს კარი გაიღო და ენი პროტერო შემოვიდა, დოქ-  
ტორ ჰეიდოკის თანხლებით.



ლოურენსის დანახვაზე ქალი შეკრთა. კაცმა კი მისკენ გაუბედავად გაინია.

- მაპატიეთ, ენი, - თქვა მან, - საშინელებაა, რომ ეს გავიფიქრე...

- მე... - ქალი შეყოყმანდა, შემდეგ კი ვედრებით შეხედა პოლკოვნიკ მელჩეტს, - მართალია, რაც დოქტორმა პეიდოკმა მითხრა?

- რომ მისტერ რედინგი ეჭვმიტანილი აღარაა? დიახ. თქვენ რას იტყვით, მისის პროტერო? რატომ შეგვიყვანეთ შეცდომაში?

მისის პროტერომ დარცხვენით გაიღიმა.

- თქვენ, ალბათ, მიგაჩნიათ, რომ საშინლად ვიქცეოდი, არა?

- უფრო სწორად, ფრიად არაგონივრულად. მაგრამ ეს წარსულს ჩაჰბარდა. ახლა კი სიმართლის მოსმენა მსურს, მისის პროტერო, მხოლოდ სიმართლის.

ქალმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- ყველაფერს გეტყვით, თუმცა, ვფიქრობ, ისედაც ბევრი რამ იცით.

- დიახ.

- იმ საღამოს, სახელოსნოში ლოურენსს - მისტერ რედინგს - უნდა შევხედროდი შვიდის თხუთმეტ წუთზე. სოფელში ქმართან ერთად გავემგზავრე. რალაც უნდა მეყიდა. როდესაც ერთმანეთს დავშორდით, გაკვრით მითხრა, რომ ვიკარიუსთან აპირებდა შევლას. ლოურენსის გაფრთხილებას ველარ მოვასწრებდი, რაც ძალიან მალეღებდა. როგორ უნდა შევხედროდი მას ბალში, თუ ჩემი ქმარი იქ იქნებოდა? ეს დიდ უხერხულობას მიქმნიდა.

იგი განითლდა. ეს ნამდვილად არასასიამოვნო მომენტი იყო მისთვის.

- გავიფიქრე, რომ მეუღლე მისტერ კლემენტთან დიდხანს არ დაყოვნდებოდა. ამის დადგენა გადავწყვიტე და ორლობით უკანა კუტიკართან მოვხვდი, იქიდან კი - ბალში. მეგონა, ვერავინ შემამჩნევდა, მაგრამ მის მარპლი თავის

ბალში აღმოჩნდა. მან დამიძახა და ცოტა ხანს ვილაპარაკეთ. შემდეგ ვუთხარი, რომ ქმრისთვის უნდა შემეველო. რალაც ხომ უნდა მეთქვა? არ ვიცი, დამიჯერა თუ არა – უცნაურად კი იყურებოდა. როდესაც დავემშვიდობე, პირდაპირ სახლისკენ გავემართე, კუთხეში შევუხვით და კაბინეტის ფანჯარას მივუახლოვდი. ჩუმად მივეპარე, მეგონა, რომ ლაპარაკს გავიგონებდი, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, იქ არავინ იყო. შიგნით შევიჭყიტე. ოთახში ვერავინ დავლანდე. მდელოს გავლით, მაშინვე სახელოსნოსკენ გავიქეცი. ლოურენსიც ფეხდაფეხ მომყვა.

– მისის პროტერო, თქვენ ამბობთ, რომ ოთახი ცარიელი იყო?

– დიახ, ჩემი ქმარი იქ არ იმყოფებოდა.

– საოცარია.

– იმის თქმა გსურთ, რომ იგი არ დაგინახავთ? – ჰკითხა ინსპექტორმა.

– არა, არ დამინახავს.

ინსპექტორმა სლექმა მთავარ კონსტებლს რალაც გადაუჩურჩულა. მან თავი დააქნია.

– იქნებ გვაჩვენოთ, მისის პროტერო, ეს როგორ მოხდა?

– რა თქმა უნდა.

იგი წამოდგა. ინსპექტორმა სლექმა ფანჯარა გააღო. ქალი ტერასაზე გავიდა და სახლს მარცხნიდან შემოუარა.

ინსპექტორმა სლექმა ენერგიულად მანიშნა, რომ სანერ მაგიდას მივჯდომოდი.

რატომღაც, თავი უხერხულად ვიგრძენი, მაგრამ ბრძანებას დავემორჩილე და მაგიდას მივუჯექი.

მალე გარედან ნაბიჯების ხმა გაისმა, წუთით აღარ ისმოდა, შემდეგ კი თანდათან მიწყდა. ინსპექტორმა სლექმა მანიშნა, რომ კვლავ ოთახის მეორე მხარეს გადავსულიყავი. მისის პროტერო კაბინეტში დაბრუნდა.

– ყველაფერი ზუსტად გაიმეორეთ? – ჰკითხა პოლკოვნიკმა მელჩეტმა.

– ვფიქრობ, კი.

- მაშინ გვითხარით, მისის პროტერო, სად იყო ვიკარიუსი, როცა შემოიხედეთ?

- ვიკარიუსი? ვშიშობ, ვერ შევამჩნიე. იგი არ დამინახავს.

ინსპექტორმა სლექმა თავი დააქნია.

- სწორედ ასე ვერ დაინახეთ თქვენი ქმარი. იგი სანერ მაგიდასთან იჯდა.

- ოჰ! - ქალი გაჩუმდა, შემდეგ კი შიშისგან თვალები გაუფართოვდა, - ის აქ არ იყო... მაგრამ...

- დიახ, მისის პროტერო. ეს მაშინ მოხდა, როდესაც იგი სანერ მაგიდასთან იჯდა.

- ოჰ! - ქალს გააფრუოლა.

ინსპექტორმა დაკითხვა განაგრძო.

- მისის პროტერო, იცოდით თუ არა, რომ მისტერ რედინგს პისტოლეტი ჰქონდა?

- დიახ. ამის შესახებ ერთხელ თვითონ მითხრა.

- თუ გჭერიათ ხელში ის პისტოლეტი?

ქალმა უარყოფის ნიშნად თავი გადააქნია და თქვა:

- არა.

- ის თუ იცოდით, სად ინახავდა?

- დარწმუნებული არ ვარ. თუმცა არა, მგონი ნიგნების კარადაში, თაროზე მოვკარი თვალი. იქ იყო, არა, ლოურენს?

- უკანასკნელად როდის იყავით კოტეჯში, მისის პროტერო?

- ოჰ! დაახლოებით სამი კვირის წინ. მე და ჩემს ქმარს იქ ჩაით გაგვიმასპინძლდნენ.

- მას შემდეგ აღარ შეგივლიათ?

- არა. იქ არასდროს ვყოფილვარ. ასე რომ მოვქცეულიყავი, სოფელში მითქმა-მოთქმა ატყდებოდა. .

- ეჭვი არ მეპარება, - ცივად თქვა პოლკოვნიკმა მელჩეტმა, - იქნებ გვითხრათ, სად ხვდებოდით ხოლმე მისტერ რედინგს?

- იგი ჩვენს სახლში მოდიოდა. ლეტიციას ხატავდა. ამის შემდეგ ერთმანეთს ტყეში ვხვდებოდით.

პოლკოვნიკმა მელჩეტმა თავი დააქნია.

– იქნებ, საკმარისია? – მოულოდნელად ყრუდ ჩაილაპარაკა ქალმა, – საშინელებაა თქვენთან ამ თემაზე საუბარი. თანაც... ცუდი არაფერი გაგვიკეთებია. სულ არაფერი. ჩვენ მეგობრები ვიყავით. მაგრამ ერთმანეთი შეგვიყვარდა.

მან ვედრებით გახედა დოქტორ ჰეიდოკს. ამ გულკეთილმა კაცმა ნაბიჯი წინ გადადგა და ჩაილაპარაკა:

– ჩემი აზრით, მელჩეტ, საკმარისია მისის პროტეროს დაკითხვა. მან ისედაც ბევრი გადაიტანა.

მთავარმა კონსტებლმა თავი დააქნია.

– მეტი შეკითხვა ისედაც არ მაქვს თქვენთან, მისის პროტერო, – თქვა მან, – გმადლობ გულწრფელი პასუხებისთვის.

– მაშასადამე... შემძლია, ნავიდე?

– თქვენი მეუღლე შინ არის? – მკითხა ჰეიდოკმა, – ვფიქრობ, მისის პროტეროს მისი ნახვა უნდა.

– დიახ, – მივუგე მე, – გრიზელდა შინაა. სასტუმრო ოთახში იქნება.

ჰეიდოკი და მისის პროტერო ერთად გავიდნენ ოთახიდან. მათ ლოურენს რედინგიც მიჰყვა.

ტუჩებმოკუმული პოლკოვნიკი მელჩეტი ხელში ქალაღდის საჭრელ დანას ათამაშებდა. სლეკი წერილს დასცქეროდა. დრო ვიხელთე და მათ მის მარპლის თეორია გავაცანი. სლეკი კიდევ უფრო ჩაუღრმავდა ბარათს.

– ღმერთმანი, ის მოხუცი ქალბატონი მართალი უნდა იყოს, – თქვა მან, – შეხედეთ, სერ. ხედავთ? ეს ციფრები სხვადასხვანაირი მელნითაა დანერილი. მინამ ჩამიტანოს, თუ ეს ავტოკალამი არ იყოს!

ყველანი ავლელდით.

– თქვენ, ალბათ გამოიკვლიეთ ბარათზე არსებული თითის ანაბეჭდები, არა? – იკითხა მთავარმა კონსტებლმა.

– რა თქმა უნდა, პოლკოვნიკო, და ვერაფერი აღმოვაჩინეთ. პისტოლეტზე მხოლოდ ლოურენს რედინგის ანაბეჭდებია. იქნებ ზედ სხვისიც იყო, სანამ მან მისი ჯიბეში

ჩადება და ნალება არ გადანყვიტა. ახლა კი აღარაფერი მოჩანს.

– თავდაპირველად ყველაფერი მისის პროტეროს წინააღმდეგ იყო მიმართული, – ჩაფიქრებით წარმოთქვა პოლკოვნიკმა, – მისი საქმე რედინგისაზე უფრო სერიოზულია. მართალია, მის მარპლი ამბობს, რომ მას პისტოლეტი არ ჰქონდა, მაგრამ ხანში შესული ქალბატონები ხშირად ცდებიან.

არაფერი მითქვამს, თუმცა გუნებაში არ დავეთანხმე. რახან მის მარპლი ამბობდა, დარწმუნებული ვიყავი, მისის პროტეროს პისტოლეტი თან არ ჰქონდა. მის მარპლი იმ ხანში შესული ქალბატონების ტიპს არ მიეკუთვნებოდა, რომლებიც ცდებიან. იგი, საკუთარი ზებუნებრივი ნიჭის წყალობით, ყოველთვის მართალი იყო.

– ვერ გამიგია, რატომ ვერავინ გაიგონა გასროლა. თუ გაისროლეს, ვილაცას მაინც უნდა გაეგონა, მიუხედავად იმისა, თუ საიდან გაისმა. სლექ, გირჩევთ მოსამსახურე დაჰკითხოთ.

ინსპექტორი სლექი მაშინვე კარისკენ გაემართა.

– თქვენს ადგილზე, არ ვკითხავდი, გაიგონა თუ არა გასროლა სახლში, – ვთქვი მე, – თორემ „არას“ გიპასუხებთ. „ტყეში გასროლა“ უხსენეთ. მხოლოდ ასე თუ აღიარებს, რომ სროლის ხმა მოესმა.

– მშვენივრად ვიცი, როგორც უნდა ვათქმევინო, – მიპასუხა ინსპექტორმა სლექმა და ოთახიდან გავიდა.

– მის მარპლი ამბობს, რომ სროლის ხმა მოგვიანებით მოესმა, – თქვა პოლკოვნიკმა მელჩეტმა ჩაფიქრებული სახით, – უნდა გავარკვიოთ, ხომ არ შეუძლია მას დროის დაზუსტება. ცხადია, შესაძლოა, ეს შემთხვევითი გასროლა იყო, რომელსაც საქმესთან კავშირი არ აქვს.

– სავსებით შესაძლებელია, – დავეთანხმე მე.

პოლკოვნიკმა ოთახში რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა.

– იცით, კლემენტ, – მითხრა მოულოდნელად, – ვგრძნობ, რომ ეს გაცილებით ჩახლართული და რთული საქმეა, ვიდ-



რე ჩვენ გვგონია. დალახვროს ეშმაკმა, აქ რალაც იმალება, – მან ჩაიფრუტუნა, – რალაც, რაც არ ვიცით. ყველაფერი ახლა იწყება, კლემენტ. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა, ჯერ ყველაფერი წინაა. ეს სამხილები – საათი, ბარათი, პისტოლეთი, – ცალ-ცალკე არსებობენ და ერთმანეთს ვერ უკავშირდებიან.

თავი დავუქნიე. ეს მართლა ასე იყო.

– მაგრამ მე მაინც გავერკვევი ყველაფერში. სკოტლენდიარდი არ გვჭირდება. სლეკი ჭკვიანი კაცია, ძალიან ჭკვიანი. იგი ქრცვინსა<sup>1</sup> ჰგავს. მალე იყნოსებს, საიდან უბერავს სიმართლის ნიავი. მან უკვე ამოხსნა რამდენიმე რთული საქმე, ეს კი მას სახელს გაუთქვამს. სხვა, ჩემს ადგილას, საქმეს სკოტლენდიარდს გადასცემდა. ოლონდ მე ასე არ მოვიქცევი. ჩვენ თვითონ გავერკვევით აქ, დაუნშაირში.

– ეჭვიც არ მეპარება, – მხარი ავუბი მე.

შევეცადე, ეს სიტყვები, შეძლებისდაგვარად, ენერგიულად წარმომეთქვა, მაგრამ ინსპექტორ სლეკის მიმართ ისეთი ანტიპათია ვიგრძენი, რომ მისი შესაძლო წარმატება სულაც არ მეხატებოდა გულზე. ჩემი აზრით, წარმატებული სლეკი გაოგნებულზე გაცილებით საზიზღარი სანახავი იქნებოდა.

– მეზობლად ვინ ცხოვრობს? – იკითხა მოულოდნელად პოლკოვნიკმა.

– გზის ბოლოს გულისხმობთ? მისის პრაის რიდლი.

– შევუაროთ, როდესაც სლეკი თქვენი მოსამსახურის დაკითხვას დაამთავრებს. შესაძლოა, მან მაინც გაიგონა რამე. შემთხვევით, ყურს ხომ არ აკლია, ან კიდევ რამე ხომ არ სჭირს?

– ჩემი აზრით, საუცხოო სმენა აქვს. ეს მის მიერ გავრცელებული ჭორების რაოდენობით დავასკვნენი, არადა, ირწმუნებოდა, რომ შემთხვევით მოჰკრა ყური.

– სწორედ ასეთი ქალი გვჭირდება. აჰა! აი, სლეკიც.

<sup>1</sup> ქრცვინი – კვერნისებრთა ოჯახის ძვირფასბუნვიანი ცხოველი.

ინსპექტორს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს სასტიკი ორ-  
თაბრძოლა გადახდენოდა თავს.

– უფ! – ამოისუნთქა მან, – ეს რა კაპასი მსახური გყო-  
ლიათ, სერ.

– მერის მებრძოლი ხასიათი აქვს, – მიუზღე მე.

– პოლიცია დასანახავად ეჯავრება, – თქვა სლეკმა, –  
გავაფრთხილე კიდევ, შევეცადე, რომ კანონის წინაშე ში-  
ში აღმეძრა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. სალ კლდესავით  
დამიხვდა.

– ენერგიული ქალიშვილია, – ვუთხარი მე და მერის მი-  
მართ კეთილგანწყობით განვიმსჭვალე.

– მაგრამ მაინც გამოვტეხე. მას ერთი გასროლა გაუგო-  
ნია. ეს პოლკოვნიკის მოსვლიდან დიდი ხნის შემდეგ მომხ-  
დარა. ზუსტი დრო ვერ ვათქმევინე, მაგრამ ბოლოს ეს თევ-  
ზის დახმარებით დავადგინეთ. თურმე თევზის მოტანა და-  
ავიანეს, რის გამოც მან გვარიანად დაუცაცხანა მომტან  
ბიჭს, რომელმაც თავი იმართლა, ჯერ შვიდის ნახევარს  
სულ ოდნავ გადასცდაო. სწორედ ამის შემდეგ გაუგონია  
გასროლა. ცხადია, სიზუსტეზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგ-  
რამ დაახლოებით ხომ ვიცით.

– ჰმ, – თქვა მელჩეტმა.

– არა მგონია, აქ მისის პროტეროს ხელი ერიოს, – სი-  
ნანულით წარმოთქვა სლეკმა, – იგი, უბრალოდ, ვერ მოას-  
წრებდა. თანაც ქალებს ცეცხლსასროლ იარაღთან საქმის  
დაჭერა არ უყვართ. დარიშხანი ურჩევნიათ. არა, ის ვერ გა-  
აკეთებდა. სამწუხაროა!

სლეკმა ამოიოხრა.

მელჩეტმა მას აცნობა, რომ მისის პრაის რიდლისთან  
აპირებდა მისვლას. სლეკმა გადანყვეტილება მოუწონა.

– შეიძლება, თქვენთან ერთად წამოვიდე? – ვიკითხე მე,  
– საქმე სულ უფრო საინტერესო ხდება.

თანხმობა მივიღე და სამივენი ერთად წავედით, მაგრამ  
ჭიშკრიდან გასვლა ვერ მოვასწარი, რომ ვილაცამ დაგვი-  
ძახა – სოფლის მხრიდან ჩვენკენ ჩემი დისშვილი, დენისი  
მორბოდა კისრისტეხით.

- მომისმინეთ, - უთხრა მან ინსპექტორს, - იმ კვალის შესახებ თუ გაარკვეით რამე, მე რომ განახვეთ?

- მებაღისაა, - ლაკონიურად უპასუხა სლეკმა.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ ვიღაცამ მებაღის ჩექმები ჩაიცივა?

- არა, არ ვფიქრობ, - ცივად მიუგო სლეკმა.

ეს პასუხი ყველას დაუკარგავდა ლაპარაკის ხალისს, ოღონდ არა დენისს. იგი სხვა ცომისგან იყო მოზეულილი. მან ორი დამწვარი ასანთის ღერი დაგვანახვა.

- აი, ჭიშკართან ვიპოვე.

- გმადლობ, - თქვა სლეკმა და ასანთის ღერები ჯიბეში ჩაიდო.

საუბარი თითქოს ჩიხში შევიდა.

- ბიძია ლენის დაპატიმრება არ გიფიქრიათ, ხომ? - ხუმრობით იკითხა დენისმა.

- რატომ უნდა გვეფიქრა? - მიუგო სლეკმა.

- მის წინააღმდეგ ბევრი სამხილია, - განაცხადა დენისმა, - შეგიძლიათ, მერის ჰკითხოთ. მკვლელობის წინააღმდეგ პოლკოვნიკს საიქიოში წასვლა უსურვა. გახსოვთ, ბიძია ლენ?

- მ-მ... - დავინწყე მე.

ინსპექტორმა სლეკმა ეჭვიანი მზერა მომაპყრო. უეცრად ვიგრძენი, რომ დამცხა. დენისი ზოგჯერ ძალიან მომაბეზრებელია. ვეღარ დაიმახსოვრა, რომ პოლიციელთა უმრავლესობას იუმორის გრძნობა არ აქვს.

- სისულელეს ნუ ამბობ, დენის, - ვთქვი გაბრაზებულმა.

უმანკო ბავშვს გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა.

- მე ხომ გავიხუმრე, - თქვა მან, - ბიძია ლენმა თქვა, ვინც პოლკოვნიკ პროტეროს მოკლავს, მთელი ქვეყნის მადლს მოისხამსო.

- აჰა! - თქვა ინსპექტორმა სლეკმა, - ახლა გასაგებია, რას გულისხმობდა მოსამსახურე.

პოლიციელების მსგავსად, მსახურებსაც იშვიათად აქვთ იუმორის გრძნობა. გუნებაში დენისს გვარიანად

ვთათხავდი. ამ სიტყვებისა და საათის გამო ინსპექტორი სლეკი ცხოვრების ბოლომდე ამითვალწუნებდა. – ნავედით, კლემენტ, – მითხრა პოლკოვნიკმა მელჩეტმა.

– სად მიდიხართ? შეიძლება, თქვენთან ერთად წამოვიდე? – აწრიალდა დენისი.

– შენთვის არ შეიძლება, – შევუღრინე.

ჩვენ ნავედით, ის კი განაწყენებული დავტოვეთ. მალე მისის პრაის რიდლის სახლის კოხტა კარს მივადექით. ინსპექტორმა კაკუნი და რეკვა ატეხა, როგორც ეს კანონის დამცველს შეეფერება. გარეთ მშვენიერმა მოახლემ გამოიხედა.

– მისის პრაის რიდლი შინ არის? – იკითხა მელჩეტმა.

– არა, სერ, – გვითხრა მოახლემ, – ცოტა ხნის წინ იგი პოლიციის განყოფილებაში წაბრძანდა.

ამას წამდვილად არ ველოდით. როდესაც გამოვბრუნდით, მელჩეტმა იდაყვში ხელი მომკიდა და წამჩურჩულა:

– თუ მანაც საკუთარ თავზე აიღო ეს დანაშაული, საბოლოოდ შევიშლები.

### თავი XIII

მიჭირდა იმის დაჯერება, რომ მისის პრაის რიდლის ასეთი დრამატული ნაბიჯის გადადგმა ჰქონდა განზრახული, მაგრამ მაინც მაინტერესებდა, რატომ წავიდა იგი პოლიციის განყოფილებაში. შესაძლოა, მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჰქონდა, შესაძლოა, უბრალოდ, ასე ეჩვენებოდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ამას სულ მალე გავიგებდით.

როდესაც ადგილზე მივედით, დავინახეთ, რომ მისის პრაის რიდლი საოცარი სისწრაფით ელაპარაკებოდა დაბნეულ მორიგე კონსტებლს. მაშინვე მივხვდი, რომ რალაცას იგი უკიდურესად აღეშფოთებინა – მისი შლაპის თავზე ბანტი შეუჩერებლივ თრთოდა. ეს თავსაბურავი, როგორც ვიცოდი, „გათხოვილი ქალის ქუდის“ სახელით იყო ცნობი-

ლი და მეზობელ ქალაქ მაჩ-ბენჰემში მზადდებოდა. შლა-  
პა მოხდენილად ინარჩუნებდა ნონასწორობას აფუებულ  
თმაზე, თუმცა ოდნავ გადატვირთული იყო პომპეზური  
აბრეშუმის ბაფთებით. როდესაც გრიზელდას ჩემი შეშინე-  
ბა სურს, იგი სწორედ „გათხოვილი ქალის ქუდის“ ყიდვით  
მემუქრება.

ჩვენი შესვლისთანავე მისის პრაის რიდლიმ სიტყვების  
ნიაღვარი შეაჩერა.

– მისის პრაის რიდლი? – მიმართა პოლკოვნიკმა მელ-  
ჩეტმა და ქუდთან ხელი მიიტანა.

– ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ პოლკოვნიკი მელჩე-  
ტი, მისის პრაის რიდლი, – ვთქვი მე, – იგი ჩვენი საგრაფოს  
მთავარი კონსტებლია.

მისის პრაის რიდლიმ ცივად შემათვალისწინა, პოლკოვ-  
ნიკისთვის კი ღიმილის მსგავსი გაიმეტა.

– ახლახან თქვენთან ვიყავით, მისის პრაის რიდლი, –  
უთხრა პოლკოვნიკმა, – და შევიტყვეთ, რომ აქ ჩვენზე ად-  
რე მობრძანებულხართ.

მისის პრაის რიდლი საბოლოოდ გალღვა.

– აჰა! მიხარია, რომ ამ შემთხვევამ, როგორც იქნა, მიიქ-  
ცია თქვენი ყურადღება, – განაცხადა მან, – ამას უმსგავ-  
სობა ჰქვია. ნამდვილი უმსგავსობა.

რა თქმა უნდა, მკვლელობა ძალზე სამწუხარო შემთხ-  
ვევაა, მაგრამ ამას უმსგავსობას არ ვუნოდებდი. როგორც  
შევატყვე, ამ ტერმინმა პოლკოვნიკ მელჩეტსაც ყური მოს-  
ჭრა.

– რამეს ხომ არ გვეტყოდით საქმესთან დაკავშირებით?  
– იკითხა მან.

– თვითონაც კარგად გეცოდინებათ. ეს პოლიციის მო-  
ვალეობაა. ნეტავ რისთვის ვიხდით ამდენ გადასახადს?

ვინ მოთვლის, წელიწადში რამდენჯერ გაისმის ეს შე-  
კითხვა!

– ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია, მისის პრაის  
რიდლი, – თქვა მთავარმა კონსტებლმა.



– მაგრამ თქვენმა თანამშრომელმა არაფერი იცოდა ამის შესახებ, სანამ მე არ ვუთხარი! – შესძახა ქალბატონმა.

ყველანი კონსტებლს მივაჩერდით.

– ქალბატონს ტელეფონით დაუკავშირდნენ, – თქვა მან, – და შეურაცხყვეს. როგორც მივხვდი, უცენზურო სიტყვებით.

– აჰა! გასაგებია, – პოლკოვნიკს სახე გაუნათდა, – ჩვენ ხომ განსხვავებულ თემებზე ვსაუბრობდით. თქვენ აქ საჩივლელად მობრძანდით, არა?

მელჩეტი ბრძენი კაცია. იცის, რომ საშუალო ასაკის განრისხებულ ქალბატონთან ურთიერთობისას ერთადერთი გამოსავალი მისი ბოლომდე მოსმენაა. როდესაც იგი ყველაფერს იტყვის, რისი თქმაც სურდა, არსებობს შანსი, რომ თვითონაც შეუშვებს ყურში თქვენს ნათქვამს.

მისის პრაის რიდლიმ კვლავ გადმოუშვა სიტყვების ნიაღვარი.

– ასეთი უმსგავსობა არ უნდა ხდებოდეს. უნდა ალიკვეთოს. ადამიანს საკუთარ სახლში ურეკავენ და შეურაცხყოფენ... დიახ, შეურაცხყოფენ. ასეთი დამოკიდებულება ჩემთვის უცხოა. ომის შემდეგ მორალი სადღაც გაქრა. რასაც უნდათ – ლაპარაკობენ, რასაც უნდათ – იცვამენ...

– საკმარისია, – ჩაერთო პოლკოვნიკი მელჩეტი, – კონკრეტულად, რა მოხდა?

მისის პრაის რიდლიმ ღრმად ამოისუნთქა და თქვა:

– დამირეკეს...

– როდის?

– გუშინ, დღისით... უფრო ზუსტად, საღამოს. დაახლოებით შვიდის ნახევრისთვის. არაფერი მიეჭვია. როგორც კი ყურმილი ავიღე, მაშინვე მუხანათურად დამესხნენ თავს, დამემუქრნენ...

– კერძოდ, რა ითქვა?

მისის პრაის რიდლი ოდნავ ნამონითლდა.

– იმ სიტყვებს ვერ გავიმეორებ.

- უცენზურო სიტყვები, - ბოხი ხმით ჩაილაპარაკა კონსტებლმა.

- ქუჩური ენით გელაპარაკებოდნენ? - ჰკითხა პოლკოვნიკმა მელჩეტმა.

- გააჩნია, რას უწოდებთ ქუჩურ ენას.

- გაიგეთ, რაც გითხრეს? - ვკითხე მე.

- ცხადია, გავიგე.

- მაშასადამე, ქუჩური ენა არ გამოუყენებიათ, - განვაცხადე ავტორიტეტულად.

მისის პრაის რიდლიმ საეჭვოდ შემათვალისწინა.

- ბუნებრივია, რომ დახვეწილი ქალბატონი ბილნსიტყვაობას ვერ გაიგებდა, - ავხსენი ჩემი ნათქვამი.

- არა, ბილნსიტყვაობა არც ყოფილა, - თქვა მისის პრაის რიდლიმ, - უნდა ვაღიარო, რომ თავდაპირველად ანკესზე წამოვეგე: ჩვეულებრივი საუბარი მეგონა. შემდეგ კი... მ-მ... იმ პიროვნებამ შეურაცხმყო.

- შეურაცხგყოთ?

- დიახ, თანაც საშინლად. ძალიან შევშფოთდი.

- დაგემუქრნენ?

- დიახ. მუქარას ჩვეული არ ვარ.

- როგორ გემუქრებოდნენ? ფიზიკური ანგარიშსწორებით?

- ასე არ ვიტყვოდი.

- ვშიშობ, მისის პრაის რიდლი, უფრო გულახდილად უნდა გვითხრათ ყველაფერი. როგორ გემუქრებოდნენ?

მისის პრაის რიდლის აშკარად არ სურდა ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა.

- ზუსტად ვერ ვიხსენებ. ძალიან ვლელავდი. მაგრამ ბოლოს, როდესაც მოთმინება დავკარგე, იმ არამზადამ გადაიხარხარა.

- მამაკაცის ხმა იყო თუ ქალის?

- დეგენერატის, - ამაყად განაცხადა მისის პრაის რიდლიმ, - საზიზღარი ხმა ჰქონდა. ხან უხეში, ხან მწივანა. ძალიან თავისებური ხმა.

- ჩვეულებრივი გათამაშება იქნებოდა, - დაამშვიდა პოლკოვნიკმა.

- თუ ასეა, ბოროტი გათამაშება ყოფილა. კინალამ გული გამისკდა.

- გავარკვევთ, - თქვა პოლკოვნიკმა, - რას იტყვით, ინსპექტორო? შეამონმეთ, საიდან დარეკეს. მისის პრაის რიდლი, უფრო ზუსტად ხომ ვერ გვეტყვით, რა გითხრეს?

მისის პრაის რიდლი ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა. მის გულში თავშეკავება შურისძიებას ებრძოდა. ბოლოს შურისძიებამ გაიმარჯვა.

- იმედია, ეს ყველაფერი ჩვენ შორის დარჩება, - დაიწყო მან.

- რა თქმა უნდა!

- იმ არსებამ თქვა... არა მგონია, იმ სიტყვების გამეორება შევძლო...

- არა უშავს, არა უშავს, - გაამხნევა პოლკოვნიკმა მელჩეტმა.

- „თქვენ ბოროტი ჭორიკანა დედაბერი ხართ!“ ეს მე ვყოფილვარ, პოლკოვნიკო მელჩეტ, ბებერი ჭორიკანა! „ამჯერად ძალიან ღრმად შეტოპეთ. სკოტლენდიარდი ცილისნამებისთვის პასუხს მოგთხოვთ“.

- წარმომიდგენია, როგორ აღელდებოდით, - შენიშნა პოლკოვნიკმა მელჩეტმა, თან ლიმილის შესაკავებლად უღვაშებს იწინკნიდა.

- „თუ ენას კბილს არ დააჭერთ, ცუდად წაგივათ საქმე, ძალიან ცუდად“. ვერც კი გადმოგცემთ, როგორი მუქარით მითხრა ეს. ვინ ხართ-მეთქი, მხოლოდ ამის კითხვა მოვახერხე. „შურისმაძიებელი“, - მიპასუხა ხმამ. ეს ისე საშინლად გაისმა, შევკივლე კიდეც. შემდეგ კი მან გადაიხარხარა. დიახ, გადაიხარხარა! აშკარად. სულ ეს იყო. გავიგონე, როგორ დაკიდა ყურმილი. ცხადია, მაშინვე კომუტატორს დავუკავშირდი და ვიკითხე, თუ ვინ დარეკა. მიპასუხეს, რომ არ იცოდნენ. მოგეხსენებათ, როგორი ქალბატონები მუშაობენ იქ - საშინლად უხეში და გულქვა.

- დიახ, დიახ, - ვთქვი მე.

- ისეთი ღონემიხდილი ვიყავი, - განაგრძო მისის პრაის რიდლიმ, - ისე დანყვეტაზე მქონდა ნერვები, რომ, როდესაც ტყეში გასროლა გაისმა, გარნმუნებთ, ნახევარ მეტრზე მაინც შევხტი. ხომ წარმოგიდგენიათ!

- გასროლა ტყეში? - გაფაციცდა ინსპექტორი სლეკი.

- ისეთ მანძილზე ვიდექი, მეგონა, რომ ქვემეხიდან გაისროლეს. ერთი კი შევყვირე და ძალაგამოცლილი სოფაზე დავეცი. კლარამ კი პატარა ჭიქით შავქლიავის ნაყენი მომირბენინა.

- საშინელებაა, - თქვა მელჩეტმა, - საშინელება. მძიმე გამოცდა გერგოთ ნილად. ასე თქვით, ძალიან ხმამაღალი გასროლაო, არა? თითქოს ახლოს ისროდნენ?

- საშინლად განერვიულებულს ასე მომეჩვენა.

- ცხადია, ცხადია. ეს რომელ საათზე მოხდა? ეს იმის გასარკვევად დაგვჭირდება, თუ ვინ დარეკა.

- დაახლოებით შვიდის ნახევარზე.

- უფრო ზუსტად ვერ გვეტყოდით?

- ბუხრის თავზე შემოდგმულმა პატარა საათმა ნახევარი საათის აღსანიშნავად დარეკა. გამიელვა კიდეც თავში, ისევ წინ წასულა-მეთქი. ჩემს მაჯის საათს შევადარე - შვიდის ათ წუთს უჩვენებდა, მაგრამ, როდესაც ყურთან მივიტანე, გაჩერებული აღმოჩნდა. გავიფიქრე, თუ ეს საათი წინ არის, ორიოდ წუთში ეკლესიის სამრეკლოდან ზარების რეკვა უნდა გაისმას-მეთქი. მაგრამ სწორედ ამ დროს ტელეფონმა დარეკა და ეს აღარ გამხსენებია.

ქალი გაჩუმდა და სული მოითქვა.

- ვფიქრობ, ყველაფერი საკმაოდ ზუსტად აგვინერეთ, - თქვა პოლკოვნიკმა მელჩეტმა, - ჩვენ ყველაფერს გავარკვევთ თქვენთვის, მისის პრაის რიდლი.

- ჩათვალეთ, რომ ეს სულელური ხუმრობა იყო და აღარ ინერვიულოთ, მისის პრაის რიდლი, - დავამატე მე.

მან ცივად შემომხედა. მივხვდი, რომ ერთგირვანქიან კუპიურასთან დაკავშირებული შემთხვევა ჯერაც ვერ მოენელებინა.

- ძალიან უცნაური ამბები კი ხდება ჩვენს სოფელში ამ ბოლო დროს, - მიმართა მისის პრაის რიდლიმ მელჩეტს, - საოცარი ამბები. პოლკოვნიკი პროტერო აპირებდა, მათთვის მიეხედა, და ხომ ხედავთ, რა დამართეს საბრალოს? იქნებ ახლა ჩემი ჯერი დადგა?

იგი თავის უკმაყოფილო ქნევით წავიდა.

- მაგის ბედი ვინ მოგვცა, - ჩაიბურტყუნა პოლკოვნიკმა მელჩეტმა და ინსპექტორ სლეკს კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო.

ამ ღირსეულმა მუშაკმა თავი ნელა დაუქნია და თქვა:

- ყველაფერი ემთხვევა, სერ. გასროლა სამმა ადამიანმა გაიგონა. მხოლოდ მსროლელის ვინაობაა დასადგენი. მისტერ რედინგთან დაკავშირებულმა გაუგებრობამ გვარიანად შეგვაფერხა, მაგრამ რამდენიმე ამოსავალი წერტილი მაინც გვაქვს. სანამ მისტერ რედინგი დამნაშავე მეგონა, მათ არ მივყვებოდით. ახლა სხვა ვითარებაა. პირველ რიგში ტელეფონის ზარს მივხედავ.

- მისის პრაის რიდლისთან განხორციელებულ ზარს? ინსპექტორს გაეცინა.

- არა, თუმცა, არც ის უნდა დავივიწყოთ, თორემ ეს მოხუცები არ მოგვასვენებენ. მე იმ ცრუ შეტყობინებას ვგულისხმობ, რომლითაც ვიკარიუსი გამოიძახეს.

- დიახ, - თქვა მელჩეტმა, - ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

- შემდეგ კი გავარკვევთ, რას აკეთებდა თითოეული მათგანი ექვსიდან შვიდ საათამდე. იმის თქმა მსურს, რომ ყველას გამოვკითხავთ ოულდჰოლში. იმავეს გაკეთება სოფელშიც მოგვინევს.

მე გაკვირვება ვერ დავმალე:

- საოცრად ენერგიული ხართ, ინსპექტორო სლეკ.

- ჩემთვის უმთავრესი მუშაობაა. რადგან აქ ბრძანდებით, ბარემ თქვენით დავიწყოთ, მისტერ კლემენტ.

- სიამოვნებით. ტელეფონმა დაახლოებით ექვსის ნახევრისთვის დარეკა.

- მამაკაცის ხმა იყო თუ ქალის?



- ქალის. ყოველ შემთხვევაში, ასე მომეჩვენა. თუმცა, ცხადია, დარწმუნებული ვიყავი, რომ მისის ებოტი მელაპარაკებოდა.

- მაგრამ თქვენ იგი ვერ იცანით, არა?

- ამას ასე ხელალებით ვერ დავადასტურებ. სიმართლე გითხრათ, ხმისთვის ყურადღება არც მიმიქცევია. ამაზე არ დავფიქრებულვარ.

- მაშინვე ნახვედით? ფეხით? ველოსიპედი არ გაქვთ?

- არა.

- გასაგებია. ფეხით ნახვედით. ამან რა დრო ნაილო?

- რა გზაც უნდა აირჩიოთ, ფერმამდე თითქმის ორი მილია.

- მაგრამ ოულდჰოლი ტყით მაინც უფრო ახლოა, არა?

- დიახ. მაგრამ ცუდი გზაა. მე მინდვრებში გამავალ ბილიკს გავუყევი. უკანაც იმავე გზით ნამოვედი.

- სწორედ იმით, რომელიც თქვენი ბალის კუტიკართან მოდის?

- დიახ.

- მისის კლემენტი?

- ჩემი ცოლი ლონდონში იყო. მატარებლით ექვს საათსა და ორმოცდაათ წუთზე დაბრუნდა.

- სწორია. იგი მოსამსახურემ დაინახა. კარგი, თქვენს სახლთან დაკავშირებით ყველაფერი ცხადია. ახლა ოულდჰოლში აჯობებს ნასვლა. შემდეგ კი მისის ლესტრენჯის დაკითხვას ვაპირებ. იგი პროტეროს მკვლელობის წინააღმდეგ ეწვია. აქ რაღაც არ მომწონს. ამ საქმეში ბევრი უცნაურობაა.

დავეთანხმე.

საათს შევხედე და დავინახე, რომ ლანჩის დრო მოსულიყო. მელჩეტი სუფრასთან მივიწვიე, მაგრამ მან თავი იმით დაიძვრინა, რომ აუცილებლად უნდა შეველო „ცისფერ ტახში“. იქ გემრიელად აჭმევდნენ – ყოველთვის ჰქონდათ შემწვარი ხორციცა და ბოსტნეულის გარნირიც. გავიფიქრე, რომ სწორი არჩევანი გააკეთა – პოლიციასთან საუბრის შემდეგ მერი კარგ ხასიათზე ნამდვილად არ იქნებოდა.

## თავი XIV

შინისკენ მიმავალი მის ჰარტნელს შევეჩიხე, რომელმაც ათი წუთით მაინც შემაყოვნა, თან ბოხი ხმით მიზიარებდა თავის უკმაყოფილებას ლარიბების ბედოვლათობისა და უმადურობის შესახებ. როგორც მივხვდი, მთავარი ის იყო, რომ ლარიბები მის ჰარტნელთან შეხვედრას გაურბოდნენ და მას არც სახლში უშვებდნენ. გულში მათ აშკარად თანავუგრძნობდი, თუმცა ჩემი საზოგადოებრივი მდგომარეობა უფლებას არ მაძლევდა, რომ სიმპათია თუ ანტიპათია მათსავით ღიად გამომეხატა.

რაც შემეძლო, დავამშვიდე და გაქცევით ვუშველე თავს.

შინისკენ მიმავალს ქუჩის კუთხეში ჰეიდოკმა გადამისწრო მანქანით.

– მისის პროტერო ახლახან სახლამდე მივიყვანე, – გამომძახა მან.

ცოტა ხნის შემდეგ დავინახე, რომ იგი თავისი სახლის ჭიშკართან მელოდებოდა.

– ერთი წუთით შემობრძანდით, – მთხოვა მან.

ასეც მოვიქეცი.

– განსაცვიფრებელი საქმეა, – თქვა მან, შლაპა სკამზე დააგდო და მისალების კარი შეაღო.

იქ იგი გაცვეთილ ტყავის სავარძელში ჩაჯდა და სივრცეს გაუშტერა თვალი. დაღლილი და გაოგნებული სახე ჰქონდა.

შევატყობინე, რომ გასროლის დროის დადგენა მოვახერხეთ. უგულისყუროდ მისმენდა.

– ეს საბოლოოდ გამორიცხავს ენი პროტეროს დანაშაულს, – თქვა მან. – მიხარია, რომ ეს ორნი უდანაშაულონი აღმოჩნდნენ. რომ არ დაგიმალოთ, ორივე მათგანი მესიმპათიურება.

მჯეროდა მისი, მაგრამ ერთი რამ ვერ გამეგო: თუ ისინი, როგორც თვითონ ამბობდა, ესიმპათიურებოდა, რატომ იყო ასეთ საძაგელ ხასიათზე მას შემდეგ, რაც მათი უდანა-

შაულობის შესახებ შეიტყო? დღეს დილით ხომ იმ ადამიანს  
ჰგავდა, რომელიც მძიმე ტვირთისგან გათავისუფლდა, ახ-  
ლა კი შენუხებული და დათრგუნვილი ჩანდა.

მიუხედავად ამისა, ვიცოდი, რომ სიმართლეს ამბობდა.  
მას ენი პროტეროც მოსწონდა და ლოურენს რედინგიც.  
მაშ, რატომ ჰქონდა ასეთი პირქუში გამომეტყველება? მან  
თავს ძალა დაატანა, წამოდგა და მითხრა:

– ჰოუზთან დაკავშირებით მსურდა თქვენთან ლაპარა-  
კი, ამ ალიაქოთში სულ გადამავიწყდა.

– რამე სერიოზული სჭირს?

– განსაკუთრებით საშიში არაფერი. გეცოდინებათ, რომ  
მან ენცეფალიტი<sup>1</sup> გადაიტანა, ანუ ძილის ავადმყოფობა,  
როგორც ახლა ეძახიან.

– არა, – ვუპასუხე უსაზღვროდ გაოცებულმა, – პირვე-  
ლად მესმის, მას არასდროს უთქვამს ჩემთვის ამის შესა-  
ხებ. ეგ როდის მოხდა?

– დაახლოებით ერთი წლის წინ. იგი გამოჯანმრთელ-  
და, რამდენადაც ეს შესაძლებელია ამ დაავადების დროს.  
უცნაური ავადმყოფობაა – ძალიან დიდ მორალურ ზემოქ-  
მედებას ახდენს. შესაძლოა, ადამიანს ხასიათი სრულიად  
შეუცვალოს.

დოქტორი ჰეიდოკი ერთი-ორი წუთით გაჩუმდა, შემდეგ  
კი განაგრძო:

– ჩვენ ახლა შეძრწუნებული ვფიქრობთ წარსულზე,  
როდესაც აღქაჯებს კოცონზე წვავდნენ. დარწმუნებული  
ვარ, დადგება დღე, როდესაც იმის გაფიქრებაც კი შეგვზა-  
რავს, რომ ოდესღაც დამნაშავეებს ჩამოხრჩობას ვუსჯი-  
დით და განაჩენი სისრულეში მოგვყავდა.

– თქვენი აზრით, სასჯელის უმაღლესი ზომა არ უნდა  
არსებობდეს?

– მთავარი ეგ როდია, – იგი დადუმდა, – იცით, – ნელა  
წარმოთქვა მან, – რომ ჩემი პროფესია მირჩევნია თქვენ-  
სას?

---

<sup>1</sup> ენცეფალიტი – თავის ტვინის ანთება.

- რატომ?

- იმიტომ, რომ თქვენ ძალზე ხშირად გინევთ მტყუან-მართლის განსჯა, მე კი დარწმუნებული არ ვარ, რომ ასე უნდა ხდებოდეს. როგორ მოვიქცეთ, თუ ეს მთლიანად შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებზეა დამოკიდებული? ერთი ჯირკვლის მძლავრად განვითარება, მეორისა კი - სუსტად, და თქვენ წინაშეა მკვლელი, ქურდი, ჩვეულებრივი დამნაშავე. მჯერა, კლემენტ, ის დროც დადგება, როდესაც შეძრწუნებითა და ზიზღით გავიხსენებთ იმ საუკუნეებს, დანაშაულისთვის ეგრეთ წოდებული, სამართლიანი სასჯელის მისჯით რომ ვტკბებოდით; მივხვდებით, რომ საცოდავ ავადმყოფებს ამ სენთან ვერგამკლავების გულისთვის ვსჯიდით. ხომ არ ვსჯით სიკვდილით ტუბერკულოზით დაავადებულს?

- იგი საზოგადოებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

- გარკვეულწილად, წარმოადგენს. მას სხვების დასნებოვნება შეუძლია. ან იმ ადამიანზე ვთქვათ, რომელსაც თავი ჩინეთის იმპერატორი ჰგონია. თქვენ ხომ მას ბოროტ განზრახვაში არ დაადანაშაულებთ. გეთანხმებით, რომ საზოგადოებას დაცვა სჭირდება. მოათავსეთ ისინი იქ, სადაც ვერავის ავნებენ, თუნდაც უმტკივნეულოდ გაისტუმრეთ იმ ქვეყნად, - დიახ, მზად ვარ, ასეთ უკიდურეს ზომასაც დავეთანხმო, - ოლონდ, ნუ უწოდებთ ამას სასჯელს. ნუ არცხვენთ მათაც და მათ უდანაშაულო ოჯახებსაც.

ცნობისმოყვარეობით შევცქეროდი.

- უნინ მსგავსი სიტყვები თქვენგან არასდროს გამიგონია.

- საკუთარი აზრების საჯაროდ გამომზეურება არ მჩვევია. დღეს კი აფრები ავუშვი. გონიერი კაცი ხართ, კლემენტ, რასაც ყველა მღვდელმსახურზე ვერ ვიტყვით. ცხადია, არ დამეთანხმებით, რომ ისეთი ცნება, როგორიც „ცოდვაა“, საერთოდ არ უნდა არსებობდეს, თუმცა თქვენი ფართო თვალთახედვა და შემწყნარებლობა მაფიქრებინებს, რომ ამგვარ აზრს ხელალებით არ უარყოფთ.

- ეს საყოველთაოდ აღიარებული მსოფლმხედველობის საფუძვლებს უთხრის ძირს, - ვთქვი მე.

- სხვაგვარად არ გამოვა - ჩვენ ხომ ძალზე ვინრო თვალთახედვითა და თვითკმაყოფილებით ვმსჯელობთ საკითხებზე, რომლისაც არაფერი გაგვეგება. გულწრფელად მჯერა - დამნაშავეს ექიმი სჭირდება და არა პოლიციელი და მღვდელი. მნამს, რომ მომავალში დანაშაული საერთოდ აღარ იარსებებს.

- შეძლებდით მათ განკურნებას?

- ჩვენ განკურნავდით მათ. რა საოცარი აზრია. ოდესმე დანაშაულის სტატისტიკით თუ დაინტერესებულხართ? არა? ეს ბევრს არ აინტერესებს. თუმცა მე შევისწავლე. გააცუბდათ არასრულწლოვან დამნაშავეთა რაოდენობა - ეს კვლავ ჯირკვლებია, ხომ გესმით. ნორჩი ნილი, ოქსფორდშიორელი მკვლელი - ხუთი პატარა გოგონა მოკლა, სანამ მასზე ეჭვს აიღებდნენ და დაიჭერდნენ. კარგი ბიჭი იყო, მანამდე ცუდი არაფერი ჩაუდენია. ლილი როუზი, კორნუოლელი გოგონა - თავისი ბიძა სიცოცხლეს იმიტომ გამოასალმა, რომ ბევრი ტკბილეულის ჭამას უკრძალავდა; მძინარე კაცს თავში ნახშირის სამტვრევი ჩაქუჩი ჩაარტყა. იგი შინ გაგზავნეს, ორი კვირის შემდეგ კი უფროსი და რალაც ნვრილმანის გამო მოკლა. ცხადია, ისინი სიკვდილით არ დაუსჯიათ - გამოსასწორებელ დაწესებულებაში გადაიყვანეს. შესაძლოა, გამოსწორდნენ, შესაძლოა - არა. თუმცა გოგონა ძალიან მაეჭვებს, მას ხომ მხოლოდ ერთი რამ აინტერესებს - უყუროს, თუ როგორ კლავენ ღორებს. იცით, რომელ ასაკზე მოდის ყველაზე მეტი თვითმკვლელობა? თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ბავშვებზე. თვითმკვლელობიდან მკვლელობამდე კი არცთუ დიდი მანძილია. მაგრამ ეს მორალური პრობლემაა და არა ფიზიკური.

- რა საშინელებაა!

- არა, უბრალოდ, სიახლეა თქვენთვის. ახალ ჭეშმარიტებას, ახალ იდეებს უნდა გაუსწოროთ თვალი. ეს კი, ზოგჯერ ცხოვრებას ართულებს.



იგი შუბლშეჭმუხნილი იჯდა. სახეზე უცნაური დალლი-  
ლობა აღბეჭდოდა.

– ჰეიდოკ, – ვთქვი მე, – თქვენ რომ ეჭვობდეთ... ან იცო-  
დეთ, რომ ვილაცამ მკვლელობა ჩაიდინა, მას მართლმსა-  
ჯულებას გადასცემდით თუ მის გადარჩენას შეეცდებო-  
დით?

ამ შეკითხვამ ჩემთვის სრულიად მოულოდნელი რეაქ-  
ცია გამოიწვია. ჰეიდოკმა ეჭვით აღსავეს მზერა მომაპყრო  
და გაბრაზებული ხმით მკითხა:

– ამას რატომ შეკითხვებით, კლემენტ? რა აზრები გიტ-  
რიალებთ თავში? აბა, გადმოალაგეთ.

– კონკრეტული არაფერი მიგულისხმია, – მივუგე შეც-  
ბუნებულმა, – ბოლო დროს ჩვენ ხომ სულ მკვლელობაზე  
ვსაუბრობთ. მხოლოდ იმის გაგება მინდოდა, როგორ მოიქ-  
ცეოდით, თუ შემთხვევით სიმართლეს შეიტყობდით. სულ  
ეს არის.

ჰეიდოკი დაცხრა. ახლა კვლავ სივრცისთვის გაემტე-  
რებინა თვალი, თითქოს მხოლოდ მის გონებაში არსებული  
ამოცანის პასუხის ნაკითხვას ცდილობდა.

– მე რომ ვეჭვობდე... ან ვიცოდე... ჩემს მოვალეობას შე-  
ვასრულებდი, კლემენტ. ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს,  
ასე მოვიქცეოდი.

– საკითხავი ის არის, რას მიიჩნევდით თქვენს მოვალე-  
ობად.

მან თვალი გამისწორა, მაგრამ მის მზერაში ვერაფერი  
ამოვიკითხე.

– ჩემი აზრით, ეს შეკითხვა, ადრე თუ გვიან, ყველა ადა-  
მიანის წინაშე დგება, კლემენტ. და ყველამ თვითონ უნდა  
გადანყვიტოს.

– მაშასადამე, თქვენ არ იცით?

– არა, არ ვიცი...

ვიგრძენი, რომ საუბრის თემა უნდა შემეცვალა.

– ამ საქმისგან ყველაზე მეტ სიამოვნებას ჩემი დისშვი-  
ლი, დენისი იღებს, – ვთქვი მე, – დილიდან საღამომდე ნაკ-  
ვალევსა და სიგარეტის ნამწვავებს ეძებს.

ჰეიდოკს გაელიმა.

- რამდენი წლისაა?

- თექვსმეტი შეუსრულდა. ამ ასაკში ტრაგედიას სერიოზულად არ აღიქვამენ. თავში მხოლოდ შერლოკ ჰოლმსი და არსენ ლუპენი<sup>1</sup> უტრიალებთ.

ჰეიდოკმა ჩაფიქრებული სახით თქვა:

- კარგი ყმანვილი ჩანს. მის მომავალთან დაკავშირებით რას აპირებთ?

- ვშიშობ, უნივერსიტეტს ჩემი ჯიბე ვერ გასწვდება. თვითონ სავაჭრო ფლოტი სურს. საზღვაო ფლოტში არ მიიღეს.

- ჰოო... არ არის ადვილი ცხოვრება, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ უარესი გზა აერჩია? ეს კი ყველაზე ცუდი ნამდვილად არ არის.

- უნდა გავიქცე! - შევძახე მე, როდესაც საათს შევხედე, ლანჩზე თითქმის ნახევარი საათით ვაგვიანებ.

როდესაც მივედი, ჩემი ოჯახი სწორედ მაშინ ჯდებოდა მაგიდასთან. სრული ანგარიში მომთხოვეს ჩემს დილანდელ საქმიანობასთან დაკავშირებით, მეც ყველაფერი დანერვილებით ვუამბე, ოღონდ ვიგრძენი, რომ ეს საკმაოდ უინტერესოდ გამომივიდა.

სამაგიეროდ, დენისს მოეწონა მისის პრაის რიდლისთან განხორციელებული ზარის ამბავი. მისი აღელვებისა და ნამლის სახით შავქლიავის ნაყენის დალევის შესახებ რომ მოისმინა, სიცილით ლამის ჩაბჟირდა.

- ასე მოუხდება მაგ ბებერ ჭორიკანას, - ნამოიძახა მან, - ჩვენს მხარეში მაგაზე ბოროტი ენა არავის აქვს. ნეტავ მე მომსვლოდა თავში, რომ მისთვის დამერეკა და შემეშინებინა. მომისმინეთ, ბიძია ლენ, იქნებ მეორე დოზა დაგვემატებინა?

მაშინვე ვუთხარი, რომ ამაზე არც კი ეფიქრა. არაფერია იმაზე სახიფათო, როდესაც ახალგაზრდებს კეთილი ზრახ-

<sup>1</sup> არსენ ლუპენი - ფრანგი მწერლის, მორის ლებლანის (1864-1941 წწ.) დეტექტიური რომანების მთავარი გმირი.

ვები ამოძრავებთ და გულწრფელად ცდილობენ დახმარებას და სიმპათიის გამოხატვას.

დენისს ხასიათი გაუფუჭდა, მოიღუშა და მაღალი წრის კაცის სახე მიიღო.

- თითქმის მთელი დილა ლეტიციასთან გავატარე, - თქვა მან, - იცი, გრიზელდა, იგი მართლა განიცდის, ოღონდ არ უნდა, რომ ეს სხვებს დაანახვოს. ძალიან შენუხებულია.

- კარგია, თუ ასეა, - მიუგო გრიზელდამ და თავი გადააქნია.

გრიზელდას ლეტიცია პროტერო გულზე მაინცდამაინც არ ეხატებოდა.

- ვფიქრობ, ლეტიციას ცოტა უსამართლოდ ეპყრობი.

- ასე გგონია? - მკითხა გრიზელდამ.

- ბევრს არ უყვარს შავი სამოსის ტარება.

გრიზელდა გაჩუმდა. მეც. დენისი კი არ ცხრებოდა:

- მას არავინ ჰყავს, რომ გული გადაუშალოს, მაგრამ ჩემთან მაინც ილაპარაკა. ამ ამბავმა ძალიან ააღელვა და ფიქრობს, რომ მეტი აქტიურობაა საჭირო.

- გაუხარდება, თუ გაიგებს, რომ მის აზრს ინსპექტორი სლეკიც იზიარებს, - ვთქვი მე, - იგი დღეს აპირებს ოულდ-ჰოლში შევლას. ჭეშმარიტების ძიებისას მის გულმოდგინებას თუ გავითვალისწინებთ, იქაურებს კარგი დღე ნამდვილად არ დაადგებათ.

- შენი აზრით, რა არის ჭეშმარიტება, ლენ? - მკითხა მოულოდნელად გრიზელდამ.

- ძნელი სათქმელია, ძვირფასო. ახლა ვერაფერს ვიტყვი. არც კი ვიცი, რა ვიფიქრო.

- თუ არ ვცდები, ინსპექტორ სლეკს ის სატელეფონო ზარი უნდა გამოეკვლია, შენ რომ დაგირეკეს და ებოტებთან მისვლა გთხოვეს, არა?

- ჰო.

- მერედა, შეძლებს? განა ეს ძნელი არ არის?

- არა მგონია, ძნელი იყოს. სატელეფონო სადგურში ყველა ზარი ფიქსირდება.

- გასაგებია, - თქვა ჩემმა ცოლმა და ჩაფიქრდა.

- ბიძია ლენ, - მითხრა დენისმა, - რატომ მომვარდით გააფთრებით დღეს დილით, როდესაც გავიხუმრე, თითქოს გინდოდათ, რომ პოლკოვნიკი პროტერო ვინმეს მოეკლა?

- იმიტომ, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ინსპექტორი სლეკი კი იუმორთან ძალზე მწყრაღად არის. მან დაიჯერა შენი ნათქვამი. ახლა შეუძლია, მერის ჯვარედინი დაკითხვა მოუწყოს და ჩემს დასაპატიმრებლად ორდერიც გამოჩხრიკოს.

- ნუთუ ვერ ხვდება, რომ ეს ხუმრობაა?

- ვერ ხვდება, - ვთქვი მე, - მან თავის ახლანდელ მდგომარეობას თავდაუზოგავი შრომითა და გულმოდგინებით მიაღწია. ცხოვრებისეულ წვრილმანებზე საფიქრელად დრო არ ჰქონდა.

- მოგნონთ ის, ბიძია ლენ?

- არა, - მივუგე მე, - არ მომწონს. როგორც კი დავინახე, მაშინვე არ მომეწონა. მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ თავის პროფესიაში ბევრს მიაღწია.

- როგორ ფიქრობთ, დაადგენს, ვინ ესროლა ბებერ პროტეროს?

- თუ ვერ დაადგენს, - ვთქვი მე, - ამის მიზეზი მოუძღომებლობა ნამდვილად არ იქნება.

ამ დროს მერი შემოვიდა და თქვა:

- მისტერ ჰოუსს სურს თქვენი ნახვა. მე იგი სასტუმრო ოთახში შევიყვანე. თქვენთვის ბარათიცაა. პასუხს ელოდებიან, თუმცა დანერა აუცილებელი არ არის.

ბარათი გავშალე და წავიკითხე:

„ძვირფასო მისტერ კლემენტ, ძალიან დამავალებთ, თუ, შეძლებისდაგვარად, სწრაფად შემომივლით. რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი და თქვენი რჩევა მჭირდება.

გულწრფელად, თქვენი ესტელა ლესტრენჯი“.

- გადაეცით, რომ ნახევარ საათში მივალ, - ვუთხარი მერის, შემდეგ კი სასტუმრო ოთახისკენ გავემართე, სადაც ჰოუსი მელიოდებოდა.

## თავი XV

ჰოუზის დანახვაზე ძალიან შეეწუხდი. ხელები უცახცახებდა, სახე ნერვიულად უთრთოდა. აშკარად ჩანდა, რომ ლოგინში წოლა მოუხდებოდა. ვუთხარი კიდევ ამის შესახებ, მაგრამ დაიყინა, რომ არაფერი სჭირდა.

– გარნმუნებთ, სერ, რომ ამაზე უკეთ თავი არასდროს მიგრძნია. არასოდეს.

ეს იმდენად არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, რომ სიტყვის თქმა ვერ მოვახერხე. ძალაუნებურად განიმსჭვალე პატივისცემით იმ ადამიანის მიმართ, ვაჟკაცურად რომ ენინააღმდეგება ავადმყოფობას, მაგრამ ჰოუზი კიდევ უფრო შორს წასულიყო.

– მოვედი, რათა ნუხილი გამოვთქვა თქვენს სახლში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით.

– დიახ, – მივუგე მე, – სასიამოვნო ნამდვილად არ არის.

– საშინელებაა... საშინელება. როგორც გავიგე, მისტერ რედინგი პატიმრობიდან გაუთავისუფლებიათ, არა?

– დიახ. შეცდომა მოხდა. მან... მ-მ... სულელური განცხადება გააკეთა.

– და პოლიცია სრულიად დარწმუნებულია მის უდანაშაულობაში?

– დიახ.

– შეიძლება, გკითხოთ, რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ დამნაშავედ სხვა მიაჩნიათ?

ვერასდროს წარმოვიდგენდი, მკვლელობის გამოძიების დეტალები ჰოუზს ასე თუ დააინტერესებდა. შესაძლოა, ამის მიზეზი ის იყო, რომ დანაშაული მღვდელმსახურის სახლში მოხდა. ნამდვილი რეპორტიორივით ცდილობდა ინფორმაციის მიღებას.

– ინსპექტორ სლექს თავისი მოსაზრებები ჩემთვის არ გაუმჟღავნებია. როგორც ვიცი, ეჭვმიტანილი ჯერ არ ჰყავს. იგი გამოძიებას აწარმოებს.

– დიახ, დიახ, რასაკვირველია. ვინ წარმოიდგენდა, რომ ასეთი საზარელი დანაშაული მოხდებოდა!



თავი დავაქნიე.

- ვიცი, რომ პოლკოვნიკი პროტერო პოპულარობით არ სარგებლობდა, მაგრამ მკვლელობა? ამისთვის ვილაცას ძალზე სერიოზული მოტივი უნდა ჰქონოდა.

- გეთანხმებით.

- ვის შეიძლება ჰქონოდა ასეთი სერიოზული მოტივი? პოლიციამ თუ იცის?

- ვერაფერს მოგახსენებთ.

- იქნებ მტრები ჰყავდა? რაც მეტს ვფიქრობ, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ასეთ ადამიანს მტრები აუცილებლად ეყოლებოდა. მას ხომ მკაცრი მოსამართლის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

- დიახ, ალბათ ასე იყო.

- როგორ? ნუთუ არ გახსოვთ, სერ? ის ხომ ჯერ კიდევ გუშინ დილით ამბობდა არჩერის მუქარის შესახებ?

- დიახ, ახლა გამახსენდა, - ვთქვი მე, - ცხადია, მახსოვს. თქვენ მაშინ სწორედ ჩვენ გვერდით იდექით.

- დიახ, მეც გავიგონე მისი სიტყვები. შეუძლებელი იყო, არ გამეგონა, პოლკოვნიკ პროტეროს ისეთი ხმა ჰქონდა. ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდა. ისიც მახსოვს, რომ თქვენმა სიტყვებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თქვენ მას უთხარით, რომ, როდესაც მისი აღსასრულის დღე დადგებოდა, გულმონყალების ნაცვლად, მისდამიც სამართლიანობას გამოიჩინდნენ.

- ასე ვთქვი? - ჩავეკითხე და შუბლი შევიჭმუხნე, საკუთარი სიტყვები ცოტა სხვაგვარად მახსოვდა.

- თქვენ ეს ძალზე დამაჯერებლად წარმოთქვით, სერ. ძალზე შთამბეჭდავად. მართლმსაჯულება საშინელი რამ არის. ვინ იფიქრებდა, რომ საბრალო პოლკოვნიკი ასე სწრაფად აღესრულებოდა. ამის მერე ძალაუნებურად ირწმუნებ წინათგრძნობას.

- გარწმუნებთ, წინათგრძნობა არაფერ შუაშია, - მოვუჭერი მოკლედ. მისტიციზმისა და გულთამხილაობისკენ ჰოუზის სწრაფვა აშკარად არ მომეწონა.

- პოლიციას თუ შეატყობინეთ არჩერის შესახებ, სერ?
  - მის შესახებ არაფერი ვიცი.
  - პოლკოვნიკ პროტეროს ნათქვამს ვგულისხმობ არჩერის მუქარასთან დაკავშირებით. არ გადაეცით?
  - არა, - ნელა წარმოვთქვი მე, - არ გადამიცია.
  - მაგრამ, ალბათ, აპირებთ ამის გაკეთებას, არა?
- არაფერი ვუპასუხე. არ მიყვარს იმ ადამიანის დევნა, რომელმაც საკუთარ თავზე უკვე გამოსცადა კანონისა და მართლმსაჯულების ძალა. არა, არჩერს არ ვექომაგებოდი. იგი გამოუსწორებელი ბრაკონიერი იყო - ერთ-ერთი გულმხიარული ფუქსავატი კაცი, რომლის მსგავსიც ნებისმიერ მრევლში მოიძებნება. რაც უნდა ელაპარაკა დაჭერის მომენტში, გაცხარებულ გულზე, სულაც არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ციხიდან გამოსვლისას კვლავ შურისძიებაზე იფიქრებდა.
- თქვენ ხომ მოისმინეთ ჩვენი საუბარი, - ვთქვი ბოლოს, - თუ გრძნობთ, რომ ვალდებული ხართ, პოლიციას ამის შესახებ შეატყობინოთ, ასეც მოიქეცით.
  - უკეთესი იქნებოდა, თუ ამას თქვენგან გაიგებდნენ.
  - შესაძლოა, მაგრამ, რომ არ დაგიმალოთ, ამის გაკეთებას არ ვაპირებ. სულაც არ მინდა მონაწილეობის მიღება უდანაშაულო ადამიანის კისერზე ყულფის ჩამოცმაში.
  - მაგრამ, იქნებ მან მოკლა პოლკოვნიკი პროტერო?
  - ოჰ, ეს „იქნებ“! მის წინააღმდეგ არც სამხილი არსებობს, არც - ჩვენება.
  - იგი იმუქრებოდა.
  - სიმართლე თუ გნებავთ, ის კი არა, პოლკოვნიკი პროტერო იმუქრებოდა. იგი გაიძახოდა, მიხვდება არჩერი, რა არის შურისძიება, როდესაც კვლავ დააკავენ ბრაკონიერობისთვისო.
  - არ მესმის თქვენი დამოკიდებულება, სერ.
  - მართლა? - ვკითხე დაღლილი ხმით, - თქვენ ახალგაზრდა კაცი ხართ და გულწრფელად ემსახურებით სამართლიანობას. როდესაც ჩემს ასაკს მიაღწევთ, მიხვდებით, რომ ეჭვს ბრალდებულის სასარგებლოდ განმარტავთ.

– საქმე ეს არაა... მე...

იგი გაჩუმდა. გაოცებით შეეხედე.

– თქვენ თვითონ ეჭვი არავისზე გაქვთ? სავარაუდო მკვლელს ვგულისხმობ.

– არა, ღმერთმა დამიფაროს.

– მკვლელობის მოტივზე? – არ მომეშვა ჰოუზი.

– არაფერი ვიცი. თქვენ?

– მე? რას ამბობთ, არა. უბრალოდ, ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო. შესაძლოა, პოლკოვნიკმა პროტერომ რამე გაგანდოთ... ახსენა... კონფიდენციალური საუბრისას...

– კონფიდენციალური საუბრისას? მისი ნათქვამი გუშინ დილით მთელმა სოფელმა თუ არა, მთელმა ქუჩამ მაინც გაიგონა, – ვთქვი ცივად.

– დიახ, დიახ, რა თქმა უნდა. მაშასადამე, თქვენ არ ფიქრობთ, რომ... ეს არჩერია?

– რაც საჭიროა, პოლიციას მალე ყველაფერი ეცოდინება არჩერის შესახებ, – ვუთხარი ჰოუზს, – მე რომ საკუთარი ყურით მომესმინა მისი მუქარა პოლკოვნიკ პროტეროს მიმართ, სულ სხვა საქმე იქნებოდა. ეჭვი არ შეგეპაროთ, თუ მან პოლკოვნიკ პროტეროს მუქარა შეუთვალა, ამას მთელი სოფელი მოისმენდა, და არც პოლიციას გამოეპარება. თუმცა, ბუნებრივია, თქვენ ისე უნდა მოიქცეთ, როგორც საჭიროდ მიგაჩნიათ.

მაგრამ ჰოუზი ჩემთვის გაუგებარი სიჯიუტით აცხადებდა, რომ ამ მხრივ ინიციატივის გამოჩენა არ სურდა.

იგი აშკარად ნერვიულობდა, რაც უცნაურად მეჩვენებოდა. შემდეგ ჰეიდოკის ნათქვამი გამახსენდა მის ავადმყოფობასთან დაკავშირებით და გადავწყვიტე, რომ ეს, ალბათ, სწორედ ამით აიხსნებოდა.

იგი უხალისოდ დამემშვიდობა. თითქოს კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ არ იცოდა, ეს როგორ გაეკეთებინა.

სანამ წავიდოდა, შევთანხმდით, რომ დედათა კავშირისთვის ნირვას თვითონ ჩაატარებდა, შემდეგ კი სტუმრების შეკრებასაც გაუძღვებოდა. დღის მეორე ნახევარში მე სხვა გეგმები მქონდა.

თავიდან ამოვიგდე ჰოუზი და მისი პრობლემები და მისი ლესტრენჯისკენ გავემართე.

შესასვლელში, მაგიდაზე, ხელუხლებელი გაზეთები – „გარდიანი“ და „საეკლესიო მაცნე“ იდო.

გზაში გამახსენდა, რომ მკვლელობის წინასაღამოს მისი ლესტრენჯი პოლკოვნიკ პროტეროს შეხვდა. შესაძლებელია, მათ საუბარში ისეთი რამ გაჟღერებულყო, რაც მკვლელის კვალზე დაგვაყენებდა.

მისვლისთანავე პატარა სასტუმრო ოთახში შემიყვანეს. მისი ლესტრენჯი ჩემს შესახვედრად წამოდგა. კიდევ ერთხელ ვიგრძენი ის საოცარი ატმოსფერო, რომლის შექმნასაც ეს ქალი ასე ოსტატურად ახერხებდა. შავი კაბა თვალნათლივ წარმოაჩენდა მისი კანის უჩვეულო სითეთრეს. სახე რაღაცით მიცვალებულისას მიუგავდა. მხოლოდ თვალები უელავდა მძაფრად. დაძაბული მზერა ჰქონდა. სიცოცხლის სხვა ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

– რა კარგია, რომ მობრძანდით, მისტერ კლემენტ, – მითხრა მან და ხელი ჩამომართვა, – ამის თქმა ჩვენი წინა შეხვედრისას მინდოდა, მაგრამ მაშინ თავი შევიკავე. აღმოჩნდა, რომ შევცდი.

– როგორც უკვე გითხარით, მოხარული ვიქნები, თუ რამით მაინც შევძლებ თქვენს დახმარებას.

– დიახ, ასე მითხარით. ვიცი, რომ ეს მხოლოდ სიტყვები არაა. უნდა გითხრათ, მისტერ კლემენტ, ამქვეყნად ძალზე ცოტას თუ ნდომებია, რომ გულწრფელად დამხმარებოდა.

– მიჭირს ამის დაჯერება, მისი ლესტრენჯ.

– ეს სიმართლეა. ადამიანთა უმეტესობას, ყოველ შემთხვევაში, მამაკაცთა უმრავლესობას, მხოლოდ საკუთარი მიზნები ამოძრავებს.

მას ხმაში ნალველი შეეპარა.

გაჩუმება ვარჩიე, მან კი განაგრძო:

– დაბრძანდით, გთხოვთ.

დავემორჩილე. იგი ჩემ წინ მდგარ სკამზე დაჯდა და მცირე პაუზის შემდეგ აუჩქარებლად, ჩაფიქრებული სა-

ხით შეუდგა ლაპარაკს. ჩანდა, რომ სიტყვებს საგულდაგულოდ არჩევდა.

- ძალზე უჩვეულო ვითარებაში აღმოვჩნდი, მისტერ კლემენტ, და თქვენი დახმარება მჭირდება. მინდა, რჩევა გკითხოთ, როგორ მოვიქცე. რაც მოხდა, მოხდა - ამას აღარაფერი ეშველება. ხვდებით, რისი თქმა მსურს?

პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი - მოახლე, რომელმაც კარი გამიღო, აჩქარებით შემოვიდა ოთახში და შეშინებული ხმით ჩაილაპარაკა:

- ოჰ, მაპატიეთ, მე, მაგრამ პოლიციის ინსპექტორი მოვიდა. თქვენთან საუბარი სურს. მაპატიეთ!

სიჩუმე ჩამოვარდა. მისის ლესტრენჯს სახეზე ნაკვთი არ გატოკებია. მან მხოლოდ ნელა მილულა და კვლავ გაახილა თვალები. მომეჩვენა, რომ ყელში მსუბუქმა სპაზმმა წამოუარა, მაგრამ ხმა უნინდებურად მშვიდი და მკაფიო ჰქონდა:

- აქ შემოიყვანეთ, ჰილდა.

ნასვლა დავაპირე, მაგრამ მბრძანებლური ჟესტით მანიშნა, რომ დავრჩენილიყავი.

- თუ წინააღმდეგი არ ხართ, დიდად დამავალებთ, თუ დარჩებით.

მე კვლავ დავჯექი და ჩავილაპარაკე:

- რა თქმა უნდა, თუ ასე გსურთ.

სწორედ ამ დროს, ოთახში ენერგიული ნაბიჯებით სლექი შემოვიდა.

- გამარჯობა, მადამ, - თქვა მან.

- გამარჯობა, ინსპექტორო, - მიუგო მისის ლესტრენჯმა. ინსპექტორმა ახლალა შემამჩნია და შუბლი შეიჭმუხნა.

აშკარა იყო, რომ ცუდი თვალით მიყურებდა.

- ვიმედოვნებ, წინააღმდეგი არ იქნებით, თუ ვიკარიუსიც დაგვესწრება.

როგორც ჩანს, სლექს უარის თქმა ეუხერხულა.

- ა-არა, - უხალისოდ თქვა, - თუმცა, შესაძლოა, უკეთესი ყოფილიყო...



მისის ლესტრენჯმა მის ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია.

– რით შემიძლია გემსახუროთ, ინსპექტორო? – იკითხა მან.

– საქმე ის არის, რომ პოლკოვნიკ პროტეროს მკვლელობას ვიძიებთ და ამასთან დაკავშირებით მოსახლეობაში ინფორმაციას ვაგროვებ.

მისის ლესტრენჯმა თავი დაუქნია.

– ეს მხოლოდ ფორმალობაა, მაგრამ ამ შეკითხვას ყველას ვუსვამ: სად იყავით გუშინ სალამოს, ექვსიდან შვიდ საათამდე? როგორც ხვდებით, ფორმალობაა და მეტი არაფერი.

– თქვენ გსურთ, გაიგოთ, სად ვიყავი გუშინ სალამოს, ექვსიდან შვიდ საათამდე?

– დიახ, მაღამ.

– შევეცდები, გავიხსენო, – იგი ცოტა ხნით შეჩერდა, – აქ ვიყავი, სახლში.

– აჰა! – დავინახე, როგორ გაუბრწყინდა ინსპექტორს თვალები, – თქვენს მოსამსახურეს – როგორც ვიცი, ერთი მოსამსახურე გყავთ – თუ შეუძლია ამის დადასტურება?

– არა, ჰილდას დასვენების დღე ჰქონდა.

– გასაგებია.

– ასე რომ, სამწუხაროდ, სიტყვაზე უნდა მენდოთ, – თავზიანად თქვა მისის ლესტრენჯმა.

– ესე იგი, ამტკიცებთ, რომ მთელი სალამოს განმავლობაში შინ იყავით?

– თქვენ „ექვსიდან შვიდამდე“ ბრძანეთ, ინსპექტორო. მანამდე სასეირნოდ გავედი. როდესაც დავბრუნდი, ჯერ ხუთიჯ არ იყო.

– მაშასადამე, თუ რომელიმე ქალბატონი, მაგალითად, მის ჰარტნელი, განაცხადებს, რომ აქ ექვსისთვის შემოიარა, დარეკა, მაგრამ კარი არავინ გაუღო და წავიდა, იტყვიან, რომ იგი შეცდა, ასეა?

– ოჰ, არა! – თავი გადააქნია მისის ლესტრენჯმა.

– მაგრამ...

- თუ მოსამსახურე შინაა, მას შეუძლია თქვას, რომ სახლში არ ვარ. როდესაც მარტო ვრჩები და სტუმრის მიღება არ მსურს, სხვა გზა არ მაქვს - მოთმინებით უნდა ველოდო, როდის მოჰბეზრდება მას ზარის რეკვა.

ინსპექტორმა სლექმა ოდნავ გაკვირვებული სახე მიიღო.

- ხანდაზმულ ქალებთან საშინელ მონყენილობას ვგრძნობ, - აუხსნა მისის ლესტრენჯმა, - მის ჰარტნელს კი, ამ მხრივ, ბადალი არ ჰყავს. ნასვლამდე ექვსჯერ მაინც დარეკა.

მან კეთილგანწყობით გაუღიმა ინსპექტორ სლექს.

ინსპექტორმა სხვა მხრიდან მოუარა.

- თუ ვინმე იტყვის, რომ ამ დროს გნახათ...

- მაგრამ მე არავის ვუნახავვარ, ხომ ასეა? - ქალმა წამსვე მოძებნა სუსტი რგოლი, - არავის ვუნახავვარ, რადგან შინ ვიყავი.

- მართალი ბრძანდებით, მაბამ.

ინსპექტორმა სკამი მასპინძლისკენ მიაჩოჩა და უთხრა:

- ჩემთვის ცნობილია, მისის ლესტრენჯ, რომ მკვლელობის წინააღმდეგ, გვიან საღამოს, მისტერ პროტეროს ეწვიეთ.

- დიახ, ასეა, - მშვიდად დაუდასტურა მისის ლესტრენჯმა.

- ხომ ვერ მეტყოდით, რაზე ისაუბრეთ?

- ეს კერძო საუბარი იყო, ინსპექტორო.

- ვშიშობ, დაჟინებით უნდა მოგთხოვოთ იმის თქმა, თუ რას შეეხებოდა ეს კერძო საუბარი.

- სამწუხაროდ, ვერაფრით დაგეხმარებით. გარწმუნებთ, რომ დანაშაულთან მას საერთო არაფერი ჰქონდა.

- არა მგონია, ამის მტკიცების კომპეტენცია გქონდეთ.

- ყოველ შემთხვევაში, მოგიწევთ, რომ სიტყვაზე გენდოთ, ინსპექტორო.

- გამოდის, რომ ყველაფერში სიტყვაზე უნდა გენდოთ.

- დიახ, ასე გამოდის, - დაეთანხმა ქალი მშვიდი ლიმილით.

ინსპექტორი სლეკი მოულოდნელად ჭარხალივით განითლდა.

– ეს სერიოზული საქმეა, მისის ლესტრენჯ. სიმართლე მჭირდება... – მან მაგიდას მუშტი დასცხო, – და მე მივიღებ მას.

მისის ლესტრენჯს არაფერი უთქვამს.

– ნუთუ ვერ ხედავთ, მადამ, რომ თავს ძალზე საეჭვო მდგომარეობაში იგდებთ?

მისის ლესტრენჯი კვლავ დუმდა.

– დაკითხვაზე ჩვენების მიცემა მოგიწევთ.

– დიახ.

მოკლე სიტყვა. მშვიდად და უხალისოდ წარმოთქმული. ინსპექტორმა ტაქტიკა შეცვალა.

– იცნობდით პოლკოვნიკ პროტეროს?

– დიახ, ვიცნობდი.

– კარგად იცნობდით?

– დიდი ხნის განმავლობაში არ მენახა, – თქვა ქალმა მცირე პაუზის შემდეგ.

– მისის პროტეროსაც იცნობდით?

– არა.

– მაპატიეთ, მაგრამ სტუმრობისთვის უცნაური დრო შეგირჩევიათ.

– მე სხვაგვარად ვფიქრობ.

– ამით რისი თქმა გსურთ?

– პოლკოვნიკ პროტეროსთან ერთი ერთზე მინდოდა შეხვედრა. მისის და მის პროტეროს ნახვა არ მსურდა. ჩემი მიზნის მისაღწევად ყველაზე მეტად ეს დრო მანყობდა.

– რატომ არ გსურდათ მისის და მის პროტეროს ნახვა?

– ეს მხოლოდ ჩემი საქმეა, ინსპექტორო.

– მაშასადამე, მეტის თქმას აღარ აპირებთ?

– არა.

ინსპექტორი სლეკი წამოხტა.

– თუ ცოტა ფრთხილად არ იქნებით, მადამ, არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებით. ეს ყველაფერი ძალზე საეჭვოდ გამოიყურება... ძალზე საეჭვოდ.

მისის ლესტრენჯს გაეცინა. შემეძლო ამეხსნა ინსპექტორ სლეკისთვის, რომ ასეთი ქალის შეშინება ადვილი არ იყო.

– კარგი, – თქვა მან და საკუთარი ღირსების შეუბღალავად სცადა უკან დახევა, – ოღონდ შემდეგ არ თქვათ, რომ არ გაგაფრთხილეთ. კარგად ბრძანდებოდეთ, მაძამ, მაგრამ გახსოვდეთ – ჩვენ მაინც დავადგენთ სიმართლეს.

იგი წავიდა.

მისის ლესტრენჯი წამოდგა და ხელი გამომინოდა.

– თქვენც უნდა დაგემშვიდობოთ, ასე აჯობებს. საქმე ის არის, რომ ახლა გვიანლაა რჩევის კითხვა. არჩევანი უკვე გავაკეთე. – დიახ, არჩევანი უკვე გავაკეთე, – გაიმეორა მან ყრუ ხმით.

## თავი XVI

კარის ზღურბლზე ჰეიდოკს შევეჩხე. მან უკმაყოფილოდ გააყოლა თვალი ჭიშკარში გასულ სლეკს და მკვეთრი ხმით მკითხა:

– მისის ლესტრენჯის დასაკითხად იყო მოსული?

– დიახ.

– იმედია, თავაზიანად იქცეოდა.

ჩემი აზრით, თავაზიანობა ხელოვნებაა, რომელსაც ინსპექტორი სლეკი ვერასდროს დაეუფლებოდა, მაგრამ ვხვდებოდი, რომ, მისი აზრით, მას სიტყვა-პასუხი არ ეშლებოდა. ამასთან, არც ისედაც შენუხებული და დათრგუნვილი ჰეიდოკის კიდევ უფრო მეტად გაღიზიანება მინდოდა. ამიტომ ვუთხარი, რომ ინსპექტორი წესიერების ფარგლებს არ გასცილებია.

ჰეიდოკმა თავი დამიქნია და სახლში შევიდა, მე კი სოფლის ქუჩას გავუყევი და მალე ინსპექტორსაც დავენიე. ეჭვი მაქვს, რომ განზრახ შეანელა ნაბიჯი. შესაძლოა, მართლა არ მოვწონდი, მაგრამ ისეთი ადამიანი არ იყო, რომ

საჭირო ინფორმაციის მიღება სიმპათია-ანტიპათიისთვის გადაეყოლებინა.

– რამე ხომ არ იცით ამ ქალბატონის შესახებ? – მკითხა მან მოურიდებლად.

მივუგე, რომ არაფერი ვიცოდი.

– არ უთქვამს, აქ რატომ გადმოვიდა საცხოვრებლად?

– არა.

– თუმცა მის სანახავად მაინც დადიხართ.

– მრევლის ნევრების მონახულება ჩემი მოვალეობაა, – მივუგე მე. არ გამიმხელია, რომ ამჯერად მან თვითონ მთხოვა მისვლა.

– ჰმ, ეს მართლაც ასეა.

იგი ორიოდ ნუთი დუმდა, შემდეგ კი თავის ამასწინანდელ ნარუმატებლობაზე საუბრის ცდუნებას ვერ გაუძლო და კვლავ ჩაილაპარაკა:

– ძალიან საეჭვო საქმეა.

– ასე ფიქრობთ?

– თუ შემეკითხებით, გიპასუხებთ, შანტაჟის სუნი მცემს-მეთქი. სასაცილოდ კი ჟღერს პოლკოვნიკ პროტეროს რეპუტაციის გათვალისწინებით. მაგრამ ბრმად ვერავის ვენდობით. პირველი მნათე კი არ იქნებოდა, რომელიც ორმაგ ცხოვრებას ეწეოდა.

ბუნდოვნად გამახსენდა მის მარპლის გამონათქვამი ამავე თემაზე.

– ნუთუ სერიოზულად ფიქრობთ, რომ ეს შესაძლებელია?

– ასე გამოდის, სერ, ფაქტებს ვერსად გავექცევით. რატომ უნდა ჩამოსულიყო ასეთი დახვეწილი და მშვენიერი ქალბატონი ამ ღვთისგან მივინყებულ ადგილას? რატომ ეწვია პოლკოვნიკს სტუმრობისთვის შეუფერებელ დროს? ხომ უცნაურია? რატომ გაურბის მისის და მის პროტეროს ნახვას? ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. მას უჭირს ამის აღიარება, რადგან გამოძალვა კანონით ისჯება. მაგრამ მაინც ვათქმევინებთ სიმართლეს. იმის მიხედ-



ვით, რაც ჩვენთვის ცნობილია, მისი ჩვენება ძალზე საინტერესო უნდა იყოს. თუ პოლკოვნიკ პროტეროს წარსულში რამე დანაშაულებრივი საიდუმლო ჰქონდა, მაშინ ჩვენ წინ ფართო ასპარეზი გადაიშლება.

ეს მართლაც ასე იქნებოდა.

– ვიფიქრე, იქნებ მსახურთუფროსს დავაცდენინო-მეთქი რამე. ხომ შეეძლო მოესმინა, რაზე საუბრობდნენ პოლკოვნიკი პროტერო და ლესტრენჯი. მსახურებს ეს ახასიათებთ ხოლმე. მაგრამ იფიცება, რომ არაფერი იცის. სხვათა შორის, მან სწორედ ამ შემთხვევის გამო დაკარგა სამსახური – პოლკოვნიკი საშინლად განურისხდა მას, როგორ თუ ის ქალი სახლში შემოუშვიო. მსახურმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და ნასვლის შესახებ აუნყა. ამბობს, ეს ადგილი ისედაც არ მომწონდა და აქ დარჩენას არ ვაპირებდიო.

– არაა საფუძველს მოკლებული.

– ჩვენ კი კიდევ ერთი ადამიანი მივიღეთ, რომელსაც, შესაძლოა, პოლკოვნიკის ჯავრი სჭირდა.

– მაგრამ თქვენ ხომ მასზე სერიოზულად არ ფიქრობთ? სხვათა შორის, რა გვარია?

– რივზი. მე არ მითქვამს, რომ მასზე ეჭვი მაქვს. მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ ვერავის ვენდობით. არ მომწონს იმ კაცის მანერები – არასაიმედო, საეჭვო ტიპია.

საინტერესოა, რას იტყოდა რივზი ინსპექტორ სლეკის მანერების შესახებ?

– ახლა მძლოლი უნდა დავკითხო.

– მაშინ, იქნებ თქვენს მანქანას გამოვყვე? – ვთქვი მე, – მისის პროტეროს უნდა დაველაპარაკო.

– რის შესახებ?

– დაკრძალვის თაობაზე.

– ოჰ! – ოდნავ შეცბუნდა ინსპექტორი სლეკი, – მოკვლევა ხვალ, შაბათს იქნება.

– დიახ. დაკრძალვა, კი, ალბათ, – სამშაბათს.

მომეჩვენა, რომ ინსპექტორ სლეკს ცოტათი შერცხვა

თავისი უხეშობის, ამიტომაც, პერიგების მიზნით, მძლოლის, მენინგის დაკითხვაზე დასწრება შემომთავაზა.

მენინგი კარგი ახალგაზრდა იყო, ოცდახუთი-ოცდაექვსი წლის იქნებოდა. ინსპექტორის დანახვამ მას აშკარად შიში მოჰკვარა.

- აბა, ჭაბუკო, - უთხრა სლეკმა, - თქვენგან ინფორმაცია მჭირდება.

- დიახ, სერ, - ჩაილულულა მძლოლმა, - რა თქმა უნდა, სერ.

მკვლელობა რომ მისი ჩადენილი ყოფილიყო, ამაზე მეტად შეშფოთებული ნამდვილად არ იქნებოდა.

- პოლკოვნიკი პროტერო გუშინ თქვენ ნაიყვანეთ სოფელში?

- დიახ, სერ.

- რომელ საათზე?

- ექვსის ნახევარზე.

- მისის პროტეროც თქვენთან ერთად იყო?

- დიახ, სერ.

- გზაში არსად გაჩერებულხართ?

- არა, სერ.

- სოფელში რას აკეთებდით?

- პოლკოვნიკმა თქვა, რომ მანქანა აღარ სჭირდებოდა, რადგან შინ ფეხით აპირებდა დაბრუნებას. მისის პროტერო საყიდლებზე წავიდა. ნაყიდი ნივთები მანქანაში მოათავსეს. ქალბატონმა მითხრა, რომ აღარ ვჭირდებოდი და მეც შინ გავემგზავრე.

- თვითონ სოფელში დარჩა?

- დიახ, სერ.

- რომელი საათი იყო?

- შვიდის თხუთმეტი წუთი, სერ. ზუსტად შვიდის თხუთმეტი წუთი.

- სად ჩამოსვით?

- ეკლესიასთან, სერ.

- პოლკოვნიკს ხომ არ უთქვამს, სად აპირებდა წასვლას?

- ვეტერინარის ნახვას აპირებდა... ერთ-ერთ ცხენთან დაკავშირებით.

- გასაგებია. თქვენ პირდაპირ აქ მოხვედით?

- დიახ, სერ.

- ოულდჰოლისკენ ორი გზა მოემართება - ჩრდილოეთის და სამხრეთის. როგორც ვხვდები, სოფლიდან სამხრეთის გზით გახვედით, არა?

- დიახ, სერ, როგორც ყოველთვის.

- უკან იმავე გზით დაბრუნდით?

- დიახ, სერ.

- ჰმ. ვფიქრობ, საკმარისია. აჰ! აი, მის პროტეროც.

ლეტიცია ჩვენკენ ნელა მოდიოდა.

- „ფიატს“ ნავიყვან, მენინგ, - თქვა მან, - დაქოქეთ, თუ შეიძლება.

- ახლავე, მის.

იგი ორადგილიან მანქანას მიუახლოვდა და კაპოტი ასწია.

- ერთი წუთით, მის პროტერო, - თქვა სლექმა, - ინფორმაციას ვაგროვებ, ვინ სად იმყოფებოდა გუშინ, დღის მეორე ნახევარში. არ გენყინოთ.

ლეტიცია მას გაოცებული მიაშტერდა.

- მე რომ არასდროს ვუყურებ საათს?

- როგორც ვიცი, სახლიდან ლანჩის დამთავრების შემდეგ გახვედით.

გოგონამ თავი დაუქნია.

- ხომ ვერ მეტყოდით, სად ნახვედით?

- ჩოგბურთის სათამაშოდ.

- ვისთან?

- ჰარტლი ნაპიერსის ოჯახთან.

- მაჩ-ბენჰემში რომ ცხოვრობენ?

- დიახ.

- როდის დაბრუნდით?

- არ ვიცი. ხომ გითხარით, საათს არასდროს ვუყურებ.

- თქვენ რვის ნახევრისთვის დაბრუნდით, - ვუთხარი მე.

- დიახ, მართალია, - დამეთანხმა ლეტიცია, - შუა აურ-  
ზაურში. ენის ისტერია დამართოდა, გრიზელდა კი ამშვი-  
დებდა.

- გმადლობ, მის, - თქვა ინსპექტორმა, - სულ ეს არის,  
რისი გაგებაც მსურდა.

- უცნაურია, - თქვა ლეტიციამ, - მე ხომ საინტერესო  
არაფერი მითქვამს.

იგი „ფიატისკენ“ გაემართა.

ინსპექტორმა ხელი შუბლთან მიიტანა და ჩამჩურჩულა:

- ცოტა ვერ არის?

- სულაც არა, - მიუუგე მე, - მაგრამ მოსწონს, როდესაც  
სხვებს ასე ჰგონიათ.

- კარგი, ნავალ და მოსამსახურეს დავკითხავ.

შესაძლოა, ვინმეს ინსპექტორი სლეკი არ მოსწონდეს,  
მაგრამ შეუძლებელია, მისმა ენერგიულობამ არ აღგაფრ-  
თოვანოთ.

ჩვენ ერთმანეთს დავშორდით. რივზს ვკითხე, სად შე-  
მედლო მისის პროტეროს ნახვა.

- იგი დასასვენებლად წამოწვა, სერ.

- მაშინ აღარ შევანუხებ.

- იქნებ დაელოდოთ, სერ. ვიცი, რომ თქვენთან საუბარი  
სურდა. ლანჩის დროს ასე თქვა.

მან სასტუმრო ოთახში შემეყვანა და შუქი აანთო, რად-  
გან ფანჯრებზე ფარდები იყო ჩამოფარებული.

- რა სამწუხარო ამბავი მოხდა, - ვთქვი მე.

- დიახ, სერ.

მსახურთუფროსი ცივად, მაგრამ მოკრძალებით საუბ-  
რობდა.

სახეში შევხედე. ნეტავ, რა გრძნობებს მალავდა გულგ-  
რილობის ნიღაბს მიღმა? იქნებ რალაც იცოდა, მაგრამ არ  
ამბობდა? ძნელი იყო მისებრ გამოცდილი მსახურისგან ინ-  
ფორმაციის დაცინცვლა.

- კიდევ ხომ არ გნებავთ რამე, სერ?

მომეჩვენა, რომ მისი ჩვეული გამომეტყველების მიღმა  
ფარული ნუხილი გამოკრთა.

- არა, არაფერი, - მივუგე მე.

ცოტა ხანს მომიხდა ლოდინი - ენი პროტერო მალე გამოვიდა. თავდაპირველად რამდენიმე უმნიშვნელო საკითხზე ვისაუბრეთ, შემდეგ კი შესძახა:

- რა საოცარი და კეთილი ადამიანია დოქტორი ჰეიდოკი!

- ყველაზე საუკეთესო ჩემს ნაცნობებს შორის.

- ძალიან თბილად მომექცა. მაგრამ დადარდიანებული მომეჩვენა, თქვენ ვერაფერი შეატყვევთ?

აზრად არასდროს მომსვლია, რომ ჰეიდოკისთვის დადარდიანებული მენოდებიანა. დავფიქრდი.

- მისთვის ეს არ შემიმჩნევია, - ვთქვი ბოლოს.

- არც მე - დღემდე.

- ზოგჯერ საკუთარი უბედურება მზერას გვიმახვილებს, - გამოვთქვი ვარაუდი.

- ზუსტად კი მოარტყით, - თქვა მან და ცოტაოდენი დუმილის შემდეგ დაამატა: - მისტერ კლემენტ, ერთი რამ ვერ გამიგია. თუ ჩემი ქმარი ჩემი ნასვლისთანავე მოკლეს, გასროლის ხმა რატომ ვერ გავიგონე?

- პოლიციის აზრით, გასროლა მოგვიანებით განხორციელდა.

- ბარათზე რომ 6:20-ია აღნიშნული?

- შესაძლოა, იგი სხვისი - მკვლელის ხელითაა დანერილი. მისის პროტერო გაფითრდა.

- რა საშინელებაა!

- ნუთუ ვერ შეამჩნიეთ, რომ ციფრები მისი ხელით არ იყო დანერილი?

- არც სიტყვები ჰგავდა მის დანერილს!

ეს მართლაც ასე იყო - ოკრობოკრო ნანერი სრულიად განსხვავდებოდა პროტეროს მკაფიო ხელნერისგან.

- დარწმუნებული ხართ, რომ ლოურენსზე ეჭვი აღარ აქვთ?

- ვფიქრობ, მას ყველა ბრალდება მოუხსნეს.

- მაშ, ვის უნდა ჩაედინა ეს, მისტერ კლემენტ? ვიცი, რომ ლუციუსი პოპულარული არ იყო, მაგრამ ასე მგონია,



რომ არც ნამდვილი მტრები ჰყავდა. დიახ, დაუძინებელი მტერი არ ჰყავდა.

თავი გადავაქნიე და ვთქვი:

– ეს ჯერ არავინ იცის.

კვლავ გამახსენდა მის მარპლის ნათქვამი შვიდ ეჭვმიტანილთან დაკავშირებით. ნეტავ, ვის გულისხმობდა?

ენის დავემშვიდობე და ჩემი ჩანაფიქრის განხორციელებას შევუდექი.

ოულდჰოლიდან ბილიკს გამოვუყევი. გადასასვლელს რომ მივუახლოვდი, ოდნავ უკან დავბრუნდი, იმ ადგილამდე, სადაც მცენარეული საფარი ოდნავ გათელილი მომეჩვენა, ბილიკიდან გადავუხვიე და ბურქებში ვდურთე თავი. აქ ხშირი ტყე იყო, ბურქნარიანი, ქვევით გადახლართული ტოტებით. მათ შორის მივიწვედი, როდესაც შორიახლოს ვილაცის ფეხის ხმა მომესმა. გაუბედავად შევჩერდი. უეცრად ჩემ წინ ლოურენს რედინგი აღიმართა. საკმაოდ მძიმე ტვირთი მოჰქონდა.

როგორც ჩანს, გაოცებული სახე მქონდა, რადგან სიცილი აუტყდა.

– არა, – თქვა მან, – ეს სამხილი კი არა, ერთგვარი სამშვიდობო ძღვენია.

– სამშვიდობო ძღვენი?

– დიახ. გნებავთ, სამშვიდობო მოლაპარაკებების დასაწყისი ვუნოდოთ. საბაბი მჭირდება თქვენს მეზობელთან, მის მარპლთან შესავლელად. მირჩიეს, ქვა ან კლდის ნატეხი მიმეტანა იაპონური ბალისთვის, რომელსაც იგი მონდომებით ქმნის.

– ეგ კი მართალია, – დავეთანხმე ლოურენსს, – ხანდაზმულ ქალბატონთან რა საქმეზე მიდიხართ?

– ვფიქრობ, თუ გუშინ სალამოს რამის დანახვა შეიძლებოდა, მის მარპლს არაფერი გამოეპარებოდა. მაინცდამაინც მკვლელობასთან დაკავშირებულს არ ვგულისხმობ, არც იმას, რაც, მისი აზრით, მკვლელობას უკავშირდება. ეს შესაძლოა, რამე განსაკუთრებული, უჩვეულო წვრილმანი

იყოს, რომელიც საიდუმლოს ამოხსნაში დაგვეხმარება. რა-  
ლაც ისეთი, რაც საჭიროდ არც კი ჩათვალა, რომ პოლიცი-  
ისთვის ეთქვა.

- გონივრული აზრია.

- ყოველ შემთხვევაში, ცდა ბედის მონახევრეაო. კლე-  
მენტ, ვაპირებ, ამ საქმეს ბოლომდე მივდიო. თუნდაც ენის  
გულისთვის. სლეკი, ცხადია, ძალიან ცდილობს, მაგრამ  
გულმოდგინება ჭკუას ვერასდროს შეცვლის, ამიტომ, მისი  
ბოლომდე არ მჯერა.

- როგორც ვხედავ, ჩემ წინ სათავე გადასავლო ამბების  
საყვარელი გმირია - მოყვარული მძებარი, - ვთქვი მე, -  
რატომღაც არ მგონია, რომ მათ რეალურ ცხოვრებაშიც  
აჯობონ პროფესიონალებს.

მან დაჟინებით შემომხედა და მოულოდნელად გადაი-  
ხარხარა.

- თქვენ რაღას აკეთებთ ტყეში, პადრე?

უნებურად გავწითლდი.

- მზად ვარ, დავიფიცო, რომ, ალბათ, იმავეს, რასაც მე.  
ჩვენ თავში ერთი და იგივე აზრი მოგვივიდა, არა? როგორ  
შეიპარა მკვლელი კაბინეტში? ერთი გზაა ორლობის გავ-  
ლით კუტიკარში შესვლა, მეორე - სადარბაზო კარიდან,  
მესამე... ნეტავ მესამე გზა თუ არსებობს? გადავწყვიტე,  
გამომეკვლია, იყო თუ არა ნაკვალევი და ტოტემმოტეხილი  
ბუჩქები კედლიდან თქვენს ბალამდე.

- მეც ეს გავიფიქრე, - ვაღიარე მე.

- მაგრამ ამის გაკეთება ჯერ ვერ მოვასწარი, - განაგ-  
რძო ლოურენსმა, - ამიტომაც მის მარპლის მონახულება  
გადავწყვიტე, რათა დავრწმუნდე, რომ გუშინ, სანამ სახე-  
ლოსნოში ვიყავით, ბილიკზე არავის გაუვლია.

უარყოფის ნიშნად თავი გადავაქნიე.

- მან დაჟინებით განაცხადა, რომ თვალი არავისთვის  
მოუკრავს.

- დიახ, არავისთვის - იმათგან, ვინც მისთვის რამეს  
წარმოადგენს. შესაძლოა, ბოდვად მოგეჩვენოთ, მაგრამ,

აღბათ, ხვდებით, რასაც ვგულისხმობ. ხომ შეიძლება, ეს ფოსტალიონი, მერძევე, შიკრიკი ან მეყასბე ყოფილიყო – ის, ვისი დანახვაც ჩვეულებრივ მოვლენად მიგაჩნიათ და მის ხსენებას საჭიროდ არც კი მიიჩნევთ.

– გეტყობათ, რომ გ.კ. ჩესტერტონს<sup>1</sup> კითხულობთ ხშირად, – ვთქვი მე. ლოურენსს ჩემი ვარაუდი არ უარუყვია.

– ხომ შეიძლება, რომ ამ იდეამ გაამართლოს?

– სავსებით შესაძლებელია, – ვაღიარე.

აღარ გადავდეთ და დაუყოვნებლივ გავემართეთ მის მარპლისკენ. იგი თავის ბალში მუშაობდა და, როგორც კი ალაგეზე გადავედით, მაშინვე შეგვეხშიანა.

– რას გეუბნებოდით? – წამჩურჩულა ლოურენსმა, – არაფერი გამოეპარება.

მან გულთბილად მიგვილო. ძალიან გაუხარდა, როდესაც ლოურენსმა საზეიმოდ მიართვა უზარმაზარი ქვა.

– როგორი ყურადღებიანი ხართ, მისტერ რედინგ. საოცრად ყურადღებიანი.

შექებით გამხნევებულმა ლოურენსმა შეკითხვები დააყარა. მის მარპლმა ყურადღებით მოუსმინა და უთხრა:

– დიახ, ვხვდები, რასაც გულისხმობთ და სრულიად გეთანხმებით – ამას არავინ ახსენებს ხოლმე, აღნიშვნის ღირსად არც კი მიაჩნიათ. მაგრამ გარწმუნებთ, მსგავსი არაფერი ყოფილა. არაფერი.

– დარწმუნებული ხართ, მის მარპლ?

– სრულებით.

– იმ საღამოს ვინმე ბილიკით ტყისკენ ხომ არ წასულა?

– ვკითხე მე, – ან იქნებ ტყიდან გამოვიდა?

– ოჰ! დიახ, ძალიან ბევრი. მაგალითად, დოქტორი სტოუნი და მის კრემი – გათხრების ადგილამდე აქედან უმოკლესი გზაა. ეს ორი საათის შემდეგ მოხდა. მოგვიანებით დოქტორი სტოუნი იმავე გზით უკან დაბრუნდა – ეს

<sup>1</sup> გილბერტ კით ჩესტერტონი (1874-1936 წწ.) – ინგლისელი ქრისტიანი მოაზროვნე, ჟურნალისტი და მწერალი, ცნობილი დეტექტიური მოთხრობების ავტორი.

თქვენც იცით, მისტერ რედინგ, იგი ხომ თქვენთან და მისის პროტეროსთან მოვიდა.

– სხვათა შორის, – გამახსენდა მე, – იმ გასროლას რაც შეეხება, მის მარპლ, თქვენ რომ მოგესმათ, იგი მისტერ რედინგსა და მისის პროტეროსაც უნდა გაეგონათ.

ლოურენსს კითხვის გამომხატველი მზერა მივაპყარი.

– დიახ, – თქვა მან და სახე მოელუშა, – მგონი, მეც გავიგონე გასროლის ხმა. ერთი თუ ორი უნდა ყოფილიყო, არა?

– მე მხოლოდ ერთი მომესმა, – განაცხადა მის მარპლმა.

– ამისთვის არ მცხელოდა და ყურადღება არ მიმიქცევია, – თქვა ლოურენსმა, – დალახვროს ეშმაკმა, როგორ მინდა, გამახსენდეს. რომ მცოდნოდა... მაგრამ ისე ვიყავი გართული...

იგი შეცბუნდა და გაჩუმდა. თავაზიანად ჩავახველე უხერხულობის გასაფანტავად მის მარპლმა საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

– ინსპექტორი სლეკი ცდილობდა, გაერკვია, გასროლა სახელოსნოდან მისტერ რედინგისა და მისის პროტეროს გამოსვლის შემდეგ მოხდა თუ, გამოსვლამდე. იძულებული ვიყავი, მეღიარებინა, რომ ზუსტად ვერ ვიტყვოდი, მაგრამ რაც უფრო მეტს ვფიქრობ, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ეს შემდეგ მოხდა.

– მაშინ ეს სახელგანთქმულ დოქტორ სტოუნს მაინც ამართლებს, – თქვა ლოურენსმა და ღრმად ამოისუნთქა, – თუმცა საბრალო პროტეროს სიკვდილში მისი დადანაშაულების მცირედი საფუძველიც კი არ არსებობდა.

– აჰ! – შესძახა მის მარპლმა, – ჩემი აზრით, უკეთესი იქნება, თუ ყველაზე მივიტანთ ეჭვს, თუნდაც მცირედს. ყოველთვის ვამბობ, რომ წინასწარ ვერაფერს გამოვრიცხავთ, არ მეთანხმებით?

მის მარპლი საკუთარ თავს არ ღალატობდა. ლოურენსს ვკითხე, ეთანხმებოდა თუ არა მის აზრს გასროლასთან დაკავშირებით.

– მართლა ვერაფერს ვიტყვი. ჩვეულებრივი ხმა იყო.

უფრო იქით ვიხრები, რომ მაშინ გაისმა, როდესაც სახე-  
ლოსნოში ვიყავით. კედლებმა ხმაური ჩაახშო და ვერ გავი-  
გონეთ.

„ალბათ, სხვა მიზეზიც იქნებოდა, ყრუ კედლების გარ-  
და“, – გავივლე გულში.

– ენის ვკითხავ, – თქვა ლოურენსმა, – იქნებ გაიხსენოს.  
სხვათა შორის, ჩემი აზრით, კიდევ ერთი უცნაური შემ-  
თხვევა მოხდა, რომელიც ახსნას საჭიროებს. მისის ლეს-  
ტრენჯი, სენტ-მერიმიდის იდუმალი უცნობი, ოთხშაბათ  
სალამოს, სადილის შემდეგ, მოხუც პროტეროს ესტუმრა.  
როგორც ჩანს, არავინ იცის, რაზე საუბრობდნენ. პოლკოვ-  
ნიკს ამის შესახებ კრინტი არც ცოლთან დაუძრავს, არც –  
ლეტიციასთან.

– შესაძლოა, ჩვენმა ვიკარიუსმა იცოდეს, – თქვა მის  
მარპლმა.

ღმერთო ჩემო, როგორ შეიტყო ამ ქალმა, რომ დღეს  
მისის ლესტრენჯთან ვიყავი? ვერაფრით გამეგო, საიდან  
იცოდა მან ყველასა და ყველაფრის შესახებ. ზებუნებრივ  
ძალას ხომ არ ფლობდა?

– ინსპექტორი სლეკი რას ფიქრობს? – იკითხა მის მარ-  
პლმა.

– მან მსახურთუფროსის დაშინება სცადა, მაგრამ ეს  
უკანასკნელი ცნობისმოყვარე ადამიანი არ აღმოჩნდა და  
პოლკოვნიკ პროტეროსა და მისის ლესტრენჯის საუბარ-  
ი არ მოუსმენია. ასე რომ, სამწუხაროდ, არავინ არაფერი  
იცის.

– მე კი მეგონა, რომ ვინმეს შემთხვევით მაინც უნდა გა-  
ეგონა, – თქვა მის მარპლმა, – ვილაცას ყოველთვის ესმის,  
ასე არაა? ვფიქრობ, მისტერ რედინგს შეუძლია რალაც გა-  
იგოს.

– მაგრამ მისის პროტერომ არაფერი იცის.

– ენი პროტეროს კი არა, მდედრობითი სქესის მსახუ-  
რებს ვგულისხმობ, – მიუგო მის მარპლმა, – ისინი პოლი-  
ციასთან გულწრფელობას ყოველთვის ერიდებიან. მაგრამ



სულ სხვაა ახალგაზრდა და მომხიბლავი მამაკაცი, – მაპატიეთ, მისტერ რედინგ, – განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ის ტყუილუბრალოდ დაადანაშაულეს. ოჰ! დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერს ჩაუკაკლავენ.

– დღესვე შევეცდები ამის გაკეთებას! – მგზნებარედ განაცხადა ლოურენსმა, – გმადლობ იდეისთვის, მის მარპლ. ახლავე ნავალ – მას შემდეგ, როცა მე და ვიკარიუსი ერთ პატარა საერთო საქმეს დავასრულებთ.

გავიფიქრე, რომ უკვე დრო იყო, ამ საქმეს შევდგომოდით. მის მარპლს დავემშვიდობე და ლოურენსთან ერთად ტყუში დავბრუნდი.

თავდაპირველად ბილიკს გავუყევით იმ ადგილამდე, სადაც აშკარად ჩანდა, რომ ვილაცას გზის მარჯვენა მხარე გაეტკეპნა. ლოურენსმა თქვა, რომ ერთხელ უკვე გაჰყვა ამ კვალს და ვერაფერი აღმოაჩინა, მაგრამ წინააღმდეგი არ იყო, კიდევ შეგვემონმებინა. იქნებ რამე ვერ შევამჩნიეო, დაამატა.

მაგრამ იგი მართალი აღმოჩნდა. ათი-თხუთმეტი იარდის შემდეგ აღარც მომტვრეული ტოტები ჩანდა და არც – ჩამოცვივნილი ფოთლები. სწორედ ამ ადგილიდან დაბრუნდა ლოურენსი ბილიკზე ადრე, როდესაც ერთმანეთს შევხვდით.

ორივენი ბილიკს დავადექით და წინ წავინიეთ. კვლავ წავანყდით ადგილს, სადაც ბუჩქები სულ ოდნავ, მაგრამ მაინც გადათელილი იყო – ამაში ეჭვი არ მეპარებოდა. ამჯერად უფრო საინტერესო კვალს წავანყდით. იგი აქეთ-იქით უხვევდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ჩემი ბალის კედლისკენ მიდიოდა. აი, იმ ადგილსაც მივადექით, სადაც ბუჩქები მაღალ კედელს ეხებოდა, რომლის თავზეც ბოთლის ნამტვრევები ჩაემაგრებინათ. თუ ვინმეს აქ კიბე მიედგა, კვალი აუცილებლად დარჩებოდა.

აუჩქარებლად მივდიოდით. უეცრად შორიახლოს გატეხილი ტოტის ტკაცუნის შემოგვესმა. სასწრაფოდ წინ გავ-

ვარდი, ბუჩქნარს თავი დავალწიე და ხელში ინსპექტორი  
სლექი შემრჩა.

- აჰ, ეს თქვენ ხართ, - თქვა მან, - აი, მისტერ რედინ-  
გიც. ნება მომეცით, გკითხოთ, ჯენტლმენებო, აქ რას აკე-  
თებთ?

შეცბუნებულებმა ყველაფერი გულახდილად ვუთხა-  
რით.

- გასაგებია, - თქვა ინსპექტორმა, - არც ჩვენ ვართ  
ისეთი იდიოტები, როგორც ჰგონიათ. მეც იგივე აზრი მო-  
მივიდა თავში. საათზე მეტია, რაც აქ ვარ. გინდათ, რალაც  
გითხრათ?

- დიახ, - მოკლედ ვუპასუხე.

- ვინც უნდა იყოს პოლკოვნიკ პროტეროს მკვლელი,  
იგი ამ მხრიდან არ მოპარულა! კვალი არც ამ მხრიდანაა,  
არც მეორე მხრიდან. პოლკოვნიკ პროტეროს მკვლელი სა-  
დარბაზო შესასვლელიდან შევიდა. სხვა გზა გამორიცხუ-  
ლია.

- ეს შეუძლებელია! - შევძახე მე,

- რატომაა შეუძლებელი? თქვენი სახლის კარი ყოველ-  
თვის ღიაა. სურვილის შემთხვევაში, შიგნით შესვლა ნე-  
ბისმიერს შეუძლია. სამზარეულოდან არაფერი ჩანს. მათ  
იცოდნენ, რომ თქვენ სხვაგან ნახვედით, რომ მისის კლე-  
მენტი ლონდონს გაემგზავრა, რომ მისტერ დენისი ჩოგ-  
ბურთის სათამაშოდ მიიწვიეს. ეს ხომ ცხადზე ცხადია. რა-  
ლაში სჭირდებოდათ შუა სოფელში სეირნობა? თქვენი ბა-  
ლის პირდაპირ ბილიკი გადის, რომლითაც ტყეში შესვლა,  
იქიდან კი ნებისმიერ ადგილას მოხვედრა შეიძლება. ყვე-  
ლაფერი კრიალოსანივით აენწყობა, თუ სწორედ ამ დროს  
მისის პრაის რიდლი არ გამოვა თავისი კუტიკარიდან. რა-  
ტომ უნდა იძრომილონ კედლებზე? მისის პრაის რიდლის  
სახლის ზედა სართულის გვერდითი ფანჯრებიდან თითქ-  
მის მთელი კედელი მოჩანს. არა, დამიჯერეთ, ისინი მხო-  
ლოდ ასე თუ შევიდოდნენ.

როგორც ჩანს, ინსპექტორი მართალი იყო.

## თავი XVII

მეორე დილით ინსპექტორმა სლეკმა შინ შემომიარა. მომეჩვენა, რომ ჩემ მიმართ სულ უფრო მეტ კეთილგანწყობას იჩენდა. შესაძლოა, დროთა განმავლობაში საათთან დაკავშირებული ამბავიც დაევიწყებინა.

- იცით, სერ, - დაიწყო მან მისალმების ნაცვლად, - გავარკვიე, საიდანაც დაგირეკეს.

- მართლა? - ვკითხე მოუთმენლად.

- უცნაური ხუმრობა კია. ოულდჰოლის ჩრდილოეთ კარიბჭესთან მდებარე მეკარის სახლიდან დარეკეს. უნდა გითხრათ, რომ სახლი ცარიელია - ძველი დარაჯი პენსიაზე გავიდა, ახალი კი ჯერ არ გადმოსულა. მოხერხებული, მყუდრო ადგილია - უკანა ფანჯარა ღია იყო. ტელეფონის აპარატზე თითის ანაბეჭდი ვერ აღმოაჩინეს. საგულდაგულოდ ნაუშლიათ. ეს კი ეჭვს აღძრავს.

- რას გულისხმობთ?

- იმას, რომ განზრახ დაგირეკეს, რათა სახლიდან გაეტყუებინეთ. მაშასადამე, მკვლელობა წინასწარ, საგულდაგულოდ მოუფიქრებიათ. ეს რომ მხოლოდ სულელური გათამაშება ყოფილიყო, ყურმილიდან თითის ანაბეჭდებს არ ნაშლიდნენ.

- დიახ, ლოგიკურია.

- აქედან გამომდინარეობს, რომ მკვლელი კარგად იცნობდა ოულდჰოლსა და მის შემოგარენს. თქვენთან მისის პროტეროს არ დაურეკავს. წუთის სიზუსტით ვიცი, თუ რას აკეთებდა იგი იმ დღეს. ეჭვს მსახურს შეუძლია დაადასტუროს, რომ ეჭვის ნახევრამდე იგი სახლში იყო. მძლოლმა ის და პოლკოვნიკი პროტერო სოფელში წაიყვანა. პოლკოვნიკმა ვეტერინარ კვინტონს შეუარა თავის ცხენზე სასაუბროდ. მისის პროტერომ საბაყლოსა და თევზის მაღაზიაში პროდუქტი შეუკვეთა, იქიდან კი უკანა ეზოებით ორლობეს გაუყვა, სადაც მის მარპლმა მას თვალი მოჰკრა. ყველა გამყიდველი ამტკიცებს, რომ ხელჩანთა არ ჰქონია. მოხუცი ქალბატონი მართალი აღმოჩნდა.

- როგორც ყოველთვის, - მორიდებულად ჩავურთე მე.
- მის პროტერო 5:30-ზე მაჩ-ბენჰემში იყო.
- მართალია. ისევე, როგორც ჩემი დისშვილი.
- მაშასადამე, მასთან დაკავშირებით ყველაფერი გარკვეულია. ეჭვს ვერც მოახლეზე მივიტანთ. ცხადია, ალელ-ვებულები და შეშინებული იყო, მაგრამ ეს სულაც არ არის გასაკვირი. რა თქმა უნდა, მსახურთუფროსს თვალს არ ვაშორებ - უეცრად წასვლა გადაწყვიტა, და საერთოდ... მაგრამ ვფიქრობ, მან არაფერი იცის.
- ჩემი აზრით, თქვენმა მუშაობამ, ძირითადად, უარყოფითი შედეგი გამოიღო, ინსპექტორო.
- ეს ჯერ კიდევ არ ვიცით, სერ. ერთი საინტერესო დეტალი გაირკვა, თანაც, სრულიად მოულოდნელად.
- მართლა?
- ხომ გახსოვთ, რა ამბავი დააწია მისის პრაის რიდლიმ, თქვენმა მეზობელმა, გუშინ დილით, სატელეფონო ზართან დაკავშირებით?
- დიახ. - ვთქვი მე.
- ჩვენ გავარკვიეთ, საიდან რეკავდნენ - მხოლოდ იმიტომ, რომ დაგვეწყნარებინა. ვერასდროს მიხვდებით, რა დავადგინეთ.
- სატელეფონო სადგურის სალაპარაკო პუნქტიდან? - ვკითხე ალალებედზე.
- არა, მისტერ კლემენტ. მისტერ ლოურენს რედინგის კოტეჯიდან.
- რაო? - შევყვირე გაოცებულმა.
- დიახ. უცნაურია, არა? თვითონ მისტერ რედინგი აქ არაფერ შუაშია. იგი ამ დროს - 6:30-ზე - დოქტორ სტოუნთან ერთად „ცისფერი ტახისკენ“ მიემართებოდა მთელი სოფლის დასანახად. მაგრამ ეს ფაქტი გარკვეულ აზრებს აღძრავს, არა? ვილაც ცარიელ კოტეჯში მიდის და რეკავს - ვინ უნდა იყოს? ორი უცნაური ზარი ერთ დღეს. ვფიქრობ, მათ შორის კავშირი უნდა იყოს. მზად ვარ, საკუთარი ქუდი შევჭამო, თუ ეს ერთი და იმავე ადამიანის გაკეთებული არ იყოს.

- რა მიზნით?

- სწორედ ეს არის დასადგენი. მეორე ზარი საკმაოდ უაზროს ჰგავს, მაგრამ მასშიც არის რაღაც ხელჩასაჭიდი. მისტერ რედინგის სახლიდან დარეკეს. მისტერ რედინგის პისტოლეთი. თითქოს ვიღაც ცდილობს, რომ ეჭვი მისტერ რედინგზე მივიტანოთ.

- უფრო ლოგიკური იქნებოდა, თუ მისი სახლიდან პირველი ზარი განხორციელდებოდა, - შევენიშნააღმდეგე მე.

- აჰ! ამაზე უკვე ვიფიქრე. რას აკეთებდა ხოლმე მისტერ რედინგი მთელი დღის განმავლობაში? ოულდჰოლში მიდიოდა და მის პროტეროს ხატავდა. თავისი კოტეჯიდან მოტოციკლეტით ჩრდილოეთის კარიბჭიდან გადიოდა. ახლა ხომ ხვდებით, იქიდან რატომ დარეკეს? მკვლელმა არ იცოდა, რომ მისტერ რედინგი ოულდჰოლში აღარ დადიოდა.

ცოტა ხანს ჩაეფიქრდი და ინსპექტორის მოსაზრებები გავაანალიზე. მომეჩვენა, რომ მის ლოგიკას წინ ვერაფერი დაუდგებოდა.

- მისტერ რედინგის ტელეფონის ყურმილზე თუ აღმოაჩინეთ თითის ანაბეჭდები? - ვკითხე მე.

- ვერა, - დანანებით წარმოთქვა ინსპექტორმა, - დედაბერმა, რომელიც მის სახლს ალაგებს, გუშინ დილით მტვერთან ერთად ყველაფერი გააქრო, - იგი გაჩუმდა და ბრაზმორეულმა დაამატა: - რა მოეკითხება ბებერ სულელს. იმასაც კი ვერ იხსენებს, როდის ნახა უკანასკნელად პისტოლეთი. შესაძლოა, თავის ადგილას იღო დილით, მკვლელობის დღეს, შესაძლოა, არა. „ვერაფერს ვიტყვი, ვერაფერს ვიტყვი“, აუჩემებია. ყველანი ერთნაირები არიან!

- ფორმალობისთვის დოქტორ სტოუნსაც ვესაუბრე, - განაგრძო მან, - უნდა გითხრათ, რომ უაღრესად თავაზიანად შემხვდა. ის და მის კრემი თავიანთ ყორღანზე... ბორცვზე... თუ რასაც ეძახიან, სამის ნახევრისთვის წავიდნენ და თითქმის მთელი დღე იქ იყვნენ. დოქტორი სტოუნი მარ-



ტო დაბრუნდა, ქალი მოგვიანებით წამოვიდა. დოქტორი ამბობს, რომ სროლის ხმა არ გაუგონია, თუმცა საკუთარ გულმავინყობასა და გონებაგაფანტულობასაც აღნიშნავს. ეს ყველაფერი ჩვენს დასკვნებს ამყარებს.

– კარგად გიმუშავიათ, – ვთქვი მე, – მაგრამ მკვლელი ვერ დაიჭირეთ.

– ჰმ, – თქვა ინსპექტორმა, – თქვენ ტელეფონით ქალის ხმა მოგესმათ. შესაძლოა, მისის პრაის რიდლიმაც ქალის ხმა გაიგონა. ტელეფონით დარეკვისთანავე რომ არ გაესროლათ, მეცოდინებოდა, სადაც უნდა მეძებნა.

– სად?

– აჰ! აჯობებს, თუ ამას არ გეტყვით, სერ.

მოურიდებლად შევთავაზე, თითო ჭიქა ძველი პორტვინი ხომ არ გადაგვეკრა-მეთქი. საუცხოო სამარკო პორტვინი მქონდა შემონახული. მართალია, დილის თერთმეტ საათზე მას, როგორც წესი, არ სვამენ, მაგრამ გავიფიქრე, რომ ინსპექტორ სლეკისთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამით, ცხადია, სამარკო პორტვინს სასტიკ შეურაცხყოფას ვაყენებდი, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა.

მეორე ჭიქის შემდეგ ინსპექტორი სლეკი ოდნავ მოეშვა და უფრო გულახდილად ალაპარაკდა. ამ დიდებულ სასმელს სწორედ ასეთი ეფექტის მოხდენა ახასიათებს.

– არ იფიქროთ, რომ არ გენდობით, სერ, – ამიხსნა მან, – თქვენ ხომ ენას კბილს დააჭერთ და მთელ მრევლს არ გააგებინებთ?

დავარწმუნე, რომ ასე არ მოვიქცეოდი.

– რადგან ეს შემთხვევა თქვენს სახლში მოხდა, ალბათ, მის შესახებ ყველაფრის ცოდნა გმართებთ, ხომ ასეა?

– სრულიად გეთანხმებით, – მივუგე მე.

– აბა, სერ, რას იტყვით ქალზე, რომელიც პოლკოვნიკ პროტეროს მკვლელობის წინასაღამოს ესტუმრა?

– მისის ლესტრენჯი! – შევძახე, ჩემდა გასაოცრად, საკმაოდ ხმამაღლა.

ინსპექტორმა საყვედურით შემომხედა.

- ჩუმად, სერ. სწორედ მისის ლესტრენჯია ის ქალბატონი, რომელიც ჩემი თვალთახედვის არეში მოხვდა. ხომ გახსოვთ, გამოძალვა რომ გიხსენეთ.

- შანტაჟი ძნელად თუ გამოდგება მკვლევლობის მიზეზად. ეს ისეთივე სისულელეა, კაცმა რომ ოქროს კვერცხის მდებელი ქათამი მოკლას. ცხადია, თქვენი ჰიპოთეზის მიხედვით, რომელსაც ვერაფრით დავეთანხმები.

ინსპექტორმა ძველი მეგობარივით ჩამიკრა თვალი.

- აჰ! ჯენტლმენები ყოველთვის იცავენ ასეთ ქალებს. მომისმინეთ, სერ. დავუშვათ, წარსულში იგი გამუდმებით სძალავდა ფულს მოხუც ჯენტლმენს. რამდენიმე წლის შემდეგ მან იგი კვლავ მოძებნა, აქ ჩამოვიდა და ძველი საქმიანობის გაგრძელება სცადა. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის - კანონიც. თუ გამოძალვის ობიექტი გამომძალველს სასამართლოში უჩივლებს, მას ჰპირდებიან, რომ მისი სახელი პრესაში არ მოხვდება. დავუშვათ, პოლკოვნიკი პროტერო განინმატდა და ქალს განუცხადა, რომ სასამართლოში აპირებდა ჩივილს. მისის ლესტრენჯი ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა. როგორც გამომძალველს, მას მკაცრი სასჯელი ელოდა. როდესაც ცრემლებმა არ უშველა, გადაწყვიტა, კაცი თავიდან მოეშორებინა, თანაც სასწრაფოდ.

ჩუმად ვიყავი. ვალიარე, რომ ინსპექტორის ვარაუდი სავსებით დამაჯერებლად ჟღერდა. ჩემი აზრით, მხოლოდ ერთი რამ ხდიდა მას შეუძლებლად - მისის ლესტრენჯის პირადი თვისებები.

- ვერ დაგეთანხმებით, ინსპექტორო, - ვთქვი მე, - მისის ლესტრენჯს პოტენციურ გამომძალველად ვერ აღვიქვამ. შესაძლოა, ძველმოდურად ჟღერდეს, მაგრამ იგი ნამდვილი ქალბატონია.

სლექმა დაუფარავი სიბრალულით შემომხედა.

- აჰ! გეყოფათ, სერ, - მითხრა შემწყნარებლურად, - თქვენ სასულიერო პირი ბრძანდებით. ვერ წარმოგიდგენიათ, რა აღარ ხდება ამქვეყნად. ქალბატონიო, ამბობთ.

თქვენ რომ ის იცოდეთ, რაც მე ვიცი, საშინლად გაოცდებოდით.

– მე მის სოციალურ მდგომარეობას არ ვგულისხმობ. შესაძლოა, იგი მაღალ საზოგადოებას არც კი ეკუთვნოდეს, მაგრამ მისი დახვეწილი მანერები და კეთილშობილება უდავოდ თვალში საცემია.

– მე და თქვენ მას სხვადასხვაგვარად ვუყურებთ, სერ. ცხადია, მეც მამაკაცი ვარ, მაგრამ, იმავდროულად, პოლიციის ოფიცერიც. ჩემთვის დახვეწილი მანერები ბევრს არაფერს ნიშნავს. იგი ისეთი ქალია, რომ დანას გაგიყრის და თვალსაც არ დაახამხამებს.

უცნაურია, მაგრამ მისის ლესტრენჯს მკვლელად უფრო წარმოვიდგენდი, ვიდრე გამომძაღველად.

– რა თქმა უნდა, იგი ვერ მოახერხებდა, რომ ერთდროულად მოხუცი მეზობელი ქალისთვისაც დაერეკა და პოლიკოვნიკი პროტეროც მოეკლა, – განაგრძო ინსპექტორმა.

ფრაზა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ თეძოზე ხელი მძლავრად შემოირტყა.

– გასაგებია! – შესძახა მან, – მიხვდით, რატომაც დარეკა – ალიბისთვის! იცოდა, რომ მას პირველ ზარს დავუკავშირებდით. არა, ამას ასე არ დავტოვებ. შესაძლოა, რომელიმე სოფლელი ბიჭი მოისყიდა, რათა მის მაგივრად დაერეკა. ის ხომ ვერაფრით მიხვდებოდა, რომ ქალი მკვლელობაში მონაწილეობდა.

ინსპექტორი წამოხტა და სასწრაფოდ წავიდა.

– შენი ნახვა მის მარპლს სურს, – მითხრა ოთახში შემოსულმა გრიზელდამ, – რალაც გაუგებარი ბარათი გამოგიგზავნა, სულ ხაზგასმული სიტყვებია. ვერაფრით გავარჩიე, რა წერია. როგორც ჩანს, სახლიდან ვერ გამოდის. სასწრაფოდ წადი და გაიგე, რა ხდება. მეც წამოგყვებოდი, მაგრამ წუთი წუთზე ჩემი მოხუცი ქალები მოვლენ. არადა, მათი ატანა აღარ მაქვს. გამუდმებით თავიანთ ავადმყოფ ფეხებზე წუნუნებენ, ლამის ცხვირთან მომიტანონ. გაგიმართლა, რომ მოკვლევა დღეისთვის დანიშნეს. აღარ მოგიწევს „ბიჭების კლუბში“ ჯდომა და კრიკეტის მატჩის ყურება.

ალარ გადავდე და მის მარპლისკენ გავეშურე, თან გონებაში ასეთი სასწრაფო გამოძახების შესაძლო მიზეზებზე ვფიქრობდი.

მის მარპლი აღელვებული დამხვდა. სახეანიტლებული, საკმაოდ არეულ-დარეულად ლაპარაკობდა.

– დისშვილი! – ამიხსნა მან, – ჩემი დისშვილი, რაიმონდ უესტი, მწერალი. დღეს ჩამოდის. ასე მოულოდნელად. არადა, ყველაფერს მე უნდა მივადევნო თვალი. მოსამსახურე წესიერად სანოლსაც კი ვერ გაამზეურებს. თანაც სადილისთვის ხორციანი კერძია მოსამზადებელი. ჯენტლმენები ბევრ ხორცს მოითხოვენ, ხომ ასეა? და სასმელს. სახლში აუცილებლად უნდა იყოს დასალევი და... სიფონი.

– თუ თქვენი დახმარება შემიძლია... – დავინყე მე.

– ოჰ! რა კეთილი ბრძანდებით. მაგრამ სხვა რამეს ვგულისხმობდი. დრო ჯერ საკმარისია. ჩიბუხსა და თამბაქოს თვითონ მოიტანს, რაც ძალიან მიხარია, რადგან ალარ მომინევს იმის გამოცნობა, რომელი სიგარეტი ვუყიდო. მეორე მხრივ, ეს სამწუხაროცაა – სუნი ფარდებს რამდენიმე კვირის განმავლობაში ალარ მოსცილდება. თუმცა, ცხადია, ფანჯრებს ყოველდღე ვაღებ და ფარდებსაც ვბერტყავ. რაიმონდი გვიან დგება. როგორც ჩანს, ეს მწერლების ჩვეულებაა. იგი ძალზე ჭკვიანურად წერს, ოღონდ მგონია, რომ ადამიანები იმაზე სიმპათიურები არიან, ვიდრე მის წიგნებში. ჭკვიან ახალგაზრდებს ცხოვრებისეული გამოცდილება აკლიათ, არ მეთანხმებით?

– იქნებ, როგორმე, ორივენი სადილად გვეწვიოთ? – ვკითხე მე. ვერ გამეგო, რატომ მიხმო თავისთან.

– ოჰ, არა! გმადლობ, – მიპასუხა მის მარპლმა, – თუმცა ვაფასებ თქვენს თავაზიანობას.

– როგორც მითხრეს, ჩემი... ე-ე... ნახვის სურვილი გქონიათ, – ვუთხარი მოუთმენლად.

– დიახ, რა თქმა უნდა. ისე ავფორიაქდი, კინალამ გადამავიწყდა.

იგი გაჩუმდა და მოსამსახურეს გასძახა:



- ემილი! ემილი! ეს ის ზენრები არაა. ფურჩალიანი გვეჭირდება, ამოქარგული ინიციალებით. და ცეცხლთან ახლოს არ მიიტანოთ.

მან კარი მიხურა და ფეხის წვერებზე დაბრუნდა ჩემთან.

- საქმე ისაა, რომ გუშინ რალაც საინტერესო მოხდა, - მითხრა მან, - ვიფიქრე, რომ ეს დაგაინტერესებდათ, თუმცა იმ მომენტში ვერაფერს მივხვდი. ნუხელ ცუდად მეძინა - სულ იმ სამწუხარო ამბავზე ვფიქრობდი. ავდექი და ფანჯარაში გავიხედე. როგორ გგონიათ, რა დავინახე?

კითხვის გამომხატველი მზერა მივაპყრე.

- გლედის კრემს ხელში ჩემოდანი ეჭირა, - თქვა მან ხაზგასმით, - და ტყისკენ მიემართებოდა.

- ჩემოდნით?

- უცნაურია, არა? რა უნდოდა ტყეში შუალამით, თანაც ჩემოდნით? არა, - განაგრძო მან, - იმის მტკიცებას ვერ მოვყვები, რომ ეს მკვლელობას უკავშირდება, მაგრამ ძალზე უცნაური კი არის! ჩვენ ხომ ახლა ყოველივე უცნაურს ვაქცევთ ყურადღებას.

- ნარმოუდგენელია, - ვთქვი მე, - იქნებ ყორღანზე აპირებდა ლამის გათევას?

- არა, არ აპირებდა, - თქვა მის მარპლმა, - რადგან მალე უკან დაბრუნდა, ოღონდ უჩემოდნოდ.

## თავი XVIII

მოკვლევა შაბათს, ორ საათზე იყო დანიშნული „ცისფერ ტახში“. ადგილობრივი მოსახლეობა ძალიან ღელავდა. სენტ-მერიმიდში მკვლელობა სულ ცოტა, თხუთმეტი წლის განმავლობაში არ მომხდარა. ახლა კი პოლკოვნიკი პროტერო მოკლეს, თანაც ვიკარიუსის კაბინეტში. სენსაციის მოყვარული სოფლელებისთვის ეს ნამდვილი ზეიმი იყო. ვინ იცის, მსგავსი რამ კიდევ როდის მოხდებოდა.

ისეთი კომენტარები მომესმა, რომლებიც ჩემი ყურებისთვის ნამდვილად არ იყო განკუთვნილი.



– აი, ვიკარიუსი. როგორ გაფითრებულა, არა? ვინ იცის, იქნებ მისი ხელიც ურევია? ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ მის სახლში მოხდა...

– ამას როგორ ამბობთ, მერი ადამს? ის ხომ ამ დროს ჰენრი ებოტის სანახავად იყო წასული.

– ოჰ! ყველა ამბობს, რომ ის და პოლკოვნიკი რალაცაზე ვერ შეთანხმდნენ. აი, მერი ჰილიც. ცხვირი აუბზეკია, იმიტომ, რომ იქ მუშაობს. ჩუმად, კორონერი!

კორონერად დოქტორი რობერტსი იყო განწესებული, მეზობლად მდებარე პატარა ქალაქ მაჩ-ბენჰემიდან. მან ხმა ჩაინმინდა, სათვალე გაისწორა და სერიოზული სახე მიიღო.

ყველა ჩვენების დანვრილებით გადმოცემით თავს არ შეგანყენთ. ლოურენს რედინგმა თქვა, თუ როგორ აღმოაჩინა გვამი და როგორ ამოიცნო იქ თავისი პისტოლეტი, რომელსაც, თუ სწორად ახსოვდა, მკვლელობამდე ორი დღით ადრე მოჰკრა თვალი. იგი იარაღს თაროზე, კოტიჯში ინახავდა, რომელსაც არასდროს კეტავდა.

მისის პროტეროს თქმით, მან თავისი ქმარი დაახლოებით ხუთ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე ნახა, როდესაც მას სოფლის მთავარ ქუჩაზე დაშორდა. შეთანხმდნენ, რომ მოგვიანებით მისტერ კლემენტთან შეუვლიდა. მღვდლის სახლისკენ შვიდის თხუთმეტ წუთზე გაემართა ორლობის გავლით და ბალის კუტიკარიდან შევიდა. კაბინეტიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა და გაიფიქრა, რომ იქ არავინ იყო. შესაძლებელია, მისი მეუღლე სანერ მაგიდასთან იჯდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მას ვერ დაინახავდა. პოლკოვნიკი პროტერო თავს კარგად გრძნობდა და არაფერი ანუხებდა. მისი აზრით, არც მტერი ჰყავდა, რომელიც მის წინააღმდეგ რამე ცუდს ჩაიფიქრებდა.

მის შემდეგ ჩვენება მე მივეცი. მოვეყვი პროტეროსთან

---

<sup>1</sup> კორონერი – ინგლისსა და აშშ-ში: სასამართლოს საგანგებო გამომძიებელი, რომელიც უჩვეულო ვითარებაში ან მოულოდნელად გარდაცვლილი ადამიანის სიკვდილის მიზეზს ადგენს.

დანიშნული შეხვედრისა და ებოტებთან ჩემი გამოცხების შესახებ. ისიც აღვწერე, თუ რა ვითარებაში აღმოვაჩინე მიცვალებული, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ დავურეკე დოქტორ ჰეიდოკს.

– მისტერ კლემენტ, რამდენმა ადამიანმა იცოდა, რომ პოლკოვნიკი პროტერო სალამოს თქვენთან აპირებდა შემოვლას?

– ძალიან ბევრმა – ჩემმა ცოლმა, დისშვილმა. ეს თვითონ პოლკოვნიკმა გაახმაურა იმ დილით, როდესაც ერთმანეთს სოფელში შეხვდით. ვფიქრობ, ბევრი უნებლიეთ გაიგონებდა მის სიტყვებს, რადგან მას ყურს აკლდა და ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდა.

– მაშასადამე, ყველამ იცოდა? ამის შესახებ ნებისმიერს შეიძლებოდა სცოდნოდა?

შეკითხვას დადებითად ვუპასუხე.

ჩემ შემდეგ ჰეიდოკის ჯერი დადგა. იგი მნიშვნელოვანი მონმე იყო. მან დანვრილებით აღწერა გვამის ადგილმდებარეობა და არსებული დაზიანებები. მისი აზრით, განსვენებული 6:20-სა და 6:30-ს შორის შუალედში იქნა მოკლული, არა უგვიანეს 6:35-ისა. იგი დამაჯერებლად საუბრობდა და ამტკიცებდა, რომ საკუთარ ნათქვამში ეჭვი არ ეპარებოდა. თვითმკვლელობაზე ლაპარაკი ზედმეტად მიაჩნდა, ვინაიდან ადგილი, საიდანაც ტყვიამ თავში გაიარა, ამგვარ შესაძლებლობას გამორიცხავდა.

ინსპექტორმა სლეკმა მოკლედ და ძუნწად ილაპარაკა. მოჰყვა, თუ როგორ გამოიძახეს და ის ვითარებაც აღწერა, რომელშიც გვამი იპოვა. მან დაუმთავრებელი ბარათიც წარმოადგინა და აღნიშნა, რომ მასზე 6:20 ეწერა. მაგიდის საათიც ახსენა. იგულისხმებოდა, რომ გარდაცვალების დრო 6:22 იყო. მოგვიანებით, ენი პროტერომ მითხრა, როგორ ურჩიეს, ეთქვა, თითქოს 6:20-ზე ოდნავ ადრე მივიდა.

შემდეგ ჩვენი მოსამსახურე, მერი გამოიძახეს. მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი ურჩი ხასიათი – თქვა, რომ არაფერი გაუგონია და არც არაფრის გაგონება სურდა. თითქოს ვიკარიუსთან მოსულ ჯენტლმენებს ყოველთვის

ტყვიას ახლიდნენ თავში. არა, ბატონო. მას ისედაც უამრავი საქმე აქვს. პოლკოვნიკი პროტერო ზუსტად შვიდის თხუთმეტ წუთზე მოვიდა. საათისთვის რატომ უნდა შეეხედა? მან ეკლესიის ზარის რეკვა სწორედ მაშინ გაიგონა, როდესაც პოლკოვნიკს კაბინეტში შეუძღვა. გასროლა არ გაუგონია. რომ გაესროლათ, აუცილებლად გაიგონებდა. რა თქმა უნდა იცის, რომ გასროლა უნდა ყოფილიყო, რადგან ჯენტლმენი მოკლეს, მაგრამ ასე გამოვიდა. არ გაუგონია და რა ქნას.

კორონერს არ დაუყინია. მივხვდი, რომ მან და პოლკოვნიკმა მელჩეტმა ყველაფერზე წინასწარ მოილაპარაკეს.

მისის ლესტრენჯი მოკვლევაზე უწყების საშუალებით გამოიძახეს, მაგრამ დოქტორ ჰეიდოკის მიერ ხელმოწერილი სამედიცინო დასკვნა წარმოადგინეს, რომელშიც ეწერა, რომ იგი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ გამოცხადდებოდა.

ბოლოს ერთი მოწმე დარჩა – მოცახცახეთავიანი მოხუცი ქალი, რომელიც, სლექის თქმით, ლოურენს რედინგის სახლს „ხელს გაჰკრავდა“ ხოლმე.

როდესაც მისის არჩერს პისტოლეტი უჩვენეს, მან იგი მაშინვე ამოიციო – განაცხადა, რომ სწორედ ის ნახა მისტერ რედინგის სასტუმრო ოთახში, „თაროზე იდო, კარადაში“. უკანასკნელად მკვლელობის დღეს მოჰკრა თვალი. დიახ, თქვა მისის არჩერმა, სრულიად დარწმუნებულია, რომ ხუთმაბათს, ლანჩის დროს, დღის თორმეტ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე, როდესაც სახლიდან გადიოდა, პისტოლეტი თავის ადგილზე იდო.

გამახსენდა ინსპექტორის ნათქვამი და გავოცდი. როგორც უნდა დაბნეულიყო მისის არჩერი მასთან დაკითხვაზე ყოფნისას, მოკვლევაზე ძალზე თავდაჯერებულად იქცეოდა.

კორონერმა, სამხილების არარსებობის გამო, მოკლე, მაგრამ დამაჯერებელი დასკვნა გააკეთა. არც ვერდიქტის გამოტანა გაუჭიანურებია:

„წინასწარგანზრახული მკვლელობა, ჩადენილი უცნობი პირის ან პირთა ჯგუფის მიერ“.

ოთახიდან გამოსულს, თვალში მომხვდა მკვირცხლი, თვალებგაბრწყინებული, ცნობისმოყვარე, რალაციით ერთმანეთის მსგავსი ახალგაზრდების პატარა ჯგუფი. რამდენიმე მათგანი ვიცანი კიდეც – სწორედ ისინი მორიგეობდნენ ჩემს სახლთან ბოლო დღეების განმავლობაში. მათთვის თავის არიდების მიზნით, ისევ „ცისფერ ტახში“ შევბრუნდი და, საბედნიეროდ, არქეოლოგს, დოქტორ სტოუნს შევეჩიხე. მოურიდებლად წავავლე მკლავში ხელი და მრავალმნიშვნელოვანი სახით წავჩურჩულე:

– ჟურნალისტები! მათი კლანჭებიდან ხომ ვერ დამიხსნიდით?

– სიამოვნებით, მისტერ კლემენტ! ზევით ავიდეთ.

მან ვინრო კიბით თავის სასტუმრო ოთახში ამიყვანა, სადაც მის კრემი იჯდა და საოცარი სისწრაფით ახმაურებდა საბეჭდ მანქანას. ქალიშვილმა მომხიბლავად გამიღიმა და ჩემი გამოჩენა მუშაობის შესაწყვეტად გამოიყენა.

– საშინელებაა, არა? – თქვა მან, – საშინელებაა, რომ არ ვიცით, ვინ არის მკვლელი. მოკვლევამ კი იმედი გამიცრუა. საინტერესო არაფერი მომხდარა.

– მაშასადამე, ესწრებოდით, მის კრემ?

– რა თქმა უნდა, ვესწრებოდი. ნუთუ ვერ შემამჩნიეთ? მე ვერ შემამჩნიეთ? ნამდვილად გული მატკინეთ. დიახ, მატკინეთ. როგორ შეიძლება, რომ ჯენტლმენი, თუნდაც მღვდელი, ასე დაბრმავდეს?

– თქვენც იყავით? – ვკითხე დოქტორ სტოუნს, რათა კეკლუცად წარმოთქმული დაცინვისთვის თავი ამერიდებინა. მის კრემის მსგავსი ქალიშვილები ჩემში ყოველთვის უხერხულობის გრძნობას იწვევენ.

– არა, მსგავსი რამ არასდროს მაინტერესებს. იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი, რომლებიც საკუთარი ჰობის გარდა ვერაფერს ამჩნევენ.

– ალბათ, ძალზე საინტერესო ჰობი გაქვთ, – ვთქვი მე.

– როგორც ჩანს, ამის შესახებ გარკვეული წარმოდგენაც გაქვთ, არა?



გამოვტყდი, რომ არქეოლოგიის შესახებ არაფერი ვიცოდი.

მაგრამ დოქტორ სტოუნს საკუთარი უცოდინარობის აღიარებით თავგზას ვერავენ აუბნევდა. ისე მოიქცა, თითქოს მეღიარებინოს, რომ ჩემი ცხოვრების ერთადერთი სიხარული ყორღანების თხრა იყო. მაშინვე თავის სტიქიაში შეიჭრა და მჭევრმეტყველების ნიაღვარი გადმოაფრქვია – გრძელი ყორღანები, მრგვალი ყორღანები, ქვის ხანა, ბრინჯაოს ხანა, პალეოლითი, ნეოლითი, აკლდამები და კრომლეხები<sup>1</sup>. მხოლოდ თავის ქნევალა დამრჩენოდა ჭკვიანი სახით, ოღონდ ეს, ვშიშობ, ცუდად გამომდიოდა. დოქტორი სტოუნი კი გაჩერებას არ აპირებდა. იგი პატარა ტანის კაცი იყო. მრგვალი, სრულიად მელოტი თავი და ასევე მრგვალი, ვარდისფერი პირისახე ჰქონდა. სქელი ლინზების მიღმა თვალები უბრწყინავდა. პირველად ვხედავდი ადამიანს, რომლისთვისაც ორიოდე სიტყვაც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ასე ენერგიულად ექაქანა. უამრავი არგუმენტი მოიყვანა თავისი საყვარელი თეორიის როგორც სასარგებლოდ, ისე საწინააღმდეგოდ, თუმცა მაინც ვერ მივხვდი, რა იყო ეს თეორია.

იგი დიდხანს და დანვრილებით ჰყვებოდა, თუ როგორ კამათობდნენ ის და პოლკოვნიკი პროტერო.

– ჯიუტი თავხედი, – გაცხარებით შესძახა მან, – დიახ, დიახ, ვიცი, რომ მკვდარია, და მკვდრებზე ცუდს არ ამბობენ. მაგრამ ფაქტებს ვერც სიკვდილი შეცვლის. ჯიუტი თავხედი მას ზუსტად ახასიათებს. ორიოდე წიგნი წაეკითხა და თავს უფლებას აძლევდა, თანასწორად ეკამათა იმ ადამიანთან, რომელმაც მთელი ცხოვრება ამ თემას მიუძღვნა. მისტერ კლემენტ, ამ სამუშაოს მართლა მთელი ცხოვრება შევწირე. მთელი ცხოვრება...

დოქტორი სტოუნი აღელვებისგან პირიდან დორბლს ყრიდა. გლედის კრემმა იგი მოკლე ფრაზით მიწაზე დაუშვა:

<sup>1</sup> კრომლეხი – ნეოლითის დროინდელი ვეებერთელა ქვის ფილების ნაგებობა, წრიული ან კვადრატული ფორმისა.



- მატარებელზე არ დაგაგვიანდეთ, - მშვიდად თქვა მან.  
- ოჰ! - პატარა ადამიანს სიტყვა შუაზე გაუნყდა. მან  
ჯიბიდან საათი ამოიღო და დახედა, - ღმერთო ჩემო!  
თხუთმეტი აკლია? შეუძლებელია!

- როდესაც ლაპარაკს იწყებთ, აღარაფერი გახსოვთ.  
არც კი ვიცი, რა გეშველებოდათ, ყურადღებას რომ არ გაქ-  
ცევდეთ.

- მართალი ხართ, ჩემო ძვირფასო, მართალი, - მან ნა-  
ზად მოუთათუნა მის კრემს მხარზე ხელი, - ქალი კი არა,  
ოქროა, მისტერ კლემენტ. არაფერი ავინყდება. საოცრად  
გამიმართლა, მას რომ შევხვდი.

- ოჰ! გეყოფათ, დოქტორო სტოუნ, - უთხრა ახალგაზ-  
რდა ქალბატონმა, - ასე სულ გამანებივრებთ.

საკუთარ თავს გამოვუტყდი, რომ მეორე, იმ ჯგუფის  
აზრს მივემხრე, რომელიც დოქტორ სტოუნსა და მის კრემს  
შორის კანონიერ ქორწინებას წინასწარმეტყველებდა. გა-  
ვიფიქრე, რომ მის კრემი თავისებურად საკმაოდ ჭკვიანი  
ახალგაზრდა ქალი იყო.

- აჯობებს, აჩქარდეთ, - თქვა მის კრემმა.

- დიახ, დიახ, ნასვლის დროა.

იგი მეორე ოთახში გავიდა და ჩემოდანი გამოიტანა.

- მიემგზავრებით? - ვკითხე გაოცებულმა.

- ორიოდ დღით ქალაქში მაქვს საქმე, - მიპასუხა მან,  
- ხვალ მოხუცებული დედა უნდა ვინახულო, ორშაბათს კი  
ჩემს რწმუნებულს გავესაუბრო. სამშაბათს დავბრუნდები.  
ვიმედოვნებ, პოლკოვნიკ პროტეროს სიკვდილი ჩვენს გეგ-  
მებს არ შეცვლის. გათხრებს ვგულისხმობ. მისის პროტე-  
რო, ალბათ, წინააღმდეგი არ იქნება, თუ მუშაობას განვაგ-  
რძობთ, არა?

- ვფიქრობ, რომ არა.

მისმა სიტყვებმა უნებურად იმაზე ჩამაფიქრა, თუ ვინ  
გახდებოდა მთავარი ფიგურა ოულდჰოლში. სავსებით შე-  
საძლებელია, რომ პროტერომ იგი ლეტიციას უანდერძა.  
საინტერესო იქნებოდა პროტეროს ანდერძის ნახვა.

- სიკვდილი ოჯახში ყველაფერს თავდაყირა აყენებს, - თქვა მის კრემმა ერთგვარი პირქუში სიამოვნებით, - რომ მოგიყვით, არც კი დაიჯერებთ, რა საშინელება ხდება ხოლმე ამ დროს.

- აბა, ჩემი ნასვლის დროა, - თქვა დოქტორმა სტოუნმა, თან უშედეგოდ ცდილობდა, ორ ხელში ერთდროულად ჩემოდნის, დიდი პლედისა და უშველებელი ქოლგის დაჭერას. დახმარება დავაპირე, მაგრამ უარი განმიცხადა:

- ნუ შენუხდებით, ნუ შენუხდებით. თვითონაც მშვენივრად გავუმკლავდები, ქვევით კი ვინმე დამეხმარება.

მაგრამ ქვევით არც მეკორიდორე აღმოჩნდა და არც სხვა ვინმე. ჩემი აზრით, მათ ამ დროს პრესის ნარმომადგენლები უმასპინძლებოდნენ. დრო სწრაფად გადიოდა, ამიტომ ერთად გავწიეთ სადგურისკენ: დოქტორ სტოუნს ჩემოდანი მიჰქონდა, მე პლედსა და ქოლგას მივათრევდი. გზაში აქოშინებული დოქტორი სტოუნი ნანყვეტ-ნანყვეტ ისროდა სიტყვებს:

- ძალიან კეთილი ხართ... არ მინდოდა... თქვენი შენუხება... იმედი მაქვს, არ დაგვაგვიანდება... მატარებელზე... გლედისი კარგი ქალიშვილია... შესანიშნავი ქალიშვილია... საუცხოო ხასიათი აქვს... შინ არცთუ ბედნიერია... ვშიშობ... აბსოლუტურად... ბავშვივითაა... პატარა ბავშვივით. გარნმუნებთ, მიუხედავად... ასაკში სხვაობისა... ბევრი საერთო გვაქვს...

ვიგრძენი, აქ რომ ყოფილიყო, მის მარპლი რამდენიმე ცნობილ პარალელს გაავლებდა.

როდესაც სადგურისკენ შევუხვიეთ, ლოურენს რედინგის კოტეჯი დავინახეთ. იგი სხვა სახლებისგან განცალკევებით იდგა. კარის ზღურბლთან ორი კოპნია ახალგაზრდა შევნიშნე, ორიც ფანჯრებში იჭყიტებოდა. პრესას ძალზე დაძაბული დღე ჰქონდა.

- კარგი ყმანვილია ეს ახალგაზრდა რედინგი, - ვთქვი მე ჩემი თანამგზავრის აზრის გასაგებად.

აქოშინებულ დოქტორს ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა.

მხოლოდ ერთი სიტყვის თქმა მოახერხა, რომელიც ვერ გავიგონე.

– საშიში, – თქვა მან, როდესაც გამეორება ვთხოვე.

– საშიში?

– ძალიან საშიში. ახალგაზრდა ქალიშვილები... მათ რაციანი... მას ყველაფერში ენდობიან. ასეთები ყოველთვის ქალებს დასტრიალებენ თავს... კარგს არაფერს ველი.

ამ სიტყვებიდან დავასკენი, რომ სოფელში მყოფ ერთადერთ ახალგაზრდა კაცს მშვენიერი გლედისის ყურადღებაც მიეპყრო.

– ღმერთო ჩემო! – შესძახა დოქტორმა სტოუნმა, – მატარებელი!

სადგურთან უკვე ახლოს ვიყავით და სპრინტზე გადავედით. ერთი მატარებელი, რომელსაც მგზავრები ქვევით, ქალაქისკენ უნდა წაეყვანა, უკვე ვაგზალზე იდგა, ლონდონისკენ მიმავალი კი სწორედ ახლა შემოდიოდა.

სალაროს კართან საკმაოდ დახვეწილ ახალგაზრდა კაცს შევეჩხეთ. მასში მის მარპლის დისშილი შევიცანი, რომელიც ახლახან ჩამოსულიყო. ვფიქრობ, მას არ მოსწონს, როდესაც ვინმე კართან შეეჩხება ხოლმე, ამაყობს საკუთარი თავდაჭერილობითა და აღუშფოთველობით და ცდილობს, ყოველთვის განცალკევებულად იდგეს. ეჭვგარეშეა, რომ ისეთი ვულგარული კონტაქტი, როგორიც კართან ვინმესთან შეჯახებაა, თავდაჭერილობის შენარჩუნებას ხელს არ უწყობს. ბოდიში მოვუხადე და კარში გავძვერით. დოქტორი სტოუნი საფეხურზე შეხტა, მე კი მას ნივთები მივანოდე. მატარებელი შეჯანჯლარდა და უხალისოდ დაიძრა.

დოქტორ სტოუნს ხელი დავუქნიე და შემოვტრიალდი. რაიმონდ უესტი უკვე წასულიყო, სამაგიეროდ, ჩვენი ადგილობრივი აფთიაქარი, ქერუბიმი, – ასე ერქვა, რითაც მუდამ თავი მოჰქონდა, – სოფელში მოდიოდა და მას დავემგზავრე.

– კინალამ დაგაგვიანდათ, – თქვა მან, – მითხარით, მისტერ კლემენტ, როგორ ჩაიარა მოკვლევა?

ვერდიქტი გავაცანი.

– აჰა! აი, თურმე რა ყოფილა, ასეც ვფიქრობდი. დოქტორ სტოუნს სად ეჩქარებოდა?

ის ვუთხარი, რაც დოქტორ სტოუნისგან ვიცოდი.

– გაუმართლა, რომ მოუსწრო. მაგრამ ყოველთვის ასე როდი ხდება. გეუბნებით, მისტერ კლემენტ, აღმაშფოთებელი უმსგავსობაა. ჩემმა მატარებელმა ათი წუთით დააგვიანა ჩამოსვლა. თანაც შაბათს, როდესაც მოძრაობა თითქმის არაა. ახლა ოთხშაბათისას მოგახსენებთ, არა – ხუთშაბათისას, დიახ, ხუთშაბათისას. მახსოვს, ეს მკვლელობის დღეს მოხდა, რადგან სწორედ მაშინ ვაპირებდი რკინიგზის კომპანიის გამგეობაში საჩივრის დანერას, – ყველაფერს საკუთარ სახელს დავარქმევდი, – მაგრამ მკვლელობის გამო თავიდან ამომივარდა. ასე რომ, ხუთშაბათისას მოგახსენებთ. ფარმაკოლოგების საზოგადოების შეკრებაზე გახლდით. თუ გამოიცნობთ, რამდენი წუთი დააგვიანა მატარებელმა, რომელიც 6:50-ზე უნდა ჩამომდგარიყო? ნახევარი საათი. ზუსტად ნახევარი საათი. აბა, რას იტყვით? ათი წუთი კიდევ გასაგებია. თუკი მატარებელი რვის ოც წუთზე ჩამოვა, სახლში ნახევრამდე ვერაფრით მოხვდები. მაშ, რატომ უნოდებენ ამ მატარებელს 6:50-იანს?

– სრულიად მართალი ბრძანდებით, – ვუთხარი მე და ვინაიდან მონოლოგის მოსმენა აღარ მსურდა, შემთხვევით ვისარგებლე და ლოურენს რედინგთან სასაუბროდ გავწიე, რომელიც ქუჩის მეორე მხრიდან ჩვენკენ მოემართებოდა.

## თავი XIX

– ძალიან მიხარია, რომ შეგხვდით, – მითხრა ლოურენსმა, – ჩემთან შევიდეთ.

დაბალი კუტიკარისკენ შევუხვიეთ და ვინრო გზით კართან მივედით, რომელიც ლოურენსმა ჯიბიდან ამოღებული გასაღებით გააღო.

- ვხედავ, კარის ჩაკეტვა დაგინყიათ, - აღვნიშნე.

- დიახ, - უხალისოდ გაიცინა, - მაგრამ რაღა აზრი აქვს თავლის დაკეტვას, როდესაც ცხენი უკვე მოიპარეს? სწორედ ამას ჰგავს. იცით რა, პადრე, - მან კარი შეაღო და გზა დამითმო, - ამ ამბავში არის ერთი რამ, რაც ძალიან არ მომწონს. ეს... როგორ გითხრათ... ოჯახურ საქმეს მაგონებს. ვილაცამ ყველაფერი იცოდა ჩემი პისტოლეტის შესახებ. ეს ნიშნავს, რომ მკვლელი - მნიშვნელობა არა აქვს, ვინ არის - ჩემთან ნამყოფია, შესაძლოა, ერთად დაგვიღვევია კიდევ.

- ეს სულაც არ არის აუცილებელი, - არ დავეთანხმე, - მთელმა სენტ-მერიმედმა იცის, სად ინახავთ კბილის ჯაგრისს და რომელი ფხვნილით იხეხავთ კბილებს.

- ეს რატომ აინტერესებთ?

- არ ვიცი, - მივუგე მე, - მათ ყველაფერი აინტერესებთ. საკმარისია, საპარსი კრემი შეიცვალოთ, რომ ესეც მითქმა-მოთქმის თემად იქცევა.

- როგორც ჩანს, სიახლე ჰაერივით სჭირდებათ.

- ასეა. აქ ხომ საინტერესო არაფერი ხდება.

- გასაგებია. სამაგიეროდ, ახლა აქვთ თავზე საყრელად. დავეთანხმე.

- ნეტავ, ვინ ავრცელებს ამ ყველაფერს? საპარს კრემსა და მისთანებს ვგულისხმობ.

- ალბათ, მოხუცი მისის არჩერი.

- ის ბებერი კუდიანი? მე ის თითქმის უტყინო მეგონა.

- ეს მხოლოდ ღარიბების კამუფლაჟია<sup>1</sup>, - ავუხსენი მე, - ბრიყვის ნილაბი აქვთ აფარებული. თუ კარგად დააკვირდებით, მიხვდებით, რომ ეს დედაბერი ჩვენზე სულელი ნამდვილად არ არის. სხვათა შორის, იგი მტკიცედ აცხადებს, რომ ხუთშაბათს, ჯერ კიდევ შუადღით, პისტოლეტი თავის ადგილზე იდო. საიდან უეცრად ასეთი თავდაჯერებულობა?

- თავში არაფერი მომდის.

- თქვენი აზრით, სიმართლეს ამბობს?

<sup>1</sup> კამუფლაჟი - შენიღბვის ერთ-ერთი სახე.



- კვლავაც ვერაფერს მოგახსენებთ. მე ხომ ჩემი ნივთების ინვენტარიზაციას ყოველდღე არ ვაკეთებ.

თვალი მოვაველე პატარა სასტუმრო ოთახს. თაროებსა და მაგიდაზე უამრავი ნივთი ენყო. ლოურენსი მშვიდად ცხოვრობდა ამ არტისტულ ქაოსში, მე კი ეს ჭკუაზე შემშლიდა, თანაც ძალიან მალე.

- ზოგჯერ საჭირო ნივთის პოვნა არც ისე ადვილია, - თქვა მან, როდესაც ჩემი მზერა შეამჩნია, - მაგრამ, მეორე მხრივ, ყველაფერი ხელთ გაქვთ, დამალული არაფერია.

- დიახ, დამალული არაფერია, - ვთქვი მე, - თუმცა მაინც ჯობია, რომ პისტოლეტი დამალული იყოს.

- უნდა გითხრათ, ველოდი, რომ კორონერი რალაც ამის მსგავსს იტყოდა. ეს გამომძიებლები ნამდვილი ვირები არიან. ვფიქრობდი, ამისთვის მსჯავრს დამადებს-მეთქი - თუ არ ვცდები, ასე უნოდებენ, არა?

- სხვათა შორის, პისტოლეტი დატენილი გქონდათ? - ვკითხე მე.

ლოურენსმა თავი გადააქნია.

- არც ასე წინდაუხედავი ვარ. დატენილი არ იყო, მაგრამ იქვე ვაზნებით სავსე კოლოფი იდო.

- გაირკვა, რომ სავაზნეში ექვსივე ტყვია მოეთავსებინათ, გასროლა კი მხოლოდ ერთხელ მოხდა.

ლოურენსი დამეთანხმა.

- ნეტავ, ვინ ისროლა? მე აღარ მერჩიან, სერ, მაგრამ თუ ნამდვილ მკვლელს ვერ მიაგნებენ, ხალხს სიცოცხლის ბოლომდე დამნაშავე ვეგონები.

- ასე ნუ იტყვით, ჩემო კარგო.

- მე უკვე ვთქვი ეს.

იგი მოიღუშა და ჩაფიქრდა. ბოლოს წამოდგა და თქვა:

- უნდა მოგიყვებო, რაც გუშინ დავადგინე. მინდა გითხრათ, რომ მოხუცი მის მარპლი ბევრ რამეში კარგად ერკვევა.

- ვფიქრობ, ამიტომაც არ არის პოპულარული.

აი, რა მიაგნო ლოურენსმა.

მის მარპლის რჩევით, იგი ოულდჰოლს ეწვია. იქ კი, ენის დახმარებით, მოახლეს ესაუბრა.

– როზა, მისტერ რედინგს რამდენიმე შეკითხვის დასმა სურს, – თქვა მისის პროტერომ და ოთახიდან გავიდა.

ლოურენსი ოდნავ ნერვიულობდა. როზა, ოცდახუთი წლის კარგი შესახედაობის ქალიშვილი, გულუბრყვილოდ მისჩერებოდა თვალებში, რაც მას საკმაოდ აცბუნებდა.

– ეს... ეს პოლკოვნიკ პროტეროს სიკვდილს ეხება.

– დიახ, სერ.

– მინდა გითხრათ, რომ ჩემთვის აუცილებელია სიმართლის დადგენა.

– დიახ, სერ.

– ვგრძნობ, რომ შესაძლოა... რომ ვინმეს შეეძლო... შემთხვევით...

ლოურენსი მიხვდა, რომ სულაც არ ჰგავდა გმირს, და გულში წყევლა-კრულვა შეუთვალა მის მარპლს ასეთი რჩევის მიცემისთვის.

– შენზე ვიფიქრე, იქნებ დამეხმაროს-მეთქი.

– დიახ, სერ!

როზა კვლავაც სანიმუშოდ განვრთნილ მოახლესავით იქცეოდა – თავაზიანად, ყურადღებით, მაგრამ სრულიად გულგრილად.

– დალახვროს ეშმაკმა, – თქვა ლოურენსმა, – ნუთუ ამ საქმის შესახებ თქვენთან, მოახლის ოთახში არ გისაუბრიათ?

მოულოდნელმა შეტევამ როზა ოდნავ გამოაცოცხლა. მის უზადო თავდაჭერილობას ბზარი შეეპარა.

– მოახლის ოთახში, სერ?

– დიახ, მნეს ან ლაქიას ოთახში, სადმე, სადაც სალაპარაკოდ იკრიბებით. ხომ არის ასეთი ადგილი?

როზას კინალამ გაეცინა, რამაც ლოურენსი ცოტა გაამხნევა.

– მომისმინეთ, როზა, თქვენ საოცრად კარგი გოგო ხართ. მჯერა, რომ მეც გამიგებთ. სულაც არ მინდა ყულფში თავის გაყოფა. თქვენი ბატონი მე არ მომიკლავს, თუმცა

ბევრი ფიქრობს, რომ მკვლელი მე ვარ. გთხოვთ, დამეხმარეთ, თუ შეგიძლიათ.

ექვი არ მეპარებოდა, რომ ამ მომენტში ლოურენსი ძალზე მომხიბლავი იქნებოდა – უკან გადანეული თავი, ლაჟვარდოვან თვალებში კი ვედრება. როზა მაშინვე მოტყდა და კაპიტულაცია გამოაცხადა.

– ოჰ, სერ! დარწმუნებული ვარ... ყველას სურს, რომ დაგეხმაროთ. არავინ ფიქრობს, რომ ეს თქვენ ჩაიდინეთ. ჩვენ მართლა არ გვჯერა ეს.

– ვიცი, ჩემო კარგო, მაგრამ ეს პოლიციისთვის საკმარისი არ არის.

– პოლიცია! – თავი გადააქნია როზამ, – უნდა გითხრათ, სერ, რომ სულაც არ მოგვწონს ის ინსპექტორი. ეგ რა პოლიციაა.

– და მაინც, ძალა მათ ხელშია. როზა, შენ თქვი, რომ მზად ხარ, დამეხმარო. ასე მგონია, რომ ბევრი რამ არ ვიცით. თუნდაც იმ ქალის შესახებ, რომელიც პოლკოვნიკ პროტეროს მკვლელობის წინასაღამოს ესტუმრა.

– მისის ლესტრენჯი?

– დიახ, მისის ლესტრენჯი. ჩემი აზრით, მის ვიზიტში რალაც იმალება.

– დიახ, სერ, ჩვენც ასე ვფიქრობთ.

– მართლა?

– იგი გაუფრთხილებლად მოვიდა და პოლკოვნიკი იკითხა. ცხადია, ჩვენ მხოლოდ ამაზე ვლაპარაკობდით და ვამბობდით, რომ მის შესახებ არაფერი ვიცით. მისის სიმონსიც – ჩვენი ეკონომი, სერ, – პირდაპირ აცხადებს, რომ ნესიერი ქალი არ უნდა იყოს. მაგრამ, როდესაც გლედისის სიტყვები მოვისმინე, აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა.

– გლედისმა რა თქვა?

– ოჰ, არაფერი, სერ. ლაქლაქებდა, როგორც ყველა, ხომ იცით, როგორც ხდება.

ლოურენსმა ქალიშვილს ყურადღებით შეხედა. იგრძნო, რომ იგი სათქმელს ბოლომდე არ ამბობდა.

- ვერ წარმომიდგენია, რის შესახებ უნდა ესაუბრა პოლკოვნიკ პროტეროსთან.

- დიახ, სერ.

- ასე მგონია, რაღაც იცი, როზა.

- მე? ოჰ, არ ვიცი, სერ! მართლა არ ვიცი. რა უნდა ვიცოდე?

- მომისმინე, როზა. ხომ მითხარი, დაგეხმარებიო. თუ შემთხვევით რამე გაიგონე, თუნდაც ერთი სიტყვა, რომელიც უმნიშვნელოდ, წვრილმანად მოგეჩვენა... უზომოდ მადლობელი ვიქნები. ბოლოს და ბოლოს, ვილაცას შეეძლო შემთხვევით... სრულიად შემთხვევით... რაღაც მოესმინა.

- არავისთვის მიმიყურადებია, სერ, არავისთვის.

- მაშასადამე, ვილაც სხვამ მოისმინა, - არ ეშვებოდა ლოურენსი.

- მაგრამ, სერ...

- მითხარი, როზა, გთხოვ.

- არ ვიცი, გლედისი რას იტყვის ამაზე.

- იგი თქმის უფლებას მოგცემდა. გლედისი ვინ არის?

- ჩვენი ჭურჭლის მრეცხავი, სერ. საქმე ის არის, რომ იგი მეგობართან დასალაპარაკებლად გავიდა. ფანჯარასთან უნდა გაეგლო - კაბინეტის ფანჯარასთან, სადაც მისტერ პროტერო და ის ქალი იყვნენ. პოლკოვნიკი, ცხადია, ხმამაღლა ლაპარაკობდა - ის ხომ ყოველთვის ასე იქცეოდა. ბუნებრივია, იგი დაინტერესდა, ანუ...

- ეს მართლა ბუნებრივია, - დაეთანხმა ლოურენსი, - იმის თქმა მსურს, რომ ყველა მოუსმენდა.

- ცხადია, ამის შესახებ მას არავისთვის უთქვამს, მხოლოდ მე გამანდო. ეს ორივეს უცნაურად მოგვეჩვენა. მაგრამ გლედი ამას ვერ გაამხელდა, რადგან ყველამ იცოდა, რომ იგი მეგობართან გავიდა სალაპარაკოდ, აქ კი... მაგრად მოხვდებოდა მისის პრატიცგან, ჩვენი მზარეულისგან, სერ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მაინც სიამოვნებით მოგიყვებოდათ, სერ.

- იქნებ ნავიდე სამზარეულოში და დაველაპარაკო?  
ამ აზრმა როზას შიში მოჰგვარა.

- ოჰ, არა, სერ! ამას ნუ იზამთ. გლედისი ისედაც მშიშარაა.

ბოლოს საქმე მაინც მოგვარდა. საჩოთირო საკითხების განხილვის შემდეგ, ფარული შეხვედრა ბაღში დაინიშნა, სადაც ხშირი ბუჩქებია.

სწორედ იქ შეხვდა ლოურენსი მშიშარა გლედისს, რომელიც ადამიანს კი არა, დამფრთხალ კურდღელს უფრო ჰგავდა. ათი წუთი მის დამშვიდებას მოანდომა. აცახცახებული გლედისი ირწმუნებოდა, რომ ვერასდროს შეძლებდა... რომ არ უნდოდა... რომ არ მოელოდა, თუ როზა გათქვამდა... რომ ცუდი არავისთვის უნდოდა... რომ საქმე ცუდად წაუვიდოდა, თუ ამას მისის პრატი შეიტყობდა.

ლოურენსი ამშვიდებდა, არწმუნებდა, დაყოლიებას ცდილობდა. ბოლოს გლედისმა გადანყვიტა, ყველაფერი მოეყოლა.

- თუ შემპირდებით, რომ არავის ეტყვით, სერ...

- ცხადია, არავის ვეტყვი.

- ამის გამო სასამართლოში პასუხს არ მომთხოვენ?

- არასდროს.

- არც დიასახლისს ეტყვით?

- არავითარ შემთხვევაში. აბა, დაინყე, გლედის.

- დარწმუნებული ხართ, რომ შეიძლება?

- რასაკვირველია, დარწმუნებული ვარ. ოდესმე კმაყოფილებით გაიხსენებ, რომ სახრჩობელას გადამარჩინე.

გლედისმა ჩუმად შეჰკვივლა.

- ოჰ! ღმერთმა დაგიფაროთ, სერ. მე ცოტა რამ მოვისმინე და ისიც, სრულიად შემთხვევით, ხომ გესმით...

- მშვენივრად მესმის.

- პოლკოვნიკი, ცხადია, ძალიან ბრაზობდა. „ამდენი წლის შემდეგ“, - სწორედ ასე თქვა, - „აქ მოსვლა გაბედეთ...“, „ეს აღმაშფოთებელია...“ ქალბატონის ნათქვამი ვერ გავიგე, მაგრამ კაცმა უპასუხა: „უარს ვაცხადებ, კატეგორიუ-



ლად..." ყველაფერი ვერ დავიმახსოვრე. ბევრი იჩხუბეს. ქალი რალაცას ეუბნებოდა, ის კი ფეხს აფიჩინებდა. „სირცხვილია, აქ რომ მოხვედით...“ , „მასთან შეხვედრა არ გაბედოთ, გიკრძალავთ“ , ამ სიტყვებზე ყური ვცქვიტე. როგორც ჩანს, ქალი მისის პროტეროსთვის რალაცის თქმას აპირებდა, პოლკოვნიკს კი ამის ეშინოდა. „ეს რა მესმის, – გავიფიქრე გუნებაში, – ესეც შენი ბატონი. არც ისეთი განსაკუთრებული ყოფილა. ღმერთმა იცის, ვინ აღმოჩნდება, საქმე საქმეზე რომ მიდგეს“. „ყველა კაცი ერთნაირია“, – ვუთხარი მეგობარს მოგვიანებით. იგი არაფრით მეთანხმებოდა, ცხარედ მეკამათებოდა, თუმცა პოლკოვნიკ პროტეროსი თვითონაც გაჰკვირვებოდა – ის ხომ მნათეც იყო, შემონირულობის ყუთსაც თვალს ადევნებდა, საკვირაო სკოლაში ასწავლიდა. „სწორედ ეს არის ყველაზე ცუდი“, – ვუთხარი მე. რამდენჯერ უთქვამს დედაჩემს, ჩუმჩუმასგან მეტია მოსალოდნელიო.

გლედისი სულის მოსათქმელად გაჩუმდა, ლოურენსმა კი ტაქტიანად სცადა საუბრის თავში დაბრუნება.

– კიდევ რა მოისმინე?

– ყველაფრის დამახსოვრება ძნელია, სერ. სულ ერთსა და იმავეს იმეორებდნენ. ერთი-ორჯერ პოლკოვნიკმა თქვა: „არ მჯერა“. აი, ასე: „ჰეიდოკი ბევრ რამეს ამბობს, მაგრამ არ მჯერა“.

– ასე თქვა, „ჰეიდოკი ბევრ რამეს ამბობსო“?

– დიახ. და დაამატა, რომ ეს შეთქმულება იყო.

– ქალის ნათქვამიდან არაფერი გაგიგია?

– მხოლოდ საუბრის დასასრულს. ალბათ ნამოდგა და ფანჯარას მიუახლოვდა. გავიგონე, რაც თქვა. ძარღვებში კინალამ სისხლი გამეყინა. არასდროს დამავინყდება. „შესაძლოა, ამ დროს, ხვალ საღამოს, ცოცხალი აღარ იყოთ“ – სწორედ ასე თქვა. თან ღვარძლი ჩააქსოვა. როდესაც მკვლელობის შესახებ შევიტყვე, როზას ვუთხარი: „აჰა, ხომ გეუბნებოდი!“

ლოურენსი ჩაფიქრდა. ცდილობდა გაერკვია, შეიძლებოდა თუ არა გლედისის მონათხრობის დაჯერება. არა, არ ცრუობდა, მაგრამ ეჭვობდა, რომ ძლიერ შეელამაზებინა მომხდარის შემდეგ. განსაკუთრებით ბოლო ფრაზის სისწორეში ეპარებოდა ეჭვი. ფიქრობდა, იქნებ ამ ფრაზის გაჩენას მკვლელობამ შეუნყო ხელიო.

მან მადლობა გადაუხადა გლედისს, შესაფერისად დააჯილდოვა, დაარწმუნა, რომ მისი საქციელის შესახებ მისის პრატი ვერაფერს შეიტყობდა და უოლდჰოლიდან ნამოვიდა. ყველაფერი უნდა გაეანალიზებინა.

ერთი რამ ეჭვს არ იწვევდა: მისის ლესტრენჯსა და პოლკოვნიკ პროტეროს შორის გამართული საუბარი მშვიდობიანი ნამდვილად არ ყოფილა. პოლკოვნიკს ეშინოდა, რომ ამის შესახებ ცოლი გაიგებდა.

მის მარპლის მიერ ნახსენები მნათე გამახსენდა, რომელიც ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობდა. აქაც მსგავსი რამ ხომ არ მოხდა?

კიდევ უფრო მეტად მომინდა იმის გაგება, თუ რა შუაში იყო ჰეიდოკი. მან თავიდან ააცილა მისის ლესტრენჯს მოკვლევაზე ჩვენების მიცემა და რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა, რათა იგი პოლიციისგან დაეცვა.

ძალიან ღრმად ხომ არ შეტოპა, მისი დახსნის სურვილით შეპყრობილმა?

ნუთუ მაინც ბოლომდე დაიცავდა, თუ მასში პოტენციურ მკვლელს ხედავდა?

ეს არაჩვეულებრივი ქალი საოცარი მომხიბვლელით გამოირჩეოდა. მეც ყოველნაირად ვენინააღმდეგებოდი იმ აზრს, რომ მას დანაშაულის ჩადენა შეეძლო.

შინაგანი ხმა მკარნახობდა: „ის ამას ვერ ჩაიდენდა!“

რატომ?

ჩემს ტვინში მოკალათებული ეშმაკი კი მპასუხობდა: „იმიტომ, რომ ძალზე ლამაზი და მომხიბლავი ქალია. აი, რატომ!“

როგორც მის მარპლი იტყოდა, ასეთია ადამიანის ბუნება.

## თავი XX

სახლში რომ დავბრუნდი, აღმოვაჩინე, რომ იქ კრიზისი მძვინვარებდა.

თვალცრემლიანი გრიზელდა ჰოლში შემეგება და მითხრა:

– იგი მიდის.

– ვინ მიდის?

– მერი. უკვე გამაფრთხილა.

ეს შეტყობინება ტრაგიკულად სულაც არ აღმიქვამს.

– რა გაენყობა, – ვთქვი მე, – ახალი მოახლის მოძებნა მოგვიწევს.

ვფიქრობ, ლოგიკურად ვმსჯელობდი – როდესაც ერთი მოსამსახურე მიდის, მეორეს ვჭირაობთ. ვერ ვხვდებოდი, რატომ მიცქერდა გრიზელდა საყვედურით.

– უგულო არსება ხარ, ლენ. შენთვის სულერთია.

ამას ვერაფრით დავეთანხმებოდი. პირიქით, ვიგრძენი, როგორ შემიტოკდა გული სიხარულით იმის გაფიქრებისას, რომ მიმწვარი პუდინგისა და ნახევრად უმი ბოსტნეულის ჭამას ბოლო მოეღებოდა.

– კვლავ ახლის მოძებნა და განვრთნა მომიწევს, – თქვა გრიზელდამ და მის ხმაში საკუთარი თავისადმი სიბრაღულმა გაიჟღერა.

– განა მერი განვრთნილია? – ვიკითხე მე.

– რა თქმა უნდა!

– მაშასადამე, – ვივარაუდე მე, – ვილაცამ ყური მოჰკრა, რომ იგი ზოგჯერ თავაზიანად წარმოთქვამს „სერს“ ან „მადამს“, და იდეალური მოსამსახურის ეტალონის მოტაცება გადაწყვიტა. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მას იმედგაცრუება ელის.

– მთავარი ეს როდია, – თქვა გრიზელდამ, – იგი ჯერჯერობით არავის სჭირდება. ნუ გეშინია, მას ჩვენგან არავინ გადაიბირებს. საქმე გრძნობების შეურაცხყოფას ეხება. მან გულთან ძალზე ახლოს მიიტანა ლეტიცია პროტეროს ნათქვამი, თითქოს იგი მტვერს ცუდად ნმენდს. გრიზელ-

და ხშირად მოაწყებს თავისი განცხადებებით, მაგრამ ეს ისე მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ მის ნამდვილობაში ეჭვიც კი შემეპარა. არ მჯეროდა, რომ ლეტიცია პროტერომ ჩვენს შინაურ ცხოვრებაში ცხვირი ჩაყო და მოახლე უსუფთაობის გამო დატუქსა. ეს გრიზელდასაც ვუთხარი.

– ლეტიციასა და ჩვენს მტვერს ერთმანეთს ვერაფრით ვუკავშირებ, – ვთქვი მე.

– ვერც მე, – მითხრა ცოლმა, – ეს ხომ სისულელეა. ნადი, გეთაყვა, და მერის დაელაპარაკე. სამზარეულოშია.

სულაც არ მინდოდა ამ თემაზე მერისთან საუბარი, მაგრამ, სანამ რამის თქმას მოვასწრებდი, ენერგიულმა და მკვირცხლმა გრიზელდამ ლამის ძალით შემიყვანა სამზარეულოში.

მერი ნიჟარასთან კარტოფილს ფცქენიდა.

– ე-ე... შუადღე მშვიდობისა, – ნარმოვთქვი გაუბედავად. მერიმ შემომხედა და ცხვირში ჩაიფრუტუნა. სხვა პასუხს მისგან არც ველოდი.

– მისის კლემენტმა მითხრა, რომ ჩვენგან ნასვლა განგიზრახავთ.

მერიმ პასუხის გაცემა იკადრა.

– ზოგჯერ ისეთი ვითარება იქმნება, – განაცხადა მან პირქუშად, – რომ ნესიერი ქალიშვილი ამას ვერაფრით მოითმენს.

– ხომ ვერ მეტყოდით, ასე რამ გაგანაწყენათ?

– ამის სათქმელად ორიოდე სიტყვაც მეყოფა (უნდა გითხრათ, რომ მან სათანადოდ ვერ შეაფასა თავისი შესაძლებლობა). ზოგიერთი მომსვლელი თვალს არ მაცილებს, როდესაც საქმით ვარ გართული. ყველგან ყოფენ ცხვირს. ვისი რა საქმეა, როდის ვგვი ან როდის ვნმენდ მტვერს? თუ თქვენ და ქალბატონი კმაყოფილი ხართ, დაე, სხვები ადგილზე დაეტიონ. ჩემი აზრით, თუ თქვენ გასიამოვნეთ, სალაპარაკოც არაფერია.

რაც შემეხება მე, მერი ვერაფრით მასიამოვნებდა. გამოგიტყდებით, საოცრად მინდა, დილაობით ჩემი ოთახი

მილაგებული და მტვრისგან განმენდილი ვნახო. მერის თავისებური მეთოდი აქვს და მტვერს მხოლოდ თვალში საცემ ადგილზე, მაგალითად, მაგიდის ზედაპირზე ნმენდს, რაც აშკარად არასაკმარისია. მაგრამ მივხვდი, რომ ახლა ასეთ ნვრილმანებზე ყურადღების გამახვილება არ ღირდა.

– მოკვლევაზეც ხომ ნამათრიეს, არა? ნესიერი ქალიშვილი თორმეტი მამაკაცის წინაშე გამომჭიმეს. ვინ იცოდა, რა შეკითხვის დასმა მოუვიდოდათ თავში. აი, რას გეტყვით. არასდროს მიცხოვრია სახლში, სადაც მკვლელობა მოხდა, და არ მინდა, რომ ეს მომავალშიც მოხდეს.

– ვიმედოვნებ, ეს არც მოგინევთ, – ვთქვი მე, – დიდი რიცხვების კანონის მიხედვით, ეს აღარ უნდა გამეორდეს.

– კანონი არ მჭირდება. ის კი მოსამართლე იყო. რამდენი ხელმოკლე ადამიანი ჩაუსვამს ციხეში მხოლოდ იმის გამო, რომ სადილისთვის კურდღელი დაუჭერიათ. აბა, მასავით ხოხობზე ხომ ვერ ინადირებდნენ. ახლა კი, ჯერ არ დაუსაფლავებიათ, მისი ქალიშვილი კი მოდის და მიცხადებს, რომ სამუშაოს თავს ვერ ვართმევ.

– იმის თქმა გსურთ, რომ მის პროტერო აქ იყო?

– დიახ. დავბრუნდი „ცისფერი ტახიდან“ და ვხედავ, აქაა, თქვენს კაბინეტში. „ოჰ! – ამბობს, – ჩემს პატარა, ყვითელ ბერეტს ვეძებ... პატარა, ყვითელ ქუდს. ამას წინათ დამრჩა“. „მართლა? – ვეუბნები, – აქ ქუდი თვალითაც არ მინახავს. არ ყოფილა, როდესაც ხუთშაბათ დილით აქაურობა მივალაგე“. ის კი ამბობს: „ოჰ! ვფიქრობ, ვერ შეამჩნიეთ. თქვენ ხომ ნაუცხადევად გიყვართ მილაგება, არა?“, ბუხრის თავზე თითს უსვამს და ცხვირთან მიაქვს. თითქოს იმდენი დრო მქონდა, რომ ყველა ნივთი სათითაოდ ჩამომელო, შემდეგ კი თავის ადგილას დამებრუნებინა – თანაც, სწორედ იმ დილით, პოლიციამ კი კაბინეტი მხოლოდ ღამით გახსნა. „რადგან ბატონი და ქალბატონი კმაყოფილი არიან. სალაპარაკო არაფერია, მის“, – ვუთხარი მე. მან კი გაიცინა და გასვლის წინ მითხრა: „ოჰ! დარწმუნებული ხართ, რომ კმაყოფილი არიან?“



- გასაგებია, - ვთქვი მე.

- სწორედაც! ქალიშვილსაც ხომ აქვს საკუთარი გრძნობები! გარნმუნებთ, თითებსაც კი გადავიტყავებ, ოღონდ თქვენ და ქალბატონს გასიამოვნოთ. როდესაც მას რომელიღაც ახალი, მოდური კერძის მომზადება სურს, ძალ-ღონეს არ ვიშურებ.

- ვიცი, ძალიან ცდილობთ, - დავამშვიდე მე.

- მაგრამ, როგორც ჩანს, რაღაცას ყური მოჰკრა, თორემ ასეთ რამეს არ იტყოდა. თუ თქვენი გული ვერ მოვიგე, ნასვლა მიჯობს. იმიტომ კი არა, რომ იმ მის პროტეროს სიტყვების მჯერა. უნდა გითხრათ, რომ ოულდჰოლში იგი სულაც არ უყვართ. არც გეთაყვას იტყვის, არც - მადლობას, ყველაფერი მიყრილ-მოყრილი აქვს. მე მის ლეტიცია პროტერო სულ არ მაინტერესებს, აი, მისტერ დენისი კი, პირიქითაა. იმ გოგონამ მშვენივრად იცის, როგორ ატაროს კაცები თავის ჭკუაზე.

საუბრის დროს მერი კარტოფილს ასუფთავებდა. ისე ენერგიულად ჩიჩქნიდა, ნაფცქვენები მთელ სამზარეულოში სეტყვასავით ცვიოდა. ერთი მათგანი თვალში მომხვდა, რამაც საუბრის შეწყვეტა გამოიწვია.

- ხომ არ ფიქრობთ, - ვთქვი მე და თვალზე ცხვირსახოცი მივიდე, - რომ უწყინარი სიტყვები გულთან ძალზე ახლოს მიგაქვთ? იცოდეთ, მერი, თქვენი ნასვლა ქალბატონს ძალზე გაანაწყენებს.

- ქალბატონის სანინააღმდეგო არაფერი მაქვს, გულახდილად გითხრათ, არც თქვენი.

- ჰოდა, ძალიანაც კარგი. ცოტა სულელურად გაფიცვდით, მაგრამ არა უშავს.

მერიმ ჩაიფრუტუნა.

- თავგზააბნეული ვიყავი იმ მოკვლევისა და ყველაფრის შემდეგ. მართლა უგრძნობელი კი არ ვარ. ქალბატონს როგორ ვანყენინებ.

- მაშასადამე, შევთანხმდით, - ვთქვი და სამზარეულოდან გამოვედი. გრიზელდა და დენისი შესასვლელში მელოდებოდნენ.

- აბა, რა ქენი? - შესძახა გრიზელდამ.

- რჩება, - მივუგე და ღრმად ამოვისუნთქე.

- ოჰ, ლენ! რა ჭკვიანი მყავხარ, - მითხრა ცოლმა.

გულის სიღრმეში ვერაფრით დავეთანხმებოდი. სულაც არ ვფიქრობდი, რომ ჭკვიანი ვიყავი. მერიზე ცუდი მოსამსახურე დედამინის ზურგზე არსად მეგულეობდა. ასე რომ, ნებისმიერი ცვლილება უკეთეს შედეგს მოიტანდა.

მაგრამ გრიზელდა ხომ უნდა გამეხარებინა. დაწვრილებით შევატყობინე მერის განაწყენების მიზეზები.

- როგორ ჰგავს ლეტიციას საქციელს, - თქვა დენისმა, - ოთხშაბათს თავის ყვითელ ბერეტს ვერაფრით დატოვებდა, რადგან ხუთშაბათს, როდესაც ჩოგბურთის სათამაშოდ მოვიდა, სწორედ ის ეხურა.

- სავსებით შესაძლებელია, - ვთქვი მე.

- არასდროს ახსოვს, სად რას დებს, - თქვა დენისმა, ჩემი აზრით, სრულიად უსაფუძვლო სინაზით, თითქოს აქ რამე საამაყო ყოფილიყოს, - ვინ მოთვლის, ყოველდღიურად რამდენ ნივთს კარგავს.

- ძალიან საყვარელი თვისებაა, - ვთქვი მე.

დენისმა სარკაზმი ვერ შეამჩნია.

- დიახ, ძალზე საყვარელია, - თქვა მან და ღრმად ამოიოხრა, - მას ხშირად სთხოვენ ხელს, თვითონ მითხრა.

- თუ ეს აქ ხდება, ხელის თხოვა უკანონო საქციელია, რადგან ჩვენს სოფელში დაუოჯახებელი მამაკაცი სანთლითაც რომ ეძებო, ვერ იპოვი.

- დოქტორი სტოუნი? - იკითხა გრიზელდამ და თვალეები ეშმაკურად აუციმციმდა.

- მართალია, მან იგი გუშინწინ მიიწვია გათხრების სანახავად, - ვთქვი მე.

- რატომაც არა? - თქვა გრიზელდამ, - ლეტიცია მომხიბლავი ქალიშვილია, ლენ. ამას მელოტი არქეოლოგებიც კი გრძნობენ.

- სექსუალურად მიმზიდველია, - ბრძნულად განაცხადა დენისმა.

და მაინც, ლოურენს რედინგი ლეტიციას მომხიბვლელობის ტყვეობაში არ მოექცა. გრიზელდამ ამასაც მოუძებნა ახსნა და ეს მისთვის დამახასიათებელი დამაჯერებლობით აგვიხსნა.

– ლოურენსი თვითონაც მოჭარბებულად სექსუალურია. ასეთებს, ძირითადად, როგორ გითხრათ, კვაკერის<sup>1</sup> ტიპის ქალები უფრო მოსწონთ. საკუთარ თავში ჩაკეტილები და მორიდებულები. მათ, რატომღაც, ფრიგიდულებს<sup>2</sup> უწოდებენ. ვფიქრობ, ერთადერთი ქალი, ვისაც ლოურენსის დატყვევება შეუძლია, ენი პროტეროა. დარწმუნებული ვარ, ერთმანეთს თავს არასდროს მოაბეზრებენ. თუმცა, ჩემი აზრით, ლოურენსმა ერთი შეცდომა მაინც დაუშვა. მან ერთგვარად ისარგებლა ლეტიციას გრძნობებით. არა მგონია, მას ეს გულში მაინც გაეველო, – იგი ზოგჯერ საშინლად მორიდებულია, – მაგრამ ვგრძნობ, რომ ქალიშვილს იგი უყვარს.

– პირიქით, ვერ იტანს, – გადაჭრით განაცხადა დენისმა, – ეს თვითონ მითხრა.

არასდროს შევსწრებივარ თანაგრძნობის გამომხატველ ისეთ დუმილს, როგორითაც გრიზელდამ უპასუხა ამ სიტყვებს.

ჩემს კაბინეტში წავედი. იქ ჯერაც იგრძნობოდა ერთგვარი სიცივე. როგორმე უნდა დამეძლია ეს შეგრძნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ოთახს სამუდამოდ დავკარგავდი. ჩაფიქრებული ნელა მივუახლოვდი სანერ მაგიდას. აი, აქ იჯდა პროტერო, – ლოყებლაულაუა, ენერგიული, თვითკმაყოფილი, – წუთის შემდეგ კი მას სიკვდილი ეწვია. დამნაშავე, ალბათ, ზუსტად იქ იდგა, სადაც ახლა მე ვიმყოფებოდი...

მაშ, ასე – პროტერო აღარ იყო.

ესეც კალამი, რომელიც ხელში ეჭირა.

<sup>1</sup> კვაკერი – ნერი ინგლისსა და აშშ-ში გავრცელებული ერთ-ერთი ქრისტიანული სექტისა.

<sup>2</sup> ფრიგიდული – სქესობრივად გულგრილი ქალი.

იატაკზე მუქი ლაქა მოჩანდა – ხალიჩა გასანმენდად წა-  
ელოთ, მაგრამ სისხლი იატაკზეც გადასულიყო.

გამაჟრჟოლა.

– არა, ამ ოთახში ვერ გავჩერდები, – ვთქვი ხმამაღლა,  
– არ შემიძლია.

უეცრად თვალში რალაც მომხვდა, კაშკაშა ცისფერი,  
მომცრო ლაქას მსგავსი. დავიხარე. მაგიდის ქვეშ პატარა  
ნივთი ეგდო. ავიღე. ახლა იგი ხელისგულზე მედო.

გაუნძრევლად ვიდექი და დავყურებდი. ამ დროს გრი-  
ზელდა შემოვიდა.

– ლენ, დამავინყდა მეთქვა, რომ მის მარპლი დღეს სა-  
ლამოს, სადილის შემდეგ, თავისთან გვეპატიჟება. დისშ-  
ვილი ჩამოსვლია. ეშინია, არ მოინყინოს. დავპირდი, მო-  
ვალთ-მეთქი.

– ძალიან კარგი, ძვირფასო.

– რას მისჩერებიხარ?

– არაფერს.

ხელი მოვმუშტე, ცოლს შევხედე და ვთქვი:

– თუ ვერც შენ შეძლებ მისტერ რაიმონდ უესტის გამხი-  
არულებას, გამოდის, ეს საერთოდ შეუძლებელი ყოფილა.

– როგორ არ გრცხვენია, ლენ, – მითხრა გრიზელდამ და  
განითლდა.

იგი წავიდა, მე კი კვლავ გავშალე ხელი.

ხელისგულზე წვრილ-წვრილ მარგალიტებს შორის მოქ-  
ცეული ფირუზისთვლიანი საყურე მედო.

საკმაოდ უჩვეულო და თვალში საცემი სამკაული იყო.  
მკაფიოდ მახსოვდა, სადაც ვნახე უკანასკნელად.

## თავი XXI

ვერ ვიტყვი, რომ ოდესმე აღფრთოვანებული ვიყავი  
მისტერ რაიმონდ უესტით. ვიცოდი, რომ შესანიშნავ რო-  
მანისტად მიიჩნევდნენ, თუმცა სახელი ლექსებმა გაუთქ-

ვა. მთავრულ ასოს – როგორც ვხვდები, ეს ავანგარდიზმის მთავარი ნიშანია, – არასდროს იყენებდა. მისი რომანები, ძირითადად, არასასიამოვნო ხალხის შესახებ მოგვითხრობდა, რომლებიც უაზროდ ცხოვრობდნენ.

მას თავისებურად, თითქოს შემწყნარებლურად უყვარდა „დეიდა ჯეინი“, რომელსაც ზოგჯერ მისივე თანდასწრებით, „გადმონაშთს“ უწოდებდა.

მოხუცი დაუფარავი ინტერესით ისმენდა მის საუბარს, თუმცა თვალეში ზოგჯერ დამცინავი ნაპერწკალი გაუქრთებოდა ხოლმე, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდა კაცი ვერასდროს ამჩნევდა.

რაიმონდი ტოლ-სნორივით ელაპარაკებოდა გრიზელდას, რაც ჩემს ცოლს უდავოდ სიამოვნებდა. მათ ისაუბრეს თანამედროვე პიესებზე, დეკორატიულ ხელოვნებაში გაბატონებულ გემოვნებაზე. თუმცა გრიზელდა ზოგჯერ ფარისევლურად იცინოდა უესტის ნათქვამზე, ვფიქრობ, მისი მჭევრმეტყველების გავლენას მაინც განიცდიდა.

მე კი მის მარპლს ვესაუბრებოდი (მოსაწყენ თემაზე). რამდენჯერმე მომესმა ფრაზა: „ამ მიყრუებულ ადგილას დაიმარხეთ თავი“.

ამან ძალიან გამაღიზიანა და მოულოდნელად ვკითხე:

– თქვენ ფიქრობთ, რომ აქ ყველაფერს მონყვეტილი ვართ?

რაიმონდ უესტმა სიგარეტისანი ხელი აიქნია და მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა:

– ჩემი აზრით, სენტ-მერიმიდი დამყაყებული ნყლის გუბია.

მან ყველას გამომწვევად შემოგვხედა, მაგრამ, როდესაც არავინ აღშფოთდა და არც შეეპასუხა, იმედგაცრუება დაეტყო.

– არცთუ მარჯვე შედარებაა, ძვირფასო რაიმონდ, – მკვირცხლად მიუგო მის მარპლმა, – ვფიქრობ, თუ დამყაყებული ნყლის გუბიდან აღებულ ნვეთს მიკროსკოპში დავაკვირდებით, იქ მჩქეფარე ცხოვრებას დავინახავთ.



- ცხადია, ესეც ერთგვარი ცხოვრებაა, - აღიარა რომანისტმა.

- განა ყველგან ასე არაა? - ჰკითხა მის მარპლმა.

- საკუთარ თავს დამყაყებულ წყალში მყოფ არსებებს ადარებთ, დეიდა ჯეინ?

- ჩემო კარგო, თვითონ ნერდი ასე შენს ბოლო წიგნში, ეს კარგად დამამახსოვრდა.

ნიჭიერ ახალგაზრდებს არ უყვართ, როდესაც საკუთარ გამონათქვამებს მათვე დაუპირისპირებენ ხოლმე. გამონაკლისი არც რაიმონდ უესტი გახლდათ.

- იქ სხვა რამ იგულისხმებოდა, - სცადა თავის დაძვრენა რაიმონდმა.

- ცხოვრება ყველგან ერთნაირია, - განაგრძო მის მარპლმა მშვიდი ხმით, - ადამიანი იბადება, იზრდება, მნიფდება, სხვა ადამიანებს ხვდება, ეჯახება კიდეც, შემდეგ ქორწინდება, შვილები უჩნდება...

- ბოლოს კი კვდება, - თქვა რაიმონდ უესტმა, - მაგრამ ყოველთვის გარდაცვალების დამადასტურებელი ცნობაც კი არ არსებობს. ზოგჯერ ცოცხლადაც კვდებიან.

- რადგან სიკვდილზე ჩამოვარდა სიტყვა, - თქვა გრიზელდამ, - ის თუ იცით, რომ ჩვენთან მკვლელობა მოხდა?

რაიმონდ უესტმა სიგარეტიანი ხელი ისე აიქნია, კაცი იფიქრებდა, ამ მარტივი გზით სურს მკვლელობის გაქრობაო.

- მკვლელობა უხეში მოვლენაა, - განაცხადა მან, - ამიტომ არ მაინტერესებს.

ცხადია, მისი სიტყვები სერიოზულად არ მივიღე. სიყვარული ყველას აღელვებს. თუ ამ წინადადებაში სიყვარულს მკვლელობით შევცვლით, კიდეც უფრო სარწმუნო ფრაზას მივიღებთ. ეს ჭეშმარიტებაა: მკვლელობისადმი გულგრილი არავინაა. ჩემი და გრიზელდასნაირი უბრალო ადამიანები ამას არ მალავენ, რაიმონდ უესტის მსგავსები კი ცოცხლა უნდა გაიპრანჭონ, თითქოს ეს მათთვის მოსაწყენია - პირველი ხუთი წუთის განმავლობაში მაინც.

მაგრამ მის მარპლმა თავისი დისშვილი გასცა, როდესაც განაცხადა:

– მე და რაიმონდი სადილობისას მხოლოდ ამაზე ვსაუბრობდით.

– ადგილობრივი ამბები ყოველთვის მაინტერესებს, – სასწრაფოდ ჩაერთო რაიმონდი და მის მარპლს ალერსიანად, შემწყნარებლურად გაუღიმა.

– მომხდარის შესახებ საკუთარი ვერსია თუ გაქვთ, მისტერ უესტ? – იკითხა გრიზელდამ.

– ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, – თქვა რაიმონდ უესტმა, რომელიც სიგარეტიან ხელს ხშირად იქნევდა, – პროტეროს მოკვლა მხოლოდ ერთ ადამიანს შეეძლო.

– ვის? – შესძახა გრიზელდამ.

ყველანი დაძაბული ყურადღებით მივაჩერდით მას.

– ვიკარიუსს, – თქვა რაიმონდმა და თითი ჩემკენ ბრალმდებელივით გამოიშვირა.

გავშტერდი.

– რა თქმა უნდა, – დამამშვიდა მან, – ვიცი, რომ თქვენ არ მოგიკლავთ. ცხოვრება არასდროს არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს. აბა, დაფიქრდით, ხომ მშვენიერი დრამა იქნებოდა – მნათე ვიკარიუსის კაბინეტში თვითონ ვიკარიუსმა მოკლა. საუცხოოა!

– მოტივი? – ვკითხე მე.

– ოჰ! ეს საინტერესოა, – იგი ნელში გაიმართა. აზარტში შესულს სულ დაავინყდა სიგარეტი, რომელიც თავისით ჩაქრა, – არასრულფასოვნების კომპლექსი. შესაძლოა, დროთა განმავლობაში დაგროვილი აგრესია. სიამოვნებით დავწერდი ამაზე რომანს. დამაინტრიგებელი სიუჟეტი. კვირიდან კვირამდე, წლიდან წლამდე ხედავდა იმ კაცს – ხან საეკლესიო სამოსლის საცავში, ხან გუნდში მომღერალი ბიჭების პიკნიკზე, შეწირულობის შეგროვებისას, საკურთხევლისკენ მიმავალს. ყოველთვის სძულდა იგი და ამ სიძულვილს გულში იხშობდა. ეს კი ქრისტიანს არ შეშვენის, არ შეიძლება სიძულვილის დაგროვება. იგი მას შიგნიდან გამუდმებით ღრღნიდა და ერთხელაც...

მან ხელით შთამბეჭდავი უესტი გააკეთა.

გრიზელდა ჩემკენ მობრუნდა.

– ოდესმე თუ გიგრძნია მსგავსი რამ, ლენ?

– არასდროს, – ვუპასუხე გულწრფელად.

– თუმცა, როგორც გავიგე, ცოტა ხნის წინ მისი სიკვდილი გინატრიათ, – შენიშნა მის მარპლმა.

(ოჰ, ეს საძაგელი დენისი! თუმცა ჩემი ბრალია – რა მა-ლაპარაკებდა!)

– დიახ, ეს მართლაც ვთქვი, – ვალიარე, – ადამიანს ზოგჯერ საშინელი სისულელე წამოსცდება ხოლმე, მაგრამ იმ დღეს, არ დაგიმალავთ, ძალიან გამაღიზიანა.

– სამწუხაროა, – თქვა რაიმონდ უესტმა, – რადგან ქვეცნობიერად მისი სიკვდილი რომ გნდომოდათ, იგივე ქვეცნობიერება არ დაუშვებდა, რომ ეს ხმამაღლა გეთქვათ.

მან ამოიოხრა.

– ჩემი თეორია გაცამტვერდა. ეს, ალბათ, ძალზე ჩვეულებრივი მკვლელობაა – შურისმაძიებელი ბრაკონიერი ან რალაც ამგვარი.

– დღეს მის კრემმა შემომიარა, – თქვა მის მარპლმა, – მას სოფელში შევხვდი და ვკითხე, ჩემი ბალის დათვალიერება ხომ არ სურდა.

– მებაღეობა უყვარს? – ჰკითხა გრიზელდამ.

– არა მგონია, – მიუგო მის მარპლმა და თვალი ოდნავ ჩააპაჭუნა, – მაგრამ ეს მშვენიერი საბაბია საუბრისთვის, ასე არ არის?

– რას იტყვით მის შესახებ? – დაინტერესდა გრიზელდა, – ურიგო ქალიშვილი არ ჩანს.

– მან ბევრი რამ მიაძმო, – თქვა მის მარპლმა, – როგორც საკუთარ თავზე, ისე ოჯახზე. ისინი, თუ არ ვცდები, ინდოეთში დაღუპულან, სამწუხარო ამბავია. სხვათა შორის, უიკ-ენდს ოულდჰოლში გაატარებს.

– რას ამბობთ?

– დიახ. შესაძლოა, მისის პროტერომ მიიწვია, შესაძლოა, თვითონ დააპატიჟებინა თავი. არ ვიცი, ეს როგორ

მოხდა. საკანცელარიო საქმეა გასაკეთებელი, რადგან ბევრი წერილი დაუგროვდათ. ეს მისთვის საკმაოდ მომგებიანია. დოქტორი სტოუნი აქ არ არის, თვითონ კი უსაქმოდაა. ძალიან საინტერესო გათხრები იყო, არა?

– სტოუნი? – იკითხა რაიმონდმა, – არქეოლოგი?

– დიახ, აქ გათხრებს ანარმოებს. პროტეროს მამულში.

– საინტერესო ადამიანია. საოცრად უყვარს თავისი პროფესია, – თქვა რაიმონდმა, – ამას წინათ გავიცანი ერთ-ერთ წვეულებაზე. ძალზე საინტერესო მოსაუბრეა. როგორმე უნდა შევუარო და ვინახულო.

– სამწუხაროდ, – ვთქვი მე, – იგი ახლახან გაემგზავრა ლონდონში. მომისმინეთ, თქვენ ხომ მას დღეს სადგურში შეეჩხეთ.

– მე თქვენ შეგეჩხეთ. თქვენთან ერთად კი ვილაც სათვლიანი, დაბალი და მსუქანი კაცი იყო.

– დიახ – დოქტორი სტოუნი.

– არა, ჩემო ბატონო, ის სტოუნი არ იყო.

– როგორ თუ არ იყო?

– ყოველ შემთხვევაში, არქეოლოგი ნამდვილად არ იყო. მე მას შესანიშნავად ვიცნობ. ოდნავაც არ ჰგავდა სტოუნს. ყველანი ერთმანეთს მივაჩერდით. მე მის მარპლს შეეყურებდი.

– ძალიან უცნაურია, – ჩავილაპარაკე მე.

– ჩემოდანი, – თქვა მის მარპლმა.

– მაგრამ, რატომ? – იკითხა გრიზელდამ.

– სწორედ ისე, როგორც მაშინ, როდესაც ის კაცი სახლიდან სახლში გადადიოდა და თავს გაზის კომპანიის ინსპექტორად ასალებდა, – ჩაიბურტყუნა მის მარპლმა, მაგრამ კონკრეტულად არავისთვის მიუმართავს, – თუმცა ბევრი არაფერი წაუღია.

– თვითმარქვია, – განაცხადა რაიმონდ უესტმა, – ეს უკვე საინტერესოა.

– მთავარია, მკვლელობაში თუ არის გარეული, – თქვა გრიზელდამ.

– სულაც არ არის აუცილებელი, – არ დავეთანხმე, – მაგრამ... – კვლავ მის მარპლს შევხედე.

– უცნაური საქმეა, – თქვა მან, – ძალიან უცნაური.

– დიახ, – ვთქვი და წამოვდექი, – ჩემი აზრით, ეს დაუ-  
ყოვნებლივ უნდა ვაცნობოთ პოლიციის ინსპექტორს.

## თავი XXII

როგორც კი ინსპექტორ სლეკს დავუკავშირდი, მოკ-  
ლე-მოკლე, მაგრამ კატეგორიული მითითებები მივიღე.  
ეს ამბავი არავის უნდა შეეტყო. არც მის კრემს უნდა ეეჭ-  
ვა რამე. ამასობაში კი ყორღანების ახლომახლო ჩემოდნის  
ძებნას შეუდგებოდნენ.

მე და გრიზელდა შინ აღელვებულები დავბრუნდით. დე-  
ნისის თანდასწრებით ვერაფერს ვიტყოდით, რადგან ინს-  
პექტორ სლეკს სიტყვა მივეცი, რომ კრინტს არავისთან  
დავძრავდით.

მაგრამ დენისს ჩვენთვის არ სცხელოდა, თავისი პრობ-  
ლემებიც ჰყოფნიდა. იგი ჩემს კაბინეტში შემოვიდა და ფე-  
ხების ფრატუნით უთავბოლოდ ხეტიალს შეუდგა. ხან რას  
წაავლებდა ხელს, ხან – რას. ძალზე დაბნეული და შეცბუ-  
ნებული ჩანდა.

– რა მოხდა, დენის? – ვკითხე ბოლოს.

– ბიძია ლენ, სავაჭრო ფლოტში წასვლა აღარ მინდა.

გამიკვირდა. მეგონა, მტკიცედ გადაეწყვიტა ამ პროფე-  
სიის არჩევა.

– შენ ხომ გინდოდა.

– დიახ, მაგრამ გადავიფიქრე.

– აბა, რას აპირებ?

– ფინანსისტობა მსურს.

ეს კიდევ უფრო გამიკვირდა.

– ფინანსისტობაში რას გულისხმობ?

– რას უნდა ვგულისხმობდე? ქალაქში ვიმუშავებ, სიტში.



– მომისმინე, ჩემო კარგო. დარწმუნებული ვარ, ეგ საშენო საქმე არაა. ბანკში რომც მოგანყო...

დენისმა თქვა, რომ ამაზე არც უფიქრია. ბანკში არაფერი ესაქმებოდა. დავინტერესდი, კონკრეტულად რას გულისხმობდა. ცხადია, როგორც ველოდი, თვითონაც არ იცოდა, რა სურდა.

მისი აზრით, ფინანსისტი მდიდარ კაცს ნიშნავდა. ახალგაზრდული ოპტიმიზმის გამო ეს საიმედო საქმედ მიაჩნდა, რისთვისაც „სიტიში მუშაობა“ საკმარისი იყო. შევეცადე, მისთვის თვალი ისე ამეხილა, რომ არაფერი სწყენოდა.

– ეს რამ მოგაფიქრებინა? – ვკითხე მე, – შენ ხომ სავაჭრო ფლოტში გინდოდა.

– მართალია, ბიძია ლენ, მაგრამ ვიფიქრე... როდესაც დაოჯახების დრო მოვა... ხომ ხვდებით, კარგ გოგოზე რომ დაქორწინდე, მდიდარი უნდა იყო.

– შენი თეორია ფაქტებით არ დასტურდება, – მივუგე მე.

– ვიცი, მაგრამ მე ნამდვილ კარგ გოგოს ვგულისხმობ. კარგი ოჯახიდან. ის ამას მიჩვეულია.

მიუხედავად მისი ბუნდოვანი გამოთქმებისა, მივხვდი, რასაც გულისხმობდა.

– ყველა ქალიშვილი ხომ არ ჰგავს ლეტიცია პროტეროს, – ვუთხარი ალერსიანად.

იგი მაინც აპილპილდა.

– ძალიან უსამართლოდ მსჯელობთ მასზე. იგი არ მოგწონთ. არც გრიზელდას მოსწონს. ამბობს, მოსაწყენი ადამიანიაო.

საკუთარი, ქალური გადმოსახედიდან, გრიზელდა მართალი იყო. ლეტიცია მართლა მოსაწყენი ადამიანი იყო. ვხვდებოდი, რატომ მოხვდა დენისს ეს სიტყვები გულზე.

– ნეტავ, ამ ხალხს მეტი თანაგრძნობა შეეძლოს. ჰარტლი ნაპიერიც კი აუხირდა ასეთ მძიმე დროს. დიდი ამბავი, თუ მათი სულელური თამაშიდან ოდნავ ადრე წამოვიდა. ვალდებული ხომ არ არის, იქ დარჩეს, თუ მოჰბეზრდა? ჩემი აზრით, პატივიც კი დასდო, საერთოდ რომ მივიდა მათთან.

- დიდი პატივია, - ვთქვი მე, მაგრამ დენისი სარკაზმს ვერ მიმიხვდა. ბრაზს ვერ იოკებდა ლეტიციას განაწყენების გამო.

- სინამდვილეში იგი ძალზე გულისხმიერია. მეც კი მაიძულა დარჩენა. ცხადია, წამოსვლას ვაპირებდი, მაგრამ ამის გაგონებაც არ სურდა. ასე მითხრა, ჰარტლი ნაპიერს საშინლად ეწყინებო. მისი გულისთვის კიდევ თხუთმეტი წუთი დავრჩი.

უცნაური წარმოდგენა აქვს ახალგაზრდობას გულისხმიერებაზე.

- ახლა კი, როგორც მითხრეს, სიუზან ჰარტლი ნაპიერი დადის და ამბობს, ლეტიცია საშინლად უზრდელიაო.

- შენს ადგილას ამას ყურადღებას არ მივაქცევდი, - ვთქვი მე.

- სათქმელად ადვილია, მე კი...

იგი გაჩუმდა, შემდეგ კი განაგრძო:

- მისი გულისთვის მე... მე... ყველაფერს გავაკეთებ.

- ცოტას თუ შეუძლია სხვისთვის ცოტას გაკეთება მაინც. როგორც უნდა ვეცადოთ, ეს ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება.

- მირჩევნია, მოვკვდე, - თქვა დენისმა.

საბრალო ბიჭი. ამგვარი ბავშვური სიყვარული ყოველთვის მწვავე დაავადებასავით მიმდინარეობს. მისთვის არც ენის წვერზე მომდგარი, ბანალური რამ მითქვამს და არც გამალიზიანებელი. ღამე მშვიდობისა ვუსურვე და დასაძინებლად გავემართე.

დილით, რვა საათზე, წირვა ჩავატარე. როდესაც დავბრუნდი, გრიზელდა ლანჩისთვის განყოფილ მაგიდასთან იჯდა და ხელში წერილი ეჭირა, რომელიც ენი პროტეროს გამოეგზავნა.

„ძვირფასო გრიზელდა, ძალიან დამავალებთ, თუ თქვენ და ვიკარიუსი მოახერხებთ და დღეს ლანჩზე დაგვეწვევით. უალრესად უცნაური რამ მოხდა და მისტერ კლემენტის რჩევა მჭირდება.

თუ შეიძლება, ჩვენთან ყოფნისას ეს არ ახსენოთ, რადგან არავისთვის მითქვამს.

სიყვარულითა და პატივისცემით,  
ენი პროტერო“.

- აუცილებლად უნდა წავიდეთ, - თქვა გრიზელდამ.

დავეთანხმე.

- ნეტავ, რა მოხდა?

ეს მეც მაინტერესებდა.

- მომისმინე, - ვუთხარი გრიზელდას, - ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ეს საქმე ძალზე გაინელება.

- ანუ, სანამ ნამდვილ მკვლელს არ დაიჭერენ?

- არა, - ვთქვი მე, - ეს არ მიგულისხმია. ამ საქმეში იმდენი განშტოებაა, იმდენი წყალქვეშა დინება, ვერც კი წარმოგვიდგენია. სანამ მთავარს მივადგებოდეთ, მრავალი საიდუმლოს გარკვევა მოგვიწევს.

- თუ სწორად მიგიხვდი, იმ წვრილმანებს გულისხმობ, რომლებიც თავისთავად ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ ხელს გვიშლის და გვაბრკოლებს, არა?

- საკმაოდ ზუსტად ჩამოაყალიბე ჩემი სათქმელი.

- მე კი ვფიქრობ, რომ არაფრის გამო ვხმაურობთ, - თქვა დენისმა და პურს ჯემი გადაუსვა, - იმას რა ჯობია, ბებერი პროტერო წინაპრებთან რომ გაემგზავრა. იგი ხომ არავის უყვარდა. პოლიციამ იტყუოს თავი - ეს მაგათი საქმეა, ჰოდა, იმოქმედონ. ასე მგონია, რომ მკვლელს ვერასდროს მიაგნებენ. ისლა გვაკლია, რომ სლეკი დაანინაურონ და გაიფხოროს - შემომხედეთ, რა ჭკვიანი ვარო.

უნდა ვალიარო, რომ ადამიანური გრძნობები ჩემთვის არც იმდენად უცხოა, რომ სლეკის დაანინაურების შესახებ გამოთქმულ აზრს არ დავთანხმებოდი. ვინც ხალხს გამუდმებით იმხედრებს, მათგან კარგი დამოკიდებულების იმედი არ უნდა ჰქონდეს.

- დოქტორი ჰეიდოკიც მეთანხმება, - განაგრძო დენისმა, - იგი მკვლელს მართლმსაჯულების ხელში არასდროს ჩააგდებს. თვითონ მითხრა.

აი, სწორედ ამ საფრთხეს შეიცავდა ჰეიდოკის შეხედულებათა სისტემა. მისი აზრები ალბათ პატივისცემას იმსახურებდა, – ამას მე ვერ განვსჯიდი, – მაგრამ ბოლომდე ჯერაც ჩამოუყალიბებელ ახალგაზრდაზე მას ისეთი კუთხით შეეძლო ზეგავლენის მოხდენა, რომელსაც თვითონ ჰეიდოკიც ვერ წარმოიდგენდა.

გრიზელდამ ფანჯარაში გაიხედა და მითხრა, რომ ჩვენს ბაღში რეპორტიორები იყვნენ.

– კვლავ კაბინეტის ფანჯრებს თუ უღებენ სურათს, – თქვა მან და ამოიოხრა.

ეს უკვე ყელში გვქონდა ამოსული. თავდაპირველად, სოფლები მოდიოდნენ და ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ ჩვენს სახლს. შემდეგ კამერებით შეიარაღებული ჟურნალისტების არმია მოგვადგა, ბოლოს, ისევ ადგილობრივები – ამჯერად რეპორტიორების სანახავად. სხვა გზა რომ აღარ გვქონდა, მაჩ-ბენჰემიდან კონსტებლი გამოვიდახეთ და კაბინეტის ფანჯრებთან დავაყენეთ სადარაჯოდ.

– კარგია, რომ დაკრძალვა ხვალ დილას შედგება, – ვთქვი მე, – იქნებ შემდეგ მაინც დანყნარდეს ყველა.

როდესაც ოულდჰოლს მივუახლოვდით, იქ უკვე გველოდებოდა რამდენიმე ჩასაფრებული რეპორტიორი. მათ შეკითხვები დამაყარეს, რომლებზეც ერთსა და იმავეს ვპასუხობდი (ჩვენი აზრით, ასე ჯობდა) – რომ „სათქმელი არაფერი მქონდა“.

მსახურთუფროსი სასტუმრო ოთახში შეგვიძღვა, სადაც ერთადერთი სტუმარი აღმოჩნდა – მშვენიერ ხასიათზე მყოფი მის კრემი.

– კარგი სიურპრიზია, არა? – თქვა მან და ხელი ჩამოგვართვა, – ასეთ რამეს ვერაფრით მოვიფიქრებდი, მაგრამ მისის პროტერო ძალიან კეთილი ქალია, ხომ მეთანხმებით? ცხადია, კარგი არ არის ახალგაზრდა ქალიშვილისთვის „ცისფერ ტახში“ მარტო დარჩენა – აქეთ რეპორტიორები, იქით – ვინ იცის, კიდევ რა. რა თქმა უნდა, არც აქ



ვზივარ უსაქმოდ – ასეთ დროს მდივანი ყველას სჭირდება, მის პროტერო კი თითს არ გაანძრევს, ხომ ასეა?

გავოცდი, როდესაც შევნიშნე, რომ ძველი მტრობა ლეტიცია პროტეროს მიმართ ჯერაც არ გაჰქრობოდა, რამაც გამამხიარულა კიდევ, სამაგიეროდ, ქალიშვილი ენის თავგამოდებული დამცველი გამხდარიყო. თუმცა მისი ნათქვამის სისწორეში ეჭვი მეპარებოდა. როგორც ამბობდა, იგი ენის მიენვია. მაინტერესებდა, ეს სიმართლეს შეესაბამებოდა თუ არა. ქალიშვილს შეეძლო, თვითონ მიენიშნებინა, რომ „ცისფერ ტახში“ დარჩენა მას ერთგვარ უხერხულობას უქმნიდა. ყოველგვარი ამოჩემების გარეშე, მიმაჩნდა, რომ მის კრემის სიტყვებს გულწრფელობა აკლდა.

ამ დროს ოთახში ენი პროტერო შემოვიდა.

სადა შავი კაბა ეცვა. ხელში საკვირაო გაზეთი ეჭირა, რომელიც სევდიანი სახით გამოიმინოდა.

– ამგვარი რამ ცხოვრებაში არასოდეს მინახავს. საზიზღრობაა, არა? ის რეპორტიორი მოკვლევის დროს ვნახე. მხოლოდ ის ვუთხარი, რომ ცუდ ხასიათზე ვიყავი და ვერაფერს შევატყობინებდი. მან მითხრა, რომ ქმრის მკვლელის დადგენა, ალბათ, ძალიან მინდოდა. დიახ-მეთქი, ვუპასუხე. შემდეგ მკითხა, ვინმეზე ხომ არ მქონდა ეჭვი. როდესაც ჩემი უარყოფითი პასუხი მოისმინა, დაინტერესდა, ჩემი აზრით, დანაშაული ადგილობრივის მიერ ხომ არ იყო ჩადენილი. მივუგე, ეს ისედაც ცხადია-მეთქი. მეტი აღარაფერი მითქვამს. ახლა კი ამას შეხედეთ!

გვერდის შუაში ათიოდე წლის წინ გადაღებული, ვინ იცის, საიდან ამოქექილი ფოტოსურათი მოეთავსებინათ, დიდი ასოებით დაბეჭდილი სათაური კი იუნყებოდა:

„ქვრივი აცხადებს, რომ არ მოისვენებს, სანამ მეუღლის მკვლელის კვალს არ მიაგნებს“.

„მისის პროტერო, მოკლულის ქვრივი, დარწმუნებულია, რომ მკვლელი ადგილობრივი მცხოვრებია. მას გარკვეული ეჭვიც აქვს, თუ ვინ შეიძლება ეს იყოს, მაგრამ დარწმუნებული არ არის. აცხადებს, რომ ძალზე დამწუხრებულია, თუმცა მტკიცედ აქვს გადანყვეტილი, მკვლელს მიაგნოს“.



- განა ეს ჩემს ნალაპარაკებს ჰგავს? - იკითხა ენიმ.  
- გაცილებით უარესის დაწერაც შეეძლოთ, - ვუთხარი მე და გაზეთი დავუბრუნე.  
- თავხედები არიან, - თქვა მის კრემმა, - მე რომ ვყოფილიყავი, ეს ბიჭები ერთ სიტყვასაც ვერ დამაცდენინებდნენ.

გრიზელდას თვალეში ნაპერწკალი შევნიშნე და მივხვდი, რომ მან ეს ნათქვამი პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და არა ისე, როგორც ეს მის კრემს ჰქონდა ჩაფიქრებული.

გამოაცხადეს, რომ სადილი უკვე მზად იყო. სასადილო ოთახში გადავინაცვლეთ. ლეტიციამ გვარიანად დააგვიანა. როდესაც შემოვიდა, თავისუფალ სკამზე დაჯდა და გრიზელდას გაუღიმა, მე კი თავი დამიკრა. ყურადღებით შევცქეროდი, რისი მიზეზიც ნამდვილად მქონდა, ის კი, ჩვეულებისამებრ, სადღაც დაფრინავდა. უნდა ვალიარო, რომ მშვენივრად გამოიყურებოდა. შავი სამოსი არ ეცვა, მაგრამ ბაცი მწვანე კაბა კიდევ უფრო ხაზგასმით წარმოაჩენდა მისი გარეგნობის დადებით მხარეებს.

როდესაც ყავა დავლიეთ, ენიმ მშვიდად წარმოთქვა:

- ვიკარიუსს უნდა დაველაპარაკო. ზევით ავალთ, ჩემს სასტუმრო ოთახში.

ბოლოს და ბოლოს, ჩემი აქ მოწვევის მიზეზსაც შევიტყობდი. ავდექი და უკან გავყევი. კიბე ავიარეთ და ოთახის კართან შევდექით. რალაცის თქმა დავაპირე, მაგრამ უესტით მანიშნა, ხმა არ ამომელო. ქვევით ჩაიხედა და შემოსასვლელიდან წამოსულ ხმებს ყური მიუგდო.

- კარგია. ბალისკენ მიემართებიან. ჩვენ აქ არ შევალთ. კვლავ ზევით უნდა ავიდეთ.

ჩემდა გასაოცრად, დერეფანს ბოლომდე გაუყვა, საიდანაც ზედა სართულზე ვინრო კიბით შეიძლებოდა ასვლა. ავედით და მტვრიან, ფიცრებაკრულ პატარა გასასვლელში აღმოვჩნდით. მისის პროტერომ კარი შეაღო და დიდ, ცუდად განათებულ სხვენში შევაბიჯეთ, რომელსაც, როგორც ჩანს, ყოველგვარი ხარახურის შესანახად იყენებდნენ. აქ ენყო

სკივრები, დამტვრეული ავეჯი, რამდენიმე ძველი სურათი და წლების განმავლობაში დაგროვილი ათასი წვრილმანი.

გაოცება ვერ დავმალე, მან კი სუსტად გაიღიმა.

- ახლავე აგიხსნით ყველაფერს. ბოლო დროს ძალიან ცუდად მძინავს. გუშინ ღამით, უფრო სწორად, დღეს დილით, სამ საათზე, მომესმა, რომ სახლში ვილაც დადიოდა. ჯერ ყური მივუგდე, შემდეგ კი ავდექი და ოთახიდან გავედდი. მივხვდი, რომ ხმა ქვემოდან კი არა, ზემოდან ისმოდა. ამ კიბესთან მოვედი. კვლავ მომეჩვენა, თითქოს რაღაცამ გაიფაჩუნა. ვიკითხე, ვინ არის-მეთქი, მაგრამ არავინ მიპასუხა. აღარც ხმა მესმოდა. ვიფიქრე, ყველაფერი ნერვების ბრალია-მეთქი. უკან დავბრუნდი და დავწექი.

ცნობისმოყვარეობამ არ მომასვენა. დღეს დილით აქ კვლავ ამოვედი და აი, რა აღმოვაჩინე.

იგი სურათისკენ დაიხარა, რომელიც პირით კედელზე იყო მიყუდებული და შემოატრიალა.

გაოცების შეძახილი აღმომხდა. ეს იყო ზეთით დახატული პორტრეტი, მაგრამ სახე ისე ჰქონდა დასერილი და დამახინჯებული, რომ ვერავინ იცნობდა, თუმცა ეტყობოდა, რომ ვილაცას ცოტა ხნის წინ „ეყოჩაღა“.

- რა საოცრებაა, - ვთქვი მე.

- გიკვირთ, არა? რამე ახსნას ხომ ვერ მოუძებნიდით?

თავი გადავაქნიე და მივუგე:

- ეს ნამდვილი ველურობაა, რაც ძალიან არ მომწონს. გამძვინვარებული ადამიანის ნამოქმედარს ჰგავს.

- დიახ, მეც ეს გავიფიქრე.

- ვინ არის პორტრეტზე გამოსახული?

- ვერაფერს მოგახსენებთ. პირველად ვხედავ. როდესაც ლუციუსზე დავქორწინდი და ოულდჰოლში ჩამოვედი, ეს ყველაფერი უკვე სხვენში ენყო. აქ არასდროს შემოვსულვარ. გუშინდლამდე არც კი გამხსენებია.

- საოცრებაა, - გავიმეორე.

დავიხარე და დანარჩენი სურათები შევათვალიერე. როგორც ველოდი, რამდენიმე მდარე ხარისხის პეიზაჟი, ოლე-

ოგრაფია<sup>1</sup> და იაფფასიან ჩარჩოში ჩასმული რეპროდუქცია დამხვდა.

ვერაფერს მივაგენით, რაც საქმეში დაგვეხმარებოდა. დიდ, ძველმოდურ სკივრზე, რომელსაც „კიდობანს“ უწოდებენ ხოლმე, „ე.პ“. ინიციალები მოჩანდა. თავსახური ავხადე, მაგრამ იქიდან სიცარიელემ შემომანათა. სხვენზე საინტერესო სხვა არაფერი იყო.

– მართლა ძალზე უცნაური და უაზრო მოვლენაა, – ვთქვი მე.

– დიახ, – თქვა ენიმ, – ცოტათი მეშინია კიდეც.

აქ დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. სასტუმრო ოთახში დავბრუნდით. მისის პროტერომ კარი მჭიდროდ მიხურა.

– თქვენი აზრით, როგორ უნდა მოვიქცე? პოლიციას შევატყობინო?

შევეყოყმანდი.

– ძნელი სათქმელია, უკავშირდება თუ არა ეს...

– მკვლელობას, არა? – გამანყვეტინა ენიმ, – ვიცი, ეს რთული დასადგენია. მაგრამ, როგორც ჩანს, ასე არ უნდა იყოს.

– დიახ, – ჩავილაპარაკე მე, – კიდეც ერთი უცნაური საქმე ორივენი ღრმად ჩავფიქრდით.

– თქვენი გეგმების შესახებ ხომ ვერ მეტყოდით რამეს? – ვკითხე ბოლოს.

მან თავი ასწია.

– აქ არანაკლებ ნახევარი წელი დავრჩები, – მისი ხმა გამომწვევად გაისმა, – იმიტომ არა, რომ ასე მინდა. იმაზე ფიქრიც კი მზარავს, რომ აქ უნდა დავრჩე. მაგრამ, ვფიქრობ, ეს ერთადერთი გამოსავალია. თორემ ხალხი იტყვის, რომ გავიქეცი, რომ სინდისი სუფთა არ მაქვს.

– ამას როგორ იტყვიან!

– არა, მათ კარგად ვიცნობ – იტყვიან. განსაკუთრებით მას შემდეგ... როცა ექვსი თვის თავზე ლოურენსს ცოლად

<sup>1</sup> ოლეოგრაფია – ზეთის საღებავებით შესრულებული ნახატების რეპროდუქციის მოძველებული წესი.

გავყვები, – მან თვალეში შემომხედა და დაამატა: – ასე გადავწყვიტეთ. მეტს აღარ მოვიცდით.

– ამას ველოდი კიდევ, – ვთქვი მე.

მოულოდნელად ტირილი აუვარდა და სახეზე ხელები აიფარა.

– რომ იცოდეთ, როგორ გემადლიერებით. ჩვენ ხომ ერთმანეთს დავემშვიდობეთ. იგი გამგზავრებას აპირებდა. ლუციუსის სიკვდილზე ფიქრი ძალიან მიმძიმს. მე რომ ლოურენსთან ერთად ნასვლა გადამენწყვიტა და იგი მომკვდარიყო, ახლა სასონარკვეთილი ვიქნებოდი. მაგრამ თქვენ გზაზე დაგვაყენეთ და ცოდვას აგვარიდეთ. აი, რატომ გემადლიერებით.

– მეც მაღლობელი ვარ, – განვაცხადა სერიოზული ხმით.

– მაგრამ ეს არაფერია, – იგი ნელში გაიმართა, – სანამ მკვლელს არ იპოვიან, ყველა იფიქრებს, რომ ეს ლოურენსმა ჩაიდინა – ოჰ! ვიცი, ასე იფიქრებენ. განსაკუთრებით, ჩვენი დაქორწინების შემდეგ.

– ჩემო კარგო, დოქტორ ჰეიდოკის ჩვენება ამტკიცებს, რომ...

– ხალხს ჩვენებასთან რა ესაქმება! მათ არაფერი იციან. ვერც სამედიცინო დასკვნა დაარწმუნებს საქმეში ჩაუხედავ ხალხს. აი, კიდევ ერთი მიზეზი ჩემს დასარჩენად. სიმართლე უნდა გავიგო, მისტერ კლემენტ.

როდესაც ამ სიტყვებს წარმოთქვამდა, თვალეები უელავდა.

– ამიტომაც მოვიწვიე ის ქალიშვილი, – დაამატა მან.

– მის კრემი?

– დიახ.

– მაშასადამე, თვითონ მოგინვევიათ ის ქალიშვილი. თუ სწორად გავიგე, ეს თქვენი ინიციატივა იყო, არა?

– დიახ, თავიდან ბოლომდე. ცხადია, მან ცოტა ნაინუნუნა. როდესაც მოკვლევაზე მივედი, იგი უკვე იქ იყო. მაგრამ აქ განზრახ მოვიწვიე.

- ნუთუ ფიქრობთ, - შეეძახე მე, - რომ ამ სულელ გოგონას მკვლელობასთან რამე კავშირი აქვს?

- არაფერია იმაზე ადვილი, რომ ხალხს თავი სულელად მოაჩვენო.

- მაშასადამე, მაინც ფიქრობთ, რომ...

- არა, გარნმუნებთ, მასზე ეჭვი არ მაქვს. მაგრამ ვგრძნობ, რომ რალაც იცის. მინდა, მის შესახებ უფრო მეტი ვიცოდე.

- აქ ყოფნის პირველივე დღეს პორტრეტი დაამახინჯეს, - ჩაფიქრებული სახით ვთქვი მე.

- გგონიათ, ეს მან გააკეთა? მაგრამ, რატომ? ეს ხომ სისულელეა, შეუძლებელია.

- მეც მეგონა, რომ სისულელე და შეუძლებელი იყო თქვენი მეუღლის ჩემს კაბინეტში მოკვლა, - ვუთხარი სიმნარენარევი ხმით, - მაგრამ ვილაცამ ხომ გააკეთა ეს.

- ვიცი, - მან ხელი ხელზე დამადო, - ეს თქვენთვისაც საშინელებაა. ვგრძნობ ამას, თუმცა ბევრს არ ვლაპარაკობ.

ჯიბიდან ცისფერფირუზიანი საყურე ამოვიღე და გავუნოდე.

- ეს თქვენია, არა?

- ოჰ, დიახ! - გახარებულმა ხელი ღიმით გამომიწვდინა, - სად იპოვეთ?

სამკაულის გადაცემას არ ვჩქარობდი.

- თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ცოტა ხანს კიდევ მექნება, - ვუთხარი მე.

- კარგი, - იგი გაცემით და, იმავდროულად, გამომცდელად მიყურებდა, მაგრამ მისი ცნობისმოყვარეობა არ დამიკმაყოფილებია.

ახლა ფინანსური მდგომარეობის შესახებ ვკითხე.

- კადნიერი შეკითხვა ჩანს, - ვთქვი მე, - მაგრამ არ მინდა, რომ იგი ასე აღიქვას.

- სულაც არ ვფიქრობ, რომ კადნიერი შეკითხვაა. აქ თქვენ და გრიზელდა ჩემი საუკეთესო მეგობრები ხართ.



ცოტა არ იყოს, სასაცილო მის მარპლიც მომწონს. უნდა გითხრათ, რომ ლუციუსი საკმაოდ მდიდარი იყო. მან ქონება ლეტიციასა და მე თანაბრად გაგვიყო. ოულდჰოლი მე დამრჩა, თუმცა ლეტიციას ავეჯის არჩევის უფლება აქვს, რათა პატარა სახლი მოიწყოს, რომლისთვისაც ცალკე გამოეყო თანხა, რათა სამართლიანობა არ დაირღვეს.

– ხომ არ იცით, რას აპირებს?

ენიმ სასაცილო სახე მიიღო.

– ჩემთვის ანგარიში არ ჩაუბარებია. ვფიქრობ, აქედან ძალიან მალე გაემგზავრება. მას არ ვუყვარვარ. არც არასდროს ვუყვარდი. ალბათ, ჩემი ბრალია, თუმცა ძალისხმევას არ ვაკლებდი, რომ თავი ღირსეულად წარმოემჩინა. მაგრამ ასე მგონია, რომ ნებისმიერი გოგო აუჯანყდებოდა ახალგაზრდა დედინაცვალს.

– მოგწონთ იგი? – ვკითხე პირდაპირ.

იგი შეყოვნდა, რამაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ მისის პროტერო პატიოსანი და გულწრფელი ადამიანი იყო.

– თავიდან მომწონდა, – მიპასუხა მან, – ძალიან კარგი გოგო იყო. ახლა კი – არა, არა. არც კი ვიცი, რატომ. შესაძლოა იმის გამო, რომ თვითონ არ ვუყვარვარ. საქმე ისაა, რომ მიყვარს, როცა სხვებს ვუყვარვარ.

– ყველა ასე ვართ მოწყობილი, – ვთქვი მე. ენი პროტეროს გაელიმა.

კიდევ მრჩებოდა ერთი საქმე – ლეტიცია პროტეროსთან გასაუბრება. ეს რთული არ იყო – იგი მარტო იჯდა სასტუმრო ოთახში. გრიზელდა და გლედის კრემი ბალში სეირნობდნენ.

შევედი და კარი მივხურე.

– უნდა დაგელაპარაკოთ, ლეტიცია, – ვუთხარი მე.

მან გულგრილად შემომხედა.

– დიახ?

სათქმელი წინასწარ მოვიფიქრე. ხელისგულზე დადებული ფირუზის საყურე გაეუნოდე და ვკითხე:

– რატომ დააგდეთ ეს ჩემს კაბინეტში?

შევამჩნიე, რომ წამით დაიძაბა. მაგრამ მხოლოდ ერთი წამით. ისე სწრაფად მოეგო გონს, რომ საკუთარი თვალთ ნანახში კინალამ ეჭვი შემეპარა.

- თქვენს კაბინეტში არაფერი დამიგდია, - მიპასუხა აგ-დებულად, - ეს ჩემი საყურე არაა. ენისაა.

- ვიცი, - ვთქვი მე.

- არ მესმის, მაშინ რატომ მეკითხებით. ალბათ ენის და-უვარდა.

- მისის პროტერო მხოლოდ ერთხელ იყო ჩემს კაბინეტ-ში მკვლელობის შემდეგ და სამგლოვიარო სამოსი ეცვა. ცისფერ საყურეს არ გაიკეთებდა.

- მაშასადამე, - თქვა ლეტიციამ, - მოგვიანებით დაუ-ვარდა. ლოგიკურია.

- ძალიან ლოგიკურია, - ვთქვი მე, - ვფიქრობ, გახ-სოვთ, როდის ეკეთა თქვენს დედინაცვალს ის უკანასკნე-ლად, არა?

- ოჰ! - შესძახა მან დაბნეულად და ნდობით აღსავსე მზერა მომაპყრო, - ნუთუ ეს ასე მნიშვნელოვანია?

- შესაძლოა, - მივუგე მე.

- შევეცდები, გავიხსენო.

შუბლშეჭმუხნილი იჯდა. ასეთი მომხიბლავი არასოდეს მენახა.

- ოჰ, დიახ! - შესძახა უეცრად, - გამახსენდა, ხუთშა-ბათს ეკეთა.

- ხუთშაბათი, - ვთქვი მკაფიოდ, - მკვლელობის დღეა და მისის პროტერო სახელოსნოში, ბალში იმყოფებოდა. მაგრამ მან განაცხადა, რომ გარეთ იდგა, ფანჯარასთან, და ოთახში არ შესულა.

- თქვენ სად მიაგენით საყურეს?

- მაგიდის ქვეშ.

- გამოდის, რომ ტყუილი უთქვამს, არა? - თქვა ლეტი-ციამ მშვიდად.

- იმის თქმა გსურთ, რომ იგი კაბინეტში შემოვიდა და მაგიდასთან იდგა?

- განა ასე არ იყო?

ლეტიციამ მშვიდად შემომხედა.

- გულახდილად რომ ვთქვა, - აუღელვებლად მითხრა მან, - არასდროს მჯეროდა, რომ იგი სიმართლეს ამბობდა.

- სამაგიეროდ, მე ვარ დარწმუნებული, რომ ცრუობთ.

- რას გულისხმობთ? - მკითხა გაოცებულმა.

- რას და, - ვთქვი მე, - ეს საყურე საკუთარი თვალით ვნახე პარასკევ დილით, როდესაც აქ პოლკოვნიკ მელჩეტთან ერთად მოვედი. ორივე თქვენი დედინაცვლის ტუალეტის მაგიდაზე ენყო. ხელიც კი შევაავლე.

- ოჰ! - იგი დაიბნა, სავარძლის საიდაყვეზე გადაიხარა და ატირდა. მისი მოკლედ შეკრეჭილი ქერა თმა თითქმის იატაკს ეხებოდა, უცნაურ პოზაში იყო ეს საოცრად ლამაზი და ბავშვივით თავდაუჭერელი ქალიშვილი.

რამდენიმე ნუთი ვადროვე გულის მოსაოხებლად, შემდეგ კი სიჩუმე დავარღვიე და ალერსიანად ვკითხე:

- ლეტიცია, ეს რატომ გააკეთეთ?

- რა?

იგი ნამოხტა და თავის მკვეთრი მოძრაობით თმა უკან გადაიყარა. საშინლად შეშინებული ჩანდა.

- რას ამბობთ!

- რატომ ჩაიდინეთ ეს? ეჭვიანობის ნიადაგზე? თუ ენისადმი სიძულვილის გამო?

- ოჰ, დიახ, დიახ! - მან კვლავ გადაიყარა თმა სახიდან და მოულოდნელად თავი ხელში აიყვანა, - დიახ, თუ გნებავთ, ამას ეჭვიანობა უნოდეთ. ენი ყოველთვის მძულდა - თავიდანვე, მისი ჩამოსვლისთანავე. თავი დედოფალივით ეჭირა. ეს საყურე მაგიდის ქვეშ დავაგდე. მინდოდა, რომ შარში გახვეულიყო. ასეც მოხდებოდა, რომ არა თქვენ - რამ მოგაფიქრათ ტუალეტის მაგიდაზე სხვისი ნივთის ხელის ხლება? იმასაც გეტყვით, რომ მღვდელმსახურს პოლიციის ჭკუაზე სიარული არ შეშვენის.

მან ისე ბავშვურად დამატეხა თავს საკუთარი მრისხანება, რომ მის სიტყვებს ყურადღება არ მივაქციე. ახლა იგი მართლა უბედურ, გულნატკენ ბავშვს ჰგავდა.

მაგრამ ენისთვის ზიანის მიყენების ეს ბავშვური მცდელობა ბევრს არაფერს ნიშნავდა. სწორედ ასე ვუთხარი და დავამატე, რომ საყურეს დიასახლისს დავუბრუნებდი, ოღონდ არ გავუმხელდი, სად აღმოვაჩინე. ჩემმა ნათქვამმა ქალიშვილს გული აუჩუყა.

– ძალიან კეთილი ხართ, – მითხრა მან.

ლექიცია ნუთით გაჩუმდა, შემდეგ სახე ამარიდა და დაამატა (ეტყობოდა, რომ სიტყვებს საგულდაგულოდ არჩევდა):

– მისტერ კლემენტ, თქვენს ადგილას... თქვენს ადგილას დენისს აქაურობას საჩქაროდ მოვაცილებდი. ვფიქრობ... ვფიქრობ, ეს საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა.

– დენისს? – წარბები მალლა გაოცებით და ოდნავ დამცინავად ავნიე.

– ვფიქრობ, ასე აჯობებს, – თქვა მან და დარცხვენით დაამატა: – მეცოდება დენისი. არ ვიცოდი, თუ მას... მოკლედ, ძალიან ვწუხვარ.

ამ თემაზე მეტი აღარ გვისაუბრია.

### თავი XXIII

აქეთობისას გრიზელდას შევთავაზე, რომ გზა დაგვეგრძელებინა და ყორღანებისკენ გაგვევლო. მაინტერესებდა, პოლიცია თუ შეუდგა ძებნას და რამეს თუ მიაგნო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ გრიზელდას შინ ბევრი საქმე ელოდა და ექსპედიციაში მარტო წავედი.

ოპერაციას კონსტებლი ჰერსტი ხელმძღვანელობდა.

– ჯერ ვერაფერი აღმოვაჩინეთ, სერ, – შემატყობინა მან, – მაგრამ ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ეს საუკეთესო ადგილია *catcher*<sup>1</sup>-ისთვის.

ეს ფრანგული სიტყვა მან ისე წარმოთქვა, როგორც ინგლისური *catch*, რამაც შეცდომაში შემიყვანა და ნამით გავოცდი, მაგრამ მაშინვე მოვისაზრე, რას გულისხმობდა.

<sup>1</sup> *Cacher* – დამალვა (ფრანგ.).

– ხომ ხვდებით, სერ, საით შეეძლო წასვლა იმ ახალგაზრდა ქალიშვილს ამ ბილიკით? ან ოულდჰოლში, ან ტყეში. სხვა გზა არ არის.

– ვფიქრობ, ინსპექტორმა სლექმა ღირსების შელახვად ჩათვალა ამის შესახებ გოგონასთვის შეკითხვის დასმა, არა?

– მისი დაფრთხობა არ უნდოდა, – თქვა ჰერსტმა, – შესაძლოა, მან რამე მისწეროს დოქტორ სტოუნს, ან პირიქით, მისგან მიიღოს ბარათი. ყველაფერი გამოგვადგება. მაგრამ თუ იყნოსავს, რომ კვალში ვუდგავართ, ენას კბილს დააჭერს და ველარაფერს გავიგებთ.

ექვი მეპარებოდა, რომ მის გლედის კრემს ენაზე კბილის დაჭერა შეეძლო, გნებავთ, პირდაპირი, გნებავთ, გადატანითი მნიშვნელობით. მისი სახე ჩემთვის მხოლოდ გაუთავებელ ლაქლაქთან ასოცირდებოდა.

– როდესაც თვითმარქვია ადამიანთან გაქვთ საქმე, უნდა დაადგინოთ, რატომ აირჩია მან ეს გზა, – დამმოძღვრა კონსტებლმა ჰერსტმა.

– ბუნებრივია, – დავეთანხმე მე.

– პასუხი კი ამ ყორღანებში იმალება, სხვაგვარად, რატომ წამოიწყებდა ამ საქმეს?

– იქნებ ეს მხოლოდ *raison d'être*<sup>1</sup> იყო, რათა თავისუფლად მოქმედების საშუალება მისცემოდა, – ვთქვი მე, მაგრამ ამჯერად ეს მცირეოდენი ფრანგული ძალზე ბევრი აღმოჩნდა კონსტებლისთვის. სამაგიერო იმით გადამიხადა, რომ ცივად გამოეხმაურა ჩემს ვარაუდს:

– ეს არაპროფესიონალური მიდგომაა.

– ყოველ შემთხვევაში, ჩემოდანს ვერ მიაგენით, – ვთქვი მე.

– ვიპოვით, სერ, ეჭვი არ შეგეპაროთ.

– დარწმუნებული არ ვარ, – ჩავილაპარაკე მე, – ვიფიქრე ამის შესახებ. მის მარპლი ამბობს, რომ ქალიშვილი უკან ძალიან მალე, უჩემოდნოდ დაბრუნდა. თუ ასეა, იგი აქეთიქით გზის გავლას ვერ მოასწრებდა.

<sup>1</sup> *Raison d'être* – საბაბი (ფრანგ.).



– ყურადღებას ნუ მიაქცევთ ხანდაზმული ქალბატონების ნათქვამს. მათ ოღონდ რამე საინტერესო დაინახონ და აღარაფერი ახსოვთ. ელოდებიან, რა მოხდება, დრო კი გადის. მაგრამ, სამწუხაროდ, ქალებმა დროის ფასი არ იციან.

ხშირად დავფიქრებულვარ ნაჩქარევი განზოგადებისკენ საყოველთაო მიდრეკილებაზე. განზოგადება თითქმის არასდროს შეიცავს ჭეშმარიტებას და, როგორც ნესი, უკიდურესი უზუსტობით გამოირჩევა. მე დროსთან არცთუ კარგ დამოკიდებულებაში ვარ, აი, მის მარპლი კი სულ სხვაა. მისი საათი ყოველთვის ზუსტად მუშაობს, თვითონაც საოცარი პუნქტუალურობით გამოირჩევა.

მიუხედავად ამისა, კონსტებლთან საუბრის სურვილი ნამდვილად არ მქონდა. წარმატება ვუსურვე, დავემშვიდობე და შინ წავედი.

სახლს ვუახლოვდებოდი, როდესაც თავში ერთი იდეა მომივიდა. იგი უეცრად გამიჩნდა, როგორც საიდუმლოს ამოხსნის შესაძლებლობა. გემახსოვრებათ, მკვლელობის მეორე დღეს, ბილიკის გამოკვლევისას, ერთ ადგილას ოდნავ მოთელილი ბუჩქები შევამჩნიე. როგორც ჩანს, ამის მიზეზი ლოურენსი იყო, რომელიც იმავეს აკეთებდა, რასაც მე. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე მეგონა.

მაგრამ გამახსენდა, რომ მოგვიანებით სხვა, ნაკლებად შესამჩნევ კვალს წავანყდით. იგი ჩვენი ინსპექტორისა აღმოჩნდა. ისიც გავაცნობიერე, რომ პირველი კვალი (ლოურენსის) მეორეზე გაცილებით შესამჩნევი იყო, თითქოს იქ ერთის ნაცვლად, რამდენიმე ადამიანს გაევილო. გავიფიქრე, ლოურენსმა ამ ადგილს ყურადღება სწორედ იმიტომ მიაქცია, რომ იქ ვილაცამ უკვე გაიარა-მეთქი. მაგრამ იქნებ ეს კვალი დოქტორ სტოუნს ან მის კრემს ეკუთვნოდა?

ისიც გამახსენდა, – თუ ჩემმა წარმოსახვამ შეცდომაში არ შემიყვანა, – რომ მოტეხილ ტოტებზე რამდენიმე დამჭკნარი ფოთოლი იყო, ეს კი ნიშნავდა, რომ ისინი ჯერ კიდევ ჩვენამდე მოტეხეს.

ახლა სწორედ იმ ადგილს ვუახლოვდებოდი. მისი ცნობა

არ გამჭირვებია და მალე კვლავ ბარდების სიღრმეში შევედი. ამჯერად რამდენიმე ახალმოტეხილი ტოტი შევნიშნე. მაშასადამე, აქ ჩემსა და ლოურენსის შემდეგ კიდევ გაევილო ვილაცას.

მალე იქამდეც მივალწიე, სადაც ლოურენსს შევხვდი. მაგრამ ძლივს შესამჩნევი კვალი კიდევ გრძელდებოდა და მეც მივყევი მას. მოულოდნელად ჩემ წინაშე პატარა მდელი გადაიშალა, რომელზეც აშკარად ჩანდა ვილაცის კვალი. მდელის იმიტომ ვამბობ, რომ ამ ადგილას ხშირმა ბუჩქნარმა უკან დაიხია, ხეების ტოტები კი მხოლოდ თავს ზემოთ იხლართებოდა ერთმანეთში და მდელის გასავლელად რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც კმაროდა.

მეორე მხარეს ბუჩქნარი კვლავ კედელს ეკვროდა. ვხედავდი, რომ აქ ჯერ არავის გაევილო, თუმცა ეს ადგილი მაინც საეჭვოდ მეჩვენებოდა.

წინ წავინიე, მუხლებზე დავდექი და ბუჩქები გავნი-გამოვნიე. ჩემ წინ, როგორც მოთმინებისთვის გაცემულმა ჯილდომ, პრიალა, ყავისფერმა ზედაპირმა გაიელვა. სიხარულით აღელვებულმა ხელი უფრო ღრმად შევყავი და ცოტაოდენი წვალეების შემდეგ ბუჩქებიდან პატარა ყავისფერი ჩემოდანი გამოვიღე.

გამარჯვების შეძახილი აღმომხდა. წარმატებას მივალწიე. კონსტებლმა ჰერსტმა ზიზლით აღსავესე მზერით კი შემამკო, მაგრამ მართალი გამოვდექი, ჩემმა მსჯელობამ გაამართლა. ეს უეჭველად ის ჩემოდანი იყო, რომელიც მის კრემს მიჰქონდა. საკეტს ხელი შევაველე – დაკეტილი აღმოჩნდა.

წამოვდექი და მიწაზე პატარა მოყავისფრო კრისტალი შევამჩნიე. ავტომატურად ავიღე და ჯიბეში ჩავიდე.

შემდეგ, ნაპოვნ ჩემოდანს ხელი მაგრად ჩავავლე და ბილიკისკენ გავემართე.

როდესაც ორლობისკენ გასასვლელ ალაგზე გადასაბიჯებლად ფეხი ავნიე, ჩემ გვერდით აღელვებულმა ხმამ შესძახა:

- ოპ, მისტერ კლემენტ! თქვენ ის იპოვეთ. რა მარტულ  
ყოფილხართ.

თავში ვამხელვა, რომ ყველაფრის ისე დასახურს, ხე-  
ლოვნებაში, თვითონ რომ შეუმჩნეველი დარჩენილიყო, მის  
მარპლს ბადალი არ ჰყავდა, და ჩემოდანი ჩვენ შორის გავ  
ყოფ ზღუდეზე შემოვდე.

- ის არის, - თქვა მის მარპლმა, - მაშინვე ვიცვანა.

მომეჩვენა, რომ ოდნავ აზვიადებდა. ასეთი იაფფასობა  
ვალაქული ჩემოდანი ათასობითაა და ისინი ერთმანეთის-  
გან არაფრით განსხვავდება. ვერავინ ამოიცნობს ამგვარ  
ჩემოდანს, თანაც მთვარის მუქზე შორ მანძილზე დასა-  
ხულსა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ეს მის მარპლის პირადი  
ტროუმფი იყო, გამარჯვებულს კი ეს უწყინარი გაზვიადე-  
ბა, ცხადია, ეპატიებოდა.

- ჩაკეტილია, არა, მისტერ კლემენტ?

- დიახ. პოლიციის განყოფილებაში წაღებას ვაპირებ.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ წინასწარ დარეკვა ჯობია? რა  
თქმა უნდა, დარეკვა უმჯობესია. მთელი სოფლის თვალ-  
წინ ჩემოდნით ხელში სიარული ნამდვილად არასასურვე-  
ლი რეკლამა იქნება.

გავალე მის მარპლის ბალის კუტიკარი და სახლში ფრან-  
გული ფანჯრიდან შევედი. სრულიად უსაფრთხო სასტუმ-  
რო ოთახიდან, რომლის კარიც დაკეტილი იყო, პოლიციაში  
დავრეკე და სიახლე შევატყობინე.

ინსპექტორმა სლეკმა მიპასუხა, რომ ორიოდე წამში გა-  
მოცხადდებოდა.

როდესაც მოვიდა, მისთვის ჩვეულ, საძაგელ ხასიათზე  
იყო.

- მაშასადამე, მაინც მიაგენით, არა? - მომახალა მან, -  
რაში გჭირდებოდათ ასეთი გასაიდუმლოება, სერ? თუ მო-  
ცემული ნივთის სავარაუდო ადგილსამყოფელი იცოდათ,  
შესაბამისი ორგანოსთვის უნდა გეცნობებინათ.

- ეს სრულიად შემთხვევით მოხდა, - მივუგე მე, - უფა-  
რად თავში ერთი აზრი გამიჩნდა.

- კარგი ზღაპარია. სამი მეოთხედი მილი ტყეში ფეხით იარეთ, ზუსტად საჭირო ადგილას მოხვდით და ნივთი აღმოაჩინეთ.

შემეძლო, დანვრილებით მომეყოლა ინსპექტორ სლეკისთვის, თუ როგორ მოვხვდი იქ, მაგრამ მან უმოკლეს დროში მოახერხა და ჩვეულ შედეგს მიაღწია - გამაგული-სა. ამიტომ გაჩუმება ვარჩიე.

- აბა? - თქვა ინსპექტორმა სლეკმა და ჩემოდანს ამრეზითა და მოჩვენებითი გულგრილობით შეხედა, - რახან ასეა, იქნებ გვენახა კიდევ, რა დევს შიგნით.

მას გასაღებების აცმა და მავთულიც მოეტანა. უბრალო საკეტი ორიოდ ნამში გაიხსნა.

არ ვიცი, რის დანახვას ვაპირებდით - ალბათ, რამე სენსაციურის. მაგრამ პირველი, რაც თვალში მოგვხვდა, გაქონილი შარფი იყო. ინსპექტორმა იგი ამოიღო. შემდეგ გახუნებული, შელანძლული, მუქი ლურჯი ლაბადა გამოჩნდა. მას კუბოკრული კეპი მოჰყვა.

- ძონძებითაა სავსე, - თქვა ინსპექტორმა.

ჩემოდანში გაცვეთილი ჩექმა და გაზეთში გახვეული პატარა ფუთა დარჩა.

- ალბათ გახამებული პერანგია, - თქვა ინსპექტორმა გესლიანად და ფუთა გახსნა.

გახსნა და გაოცების შეძახილი აღმოხდა.

გაზეთში ვერცხლის რამდენიმე უბრალო ნივთი და ვერცხლისვე ფიალა აღმოჩნდა.

მათ დანახვაზე მის მარპლმა ხმამაღლა შეჰყვირა.

- კომპლექტი სანელებლებისთვის, - თქვა მან, - დიახ, პოლკოვნიკ პროტეროს კომპლექტი სანელებლებისთვის და კარლ II-ის ფიალა. ვინ იფიქრებდა!

ინსპექტორი ჭარხალივით განითლდა.

- აი, თურმე რა ყოფილა, - ჩაიბურტყუნა მან, - ეს ძარცვაა. მაგრამ ვერაფერს მოვიმოქმედებ, რადგან დაკარგვის შესახებ არავის განუცხადებია.

- შესაძლოა, ჯერ არც კი იციან დაკარგვის შესახებ, -

გამოვთქვი ვარაუდი, – არა მგონია, რომ ამ ნივთებს ყოველდღიურად მოიხმარდნენ. შესაძლოა, პოლკოვნიკი პროტერო მათ სეიფში ინახავდა.

– ეს გასარკვევია, – თქვა ინსპექტორმა, – დაუყოვნებლივ უნდა წავიდეთ ოულდჰოლში. ახლა კი გასაგებია, რატომ გაიქცა დოქტორი სტოუნი. მკვლელობა, არეულ-დარეულობა და მისთანები – მას შეეშინდა, რომ მისი საქმიანობის შესახებ არ შეგვეტყო. ხომ შეეძლოთ, გაეჩხრიკათ. ამიტომ გოგონას ეს ნივთები და გამოსაცვლელი ტანსაცმელი ტყეში დაამალვინა. იგი ჩუმად მისვლასა და ნადავლის აღებას აპირებდა, ქალიშვილი კი თვალის ახვევის მიზნით დარჩა. შესაძლოა, ასე უკეთესიც კი იყოს, რადგან მკვლელობაში ეჭვმიტანილი აღარ იქნება. ამ საქმეში ის სუფთაა. იგი სხვა თამაშს თამაშობდა.

მან ნივთები ჩემოდანში ჩაყარა, უარი განაცხადა მის მარპლის მიერ შეთავაზებულ ჭიქა ხერესზე<sup>1</sup> და დაგვტოვა.

– ესეც ასე, ერთი საიდუმლო ამოხსნილია, – ვთქვი მე და ამოვიხვნეშე, – ერთ რამეში სლეკი მართალია – დოქტორ სტოუნს მკვლელობასთან კავშირი არ აქვს. ყველაფერი ცხადია.

– ერთი შეხედვით, შესაძლოა, ასეც იყოს, – თქვა მის მარპლმა, – თუმცა ბოლომდე დარწმუნებული ვერაფერში იქნება კაცი, ხომ ასეა?

– დანაშაულის მოტივი არ არსებობს, – შევახსენე მე, – მან ის მიიღო, რაც სურდა, და გაუჩინარებას აპირებდა.

– დიახ.

აშკარა იყო, რომ მის მარპლი თავს მოუსვენრად გრძნობდა.

ცნობისმოყვარეობით მივაჩერდი. მან არ დაახანა და ჩემს უსიტყვო შეკითხვას მალევე უპასუხა. მკვირცხლად ლაპარაკობდა, თითქოს თავს იმართლებდა.

– ეჭვი არ მეპარება, რომ ვცდები. ასეთი საქმეების არა-

---

<sup>1</sup> ხერესი – ერთგვარი მაგარი ღვინო.



ფერი გამეგება. მხოლოდ იმის გაგება მსურდა... ეს ვერცხლის ნაკეთობა ძვირფასი ნივთია თუ არა?

- თუ არ მეშლება, ცოტა ხნის წინ ასეთი ფიალა ათას გირვანჯა სტერლინგზე ძვირად გაიყიდა.

- მაშასადამე, იგი მხოლოდ ვერცხლის გამო არ ფასობს, ასეა?

- დიახ, იგი უფრო ექსპერტებისთვისაა ფასეულობა.

- ასეც ვფიქრობდი. ასეთი ნივთის სწრაფად გაყიდვა შეუძლებელია. ეს რომც მოხერხდეს, საიდუმლო არ უნდა გამჟღავნდეს. იმის თქმა მსურს, რომ, თუ ქურდობის ამბავი გახმაურდებოდა, ამ ნივთს საერთოდ ვეღარ გაყიდდნენ.

- არ მესმის, რისი თქმა გსურთ, - ვუთხარი გულახდილად.

- ღმერთო ჩემო, წესიერად ახსნაც კი არ შემიძლია, - მომიბოდიშა კიდევ უფრო აღელვებულმა მის მარპლმა, - ჩემი აზრით, მსგავსი ნივთების მხოლოდ მოპარვა საკმარისი არ არის. მათი მისაკუთრების მხოლოდ ერთი გზა არსებობს - ისინი ასლით უნდა შეიცვალოს. მაშინ, ქურდობის ფაქტი შესაძლოა, განსაზღვრული დროის განმავლობაში არ გამჟღავნდეს.

- მახვილგონივრული იდეაა, - ვთქვი მე.

- ეს ერთადერთი სწორი გზაა, არა? და თუ ასეა, თქვენ მართალი ბრძანდებით - როგორც კი შეცვლა მოხერხდა, პოლკოვნიკ პროტეროს მოკვლას აზრი აღარ ჰქონდა, უფრო პირიქით.

- გეთანხმებით, მეც სწორედ ეს ვთქვი.

- დიახ, ოღონდ მომეჩვენა... თუმცა საიდან უნდა ვიცოდე... პოლკოვნიკი პროტერო ყოველთვის წინასწარ აცხადებდა, რის გაკეთებასაც აპირებდა. მართალია, ზოგჯერ ნათქვამი ნათქვამად რჩებოდა. მაგრამ მან თვითონ თქვა...

- რა?

- რომ თავისი ნივთების შეფასებას, ლონდონიდან შემფასებლის ჩამოყვანას აპირებდა. ანდერძისთვის კი არა, - ამას სიკვდილის წინ აკეთებენ, - დაზღვევის მიზნით. ვილაცამ ურჩია, რომ აუცილებლად შეეფასებინა. იგი ბევრს

ლაპარაკობდა, რომ ამის გაკეთება აუცილებელი იყო. მე, ცხადია, არ ვიცი, მოელაპარაკა თუ არა იგი შემფასებელს, მაგრამ თუ მოასწრო...

- გასაგებია, - ვთქვი მე.

- ბუნებრივია, როგორც კი ვერცხლს შეხედავდა, ექსპერტი მაშინვე დაადგენდა სიყალბეს. პოლკოვნიკი პროტერო გაიხსენებდა, რომ ნივთები დოქტორ სტოუნს უჩვენა, - იქნებ სწორედ მაშინ შეცვალა ამ უკანასკნელმა ნივთები ხელის მარჯვე მოძრაობით, - და ყველაფერი, რომ იტყვიან, წყალში ჩაეყრებოდა.

- მივხვდი, რისი თქმაც გასურდათ, - ვთქვი მე, - ჩემი აზრით, ეს დაუყოვნებლივ უნდა გაირკვეს.

კიდევ ერთხელ მიუახლოვდი ტელეფონის აპარატს. რამდენიმე წუთის შემდეგ ოულდჰოლთან დამაკავშირეს და ენი პროტეროს ვესაუბრებოდი.

- არა, განსაკუთრებული არაფერია. ინსპექტორი ჯერ არ მოსულა? მაშასადამე, მალე მოვა. მისის პროტერო, ხომ არ შეგიძლიათ მითხრათ, ოდესმე ოულდჰოლში არსებული ნივთების შეფასება თუ მომხდარა? რა ბრძანეთ?

ზუსტი და მკაფიო პასუხი მოვისმინე. მისის პროტეროს მადლობა გადავუხადე, ყურმილი დავდე და მის მარპლს მიუბრუნდი.

- ყველაფერი ცხადია. პოლკოვნიკ პროტეროს ლონდონიდან შემფასებელი ორშაბათისთვის, ანუ ხვალისთვის მოუნწევია მთელი თავისი ქონების შესაფასებლად. პოლკოვნიკის სიკვდილის გამო ეს პროცედურა გადაიდო.

- მაშასადამე, დანაშაულის მოტივი არსებობდა, - რბილად შენიშნა მის მარპლმა.

- დავუშვათ, მოტივი არსებობდა. მეტი რა გვაქვს? არ დაგავინყდეთ, რომ გასროლამდე დოქტორი სტოუნი ლორენსსა და ენის შეხვდა, ან სწორედ ამ დროს ალაგებე გადადიოდა.

- დიახ, - ჩაფიქრებული სახით წარმოთქვა მის მარპლმა, - მაშასადამე, მასზე ეჭვს ვერ მივიტანთ.

## თავი XXIV

შინ დაბრუნებულმა აღმოვაჩინე, რომ კაბინეტში ჰოუზი მელოდებოდა. იგი ნერვიულად დააბიჯებდა ოთახში წინ და უკან. როცა შევედი, ელდანაკრავივით შეხტა.

– გთხოვთ, მაპატიოთ, – მითხრა მან და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, – ამ ბოლო დროს ნერვები აღარაფრად მივარგა.

– ჩემო მეგობარო, – მივუგე მე, – აუცილებლად უნდა გაემგზავროთ და გარემო გამოიცვალოთ. სხვაგვარად, დაავადმყოფდებით და მერე გვიან იქნება.

– სამსახურს ვერ მივატოვებ. არა, ასე ვერ მოვიქცევი.

– ეს ხომ დეზერტირობა არაა. ავად ხართ. დარწმუნებული ვარ, ჰეიდოკიც დამეთანხმება.

– ჰეიდოკი... ჰეიდოკი სადაური ექიმია? ერთი უსწავლელი, სოფლელი ექიმბაშია.

– ვფიქრობ, მის მიმართ უსამართლობას იჩენთ. იგი ყოველთვის შესანიშნავი პროფესიონალი იყო.

– მართლა? შესაძლებელია. არ გეკამათებით. მაგრამ რატომღაც არ მომწონს. თუმცა თქვენთან სულ სხვა რამის გამო მოვედი. ხომ ვერ შეძლებთ, რომ ამ საღამოს ჩემ მაგივრად იქადაგოთ? მე... მე საამისოდ დღეს რაღაც ვერ ვარ.

– რა თქმა უნდა. წირვასაც გავუძღვები.

– არა, არა. წირვას თვითონ ჩავატარებ. თავს კარგად ვგრძნობ. მაგრამ იმის გაფიქრებაზე, რომ კათედრაზე უნდა ავიდე და ყველა მე მომაცქერდება... – მან თვალები დახუჭა და ნერწყვი ისე გადაყლაპა, თითქოს ყელში ბურთი ჰქონდა გაჩხერილი.

ვხვდებოდი, რომ ჰოუზს რაღაც სჭირდა. მან, ალბათ, ჩემი ფიქრები გამოიცნო, რადგან თვალი გაახილა და აჩქარებით მითხრა:

– გარწმუნებთ, კარგად ვარ. მხოლოდ თავის ტკივილმა გამანაბმა. ნყალს ხომ ვერ დამალევიანებთ?

- ახლავე.

ნავედი და ონკანიდან წყალი დავუსხი. მსახური აღარ გამოვიდახე. ჩვენს სახლში ამას აზრი არა აქვს.

წყალი რომ მოვუტანე, მადლობა გადამიხადა, შემდეგ ჯიბიდან მუყაოს პატარა კოლოფი ამოიღო, იქიდან პაპიროსის ქალაღდის კაფსულა ამოაძვრინა, გადაყლაპა და წყალი მიაყოლა.

- თავის ტკივილის ნამალია, - ამიხსნა.

„ვაითუ, ჰოუზი ნარკომანი გახდა?“ - დამკრა თავში. მაშინ მისი უცნაური საქციელი ჩემთვის გასაგები იქნებოდა.

- ვიმედოვნებ, ხშირად არ სვამთ, - ვთქვი მე.

- არა, რას ამბობთ. დოქტორმა ჰეიდოკმა გამაფრთხილა. ისე, საუცხოო ფხენილია. თავის ტკივილს მაშინვე აქრობს.

და მართლაც, იგი უცებ დამშვიდდა და თავი ხელში აიყვანა.

- მაშასადამე, საღამოს იქადაგებთ, არა? - მკითხა მან და ნამოდგა, - რომ იცოდეთ, როგორ დამავალებთ, სერ.

- არ ღირს სალაპარაკოდ. მაგრამ მინდა, რომ წირვაც თქვენ მაგივრად ჩავატარო. შინ წადით და დაისვენეთ. არ შემეკამათოთ - ასე გადავწყვიტე. სიტყვა აღარ გამაგონოთ.

მან კვლავ მადლობა გადამიხადა, შემდეგ თვალი ამარიდა, ჩემ უკან მდებარე ფანჯარას მიაჩერდა და ჩაილაპარაკა:

- დღეს ოულდჰოლში ბრძანდებოდით, ხომ ასეა, სერ?

- დიახ.

- მაპატიეთ, მაგრამ... ვინმემ მიგინვიათ?

გაოცებით შევხედე. იგი განითლდა.

- მაპატიეთ, სერ. ვიფიქრე, რომ რამე გაირკვა და მისის პროტერომ ამიტომ დაგიძახათ. რამე ახალი...

ჰოუზის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას არ ვაპირებდი.

- მას ჩემთან დაკრძალვისა და კიდევ რაღაც წვრილმანების შესახებ სურდა საუბარი, - ვუთხარი მე.

- აჰ! მეტი არაფერი? გასაგებია.

ვდუმდი. მან ფეხი მოინაცვლა და თქვა:

– ნუხელ ჩემთან მისტერ რედინგმა შემოიარა. ვერაფრით მივხვდი, რა უნდოდა.

– არ უთქვამს?

– მხოლოდ ის მითხრა, რომ სინათლე დაინახა და შემოვლა გადანყვიტა. თქვა, რომ სალამოობით თავს მარტო გრძნობს. ადრე ასე არასდროს მოქცეულა.

– მერე რა? ვფიქრობ, იგი სასიამოვნო მოსაუბრეა, – ვუთხარი ლიმილით.

– ჩემგან რა უნდოდა? ეს არ მომწონს, – მის ხმაში ისტერიკის ნიშნები შევამჩნიე, – მითხრა, კიდევ შემოგივლითო. ეს რას უნდა ნიშნავდეს? ხომ არ იცით, რა აქვს თავში? – ჰოუზი თითქმის ყვიროდა.

– რატომ გგონიათ, რომ რალაც ფარული განზრახვა ამოძრავებს? – ვკითხე მე.

– არ მომწონს, – ჯიუტად გაიმეორა ჰოუზმა, – რა მაქვს მასთან გასაყოფი? მისთვის არაფერი დამიშავებია, არასდროს მჯეროდა, რომ დამნაშავე იყო. მაშინაც კი, როდესაც ამას იბრალებდა, ყველას გასაგონად განვაცხადე, ეს შეუძლებელია-მეთქი. თუ ვინმეზე ეჭვის მიტანა შეიძლება, უპირველეს ყოვლისა, არჩერზე – ის ხომ უღმერთო, არამზადა, ლოთი და ბანდიტია.

– ხომ არ გეჩვენებათ, რომ ძალზე მკაცრად განიკითხავთ? – ვკითხე მე, – ჩვენ მას თითქმის არ ვიცნობთ.

– ბრაკონიერია. ახლახან გამოვიდა ციხიდან. ყველაფერზეა ნამსვლელი.

– ნუთუ ფიქრობთ, რომ მან მოკლა პოლკოვნიკი? – დავინტერესდი მე.

ჰოუზს ჩვეულებად ჰქცეოდა შეკითხვაზე პირდაპირი პასუხისთვის თავის არიდება. ბოლო დროს ეს რამდენჯერმე დავაფიქსირე.

– იქნებ ეს ერთადერთი შესაძლო გადანყვეტილებაა?

– როგორც ვიცი, – ვთქვი მე, – მის წინააღმდეგ სულ უმნიშვნელო სამხილიც კი არ არსებობს.



- მუქარაზე რას იტყვით? - მკვირცხლად შემეპასუხა ჰოუზი, - თქვენ დაგავინყდათ, რომ იგი შურისძიებით იმუქრებოდა.

საშინლად მომბეზრდა არჩერის მუქარაზე ლაპარაკი. კაცი ვერ ვნახე, რომელსაც ეს საკუთარი ყურით მოესმინა, მხოლოდ ჭორის დონეზე საუბრობდნენ.

- იგი პოლკოვნიკ პროტეროზე შურისძიებას აპირებდა. გულადობისთვის ჯერ გვარიანად ყლურნა, შემდეგ კი მოხუცს ტყვია დაახალა.

- ეს მხოლოდ ვარაუდია, - ვთქვი მე.

- მაგრამ აღიარეთ, რომ შესაძლებელია.

- არა, არ ვაღიარებ.

- მაგრამ ხომ ჰქონდა ასეთი შესაძლებლობა?

- შესაძლებლობა ჰქონდა.

ჰოუზმა აღმაცერად გამომხედა.

- რატომ მიგაჩნიათ ეს ნაკლებად სავარაუდოდ?

- იმიტომ, რომ არჩერს თავში აზრადაც არ მოუვიდოდა პისტოლეთიდან სროლა. ეს მისთვის შესაფერისი იარაღი არაა.

ჰოუზი ჩემმა არგუმენტებმა ცოტათი გააოგნა. იგი სხვაგვარ შეპასუხებას ელოდა.

- სერიოზულად ფიქრობთ, რომ ეს არჩერის უდანაშაულობის დასადასტურებლად საკმარისია? - მკითხა გაუბედავად.

- ჩემი აზრით, ეს სრულად გამორიცხავს არჩერის ბრალეულობას. - მივუგე მე.

როდესაც ჩემი აზრის სიმტკიცეში დარწმუნდა, ჰოუზმა კამათი შეწყვიტა. მან კიდევ ერთხელ გადამიხადა მადლობა და წავიდა.

მე იგი სახლის კარამდე მივაცილე. შემოსასვლელში მდგარ მაგიდაზე ოთხი წერილი შევამჩნიე, რომლებიც ერთმანეთს რალაციით ჰგავდა. ერთნაირი წარწერა - „შიკრიკის ხელით, სასწრაფოდ“ - ეჭვგარეშეა, ქალის ხელს შეესრულებინა. რაც შეეხება განსხვავებას, მხოლოდ ის

მომხვდა თვალში, რომ ერთი მათგანი სხვებზე გაცილებით ჭუჭყიანი იყო.

ამ მსგავსებამ სასაცილო შეგრძნება მომგვარა – თითქოს ყველაფერი ორად, არა, ოთხად მეჩვენებოდა.

ამ დროს სამზარეულოდან მერი გამოვიდა და დაინახა, რომ ჩაფიქრებული დავცქეროდი ამ ბარათებს.

– ლანჩის შემდეგ მოიტანეს, – მითხრა მან ისე, რომ ჩემს შეკითხვას არ დაელოდა, – ყველა, გარდა ერთისა, რომელიც ყუთში ეგდო.

თავი დავუქნიე, წერილები მოვხვეტე და კაბინეტში წავიღე. პირველში ეწერა:

„ძვირფასო მისტერ კლემენტ, ვფიქრობ, ის ინფორმაცია, რომელიც ჩემამდე მოვიდა, თქვენც უნდა იცოდეთ. ეს საბრალო პოლკოვნიკ პროტეროს სიკვდილს უკავშირდება. მინდა, ამის თაობაზე თქვენი რჩევა მოვისმინო – მივმართო პოლიციას თუ არა. ჩემი ძვირფასი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ხმაურსა და საჯაროობას ვერიდები. ხომ არ შეგიძლიათ, რომ დღეს რამდენიმე წუთით შემომიაროთ?“

გულწრფელად, თქვენი მარტა პრაის რიდლი“.

შემდეგ მეორე წერილი გავშალე:

„ძვირფასო მისტერ კლემენტ, ძალიან შეშფოთებული ვარ. აღელვებისგან თავგზა ამებნა, აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. ჩემი აზრით, უაღრესად მნიშვნელოვანი რამ გავიგე, მაგრამ იმის გაფიქრებაც კი თავზარს მცემს, რომ პოლიციასთან მომინევს საქმის დაჭერა. ლამის სასონარკვეთილებამ შემიპყროს. ხომ ვერ მოახერხებდით, ძვირფასო ვიკარიუსო, რომ მინახულოთ, ორიოდ წუთი დამითმოდო და ეჭვი და წუხილი გამიფანტოთ, როგორც ამას ყოველთვის შესანიშნავად ახერხებთ ხოლმე?“

ბოდიშს გიხდით შენუხებისთვის.

გულწრფელი პატივისცემით,  
კაროლინა უოთერბი“.

ვიგრძენი, რომ მესამე წერილის შინაარსს წაუკითხავა-  
დაც გამოვიცნობდი.

„ძვირფასო მისტერ კლემენტ, ძალზე მნიშვნელოვან-  
ი ამბავი გავიგე. ვფიქრობ, ეს პირველმა თქვენ უნდა შე-  
იტყოთ. შეგიძლიათ, დღეს ნებისმიერ დროს შემომიაროთ.  
დაგელოდებით“.

აი, ხელმოწერა ამ საბრძოლო შეტყობინების ბოლოში:  
„ამანდა ჰარტნელი“.

ბოლოს მეოთხე წერილი ავიღე. საბედნიეროდ, ძალზე  
ცოტა ანონიმურ წერილს ვიღებდი. ჩემი აზრით, ანონიმურ-  
ი წერილი ყველაზე საზიზღარი და სასტიკი იარაღია. ის,  
რაც ხელში მეჭირა, გამონაკლისს არ წარმოადგენდა. მიუ-  
ხედავად ავტორის მცდელობისა, თავი გაუნათლებელ ადა-  
მიანად წარმოეჩინა, ზოგიერთმა ადგილმა ამაში დამაეჭვა.

„ძვირფასო ვიკარიუსო, ვფიქრობ, უნდა იცოდეთ, რაც  
ხდება. დაინახეს, როგორ მალვით გამოვიდა თქვენი ქალ-  
ბატონი მისტერ რედინგის კოტეჯიდან. ხომ ხვდებით, რას  
გეუბნებით? მათ შორის რაღაც არის. ამის ცოდნა თქვენთ-  
ვის მნიშვნელოვანია.

მეგობარი“.

ზიზღის გამომხატველი ჩუმი შეძახილი აღმომხდა.  
ფურცელი დავჭმუჭნე და ბუხარში მოვისროლე. სწორედ  
ამ დროს გრიზელდა შემოვიდა.

– რას ისვრი ასეთი ზიზღით? – მკითხა მან.

– სიბინძურეს, – მივუგე მე.

ჯიბიდან ასანთი ამოვიღე, გავკარი და ბუხრის ცხაურის-  
კენ დავიხარე. მაგრამ გრიზელდამ დამასწრო და, სანამ ხე-  
ლის შეშლას მოვასწრებდი, დაჭმუჭნილი ქალაღდი აიტაცა.

მან წაიკითხა, რაც შიგ ეწერა, ზიზღით გადმომიგდო  
უკან და სახე ამარიდა. ასანთი ავანთე და თვალი არ მომი-  
ცილებია, სანამ ბოლომდე არ დაინვა.

გრიზელდა მომცილდა, ფანჯარასთან მივიდა და ბაღს  
გახედა.

– ლენ, – მომმართა მან უკან მოუხედავად.

– დიახ, ძვირფასო.

– რალაც უნდა გითხრა. ხელი არ შემიშალო – ასე მიწადა. გთხოვ. როდესაც ლოურენს რედინგი აქ მოვიდა, ისეთი სახე მივიღე, თითქოს ერთმანეთს მხოლოდ შორიდან ვიცნობდით. შენც დამიჯერე. ეს კი ასე არ არის. მე... მე მას დიდი ხანია ვიცნობ. რომ არ დაგიმალო, ჯერ კიდევ ჩვენს შეხვედრამდე გავიცანი. მიყვარდა კიდევ იგი. ასე მგონია, რომ ლოურენსი ყველას უყვარს. იყო დრო, როდესაც შტერივით ვიქცეოდი. არ გეგონოს, რომ მაკომპრომეტირებელ წერილებს ვწერდი ან სიბრიყვეს ჩავდიოდი, როგორც ეს რომანებშია აღწერილი, მაგრამ მისდამი გულგრილი არ ვიყავი.

– რატომ არ მითხარი? – ვკითხე მე.

– რატომ და იმიტომ! თვითონაც არ ვიცი. შესაძლოა იმის გამო, რომ ზოგჯერ ჩერჩეტივით გამოიყურები, საკუთარ თავს არ ჰგავხარ. დიდი ამბავი, თუ ჩემზე საკმაოდ უფროსი ხარ. ეს არ ნიშნავს, რომ მე... რომ მე სხვები უნდა მომწონდეს, ვიფიქრე, რომ ამაზე ფიქრს დაიწყებდი, დაიტანჯებოდი. გაცილებით მარტივი იყო, შენთვის ლოურენსთან ჩემი მეგობრობის ამბავი დამემალა.

– ძალიან კი გეხერხება დამალვა, – ვუთხარი მე და გამახსენდა, როგორ მელაპარაკებოდა ამ ოთახში გასულ კვირას და როგორ გულწრფელად უღერდა მისი ხმა.

– მართალია, ყოველთვის ვახერხებდი იმის დამალვას, რისი გამჟღავნებაც არ მსურდა. ეს მომწონს კიდევ, – თქვა მან ბავშვური კმაყოფილებით, – სიმართლეს გეუბნები. ენის შესახებ ვერაფერს ვხვდებოდი. ვერ გამეგო ლოურენსის ასეთი გარდაქმნის მიზეზი – იგი ხომ იოტისოდენა ყურადღებასაც არ მაქცევდა. ამას მიჩვეული არ ვარ.

პაუზა.

– ხომ გაიგე, ლენ? – შენუხებული ხმით მკითხა გრიზელდამ.

– დიახ, – ვუპასუხე მე, – გავიგე.

მაგრამ გავიგე კი?

## თავი XXV

ანონიმური წერილის შთაბეჭდილებებისგან გათავისუფლება საკმაოდ გამიჭირდა. როდესაც ტალახს გესვრიან, დაისვრები კიდევ.

მიუხედავად ამისა, დარჩენილი სამი წერილი ავიღე, საათს დავხედე და სახლიდან გავედი.

მინდოდა გამომეცნო, თუ რა შეიტყო სამივე ქალბატონმა ერთდროულად. დავასკვენი, რომ ყოველმა მათგანმა ერთი და იგივე სიახლე იცოდა. მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ლოგიკაში მოვიკოჭლებდი.

იმის მტკიცებას არ დავინწყებ, რომ ხელი მთავარმა მიზანმა – ჩემმა ვიზიტებმა – შემიშალა და პოლიციის განყოფილებაში არ შევიარე. ფეხები თავისით მიმაქანებდა იქით. ძალიან მინდოდა გამეგო, დაბრუნდა თუ არა ინსპექტორი სლეკი ოულდჰოლიდან. აღმოჩნდა, რომ დაბრუნებულიყო და თან მის კრემიც მოეყვანა. პოლიციის განყოფილებაში, სკამზე წამოჭიმული მშვენიერი გლედისი ცდილობდა, ყველა თავის ჭკუაზე ეტარებინა. კატეგორიულად ამტკიცებდა, არანაირი ჩემოდანი ტყეში არ წამიღიაო.

– რა ჩემი ბრალია, თუ ერთ-ერთი აქაური ბებერი ჭორიკანა მთელ ღამეს ფანჯარასთან ატარებს? მას მეტი საქმე არა აქვს, თქვენ კი ყველაფრის ჩემზე გადმობრალეობა გსურთ. ერთხელ ხომ უკვე შეეშალა – განაცხადა, რომ მკვლელობის დღეს ორლობის ბოლოში დამინახა. თუკი დღისით შეცდა, ღამით, მთვარის შუქზე როგორღა მიცნობდა?

– მაგრამ თუ „ცისფერი ტახის“ დიასახლისი იტყვის, რომ ეს თქვენი ჩემოდანია, მის კრემ?

– თუ ამას იტყვის, ეს სიცრუე იქნება. ზედ ხომ ჩემი სახელი არ აწერია. სიმართლე თუ გინდათ, ასეთი ჩემოდანი უამრავ ადამიანს აქვს. საბრალო დოქტორ სტოუნს კი ქურდობას აბრალებთ. ეს როგორ შეიძლება! მისი სახელის შემდეგ ხომ უამრავი ასო დგას<sup>1</sup>.

<sup>1</sup> გვარის შემდეგ იწერება მთავრული ასოები, რომლებიც აღნიშნავს სპეციალობას, სამეცნიერო ხარისხს და სხვ.



- მაშასადამე, უარს ამბობთ განმარტების მოცემაზე, არა, მის კრემ?

- რას ნიშნავს, უარს ვამბობ? უბრალოდ, შეცდით. თქვენც და თქვენი მის მარპლის მოხუცი ქალებიც, რომლებიც ყველაფერში ყოფენ ცხვირს. სულ ეს არის. ამიერიდან კრინტსაც აღარ დავძრავ - მხოლოდ ჩემი ადვოკატის თანდასწრებით. ახლა კი ავდგები და ნავალ. ცხადია, თუ არ დამაპატიმრებთ.

პასუხის ნაცლად, ინსპექტორი სლეკი ნამოდგა და ქალიშვილს კარი გაუღო. მის კრემმა თავი შეარხია და გარეთ გავიდა.

- ჯიუტად დგას თავისაზე, - თქვა სლეკმა და მაგიდასთან დაბრუნდა, - ცხადია, მოხუცი ქალი, შესაძლოა, ცდება კიდევ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ დაიჯერებს, რომ მთვარის შუქზე, თანაც ამხელა მანძილზე, ვინმეს გარჩევა შეიძლება. როგორც აღვნიშნე, სრულიად შესაძლებელია, რომ მოხუცს ვიღაცაში შეშლოდა.

- შესაძლებელია, - ვთქვი მე, - მაგრამ არა მგონია, ასე იყოს. მის მარპლი არასდროს ცდება. სწორედ ამიტომ არის იგი არაპოპულარული.

ინსპექტორს გაელიმა.

- ჰერსტიც იმავეს ამბობს. ღმერთო ჩემო, რა მოვუხერხო ამ სოფლელებს!

- ვერცხლთან დაკავშირებით რა გაირკვა?

- როგორც ჩანს, ყველაფერი კარგადაა. ცხადია, რომ რომელიღაც კომპლექტი ყალბია. მაჩ-ბენჰემში ძველებური ვერცხლის სპეციალისტი ცხოვრობს. დავურეკე და მანქანაც გავგზავნე მის ჩამოსაყვანად. მალე გავიგებთ, რა რა არის. ან უკვე მოიპარეს, ან მხოლოდ გაქურდვის მცდელობა იყო. ჩვენთვის ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ხომ ხვდებით? მკვლელობასთან შედარებით ქურდობა არაფერია. ეს ნყვილი კი მკვლელობაში გარეული არ არის. იმიტომ გავუშვი, რომ ქალიშვილის დახმარებით მამაკაცზე გავალთ.

- მეც სწორედ ეს გავიფიქრე, - ვთქვი მე.
- გული მწყდება მისტერ რედინგის გამო. ყოველდღე როდი შეხვდები კაცს, რომელიც დახმარების ხელს გინდის.
- დიახ, ეს მართლა იშვიათობაა, - დავეთანხმე ლიმილით.
- ყველა უბედურების სათავე ქალია, - დაასკვნა ინსპექტორმა.
- მან ამოიოხრა და, ჩემდა გასაოცრად, დაამატა:
  - ცხადია, ჩვენ არჩერიც გვყავს.
  - ოჰ! - ვთქვი მე, - მასზეც იფიქრეთ?
  - რასაკვირველია, სერ, თანაც პირველ რიგში. კვალზე დადგომა ანონიმური წერილების გარეშეც შემიძლია.
  - ანონიმური წერილები? - გავანწყვეტინე მე, - მაშასადამე, ანონიმური წერილი მიიღეთ?
  - განსაკუთრებული არაფერია, სერ. სულ ცოტა, დღეში ათს მაინც ვიღებთ ხოლმე. დიახ, არჩერზე მიგვითითეს. თითქოს პოლიციას მათ დაუხმარებლად საქმის გაკეთება არ შეეძლოს. არჩერი თავიდანვე იყო ეჭვმიტანილთა სიაში. ერთი რამ გვაფერხებს - ალიბი აქვს. დიდი არაფერია, მაგრამ მაინც დაბრკოლებაა.
  - როგორ თუ დიდი არაფერია? რას გულისხმობთ?
  - ირკვევა, რომ მთელი დღე თავის ორ მეგობართან ერთად გაატარა. როგორც გითხარით, ჩვენთვის ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. არჩერისა და მისი მეგობრების მსგავსი ხალხი ყველაფერზე დაიფიცებს. მათი ნდობა არ შეიძლება. მაგრამ რაც ჩვენ ვიცით, ხალხმა არ იცის. მსაჯულებს კი ხალხის წრიდან ირჩევენ. მათ არაფერი იციან და ყველას ნათქვამს იჯერებენ. არჩერი, რა თქმა უნდა, ათასჯერ დაიფიცებს, რომ ეს მას არ ჩაუდენია.
  - მისტერ რედინგამდე ბევრი აკლია, არა? - გავილიმე მე.
  - ცხადია, - დააფიქსირა ინსპექტორმა მისთვის უსიამოვნო ფაქტი.
  - ბუნებრივია, რომ თავის გადასარჩენად იბრძვის, - წარმოვთქვი ჩაფიქრებულმა.

- რომ იცოდეთ, რამდენი მკვლელი დასეირნობს გარეთ გულკეთილი მსაჯულების დახმარებით, გაოცებას ვერ დამალავდით, - თქვა სახემოლუშულმა ინსპექტორმა.

- სერიოზულად ფიქრობთ, რომ ეს არჩერმა ჩაიდინა?

თვალში თავიდანვე მომხვდა ერთი უცნაურობა - ინსპექტორ სლექს ჯერ ერთხელაც არ გამოეთქვა საკუთარი ვარაუდი მკვლელის შესახებ. მას თითქოს მხოლოდ ერთი რამ აინტერესებდა - ეჭვმიტანილად გამოეცხადებინა ის, ვისაც შედარებით ადვილად მისცემდა პასუხისგებაში.

- დიახ, მეტი სიზუსტე სასურველი იქნებოდა, - თქვა მან, - თუნდაც თითის ანაბეჭდი და ფეხსაცმლის კვალი. შესაძლოა, ვინმემ დაინახა კიდეც იმ დროს დანაშაულის ადგილის სიახლოვეს. სანამ მსგავსი სამხილი არ გვაქვს, მისი დაპატიმრება სარისკოა. მისტერ რედინგის სახლთან ერთი-ორჯერ კი ნახეს, მაგრამ ამბობს, რომ დედამისთან დასალაპარაკებლად შევიდა. მისის არჩერი უნესიერესი ქალია. არა, ისევ იმ ქალბატონისკენ ვიხრები. კარგი იქნება, ფულის გამოძალვის მტკიცებულება რომ ჩამაგდებინა ხელში, მაგრამ ვერაფერს მივაგენით. სულ თეორია, თეორია და თეორია. რა ცუდია, მისტერ კლემენტ, რომ ჩვენს მეზობლად კიდეც ერთი მარტოხელა მოხუცი ქალი არ ცხოვრობს. მზად ვარ, დავიფიცო, რომ არაფერი გამოეპარებოდა.

მისმა სიტყვებმა ჩემი ვიზიტები გამახსენა, ინსპექტორს დავემშვიდობე და წავედი. ვფიქრობ, ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც იგი კარგ განწყობაზე ვნახე.

თავდაპირველად მის ჰარტნელს შევუარე. როგორც ჩანს, ფანჯარასთან მულოდებოდა - დარეკვა ვერ მოვასწარი, რომ კარი გამიღო, ხელი ჩამკიდა და სასწრაფოდ სახლში შემიყვანა.

- გმადლობ, რომ მოხვედით. ნამობრძანდით, აქ ხელს არავინ შეგვიშლის.

ჩვენ საქათმისოდენა, მოცუცქნულ ოთახში შევედით. მის ჰარტნელმა კარი მიხურა და შეთქმულივით მიმითითა

სამიდან ერთ-ერთ სკამზე. შევამჩნიე, რომ იდუმალი გარემოს შექმნა სიამოვნებას ანიჭებდა.

– მიკიბ-მოკიბვით ლაპარაკი არ მჩვევია, – თქვა მან სიცოცხლით აღსავსე ხმით, რომელიც ოდნავ შეარბილა მნიშვნელოვანი მოვლენების გამო, – პირდაპირ გეტყვი: მოგეხსენებათ, რა სწრაფად ვრცელდება ხმა ჩვენისთანა სოფელში.

– სამწუხაროდ, ვიცი, – მიუგო მე.

– გეთანხმებით. ჭორი სხვებზე მეტად მეჯავრება. ჩემს მოვალეობად ჩავთვალე, პოლიციისთვის შემეტყობინებინა, რომ მკვლელობის დღეს, სალამოს, მისის ლესტრენჯს შეეუარე, მაგრამ შინ არ დამხვდა. მადლობას არ ველი – როგორც ყოველთვის, მხოლოდ მოვალეობას ვასრულებ. ირგვლივ მხოლოდ უმადურობა სუფევს. აი, გუშინაც, იმ უსირცხვილო მისის ბეიკერმა...

– დიახ, დიახ, – სასწრაფოდ გავანწყვეტინე სიტყვა, რათა ზედმეტი მონოლოგი თავიდან ამერიდებინა, – სამწუხაროა, ძალიან სამწუხაროა. მაგრამ თქვენ რალაცას ამბობდით.

– დაბალი კლასების წარმომადგენლებმა არ იციან, ვინ არის მათი საუკეთესო მეგობარი, – თქვა მის ჰარტნელმა, – ყოველთვის ვიცი, რა უნდა ვთქვა მათ სასარგებლოდ, როდესაც ვესტუმრები ხოლმე. უნდა გითხრათ, რომ მათგან მადლობა ერთხელაც არ მომისმენია.

– როგორც მახსოვს, მისის ლესტრენჯთან თქვენი ვიზიტის შესახებ ინსპექტორს შეატყობინეთ, – შევახსენე მის ჰარტნელს.

– დიახ. სხვათა შორის, მადლობა არც მას უთქვამს. ასე მითხრა, როდესაც რამის გაგება მსურს, ამის შესახებ თვითონ ვეკითხებიო. შესაძლოა, სხვა სიტყვები გამოიყენა, მაგრამ აზრი ეს იყო. ჩვენს დროში პოლიციაში სრულიად განსხვავებული კლასის ადამიანები მსახურობენ.

– შესაძლებელია, – ვთქვი მე, – მგონი, კიდევ აპირებდით რალაცის თქმას, არა?

- გადავწყვიტე, რომ ახლოსაც არ გავეკარო იმ სა-  
ზიზღარ ინსპექტორს. ბოლოს და ბოლოს, სასულიერო  
პირიც შეიძლება ჯენტლმენი აღმოჩნდეს... თუნდაც გამო-  
ნაკლისის სახით, - დაამატა ბოლოს.

მივხვდი, რომ რჩეულთა მცირერიცხოვან ჯგუფში მოხ-  
ვედრის პატივი მერგო.

- თუ თქვენი დახმარება შემიძლია... - დავინყე მე.

- მე ყოველთვის მოვალეობის გრძნობა მამოძრავებს, -  
განაცხადა მის ჰარტნელმა და პირი ხაფანგივით დახურა, -  
ამ სიტყვების გამეორების სურვილიც კი არ მაქვს. მაგრამ  
ვალი ვალია.

ველოდებოდი, რას იტყოდა.

- მიმანიშნეს, - განაგრძო მის ჰარტნელმა და თანდათან  
წამოწითლდა, - თითქოს მისის ლესტრენჯი ჰყვება, რომ  
მთელი დღე შინ იყო, მაგრამ კარს არავის უღებდა, რადგან  
გაღება არ სურდა. ეს რა მანერაა. მე მოვალეობის შესას-  
რულებლად შევუარე, პასუხად კი რა მივიღე?

- იგი თავს შეუძლოდ გრძნობდა, - რბილად შევაპარე.

- აჰ, შეუძლოდ ყოფილა! ნუ მაცინებთ. თქვენ მართლა  
სხვა ქვეყნიდან ხართ, მისტერ კლემენტ. ეს ქალი ჩვენზე  
ჯანმრთელია. თურმე ისე ავად იყო, რომ მოკვლევაზე ვერ  
გამოცხადდა. დოქტორ ჰეიდოკის ცნობა წარმოადგინა!  
ყველამ იცის, რომ მას თავის ჭკუაზე ატრიალებს. რას ვამ-  
ბობდი?

ვერაფერი ვუპასუხე. ძნელი დასადგენია, სად ამთავ-  
რებს მის ჰარტნელი ფაქტების გადმოცემას და სად იწყებს  
ლანძღვას.

- გამახსენდა! ვთქვი, რომ სალამოს შევუარე. დიახ. გა-  
ითვალისწინეთ, ცრუობს, ვინც ამბობს, შინ იყო. ჩემზე  
უკეთ ეს არავინ იცის.

- როგორ შეიტყვეთ?

მის ჰარტნელი ოდნავ წამოწითლდა. რომ არა საბრძო-  
ლო სულისკვეთება, კაცი იფიქრებდა, შეცბუნდაო.

- ვაკაკუნე, ზარიც დავრეკე, - ამიხსნა მან, - ორჯერ.



იქნებ სამჯერაც. შემდეგ გავიფიქრე, ზარი გაფუჭებული ხომ არ არის-მეთქი.

კმაყოფილებით შევნიშნე, რომ ამ სიტყვების წარმოთქმისას თვალს ვერ მისწორებდა. ჩვენი სახლები ერთი მშენებლის მიერ არის აშენებული. ზარებიც მანვე დააყენა, თანაც ისე, რომ მშვენივრად ესმის ყველას, ვინც შესასვლელ კართან ფეხსანმენდზე დგას. მის ჰარტნელმა ეს ჩემზე ცუდად არ იცოდა, მაგრამ, ვფიქრობ, ზრდილობის ნების შენარჩუნებას წინ არაფერი ედგა.

– დიახ? – ხმადაბლა ვკითხე.

– არ მინდოდა ჩემი ბარათის ჩაყოფა საფოსტო ყუთში. ეს ურიგო საქციელია, მე კი, როგორც უნდა ვიყო, უზრდელი მაინც არ ვიქნები.

მან ეს შესანიშნავი აზრი წარბშეუხრელად წარმოთქვა.

– ჰოდა, ვიფიქრე, სახლს შემოვუვლი და ფანჯარაზე დავაკაკუნებ-მეთქი, – განაგრძო მის ჰარტნელმა და ამჯერად აღარ განითლებულა, – ასეც მოვიქეცი, ყველა ფანჯარაში შევიხედე, მაგრამ სახლში სულიერი არ ჭაჭანებდა.

მისი მშვენივრად შესმოდა. მან ისარგებლა იმით, რომ არავინ გამოეხმაურა და ცნობისმოყვარეობა სრულად დაიკმაყოფილა: ბალის ყველა კუთხე-კუნჭული მოათვალიერა, თითოეულ ფანჯარაში შეიხედა და სცადა, შიგნით რამე გაერჩია. როდესაც ამ ყველაფრის ჩემთვის მოყოლა გადანყვიტა, იმის იმედი ჰქონდა, რომ მის მონაყოლს პოლიციის ინსპექტორზე მეტი გაგებითა და თანაგრძნობით მოვეკიდებოდი. იგულისხმება, რომ სასულიერო პირმა მრევლის ნევრების მიმართ უდანაშაულობის პრეზუმფცია უნდა დაიცვას.

კვლავ არაფერი ვთქვი, მხოლოდ ვიკითხე:

– ეს რომელ საათზე მოხდა, მის ჰარტნელ?

– თუ მეხსიერება არ მლალატობს, – თქვა მის ჰარტნელმა, – ექვსი იქნებოდა. პირდაპირ შინისკენ გავემართე და იქ შვიდის ათი ნუთისთვის ვიყავი. შვიდის ნახევრისთვის კი მისის პროტერო მოვიდა. დოქტორმა სტოუნმა და მის-

ტერ რედინგმა გარეთ ამჯობინეს ყოფნა. ქალებმა ბოლქ-  
ვებზე ვისაუბრეთ. ამ დროს კი საბრალო პოლკოვნიკი უკვე  
მკვდარი ყოფილა. რა სევდიანია ეს სამყარო.

– ზოგჯერ – საკმაოდ არასასიამოვნო, – ვთქვი მე და ნა-  
მოვდექი, – სულ ეს არის, რისი თქმაც გსურდათ?

– დიახ, ვიფიქრე, რომ გამოგადგებოდათ.

– შესაძლოა, ასეც მოხდეს, – დავეთანხმე მე.

საკითხის განხილვა აღარ განვაგრძე, რითაც მის ჰარტ-  
ნელს იმედი გავუცრუე, დავემშვიდობე და ნამოვედი.

მის უოთერბი, რომელსაც მის ჰარტნელის შემდეგ ვენ-  
ვიე, ოდნავ აღელვებული შემხვდა.

– ძვირფასო ვიკარიუსო, რა კეთილი ხართ! ჩაი უკვე მი-  
ირთვით? მართლა არ გინდათ? თუ გნებავთ, მისაყრდნო-  
ბად ბალიშს მოგართმევთ. რა კარგია, რომ დაძახებისთა-  
ნავე მოხვედით. მოყვასისთვის თავს არასდროს ზოგავთ.

კიდევ მრავალი ამგვარი წინადადების მოსმენა მომიხ-  
და, სანამ, ბოლოს და ბოლოს, მთავარ თემაზე გადავედით.

– გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ინფორმაცია ყველა-  
ზე სანდო წყაროდან მაქვს.

სენტ-მერიმიდში ყველაზე საიმედო წყაროდ სხვის მო-  
სამსახურეს მიიჩნევენ.

– ხომ ვერ მეტყვით, ვისგან გაიგონეთ?

– სიტყვა მივეცი, ძვირფასო მისტერ კლემენტ. პატიო-  
სანი სიტყვა კი ჩემთვის ნმიდათანმიდაა.

მან უაღრესად სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

– მოდი, ვთქვათ, რომ ჩიტმა მომიტანა ამბავი. ასე უფ-  
რო მშვიდად ვიქნებით, არა?

მინდოდა მეპასუხა, რა სისულელეა-მეთქი, მაგრამ, სამ-  
ნუხაროდ, თავი შევიკავე. მაინტერესებდა, როგორ იმოქ-  
მედებდა ეს მის უოთერბიზე.

– ასე რომ, პატარა ჩიტმა მიაშობო, რომ ერთ ქალბატონს  
მოჰკრა თვალი, რომლის სახელსაც ვერ გავამხელ.

– სხვა სახეობის ჩიტს? – ვკითხე მე.

ჩემდა გასაოცრად, მის უოთერბის სიცილი აუტყდა,  
კეკლუცად დამარტყა ხელზე ხელი და მითხრა:

- ოჰ, ვიკარიუსო, ასე ხუმრობა როგორ შეიძლება!

როდესაც დანყნარდა, განაგრძო:

- ერთ ქალბატონს, და როგორ ფიქრობთ, საით წავი-  
და იგი? გზიდან თქვენი სახლისკენ გადმოუხვია, მაგრამ  
მანამდე უცნაურად მიიხედ-მოიხედა, ჩემი აზრით, იმაში  
დასარწმუნებლად, რომ ნაცნობთაგან არავინ უყურებდა.

- პატარა ჩიტი? - ვკითხე მე.

- თევზის ფარდულში იყო - უფრო სწორად, ფარდულის  
ზემოთ მდებარე ოთახში.

არ ვიცი, სად დადიან მოსამსახურეები გამოსასვლელ  
დღეებში. მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ სუფთა ჰაერზე  
ცხვირსაც არ გამოყოფენ.

- ეს ექვსი საათისთვის მოხდა, - განაგრძო მის უოთერ-  
ბიმ და იღუმალი გამომეტყველებით წინ გადმოიხარა.

- რა დღე იყო?

- მკვლელობის დღე, - შესძახა მან, - ნუთუ არ გითხა-  
რით?

- ასეც ვიცოდი, - ვთქვი მე, - იმ ქალბატონის სახელი...

- „ლ“ ასოზე იწყება, - აიტაცა მის უოთერბიმ და თავი  
რამდენჯერმე დააქნია.

მივხვდი, რომ ამით ამოიწურა ინფორმაცია, რომლის  
თქმაც მის უოთერბის სურდა, და ავდექი.

- თქვენ ხომ არ დაუშვებთ, რომ პოლიციამ დამკითხოს?

- შესაბრალისი ხმით მკითხა მის უოთერბიმ და ხელზე  
ორივე ხელი მომიჭირა, - ვერ ვიტან ხალხმრავალ ადგი-  
ლებს. მით უმეტეს, სასამართლოს წინაშე დგომას!

- განსაკუთრებულ შემთხვევაში მონმეს დაჯდომის  
უფლებასაც აძლევენ, - ვთქვი მე და წავედი.

მისის პრაის რიდლის ნახვალა დამრჩა. ამ ქალბატონმა  
მაშინვე თავისი ადგილი მომიჩინა.

- პოლიციასთან საქმის დაჭერის იოტისოდენა სურვი-  
ლი არ მაქვს, - მითხრა მკაცრად და ხელი ცივად ჩამომარ-  
თვა, - მაგრამ, მეორე მხრივ, ისეთ ვითარებაში აღმოვჩნდი,  
რომელიც ახსნას ითხოვს. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ  
ოფიციალური პირისთვის მიმემართა.

- ეს მისის ლესტრენჯს ეხება? - ვკითხე მე.

- საიდან მოიტანეთ? - კითხვითვე მიპასუხა მან.

უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი.

- ყველაფერი ძალზე მარტივია, - განაგრძო მან, - ჩემი მოსამსახურე, კლარა, კუტიკართან იდგა. როგორც ამტკიცებს, რამდენიმე წუთით გავიდა სუფთა ჰაერზე. მისი ნდობა, ცხადია, არ შეიძლება. ვფიქრობ, თევზის ფარდულში მომუშავე ბიჭის გამოჩენას ელოდებოდა, თუმცა, რალა ბიჭის - იმ თავხედს ჰგონია, რომ, რახან ჩვიდმეტი წელი შეუსრულდა, ყველა გოგოსთან შეუძლია არშიყი. ასე იყო თუ ისე, კუტიკართან იდგა და მოესმა, რომ ვილაცამ დააცემინა.

- აჰა, - ვთქვი უფრო მეტის მოლოდინში.

- მეტი არაფერი. ხომ გითხარით, გაიგონა, რომ ვილაცამ დააცემინა. არ დამინყოთ ახლა, რომ ახალგაზრდა აღარ ვარ და, შესაძლოა, მომესმა - ეს კლარამ გაიგონა, იგი კი ცხრამეტი წლისაა.

- გაიგონა და გაიგონა. რა არის განსაკუთრებული დაცემინებაში?

მისის პრაის რიდლიმ სიბრალულით აღსავსე მზერა მომაპყრო, თითქოს მის წინ გონებრივად ჩამორჩენილი ადამიანი იდგა.

- მას ეს ხმა მკვლელობის დღეს მოესმა, თანაც მაშინ, როდესაც თქვენს სახლში არავინ იყო. აშკარაა, რომ მკვლელი ბუჩქებში იმალებოდა და ხელსაყრელ დროს ელოდებოდა. იმ ადამიანის მოძებნა გმართებთ, ვისაც სურდო სჭირს.

- ან პოლინოზი<sup>1</sup>, - მხარი ავუბი, - მაგრამ თუ საქმე საქმეზე მიდგა, მისის პრაის რიდლი, საიდუმლო ძალზე მარტივად იხსნება. ჩვენს მოსამსახურეს, როზას, ძლიერი სურდო სჭირს. უნდა ვალიარო, რომ ბოლო დროს მისი ცხვირში ფრუტუნი ყელში ამომივიდა. ალბათ, მან დააცემინა, თქვენმა მოახლემ კი გაიგონა.

- ეს მამაკაცის დაცემინების ხმა იყო, - მტკიცედ გა-

<sup>1</sup> პოლინოზი - სეზონური ალერგიული რინიტი.



ნაცხადა მისის პრაის რიდლიმ, – სხვათა შორის, ჩვენი კუტიკარიდან ვერ გაიგონებთ, როგორ აცემინებს თქვენი მოსამსახურე სამზარეულოში.

– ვერც ჩემს კაბინეტში დაცემინებას გაიგონებთ თქვენი კუტიკარიდან, – ვთქვი მე, – ყოველ შემთხვევაში, ეს ძალიან მეეჭვება.

– მე გითხარით, რომ მამაკაცი, შესაძლოა, ბურჭებში იმალებოდა, – გაიმეორა მისის პრაის რიდლიმ, – დარწმუნებული ვარ, რომ, როდესაც კლარა წავიდა, იგი სადარბაზო კარიდან შევიდა.

– ეს, ცხადია, შესაძლებელია, – დავეთანხმე მე.

ვცდილობდი, რომ განზრახ დამამშვიდებლად არ მელაპარაკა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ვერ შევძელი – მისის პრაის რიდლიმ აღშფოთებული მზერა მომაპყრო და მითხრა:

– მიჩვეული ვარ, რომ არავენ მისმენს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა – როდესაც ჩოგბურთის ჩოგანს მთელი ძალით ახეთქებენ მინაზე, იგი აღარაფრად ვარგა. არადა, ჩოგბურთის ჩოგნები ჩვენს დროში საკმაოდ ძვირი ღირს.

ვერ გამეგო, რატომ დამესხა თავს ზურგიდან. ეს ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

– იქნებ არ მეთანხმებით? – მკითხა მისის პრაის რიდლიმ.

– არა, რას ამბობთ! სრულიად გეთანხმებით.

– მოხარული ვარ. სულ ეს არის, რისი თქმაც მინდოდა. ამ საქმეში ხელები დამიბანია.

იგი სავარძელში გადაწვა და თვალები ამქვეყნიური ფუსფუსით დაღლილი კაცივით მილულა. მადლობა გადავუხადე და დავემშვიდობე.

კართან, გავბედე და, კლარას მისი დიასახლისის ნაამბობის შესახებ ვკითხე.

– სრული სიმართლეა, სერ. გავიგონე, როგორ დააცემინეს. თანაც ეს უბრალო დაცემინება ნამდვილად არ იყო.

ყველაფერი, რაც მკვლელობას უკავშირდება, განსაკუთრებულია და არა უბრალო. გასროლაც განსაკუთრებული იყო, დაცემინებაც – უჩვეულო. ნუთუ მკვლელები სხვანაირად აცემინებენ? ქალიშვილს ვკითხე, ეს როდის



მოხდა-მეთქი, მაგრამ დაზუსტებით არ იცოდა – დაახლოებით შვიდის თხუთმეტ წუთსა და შვიდის ნახევარს შორისო. ყოველ შემთხვევაში, „სანამ ტელეფონით დაუკავშირდებოდნენ და ცუდად გახდა“.

დავინტერესდი, გასროლის ხმა თუ მოესმა. მიპასუხა, რომ ბათქაბუთქი ატეხილა. ამის შემდეგ მისთვის რალა უნდა დამეჯერებინა.

თითქმის ჩვენი ბალის კუტიკარს მივადექი, მაგრამ ჯერ ჩემი მეგობრის მონახულება გადავწყვიტე.

საათს რომ დავხედე, დავინახე, რომ სალამოს წირვამდე დრო საკმაოდ ბევრი მქონდა. ჰეიდოკის სახლისკენ მიმავალ გზას დავადექი. იგი ზღურბლზე შემომეგება.

კვლავაც დაღლილი და განამებული სახე ჰქონდა. ბოლო მოვლენების შემდეგ ძალიან შეცვლილიყო.

– მიხარია, რომ გხედავთ, – მითხრა მან, – ახალი რა არის? მოვუყევი, რაც სტოუნის შესახებ შევიტყვეთ.

– მაღალი კლასის ქურდი ყოფილა, – თქვა მან, – ეს ბევრ რამეს ნათელს ჰფენს. რალაც კი ნაეკითხა, მაგრამ ჩემთან საუბრისას ზოგჯერ მაინც ცდებოდა. პროტერო კი, როგორც ჩანს, მაშინვე მიხვდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე. ხომ გახსოვთ, იჩხუბეს კიდეც. ნეტავ ქალიშვილიც თუ არის ამაში გარეული?

– ამის შესახებ საერთო აზრი არ არსებობს, – ვთქვი მე, – თუმცა, ვფიქრობ, იგი არაფერ შუაშია.

– ნამდვილ იდიოტს კი ჰგავს, – დავამატე იქვე.

– არა, ასე ნუ ამბობთ. ძალიანაც გონიერია ეს მის გლედის კრემი. განსაკუთრებით ჯანსაღი ელემენტი. ჩემი პროფესიის ადამიანებს თავს არ მოაბეზრებს.

ვუთხარი, რომ ჰოუზის მდგომარეობა მანუხებდა, მინდოდა ნასულიყო, გარემო შეეცვალა და კარგად დაესვენა.

შევნიშნე, რომ ჩემი სიტყვების შემდეგ ექიმი თითქოს საკუთარ თავში ჩაიკეტა. მისი პასუხი არცთუ გულწრფელად გაისმა.

– დიახ, – ორჭოფულად მიპასუხა მან, – ვფიქრობ, მისთვის ეს საუკეთესო გამოსავალი იქნება. საბრალო, საბრალო.

– მეგონა, არ გესიმპათიურებოდათ, – ვუთხარი პირდაპირ.

– არც უმაგისობაა, მაგრამ ისინიც მეცოდება, ვინც არ მესიმპათიურება, – იგი გაჩუმდა და ორიოდე წუთის შემდეგ დაამატა: – პროტეროც მეცოდება, ის საცოდავი. არავის უყვარდა. ძალიან შეტოპა თავისი სამართლიანობითა და გადაჭარბებული თავდაჯერებულობით. საკმაოდ უსიამოვნო ნაზავი იყო. სხვათა შორის, ყოველთვის ასე იქცეოდა, ახალგაზრდობაშიც კი.

– არ ვიცოდი, ერთმანეთს თუ იცნობდით.

– ვიცნობდით. როდესაც ვესტმორლენდში ვცხოვრობდით, შორიახლოს პრაქტიკა მქონდა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თითქმის ოცი წელი.

ამოვიხვნეშე. ოცი წლის წინ გრიზელდა მხოლოდ ხუთი წლის იყო. უცნაური რამეა დრო...

– თქვენ არ გითქვამთ, რა გინდოდათ, კლემენტ.

სახეში შევხედე. ჰეიდოკი ყურადღებით მიყურებდა.

– კიდევ არის რაღაც, არა? – მკითხა მან.

თავი დავუქნიე.

როდესაც აქ მოვდიოდი, დარწმუნებული არ ვიყავი, ღირდა თუ არა თქმა, მაგრამ ახლა გადავწყვიტე, რომ ყველაფერი მეთქვა. ჰეიდოკი მომწონდა. ყოველმხრივ შესანიშნავი ადამიანი იყო. ის, რის თქმასაც ვაპირებდი, შესაძლოა, გამოსდგომოდა.

მის ჰარტნელისა და მის უოთერბის საუბრის შინაარსი გავაცანი.

როდესაც მომისმინა, კარგა ხნით ჩაფიქრდა.

– ეს სიმართლეა, კლემენტ, – მითხრა მან ბოლოს, – ვცდილობდი, მის ლესტრენჯისთვის ყოველგვარი უსიამოვნება, შეძლებისდაგვარად, თავიდან ამეცილებინა. ის ხომ ჩემი ძველი მეგობარია. მაგრამ მიზეზი მხოლოდ ეს როდია. სამედიცინო ცნობა, რომელიც გაყალბებულად მიგაჩნიათ, სინამდვილეს ასახავს.

იგი კვლავ გაჩუმდა, შემდეგ კი საზეიმო ხმით წარმოთქვა:

- ეს ჩვენ შორის უნდა დარჩეს, კლემენტ. მისის ლესტრენჯი განწირულია.

- რა?

- იგი კვდება. ჩემი გაანგარიშებით, მხოლოდ ერთი თვის სიცოცხლე თუ დარჩენია. ახლა ხომ აღარ გიკვირთ, მომბეზრებელი და მტანჯველი დაკითხვებისგან მის გარიდებას რომ ვცდილობდი?

- როდესაც იმ საღამოს ამ გზაზე გადმოუხვია, - განაგრძო მან, - იგი აქეთ, ჩემს სახლში მოდიოდა.

- ამის შესახებ არავისთვის გითქვამთ.

- მითქმა-მოთქმას მოვერიდე. ექვსიდან შვიდამდე მიღება არ მაქვს, ეს ყველამ იცის. მაგრამ სიტყვას გაძლევთ, რომ აქ იყო.

- მაგრამ, როდესაც მოგაკითხეთ, იგი არ დამხვედრია. ხომ გახსოვთ, როდესაც მოკლული ვნახეთ.

- არ დაგხვდათ, - ჰეიდოკი ძლიერ შეცბუნდა, - მანამდე ნავიდა. შეხვედრა ჰქონდა დანიშნული.

- სად ჰქონდა შეხვედრა? საკუთარ სახლში?

- არ ვიცი, კლემენტ. მართლა არ ვიცი.

მჯეროდა მისი, მაგრამ...

- ვაითუ, უდანაშაულო ადამიანი ჩამოახრჩონ? - ვკითხე მე.

- არა, - არ დამეთანხმა იგი, - პოლკოვნიკ პროტეროს მკვლელობის გამო არავის ჩამოახრჩობენ. მერნმუნეთ.

სწორედ ამას ვერ ვახერხებდი. მაგრამ იგი მაინც ძალზე დამაჯერებლად ლაპარაკობდა.

- არავის ჩამოახრჩობენ, - გაიმეორა მან.

- ის ახალგაზრდა, არჩერი...

გალიზიანებულმა ჰეიდოკმა ხელი გაიქნია.

- მას ხომ იმდენი ჭკუაც კი არ აქვს, რომ პისტოლეტიდან თითის ანაბეჭდები ნაშალოს.

- ალბათ, არა აქვს, - ჩავილაპარაკე გაუბედავად.

უეცრად ტყეში ნაპოვნი პატარა მოყავისფრო კრისტალი გამახსენდა, ჯიბიდან ამოვიღე და ჰეიდოკს გავუწოდე

- იქნებ იცის, რა არის-მეთქი.

– ჰმ, – იგი ოდნავ შეეყოყმანდა, – გარეგნულად პიკრინის მჟავას<sup>1</sup> ჰგავს. სად იპოვეთ?

– ეს კი შერლოკ ჰოლმსის საიდუმლოა.

მას გაელიმა.

– პიკრინის მჟავა რაღაა?

– ასაფეთქებელი ნივთიერებაა.

– ეს ვიცი, მაგრამ, როგორც მახსოვს, სხვა გამოყენებაც აქვს, არა?

მან თავი დამიქნია.

– მედიცინაში დამწვრობის დროს სველ საფენებში იყენებენ. შესანიშნავად შველის.

ხელი გავუნოდე. უხალისოდ დამიბრუნა კრისტალი.

– შესაძლოა, ეს კრისტალი არც არაფერს ნიშნავს, – ვთქვი მე, – მაგრამ იგი მოულოდნელ ადგილას აღმოვაჩინე.

– და არ გსურთ თქვათ, სად, არა?

ბავშვურად გავჯიუტდი.

თუ მას ჰქონდა თავისი საიდუმლო, მეც მქონოდა ჩემი.

ცოტათი მაინც მენყინა, რომ რაღაცას მიმაღავდა.

## თავი XXVI

იმ საღამოს კათედრაზე უცნაური განწყობით ავედი.

ეკლესია ხალხით იყო სავსე. არა მგონია, მორწმუნეთა ასეთი ხალხმრავლობა ჰოუზის მოსალოდნელ ქადაგებას გამოენჯია. ჰოუზი მოსაწყენად და დოგმატურად ქადაგებდა. თუ შეიტყვეს, რომ მის ნაცვლად მე უნდა გამოვსულიყავი, ენთუზიაზმს არც ეს გაულვივებდათ. არც ჩემი მეცნიერული ქადაგებაა ნაკლებად მოსაწყენი. ვშიშობ, ეს მოვლენა რელიგიური თავგამოდებით არ აიხსნებოდა.

ბოლოს დავასკვენი, რომ ამ ხალხმრავლობას ბანალური მიზეზი ედო საფუძვლად: ნახავდნენ, ვინ ესწრებოდა და ვინ არა, ნირვის შემდეგ კი ერთმანეთში წაიჭორავებდნენ.

<sup>1</sup> პიკრინის მჟავა (ტრინიტროფენოლი) – ნორმალურ პირობებში ყვითელი კრისტალური ნივთიერება, გამოიყენება, როგორც ასაფეთქებელი ნივთიერება.

მრევლის წევრებს შორის ჰეიდოკიც აღმოჩნდა, რაც მას არ ახასიათებდა, და ლოურენს რედინგიც. ჩემდა გასაოცრად, ამ უკანასკნელის გვერდით ჰოუზი იდგა, ფერმკრთალი და დაძაბული სახით. ენი პროტეროც აქ იყო – იგი ყოველთვის ესწრება სალამოს წირვას კვირაობით, ამჯერად კი მის ნახვას არ ველოდი. კიდევ უფრო მეტად ლეტიციას დანახვამ გამაოცა. მართალია, კვირა დღეს დილის წირვას არასდროს აცდენდა, – პოლკოვნიკი პროტერო ოჯახის წევრებს ამის გაკეთებას ავალდებულებდა, – სალამოს წირვაზე მას პირველად ვხედავდი.

გლედის კრემიც აქ გახლდათ. ჩამომჭკნარი შინაბერების გვერდით გამომწვევად ახალგაზრდულად და ჯანმრთელად გამოიყურებოდა. მომეჩვენა, რომ ბნელ კუთხეში მისის ლესტრენჯი იჯდა, სადაც იგი დაწყების წინ გაძვრა.

ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ მისის პრაის რიდლი, მის ჰარტნელი, მის უოთერბი და მის მარპლიც აქ ბრძანდებოდნენ. უკლებლივ მთელი სოფელი გამოცხადებულიყო. ამგვარი რამ პირველად ხდებოდა.

ბრბოს უცნაური თვისება ახასიათებს. იმ სალამოს ატმოსფერო ამკარად დამაგნიტებულს წააგავდა. პირველმა ეს მე ვიგრძენი.

როგორც წესი, ქადაგებისთვის წინასწარ ვემზადები ხოლმე. ამ საკითხს უდიდესი გულმოდგინებითა და პასუხისმგებლობით ვეკიდები, მაგრამ მათ ნაკლს, სამწუხაროდ, ჩემზე უკეთ ვერაფერს ხედავს.

გარემოებათა გამო, ამჯერად ექსპრომტად უნდა მექადაგა. როდესაც ჩემკენ მომართული უამრავი სახე დავინახე, სიგიჟის შეგრძნება დამეუფლა. ღვთისმსახურისგან ჩემში აღარაფერი დარჩა. მსახიობად გარდავისახე. ჩემ წინ მაყურებლები ისხდნენ. მათ გრძნობებზე გაბატონება მსურდა, მეტიც, ვგრძნობდი, რომ ამის ძალა შემწევდა.

არ ვამაყობ იმით, რაც იმ სალამოს გავაკეთე. ყოველთვის სერიოზულად ვენინააღმდეგებოდი ემოციებსა და ყოველგვარ სექტანტურ ლოცვას. მაგრამ იმ სალამოს აზარტში შესული და მჭევრმეტყველი მქადაგებლის როლი შევასრულე.



ნელა წარმოვთქვი ციტატა სახარებიდან:

„მოვედი არა მართალთა მოსაწოდებლად, არამედ ცოდვილთა, რათა მოინანიონ“<sup>1</sup>.

ეს სიტყვები ორჯერ გავიმეორე და საკუთარი ხმა გავიგონე, ძლიერი და მჟღერი, რომელიც სრულიად არ ჰგავდა ლეონარდ კლემენტის ხმას.

დავინახე, როგორ გაოცებით შემომხედა პირველ რიგში მჯდომმა გრიზელდამ. დენისმაც მას მიჰბაძა.

წამით სუნთქვა შევიკავე, შემდეგ კი საკუთარ თავს გასაქანი მივეცი.

ეკლესიაში შეკრებილნი თავს ისედაც მოუსვენრად გრძნობდნენ, მზად იყვნენ, ემოცია გადმოეფრქვიათ – მათ გრძნობებზე თამაში ძნელი არ იყო. მეც ვითამაშე. ცოდვილებს მონანიებისკენ მოვუწოდე. საკუთარი თავი ერთგვარ ემოციურ ექსტაზამდე მივიყვანე. შიგადაშიგ ხელს მალლა ვწევდი, თითს თითქოს ცოდვილისკენ ვიშვერდი და მამხილებელ მოძრაობას თან სიტყვებს ვურთავდი:

„მე ვარ, ვინც შენ გელაპარაკება“.<sup>2</sup>

და ყოველ ჯერზე ამ სიტყვების პასუხად სხვადასხვა მხრიდან ოხვრა, თითქმის ქვითინი მესმოდა.

აუხსნელი და საშინელია ბრბოს გრძნობა.

ქადაგება შესანიშნავი, მრისხანე სიტყვებით დავასრულე, რომლებიც, შესაძლოა, ყველაზე მრისხანეა ბიბლიაში:

„უგუნურო, ამაღამ სულს მოგთხოვენ და, რაც დაიმზადე, ვილას დარჩება?“<sup>3</sup>

ეს იყო ხანმოკლე, უცნაური აღმაფრენა. შინ კვლავ უწინდებურ, უფერულ და შეუმჩნეველ ადამიანად დავბრუნდი. გრიზელდა მელოდებოდა. ოდნავ გაფითრებულმა, ხელკავი გამომდო.

– ლენ, – მითხრა მან, – დღეს რატომღაც... სასტიკი იყავი. ეს არ მომეწონა. ასეთი ქადაგება უწინ არასდროს მომისმენია.

<sup>1</sup> ლუკას სახარება, 5:32.

<sup>2</sup> იოანეს სახარება, 4:26.

<sup>3</sup> ლუკას სახარება, 12:20.

- ვფიქრობ, ველარც მოისმენ, - ვუთხარი მე და დაქან-  
ცულმა დივნამდე ძლივს მივალნიე. არაქათი გამომცლოდა.

- რა დაგემართა?

- სიგიჟემ წამომიარა.

- ოჰ! ეს... ეს რაღაც განსაკუთრებული იყო?

- რას ნიშნავს „რაღაც განსაკუთრებული“?

- უბრალოდ გკითხე, მეტი არაფერი. ზოგჯერ ჩემთვის  
მოულოდნელად იქცევი, ლენ. ასე მგონია, სულ არ გიცნობ.

მაგიდას მივუსხედით. მერის არყოფნაში ვახშამი ცივი  
იყო.

- შენთვის წერილია შემოსასვლელში, - მითხრა გრი-  
ზელდამ, - დენის, მოიტანე, თუ შეიძლება.

დენისი, რომელსაც მთელი საღამოს განმავლობაში  
არაფერი ეთქვა, წამოდგა და სიტყვის უთქმელად გაემარ-  
თა წერილის მოსატანად.

წერილს დავხედე და უნებურად დავიკვნესე. ზედა მარ-  
ცხენა კუთხეში ეწერა: „შიკრიკის ხელით. სასწრაფოდ“.

- ეს მის მარპლისგან უნდა იყოს, - ვთქვი მე, - სხვა ალა-  
რავინ დარჩა.

ჩემი ვარაუდი გამართლდა.

„ძვირფასო მისტერ კლემენტ, ძალიან მინდა დაგელაპა-  
რაკოთ რამდენიმე წვრილმანზე, რომლებიც თავში მომი-  
ვიდა. ვფიქრობ, ყველამ უნდა შევიტანოთ ჩვენი წვლილი  
ამ სამწუხარო საიდუმლოს ამოხსნაში. თუ შეიძლება, ათის  
ნახევრისთვის შემოგივლით და კაბინეტის ფანჯარაზე მო-  
გიკაკუნებთ. თუ ძვირფასი გრიზელდა ინებებს, გვენვევა  
და ჩემს დისშვილს მოსაწყენი საღამოს დაძლევაში დაეხ-  
მარება, მადლობელი ვიქნებით. ცხადია, მისტერ დენისის  
მობრძანებაც ძალიან გაგვახარებს. თუ სხვა პასუხს არ  
მომწერთ, მათ მოსვლას დაველოდები და დანიშნულ დროს  
გეახლებით.

გულწრფელად, თქვენი  
ჯეინ მარპლი“.

წერილი გრიზელდას გაუწოდე.

– ოჰ! აუცილებლად ნავალთ, – მხიარულად თქვა მან, – ერთი-ორი სირჩა შინ დამზადებული ლიქიორი სწორედ ისაა, რაც კვირა სალამოს ადამიანს სჭირდება. ჩემი აზრით, მერის დღეს საშინელი ბლანმანჟე<sup>1</sup> გამოუვიდა. რატომღაც მორგს მახსენებს.

სამაგიეროდ, დენისს არ გამოუხატავს ალფრთოვანება.

– თქვენ რა გენაღვლებათ, – ჩაიბურტყუნა მან, – მალალმატერიებზე, ნიგნებზე, ხელოვნებაზე მსჯელობთ ხოლმე. მე კი სულელივით ვზივარ და გისმენთ.

– სამაგიეროდ, ეს სარგებლობას მოგიტანს, – მშვიდად მიუგო გრიზელდამ, – გეცოდინება შენი ადგილი. სხვათა შორის, სულაც არ ვფიქრობ, რომ მისტერ რაიმონდ უესტი ისეთი ჭკვიანია, როგორც ამის წარმოჩენა სურს.

– ცოტა ვინმე თუა ჩვენში ყოვლისმცოდნე, – ვთქვი მე.

მოუთმენლად ველოდი, რას მეტყოდა მის მარპლი. ჩემი მრევლის ქალებს შორის მას უდავოდ ყველაზე გამჭრიახი გონება ჰქონდა. ხომ არაფერი გამოეპარებოდა, რაც ირგვლივ ხდებოდა, მაგრამ, იმავდროულად, ზუსტი და დამაჯერებელი დასკვნები გამოჰქონდა მისთვის ყურადსაღები ფაქტებისგან.

ოდესმე დანაშაულებრივი გზით ცხოვრება რომ გადამენწყვიტა, ყველაზე მეტად მის მარპლს მოვერიდებოდი.

„დისშვილის გამართობი გუნდი“ – ეს სახელი გრიზელდამ მოიგონა – სახლიდან ათის დასაწყისში გავიდა, მე კი მის მარპლის მოლოდინში თავი დანაშაულთან დაკავშირებული ფაქტების ნუსხის შედგენით შევიქცეი. ისინი მეტნაკლებად ქრონოლოგიურად დავალაგე. პუნქტუალური ადამიანი არ ვარ, მაგრამ აკურატულობა მიყვარს და მომწონს, როდესაც ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით კეთდება.

ზუსტად ათის ნახევარზე ფანჯარაზე ფრთხილად დააკაკუნეს. ავდექი და მის მარპლს კაბინეტში შემოვუძეხი.

<sup>1</sup> ბლანმანჟე – ცივი დესერტი, ჟელე ნუშის ან ძროხის რძის, მაქრისა და ჟელატინისგან.

თავსა და მხრებზე ძალიან თხელი და ფუმფულა შეტლანდური<sup>1</sup> შალი მოესხა, რის გამოც კიდევ უფრო მოხუცი და სუსტი მოჩანდა. შემოსვლისთანავე ლაპარაკს მოჰყვა. სიჩქარისა და აღლვებისგან ოდნავ ქოშინებდა.

– ძალიან კეთილი ბრძანდებით, მოსვლის უფლება რომ მომეცით... გრიზელდაც რა მშვენიერია... რაიმონდი მისით აღფრთოვანებულია და გრეზის<sup>2</sup> ნახატებს ადარებს... შეიძლება, აქ დავჯდე? თქვენი სავარძელი ხომ არ არის? ოჰ, გმადლობ... არა, არა, ფეხების შემოსადები სკამი საჭირო არ არის.

შეტლანდური შალი სკამის საზურგეზე გადავკიდე, შემდეგ კი სტუმრის პირდაპირ მდგარ სავარძელში მოვკალათდი. ვისხედით და ერთმანეთს შევცქეროდით. მის მარპლს სახეზე ეშმაკური ღიმილი მოეფინა.

– თქვენ ახლა ზიხართ და ფიქრობთ, რატომ ვერევი ამ საქმეში. შესაძლოა, გგონიათ, რომ ეს ქალის საქმე არ არის. არა... თუ შეიძლება... ნება მომეცით, თვითონ აგიხსნათ ყველაფერი.

იგი ნუთით გაჩუმდა და ლოყები თანდათან შეუნითლდა.

– საქმე ისაა, რომ, – დაიწყო მან, – როდესაც ასეთ მივარდნილ ადგილას მარტო ცხოვრობ, ძალაუნებურად, ჰობის ძებნას იწყებ. რა თქმა უნდა, არსებობს ქსოვა, სანიმუშო ბავშვები, ქველმოქმედება, პეიზაჟის ხატვაც შეიძლება, მაგრამ, კარგა ხანია, ჩემი ჰობი ადამიანის ბუნებაა. აქ დიდი მრავალფეროვნებაა, რაც საოცრად მიზიდავს. მიყრუებულ სოფელში, სადაც გასართობი არაფერია, უამრავი შესაძლებლობა გეძლევათ, რომ, ასე ვთქვათ, ნამდვილი ექსპერტი გახდეთ. იწყებთ ხალხის კლასიფიკაციას, თითქოს ისინი ფრინველები ან ყვავილები იყვნენ – ესა და ეს კლასი, გვარი, სახეობა. ცხადია, ზოგჯერ შეცდომაც გაგეპარებათ, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს სულ უფრო იშვიათად ხდება. ეჩვევით, რომ თეორიული დასკვნები პრაქტიკაში გადაამოწმეთ. ავიღოთ, მაგალითად, პატარა

<sup>1</sup> შეტლანდი – არქიპელაგი, შოტლანდიის ერთ-ერთი ოლქი.

<sup>2</sup> ჟან-ბატისტ გრეზი (1725-1805 წწ.) – ცნობილი ფრანგი მხატვარი.



ამოცანა - ხომ გახსოვთ, როგორ იცინოდა ჩემი ძვირფასი გრიზელდა მეოთხედ პინტ გადარჩეულ კრევეტზე? ეს წვრილმანია და მას საიდუმლოს ვერც ვუნოდებთ, მაგრამ ვერასდროს ამოხსნით, თუ სწორ გზას არ აირჩევთ. ანდა, თუნდაც ხველის საწინააღმდეგო მიქსტურის შეცვლისა და მეყასბის მეუღლის ქოლგის შემთხვევა გავიხსენოთ - ეს უკანასკნელი თითქოს არაფერ შუაში იყო, თუ არ ივარაუდებდით, რომ მემწვანილე და მეაფთიაქის ცოლი ძალზე შეუფერებლად იქცეოდნენ. საბოლოოდ, ასეც აღმოჩნდა. ძალზე საინტერესოა, როდესაც რაღაცაზე ფიქრობთ და აღმოჩნდება, რომ მართალი ხართ.

- თქვენ ნამდვილად ყოველთვის მართალი ხართ, - გავილიმე მე.

- საქმეც ის არის, რომ ამის გამო თანდათანობით უფრო თავდაჯერებული ხდებით, - გამოტყდა მის მარპლი, - მაგრამ ძალიან მინდოდა, ნამდვილი, სერიოზული საიდუმლოს ამოხსნა. ანუ შევძლებდი კი მასში გარკვევას? თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, ეს ზუსტად იგივე პროცესია. ბოლოს და ბოლოს, ტორპედოს პატარა მოქმედი მოდელი იგივეა, რაც ნამდვილი ტორპედო.

- თქვენი აზრით, ყველაფერი მსგავსებაზე დადის, მხოლოდ ზომაა განსხვავებული? - ვკითხე მე, - ალბათ, ასეც არის. ვალიარებ, რომ ეს ლოგიკურია. მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ ამ თეორიას პრაქტიკაც დაადასტურებს.

- გარწმუნებთ, ეს ერთი და იგივეა, - თქვა მის მარპლმა, - შეგვიძლია, ყველაფერი საერთო მნიშვნელზე დავიყვანოთ - თუ არ ვცდები, სკოლაში ასე უნოდებენ, არა? ჯერ ერთი, ფული, შემდეგ მიმზიდველობა... ე-ე... საპირისპირო სქესის წარმომადგენლებისთვის, აგრეთვე, სხვადასხვა უცნაურობა - უცნაური ადამიანი ხომ ძალზე ბევრია, არ მეთანხმებით? როდესაც ადამიანს უკეთ გაიცნობთ, მასში აუცილებლად აღმოაჩენთ რაღაც უცნაურობას. ზოგჯერ ნორმალური ადამიანები ისე იქცევიან, ვერც კი წარმოიდგენთ, არანორმალურები კი - პირიქით, როგორც საჭიროა. ერთადერთი გამოსავალი იმ ადამიანებთან შედარებაა, რომლებსაც იცნობთ ან ადრე იცნობდით. ალბათ, ძალიან



გაოცდებით, თუ გეტყვით, რომ ყველა ადამიანი რამდენიმე კატეგორიიდან ერთ-ერთს მიეკუთვნება.

– მაშინებთ, – ვუთხარი მე, – ასე მგონია, მიკროსკოპით მაკვირდებიან.

– ალბათ, ხვდებით, რომ ამ თემაზე არც პოლკოვნიკ მელჩეტთან აქვს აზრი ლაპარაკს, – იგი მბრძანებლობასაა მიჩვეული, – და არც საბრალო ინსპექტორ სლეკთან – ის ფეხსაცმლის მალაზიის ახალგაზრდა გამყიდველს ჰგავს, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ თალათინის ჩექმა გსურთ, უნდა, აუცილებლად ლაკისა შეგაძენინოთ, რადგან თქვენი ზომისა აქვს.

უნდა გითხრათ, ეს ზედგამოჭრილი დახასიათება იყო სლეკისთვის.

– მისტერ კლემენტ, დარწმუნებული ვარ, ამ დანაშაულის შესახებ თქვენ ინსპექტორ სლეკზე არანაკლები ინფორმაცია გაქვთ. ვიფიქრე, თუ ერთად ვიმუშავებდით...

– ვინ იცის, – ვთქვი მე, – ჩემი აზრით, ყოველ ჩვენგანს გულის სიღრმეში თავი შერლოკ ჰოლმსად წარმოუდგენია.

შემდეგ მას დღეს მიღებული სამი წერილის შესახებ მოვუყვები; ვუამბე, როგორ იპოვა ენიმ დანით დასახიჩრებული პორტრეტი; ავუნერე, თუ როგორ იქცეოდა მის კრემი პოლიციის განყოფილებაში; არც ის დამვიწყებია, რა თქვა ჰეიდოკმა ჩემ მიერ აღმოჩენილ კრისტალზე.

– რადგან მას მე მივაგენი, – ვთქვი დასასრულს, – მინდოდა, რომ იგი მნიშვნელოვანი სამხილი ყოფილიყო, თუმცა, შესაძლოა, ჩვენს საქმეს არც კი უკავშირდებოდეს.

– მე კი, ამ დღეებში ბიბლიოთეკიდან ბევრი ამერიკული დეტექტიური წიგნი გამოვიტანე და ნავიკითხე, – თქვა მის მარპლმა, – იქნებ რამეში გამოგვადგეს.

– პიკრინის მუავის შესახებ მათში არაფერი წერია?

– ვშიშობ, არა. მაგრამ სადღაც ნამიკითხავს, რომ ერთ კაცს ჩვეულებრივი საცხის ნაცვლად პიკრინის მუავა და ლანოლინი შეაზილეს და მონამლეს.

– ჩვენთან არავინ მოუნამლავთ, ასე რომ, ეს არ გამოგვადგება, – ვთქვი მე.

შემდეგ მაგიდიდან ჩემ მიერ ჩამოწერილი სია ავიღე, გავუნოდე და ვუთხარი:

– შევეცადე, მნიშვნელოვანი ფაქტები შემეგროვებინა და დამელაგებინა.

ჩემი სია:

ხუთშაბათი, ამ თვის 21.

12:30 – პოლკოვნიკ პროტეროს თავისი ვიზიტის დრო 6 საათიდან 6:15-ზე გადააქვს. შესაძლოა, ეს მთელმა სოფელმა გაიგონა.

12:45 – პისტოლეტი უკანასკნელად ნახეს თავის ადგილზე (ეს ცოტათი საეჭვოა, რადგან მანამდე მისის არჩერი ამტკიცებდა, რომ არ ახსოვდა).

5:30 (დაახლოებით) – პოლკოვნიკი და მისის პროტერო მანქანით ოულდჰოლიდან სოფელში მიემგზავრებიან.

5:30 – ცრუ გამოძახება მომაკვდავთან. სატელეფონო ზარი ჩრდილოეთის კარიბჭესთან მდებარე მეკარის სახლიდან განხორციელდა.

6:15 (ან ერთი-ორი წუთით ადრე) – პოლკოვნიკი პროტერო ჩემს კაბინეტში შევიდა, სადაც იგი მერიმ შეაცილა.

6:20 – მისის პროტერო ბალის მხრიდან ორლობის გავლით ჩემი კაბინეტის ფანჯარასთან მიდის. პოლკოვნიკი პროტერო მას არ დაუნახავს.

6:29 – ტელეფონის ზარი მისის პრაის რიდლისთან ლოურენს რედინგის კოტეჯიდან (სატელეფონო სადგურის ინფორმაციით).

6:30-6:35 – გასროლის ხმა (იმის გათვალისწინებით, რომ ტელეფონის ზარი ზუსტად არის მითითებული). ლოურენს რედინგის, ენი პროტეროსა და დოქტორ სტოუნის ჩვენების მიხედვით, გასროლა უფრო ადრე გაისმა, ოღონდ სიმართლეს, სავარაუდოდ, მისის პ.რ.-ის ნათქვამი უფრო შესაბამეა.

6:45 – ლოურენს რედინგი ვიკარიუსის სახლში შედის და იქ გვამს აღმოაჩენს.

6:48 – მე ლოურენს რედინგს ვხვდები.

6:49 – მე გვამს ვპოულობ.

6:55 – ჰეიდოკი ცხედარს ათვალიერებს.

შენიშვნა: ორ პიროვნებას – მის კრემსა და მისის ლესტრენჯს – 6:30-დან 6:35-მდე ალიბი არ აქვს. მის კრემი ამბობს, რომ გათხრებზე იყო, თუმცა მონმე არ ჰყავს. მაგრამ ის შეგვიძლია გამოვრიცხოთ, რადგან ამ საქმესთან კავშირი ნამდვილად არ აქვს. მისის ლესტრენჯი დოქტორ ჰეიდოკის სახლიდან შვიდის დასაწყისში გამოვიდა, რადგან შეხვედრაზე აგვიანდებოდა. ვის უნდა შეხვედროდა და სად? ნაკლებად სავარაუდოა, რომ პოლკოვნიკ პროტეროს, რადგან იმ დროს იგი ჩემთან უნდა ყოფილიყო. მისის ლესტრენჯს შეეძლო დანაშაულის სიახლოვეს ყოფნა მითითებულ დროს, მაგრამ საეჭვოა, რომ მკვლელობის მოტივი ჰქონოდა. იგი ვერაფერს მოიგებდა პოლკოვნიკის სიკვდილით, ხოლო ინსპექტორის თეორიას ფულის გამოძალვის თაობაზე, არ ვეთანხმები. მისის ლესტრენჯი ასეთი ადამიანი არ არის. ისიც ნაკლებად სავარაუდოა, რომ მას ლოურენს რედინგის პისტოლეტის ალება შეეძლო.

– ყველაფერი მკაფიოდ და გარკვევით ჩამოგინიკნიკებიან, – მითხრა მის მარპლმა და მონონების ნიშნად თავი დააქნია, – ჯენტლმენები ყოველთვის გამოირჩევიან განსაკუთრებული სიზუსტით.

– ჩემს ჩანაწერებს თუ ეთანხმებით? – ვკითხე მე.

– ოჰ, დიახ... ყველაფერი ზუსტად ჩამოგიყალიბებიათ.

ის შეკითხვა დაუხსნი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში არ მასვენებდა.

– მის მარპლ, – მივმართე მას, – ვინ მიგაჩნიათ მკვლელად? ერთხელ თქვით, რომ ამის გაკეთება შვიდ ადამიანს მაინც შეეძლო.

– დიახ, მგონი ასე იყო, – თქვა მან დაბნეულად, – მაგრამ, ვფიქრობ, ყველა ჩვენგანი სხვადასხვა ადამიანს გულისხმობს. კაცმა რომ თქვას, ასეც არის.

მის მარპლი არ დაინტერესებულა, მე ვისზე მქონდა ეჭვი.

– მთავარია, – თქვა მან, – ყველაფერს ახსნა მოუუძებ-

ნოთ. ყოველი დეტალი ზუსტად განემარტოთ. თუ თქვენ გაქვთ თეორია, რომელიც უკლებლივ ყველა ფაქტს განმარტავს, მაშასადამე, მართალი ხართ. მაგრამ ეს ძალიან რთულია. რომ არა ის ბარათი...

– ბარათი? – ვკითხე გაკვირვებულმა.

– დიახ, თუ გახსოვთ, ადრე გითხარი. იმ ბარათმა თავიდანვე დამიკარგა მოსვენება. მასში რაღაც ისე არ არის.

– მაგრამ ჩვენ ხომ ყველაფერი გავარკვიეთ, – ვთქვი მე, – იგი ექვს საათსა და ოცდათხუთმეტ წუთზე დაწერეს, ზევით კი მკვლელმა 6:20 მიაწერა. ვფიქრობ, საექვო აღარაფერია.

– მაგრამ რაღაც მაინც არ არის ისე, – ჩაილაპარაკა მის მარპლმა.

– კერძოდ, რა?

– მომისმინეთ, – მითხრა მის მარპლმა მკვირცხლად და ჩემკენ გადმოიხარა, – მისის პროტერო, როგორც გითხარით, ჩემს ბალს გასცდა და კაბინეტის ფანჯარასთან მივიდა, შიგნით შეიხედა და პოლკოვნიკი პროტერო ვერ დაინახა.

– პოლკოვნიკი მაგიდასთან იჯდა და წერდა, – შევახსენე მე.

– აი, აქ ირევა საქმე. ეს შვიდის ოცდაშვიდ წუთზე მოხდა. ჩვენ ვთქვით, რომ შვიდის ნახევრამდე იგი ვერ დაჯდებოდა და დაწერდა, რომ ველარ დაგელოდებოდათ. მაშინ მითხარით, რატომ მიუჯდებოდა მაგიდას წინასწარ?

– ამაზე აღარ მიფიქრია, – ვთქვი ჩაფიქრებით.

– მოდი, ყველაფერი ერთხელ კიდევ გავარკვიოთ, ძვირფასო მისტერ კლემენტ. მისის პროტერო ფანჯარასთან მიდის და ეჩვენება, რომ ოთახში არავინაა. ის ამაში დარწმუნებული უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელოსნოში მყოფი მისტერ რედინგისკენ წასვლას ვერ გაბედავდა. ეს მისი მხრიდან გაუფრთხილებლობა იქნებოდა. ალბათ, ოთახიდან ჩამიჩუმე არ გამოდიოდა, რადგან გადანყვიტა, რომ იქ არავინ იმყოფებოდა. ეს სამი მიზეზით შეიძლება აიხსნას, ხომ ასეა?

– თქვენ გულისხმობთ...

– პირველი ალტერნატივა: პოლკოვნიკი პროტერო უკვე მოკლულია, თუმცა ამაში ეჭვი მეპარება. ჯერ-ერთი, ხუთი წუთიც არ გასულა მისი შემოსვლიდან, და მისის პროტერო ან მე გასროლის ხმას აუცილებლად გავიგებდით. ამასთან, ამ შემთხვევაშიც ძნელი ასახსნელია, რატომ მიუჯდა მაგიდას. მეორე ალტერნატივა: იგი უკვე მაგიდასთან იჯდა და წერილს წერდა. მაგრამ ამ შემთხვევაში წერილს სხვა შინაარსი უნდა ჰქონოდა. ვერ დანერდა, რომ ველარ დაგელოდებოდათ. მესამე...

– დიახ? – ვკითხე მე.

– მესამე ალტერნატივა – ცხადია, რომ ოთახში მართლა არავინ იყო, და მისის პროტერო მართალია.

– იმის თქმა გსურთ, რომ იგი კაბინეტში შევიდა, შემდეგ გამოვიდა და მოგვიანებით დაბრუნდა?

– დიახ.

– ეს რატომ უნდა გაეკეთებინა?

მის მარპლმა ხელები გაშალა და ამით გაკვირვება გამოხატა.

– მაშინ ამ ყველაფერს სხვა კუთხით უნდა შევხედოთ, – ვთქვი მე.

– ჩვენ ხშირად გვიხდება აზრის შეცვლა სხვადასხვა საკითხზე. არ მეთანხმებით?

არაფერი ვუპასუხე. მის მარპლის მიერ შემოთავაზებულ სამ ალტერნატივაზე ვფიქრობდი.

მოხუცმა ქალბატონმა ამოიოხრა და ნამოდგა.

– ჩემი წასვლის დროა. მიხარია, რომ ერთმანეთს გავესაუბრეთ, თუმცა ბევრს ვერაფერს მივალწიეთ, არა?

– რომ არ დაგიმალოთ, – ვუთხარი მე და შალი მივანოდე, – ეს ამბავი ულრან ტყედ მეჩვენება.

– ოჰ! მე ასე არ ვიტყვოდი. ვფიქრობ, ერთი თეორია გამოდგება. ანუ, თუ დავუშვებთ, რომ რაღაც ერთმანეთს დაემთხვა... ჩემი აზრით, ასეთი დაშვება სავსებით შესაძლებელია. მხოლოდ ერთი დაშვება, მეტი არა, თორემ მეტისმეტი იქნებოდა...

– სერიოზულად ამბობთ? თეორიას ვგულისხმობ, – ვკითხე მე და თვალეებში შევხედე.



– უნდა ვალიარო, რომ ჩემს თეორიაში რაღაც ვერ გამიგია. არის ერთი ფაქტი, რომელსაც ჯერჯერობით ახსნა ვერ მოვუძებნე. ოჰ! აი, ბარათი რომ სხვაგვარი ყოფილიყო...

მან ამოიოხრა და თავი გადააქნია. გასვლისას ხელი უნებლიეთ გაიშვირა და მაღალ სადგარზე მოთავსებულ, თითქოსდა, დასევდიანებულ ყვავილს შეახო, რომელიც მოუვლელის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

– იცით, მისტერ კლემენტ, უფრო ხშირად უნდა მორწყათ. საბრალო, სულ ჩამომტყნარა. უთხარით თქვენს მოსამსახურეს, რომ წყალი ყოველდღე დაასხას. ეს, ალბათ, მას ევალება, არა?

– ისევე, როგორც სხვა რამ, – ვუთხარი მე.

– როგორც ჩანს, ნერთნა აკლია, – თქვა მის მარპლმა.

– დიახ, დიახ, მაგრამ გრიზელდას მის გაშვებაზე სიტყვის გაგონებაც არ სურს. დარწმუნებულია, რომ იგი ჩვენთან მხოლოდ იმიტომ დარჩება, რომ სხვა არავინ აიყვანს. თუმცა მერიმ გუშინ გაგვაფრთხილა, რომ ნასვლას აპირებს.

– მართლა? მე კი მეგონა, რომ ორივენი ძალიან უყვარდით.

– ეგ რატომღაც არ შემიმჩნევია, – ვთქვი მე, – სხვათა შორის, მას ლეტიცია პროტერომ აწყენინა. მერი მოკვლევადან ცუდ ხასიათზე დაბრუნდა, ლეტიცია უკვე აქ იყო და მათ... ერთი სიტყვით, ნაკამათდნენ.

– ოჰ! – შესძახა მის მარპლმა, რომელსაც ის იყო, ზღურბლზე უნდა გადაეხიჯებინა, მაგრამ შეჩერდა, სახეზე ემოციათა მთელი სპექტრი აღებეჭდა. გაოცებული შევყურებდი.

– ღმერთო ჩემო, რა სულელი ვარ! – თქვა მან, – აი, თურმე რა ყოფილა. დიახ, დიახ, შესაძლოა, თავიდანვე ასე იყო.

– მაპატიეთ?

მან შეშფოთებული მზერა მომაპყრო.

– არა, არაფერია. უბრალოდ, თავში ერთი აზრი მომივიდა. აჯობებს, შინ ნავიდე და ყველაფერი კარგად ავნონ-

დაეწონო. უნდა გითხრათ, რომ, ჩემი აზრით, ძალზე სულელურად ვიქცეოდი. წარმოუდგენელია, მაგრამ ასეა.

– არც მე მჯერა, – ვუთხარი გალანტურად.

ბალის გავლით გავაცილე.

– ხომ ვერ გამიზიარებდით, რა აზრი გენვიათ ასე მოულოდნელად? – ვკითხე მე.

– ჯერ არ მინდა ამის გაკეთება. საქმე ისაა, რომ შესაძლებელია, ვცდები კიდევ. თუმცა, არ მგონია. აი, ჩემი ბალის კუტიკარიც. თქვენი მადლობელი ვარ. გთხოვთ, მეტს ნულარ გამაცილებთ.

– ბარათი კვლავაც რჩება შებრკოლების ლოდოდ? – დავინტერესდი, როდესაც იგი ბალში შევიდა და კუტიკარი დაკეტა.

მის მარპლმა ისე შემომხედა, თითქოს ვერ მიხვდა, რას ვეკითხებოდი.

– ბარათი? ოჰ! ცხადია, ის ნამდვილი ბარათი არ იყო. თავიდანვე ასე ვფიქრობდი. ღამე მშვიდობისა, მისტერ კლემენტ.

გაშტერებული შევცქეროდი, თუ როგორ მიუყვებოდა იგი სწრაფი ნაბიჯებით სახლისკენ მიმავალ ბილიკს.

არც კი ვიცოდი, რა მეფიქრა.

## თავი XXVII

გრიზელდა და დენისი ჯერ არ დაბრუნებულიყვნენ. ვიფიქრე, რომ კარგი იქნებოდა, მის მარპლთან გამეველო და ჩემები წამომეყვანა – ეს ბუნებრივ საქციელად ჩამეთვლებოდა. მაგრამ ორივენი ისე გაგვიტაცა მკვლევლობის საიდუმლოზე ფიქრმა, რომ ყველა და ყველაფერი დაგვაავიწყდა.

შემოსასვლელში ვიდექი და ვერ გადამენწყვიტა, ნავსულიყავი თუ არა, როდესაც კარზე ზარმა დარეკა.

მივედი და შევამჩნიე, რომ საფოსტო ყუთში წერილი იდო. ვიფიქრე, ალბათ, ფოსტალიონმა დარეკა-მეთქი და

წერილი ამოვიღე. კვლავ დარეკეს. წერილი ნაჩქარევად ჯიბეში ჩავიჩურთე და კარი გავაღე.

ჩემ წინ პოლკოვნიკი მელჩეტი იდგა.

– გამარჯობა, კლემენტ. ქალაქიდან მანქანით ვბრუნდებოდი და თქვენთან შემოვლა გადავწყვიტე. რამეს ხომ არ დამალევენებით?

– სიამოვნებით, – ვუთხარი მე, – კაბინეტში ნამობრძანდით.

მან ტყავის პალტო გაიხადა და უკან გამომყვა. ვისკი, სოდიანი წყალი და ორი ჭიქა მოვიტანე. მელჩეტი ბუხართან ფეხებგაჩაჩხული იდგა და მოკლედ შეკრეჭილ ულვაშზე ხელს ისვამდა.

– თქვენთვის რალაც სიახლე მაქვს, კლემენტ. ასეთი რამ, ალბათ, არასოდეს გსმენიათ. მაგრამ ეს მოიცდის. აქ როგორ არის საქმე? კიდევ რომელიმე მოხუცმა ქალბატონმა ხომ არ აიღო კვალი?

– ისინი არაფერს აშავებენ, – მივუგე მე, – ყოველ შემთხვევაში, ერთ მათგანს მიაჩნია, რომ კვალზე დგას.

– ალბათ, ჩვენს მეგობარ მის მარპლს, არა?

– დიახ, ჩვენს მეგობარ მის მარპლს.

– ასეთებს ყოველთვის ჰგონიათ, რომ სხვებზე მეტი იციან, – თქვა პოლკოვნიკმა მელჩეტმა.

იგი კმაყოფილებით წრუპავდა ვისკისა და სოდიან წყალს.

– შესაძლოა, ჩემი მხრიდან უხერხული იყოს შეკითხვების დასმა, – ვთქვი მე, – მაგრამ ვიმედოვნებ, თევზის მალაზიში მომუშავე ბიჭი უკვე დაჰკითხეს. იმის თქმა მსურს, რომ, თუ მკვლელი სადარბაზო კარიდან შემოვიდა, ყმანვილმა იგი, შესაძლოა, დაინახა კიდევც.

– სლექმა დაჰკითხა, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, – მიპასუხა მელჩეტმა, – მაგრამ ბიჭი ირწმუნება, რომ არავინ დაუნახავს. ეს ისედაც ნაკლებად სავარაუდოა. მკვლელი ყველას თვალში არ გაეჩხირება. თქვენს კართან კი, ბუჩქებში, დამალვა თავისუფლად შეიძლება. ბიჭმა თქვენ, ჰეიდოკსა და მისის პრაის რიდლის შემოგვიარათ. მისთვის თავის არიდება რთული არ იქნებოდა.

- დიახ, - დავეთანხმე, - მართალი ხართ.
- მეორე მხრივ, - განაგრძო მელჩეტმა, - თუ ეს მაინც არამზადა არჩერის ჩადენილია და ახალგაზრდა ფრედ ჯექსონმა იგი აქ ნახა, ამაზე კრინტს არ დაძრავდა. არჩერი ხომ მისი ბიძაშვილია.
- არჩერზე სერიოზულად ეჭვობთ?
- საქმე ისაა, რომ მოხუცი პროტერო მას დასანახავად ვერ იტანდა. არჩერს კი მისი ჯავრი ჰქონდა. პოლკოვნიკი შემწყნარებლობით არასდროს გამოირჩეოდა.
- დიახ, - ვთქვი მე, - ძალზე შეუბრალებელი ადამიანი იყო.
- ყოველთვის ვამბობ: იცხოვრეთ და სხვებიც აცხოვრეთ, - თქვა მელჩეტმა, - ცხადია, კანონი კანონია, მაგრამ ცოტა ადამიანურობა არავის აწყენს. პროტერო კი არავის არაფერს პატიობდა.
- ამით ამაყოფა კიდეც, - ვთქვი მე.
- ორივენი გავჩუმდით, შემდეგ ვკითხე:
- თქვენ გასაოცარ სიახლეს დამპირდით.
- მეტი რალა უნდა იყოს. ხომ გახსოვთ დაუმთავრებელი ბარათი, რომელსაც პროტერო სიკვდილის წინ წერდა?
- დიახ.
- ჩვენ მას ექსპერტიზა ჩავუტარეთ, რათა დავრწმუნებულყავით, რომ „ნ:20“ სხვა ხელით იყო დანერილი. ცხადია, პროტეროს ხელწერის ნიმუშებიც გავგზავნეთ. დასკვნა არ გაინტერესებთ? ის ბარათი პროტეროს საერთოდ არ დაუნერია.
- მაშასადამე, გააყალბეს?
- დიახ. „ნ:20“ მართლა სხვა ხელითაა დანერილი, თუმცა ბოლომდე დარწმუნებული არ არიან. ეს მინანერი სხვა მელნითაა გაკეთებული, მაგრამ ბარათი გაყალბებულია. პროტეროს იგი არ დაუნერია.
- ამაში ეჭვი არ ეპარებათ?
- იმდენად სჯერათ, რამდენადაც ექსპერტს შეიძლება სჯეროდეს. ხომ იცით ექსპერტების ამბავი! მაგრამ ამაში დარწმუნებული არიან.

- განსაცვიფრებელია, - ვთქვი მე. შემდეგ, უეცრად რა-  
ღაც გამახსენდა.

- მომისმინეთ, - მიემართე მელჩეტს, - მახსოვს, მისის  
პროტერომ მაშინვე თქვა, რომ ბარათი მისი ქმრის დანე-  
რილს არ ჰგავდა, მაგრამ ამას ყურადღება არ მივაქციე.

- მართლა?

- ვიფიქრე, ჩვეულებრივი არათანამიმდევრულობა, ქა-  
ლური სისულელეა-მეთქი. მაშინ ამ საქმეში ერთადერთი  
და უდავო, რაც გვექონდა, პროტეროს მიერ დანერილი ნე-  
რილი იყო.

ერთმანეთს მივაჩერდით.

- საინტერესოა, - ვთქვი მე, - მის მარპლმა ამ საღამოს  
მითხრა, ბარათი ნამდვილი არააო.

- საოცარი ქალია. იმდენი იცის, კაცი იფიქრებს, რომ ეს  
დანაშაული მისი ჩადენილია.

ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ტელეფონის ზარში ერთ-  
გვარი უცნაური სულიერება იგრძნობა. ამჯერად თითქოს  
დაჟინებით და პირქუშად რეკავდნენ.

მივედი და ყურმილი ავიღე.

- ეს მღვდლის სახლია, - ვთქვი მე, - ვინ ლაპარაკობს?

გაისმა უცნაური, გამკვივანი, ისტერიკამდე მისული ხმა:

- მონანიება მინდა, - შესძახა მან, - ღმერთო ჩემო, მო-  
ნანიება მინდა!

- ალო, - ვთქვი მე, - ალო. მომისმინეთ, თქვენ მე საუბა-  
რი გამანყვეტინეთ. რომელი ნომრიდან დარეკეს?

ვიღაცამ მოთენთილი ხმით მიპასუხა, რომ არ იცოდა,  
მაგრამ ბოდიშს იხდიდა შენუხებისთვის.

ყურმილი დავდე და მელჩეტს მივუბრუნდი.

- თქვენ ერთხელ თქვით, რომ საკუთარი ფეხით ნახვი-  
დოდით საგიჟეთში, თუ ამ მკვლელობას კიდევ ვინმე დაიბ-  
რალებდა.

- მერე რა?

- ვიღაცას მონანიება სურდა, მაგრამ ცენტრიდან გაგ-  
ვთიშეს.

მელჩეტი ტელეფონის აპარატს ეცა.



- ახლავე ვეტიყვი ერთ-ორ ტკბილ სიტყვას.
- ეტიყვით, - დავეთანხმე მე, - შესაძლოა, ამან მათზე იმოქმედოს კიდევ. ნარმატებას გისურვებთ. უნდა წავიდე. მგონი, მივხვდი, ვისი ხმაც იყო.

## თავი XXVIII

სწრაფად გავუყევი სოფლის ქუჩას. თერთმეტი საათი იყო. კვირა საღამოს, თერთმეტ საათზე, სენტ-მერიმიდში სიცოცხლის ნიშანწყალი არ იგრძნობოდა. ერთ-ერთი სახლის მეორე სართულის ფანჯარაში შუქს მოვკარი თვალი. მივხვდი, რომ ჰოუზი ჯერ არ დაწოლილიყო და მასთან შევლა გადავწყვიტე. კართან მივედი და ზარი დავრეკე.

დიდხანს არავინ მიღებდა, ბოლოს ჰოუზის დიასახლისმა, მისის სედლერმა, ნელა, გაჭირვებით გასწია ორი ურდული, ჯაჭვი მოხსნა, გასაღები გადაატრიალა და ეჭვიანად გამომხედა.

- თქვენ ხართ, ვიკარიუსო? - გაცვებით შესძახა მან.

- საღამო მშვიდობისა, - ვუთხარი მე, - მისტერ ჰოუზის ნახვა მინდოდა. დავინახე, რომ შუქი ენთო და ვიფიქრე, ჯერ არ სძინავს-მეთქი.

- შესაძლოა, არ სძინავს. მის ოთახში არ შევსულვარ. მხოლოდ ვახშამი მივუტანე. წყნარი საღამო ჰქონდა - არც არავის მოუკითხავს, არც თვითონ გასულა გარეთ.

თავი დავუქნიე, გვერდი ავუარე და კიბეს ავუყევი. ჰოუზის საძინებელი და სასტუმრო ოთახი მეორე სართულზე მდებარეობდა.

სასტუმრო ოთახში შევედი. ჰოუზი დაბალ დივან-სავარძელზე იწვა და ეძინა. ჩემმა ფეხის ხმამ არ გააღვიძა. მის გვერდით რაღაც ფხვნილის ცარიელი კოლოფი და ნახევრად სავსე ჭიქა მოჩანდა.

იატაკზე, ჰოუზის მარცხენა ფეხთან, დაწერილი და დაჭმუჭნილი ფურცელი ეგდო. ავიღე, გავშალე და კითხვა დავინწყე:

„ძვირფასო მისტერ კლემენტ...“

წერილი ბოლომდე ჩავიკითხე თუ არა, უნებურად შევწყვირე. ფურცელი ჯიბეში ჩავიდე, ჰოუზის თავზე დავიხარე და სახეზე დავაკვირდი.

შემდეგ იქვე მდგარი ტელეფონის აპარატიდან ყურმილი ავიღე და ნომერი დავასახელე. მელჩეტი, როგორც ჩანს, ჯერაც იმის გარკვევას ცდილობდა, თუ საიდან იყო ის ზარი, რადგან ტელეფონი დაკავებას მანიშნებდა. ოპერატორს ვთხოვე, როგორც კი გათავისუფლდებოდა, მაშინვე დავეკავშირებინე, და ყურმილი დავდე.

ხელი ჯიბეში ჩავიყავი, რათა წერილისთვის კიდეც გადამეველო თვალი. მასთან ერთად მეორე ბარათიც ამომივარდა – ის, რომელიც საფოსტო ყუთიდან ამოვიღე და ნაკითხვა დამაინწყდა.

ხელწერა მაშინვე მეცნო. იმ ანონიმური წერილისას ჰგავდა, დღეს დილით რომ მოიტანეს.

გავხსენი.

წავიკითხე... ერთხელ... ორჯერ... ვერაფერი გავიგე.

მესამეჯერ ვკითხულობდი, როდესაც ტელეფონმა დარეკა. ბურანში მყოფივით ავიღე ყურმილი და ვთქვი:

– ალო?

– ალო?

– თქვენ ხართ, მელჩეტი?

– მე ვარ, თქვენ სად ხართ? გავიგეთ, საიდანაც დარეკეს. აი, ნომერი...

– ვიცი ნომერი.

– ოჰ! კარგია. იქიდან ხომ არ მელაპარაკებით?

– დიახ.

– რას იტყვით აღიარების შესახებ?

– მივიღე.

– იმის თქმა გსურთ, რომ მკვლელი დაიჭირეთ?

ცხოვრებაში უდიდესი ცდუნების წინაშე აღმოვჩნდი. ჯერ ჰოუზს შევხედე, შემდეგ – დაჭმუჭნილ ბარათს. ანონიმური წერილის ოკრობოკრო ასოებსაც შევაავლე თვალი, ბოლოს კი, წამლის ცარიელ კოლოფს, რომლის თავსახურზეც ქერუბიმი ეწერა. ერთი შემთხვევითი საუბარი გამახსენდა.

თავს ძალა დავატანე და დიდი გაჭირვებით წარმოვთქვი:  
– მე... არ ვიცი. აჯობებს, თუ თვითონ მოხვალთ.

მისამართი მივეცი.

შემდეგ ჰოუზის წინ მდგარ სკამზე დავჯექი და ჩავფიქ-  
რდი.

ამისთვის მხოლოდ ორი წუთი მქონდა.

ორი წუთის შემდეგ მელჩეტი აქ იქნებოდა.

ანონიმური წერილი ავიღე და მესამედ გადავიკითხე.

შემდეგ თვალეხი დავხუჭე და თავი ფიქრს მივეცი.

## თავი XXIX

ვერ შევამჩნიე, რამდენ ხანს ვიჯექი – ალბათ, სულ რამ-  
დენიმე წუთი, მაგრამ მომეჩვენა, რომ მთელი საუკუნე გა-  
ვიდა, როდესაც კარის ჭრაჭუნზე შევტრიალდი და ოთახში  
შემომავალი მელჩეტი დავინახე.

იგი დაუინებოთ მიაჩერდა მძინარე ჰოუზს, შემდეგ კი  
მომიბრუნდა და მკითხა:

– რა ხდება, კლემენტ? რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

ჩემს ხელთ არსებული ორი წერილიდან ერთ-ერთი გა-  
ვუნოდე.

მან ხმამაღლა წაიკითხა:

„ძვირფასო კლემენტ, ძალზე უსიამოვნო რამ უნდა შე-  
გატყობინოთ. ამიტომ, წერილობით მომართვა გადავწყვი-  
ტე. მოგვიანებით შეგვიძლია ვისაუბროთ კიდევ ამის შესა-  
ხებ. საქმე ამას წინათ დაკარგულ ნივთებს შეეხება. მიჭირს  
თქმა, მაგრამ დამნაშავეს ვინაობა ჩემში ეჭვს არ იწვევს.  
როგორი სამძიმო და მტკივნეულიც უნდა იყოს მღვდელმ-  
სახურის დადანაშაულება, იძულებული ვარ, ჩემი მოვალე-  
ობა შევასრულო. დაე, ეს მაგალითი იყოს...“

მელჩეტმა კითხვის გამომხატველი მზერა მომაპყრო. ამ  
სიტყვების შემდეგ ხვეული ხაზი მოჩანდა – სწორედ აქ შე-  
ეჩერებინა სიკვდილს დამწერის ხელი.

მელჩეტმა ღრმად ამოიოხრა და ჰოუზს შეხედა.

– აი, თურმე რა ყოფილა! მონანიებამ აღიარებისკენ უბიძგა?

– ბოლო დროს საკუთარ თავს არ ეკუთვნოდა, – ვუთხარი მე.

მოულოდნელად მელჩეტმა შეჰყვირა და მძინარისგან ორ ნაბიჯში აღმოჩნდა, მხარში ხელი ჩაავლო და შეანჯღრია – ჯერ მსუბუქად, შემდეგ უფრო ლონივრად.

– მას არ სძინავს. ბევრი ნამალი ხომ არ დალია? ეს რა ჯანდაბაა?

მან ნამლის ცარიელ კოლოფს დახედა და აიღო.

– ნუთუ...

– ვფიქრობ, ასეა, – ვთქვი მე, – ამას წინათ მიჩვენა ეს ფხვნილი. მითხრა, გამაფრთხილეს, დიდი დოზა არ მიიღო. საბრალომ ეს გზა აირჩია. შესაძლოა, ერთადერთ, საუკეთესო გამოსავალს მიაგნო. ჩვენ მას ვერ განვსჯით.

მელჩეტი, უპირველეს ყოვლისა, საგრაფოს მთავარი კონსტებლი იყო. ის მოსაზრებები, რომლითაც მე ვხელმძღვანელობდი, მისთვის არაფერს ნიშნავდა. მან მკვლეელი დაიჭირა, მკვლეელი კი უნდა გასამართლდეს და სიკვდილით დაისაჯოს.

იგი ყურმილს ეცა. მანამ არ მოეშვა, სანამ არ უპასუხეს, და ჰეიდოკის ნომერი დაასახელა. ნუთით სიჩუმე ჩამოვარდა – იგი პასუხს ელოდებოდა, თან სავარძელზე განოლილ სხეულს თვალს არ აცილებდა.

– ალო... ალო... ალო... დოქტორი ჰეიდოკია? გადაეცით, რომ დაუყოვნებლივ მოვიდეს ჰაისტრიტზე. ჩვენ მისტერ ჰოუზთან ვართ. სასწრაფოა... რა ხდება მანდ? რა ნომერთან შემაერთეთ. ბოდიშს გიხდით.

მელჩეტმა ყურმილის დასადები აანკარუნა და აღშფოთებისგან წამოენთო.

– არასწორი ნომერი, არასწორი ნომერი. მათ ხომ არასდროს აქვთ საჭირო ნომერი. აქ კი საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხება. ალო! თქვენ ის ნომერი არ მომეცით. არა, დროს ნუ კარგავთ, მომეცით სამი-ცხრა... ცხრა და არა ხუთი.

კიდევ ერთი დაძაბული პაუზა, ამჯერად პირველზე მოკლე.

– ალო, ეს თქვენ ხართ, ჰეიდოკ? მელჩეტი გელაპარაკებათ. გთხოვთ, ახლავე ჰაისტრიტის 19 ნომერში მოხვიდეთ. ჰოუზმა ბევრი ნამალი დალია. იჩქარეთ, ყოველი ნუთი ძვირფასია.

მან ყურმილი დააგდო და ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა.

– საოცარია, მაშინვე როგორ ვერ მოიფიქრეთ ექიმის გამოძახება, კლემენტ. აქ იჯექით და ბუზებს ითვლიდით.

საბედნიეროდ, მელჩეტს ვერ წარმოუდგენია, რომ სხვებს შესაძლოა მისგან განსხვავებული შეხედულებები და მიზნები ჰქონდეთ. არაფერი ვთქვი. მან კი განაგრძო:

– ნერილი სად იყო?

– იატაკზე ეგდო დაჭმუჭნილი – როგორც ჩანს, ხელიდან გაუვარდა.

– საოცარია – ის მოხუცი შინაბერა მართალი გამოდგა, როდესაც თქვა, ეს ნამდვილი ნერილი არ არისო. ნეტავ, როგორ მიხვდა? ესეც კარგი ბედოვლათი ყოფილა – ბართი არც დახია და არც დანვა. ხომ წარმოგიდგენიათ – ყველაზე უტყუარ სამხილს სახლში ინახავდა.

– ადამიანის ბუნება წინააღმდეგობებითაა სავსე.

– ასე რომ არ იყოს, მკვლევებს ვერასდროს დავიჭერდით. ადრე თუ გვიან, ყოველი მათგანი რაღაც სისულელეს სჩადის. ძალიან ცუდად გამოიყურებით, კლემენტ. როგორც ჩანს, ამ ამბავმა თქვენზე მძიმედ იმოქმედა.

– დიახ. მართალია, ჰოუზი ამ ბოლო დროს უცნაურად იქცეოდა, რაც გითხარით კიდევ, მაგრამ ამას რა მაფიქრებინებდა...

– ვინ იფიქრებდა? აჰა, მგონი, მანქანის ხმას ჰგავს, – იგი ფანჯარასთან მივიდა, შტორი ასწია და გარეთ გაიხედა, – ასეა, ჰეიდოკია.

ერთი ნუთის შემდეგ ექიმი ოთახში შემოვიდა.

მელჩეტმა მოკლედ აუხსნა მას ყველაფერი.

ჰეიდოკი საკუთარ გრძნობებს არასდროს ამჟღავნებდა. მან მხოლოდ წარბები აზიდა, თავი დააქნია და პაციენტთან მივიდა. შემდეგ პულსი გაუსინჯა, ქუთუთო აუნია და თვალს ყურადღებით დააკვირდა.



საქმეს რომ მორჩა, მელჩეტს მიუბრუნდა.

– სახრჩობელასთვის გსურთ მისი გადარჩენა? თუ გაინტერესებთ, მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. სხვათა შორის, მისი სიცოცხლე ბენვზე ჰკიდია. არ ვიცი, შევძლებ თუ არა გონზე მის მოყვანას.

– ყველაფერი ილონეთ, რაც შეგიძლიათ.

– კარგი.

მან თავისი ჩანთა მოქექა, შპრიცი ამოიღო და ჰოუსს მკლავში ნემსი გაუკეთა. ბოლოს წელში გასწორდა.

– აჯობებს, თუ მაჩ-ბენჰემის საავადმყოფოში გადავიყვანთ. დამეხმარეთ, რომ მანქანაში მოვათავსოთ.

ასეც მოვიქეციით. როდესაც საჭესთან ჯდებოდა, ჰეიდოკმა მხარს ზემოდან თქვა:

– გაითვალისწინეთ, მელჩეტ, რომ მას ვერ ჩამოახრჩობთ.

– გგონიათ, ვერ გადარჩება?

– არ ვიცი, რა გამოვა. მე სხვა რამეს ვგულისხმობდი. რომც გადარჩეს, საბრალო, საკუთარ ქმედებაზე პასუხს ვერ აგებს. მე მას სამედიცინო ცნობას მივცემ.

– რისი თქმა სურდა? – მკითხა მელჩეტმა, როდესაც კვლავ კიბეს ავუყევით.

ვუთხარი, რომ ჰოუსს ლეთარგიული ენცეფალიტი<sup>1</sup> სჭირდა.

– ძილის ავადმყოფობა, არა? ჩვენს დროში ხომ აუცილებლად უნდა მოიძებნოს საპატიო მიზეზი ყოველგვარი ბინძური საქმისთვის. ხომ ასეა?

– მეცნიერება ბევრ რამეს გვასწავლის.

– ჯანდაბას მეცნიერება! მაპატიეთ, კლემენტ, მაგრამ ამდენი გულჩვილობა ძალიან მაღიზიანებს. მე უბრალო ადამიანი ვარ. კარგი, ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, აქაურობა დავათვალიეროთ.

სწორედ ამ დროს ხელი შეგვიშალეს – სრულიად მოუ-

<sup>1</sup> ლეთარგიული ენცეფალიტი (ძილის ავადმყოფობა) – ენცეფალიტის ატიპური ფორმა, თავის ტვინის დაავადება, როდესაც ავადმყოფი არც მოძრაობს და არც ლაპარაკობს.

ლოდნელი, განსაცვიფრებელი რამ მოხდა: კარი გაიღო და ოთახში მის მარპლი შემოვიდა.

იგი შეცბუნებისგან ოდნავ განითლდა – მიხვდა, როგორ გაგვაოცა ორივე. ალელვებით შეუდგა ლაპარაკს, თითქოს თავს იმართლებდა:

– მაპატიეთ... მაპატიეთ, რომ შემოგეჭერთ... სალამო მშვიდობისა, პოლკოვნიკო მელჩეტი. კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს, მაგრამ გავიგე, რომ მისტერ ჰოუზი შეუძლოდ გამხდარა და შემოვლა გადავწყვიტე, ვიფიქრე, იქნებ ჩემი დახმარება დასჭირდეთ-მეთქი.

იგი გაჩუმდა. პოლკოვნიკი მელჩეტი ქალს უკმაყოფილო სახით მიაჩერდა.

– ძალიან თავაზიანი ბრძანდებით, მის მარპლ, – ცივად თქვა მან, – არ ღირდა შენუხებად. სხვათა შორის, ეს როგორ გაიგეთ?

სწორედ ის შეკითხვა იყო, რომლის დასმაც თვითონაც ძალიან მინდოდა!

– ტელეფონით, – მიუგო მის მარპლმა, – სატელეფონო სადგურში ნომრები სულ ერევათ, ხომ ასეა? თქვენ თავდაპირველად მე დამელაპარაკეთ და გეგონათ, რომ დოქტორ ჰეიდოკთან მოხვდით. ჩემი ნომერი სამი-ხუთია.

– აი, თურმე რა ყოფილა! – შევძახე მე.

– ჰოდა, გადავწყვიტე, შემომეველო, – განაგრძო მის მარპლმა, – და გამეგო, დახმარება ხომ არ გჭირდებოდათ.

– უალრესად კეთილშობილი ბრძანდებით, – უთხრა მელჩეტმა კიდევ უფრო ცივად, – მაგრამ დახმარება საჭირო აღარაა. ჰეიდოკმა იგი საავადმყოფოში წაიყვანა.

– საავადმყოფოში? რამხელა შეებაა! ძალიან მიხარია ამის გაგონება. იქ სრულიად უსაფრთხოდ იქნება. როდესაც მითხარით, საჭირო აღარააო, ვიმედოვნებ, ის არ გიგულისხმიათ, რომ მას ველარაფერი გადაარჩენს, არა? ნუთუ გგონიათ, რომ ვერ გამოკეთდება?

– ძალიან საეჭვოა, – ჩავილაპარაკე მე.

ამ დროს მის მარპლმა წამლის კოლოფს მოჰკრა თვალი.

– ვფიქრობ, დიდი დოზა მიიღო, ასეა? – იკითხა მან.

დარწმუნებული ვარ, მელჩეტს არ უნდოდა, რომ მისთვის რამე მაინც გაემხილა. შესაძლოა, სხვა ვითარებაში მეც ასე მოვექცეულიყავი. მაგრამ ჯერაც კარგად მახსოვდა მის მარპლთან ჩემი საუბარი და საკუთარი პრინციპის სანინააღმდეგოდ მოვიქეცი, თუმცა ვალიარებ, რომ მისმა უეცარმა გამოჩენამ და დაუფარავმა ცნობისმოყვარეობამ უსიამოვნო გრძნობა მომგვარა.

– აბა, ამას შეხედეთ, – ვუთხარი მე და პროტეროს დაუმთავრებელი წერილი გავუნოდე.

მან გამომართვა და წაიკითხა. ოდნავაც არ გაოცებულა.

– თქვენ მსგავსი რამ ივარაუდეთ, არა? – ვკითხე მე.

– დიახ... დიახ, რა თქმა უნდა. შეიძლება თუ არა გკითხოთ, მისტერ კლემენტ, მაინცდამაინც დღეს რატომ მობრძანდით აქ? ეს ჩემთვის ცოტა გაუგებარია. თანაც პოლკოვნიკ მელჩეტთან ერთად. ამას ნამდვილად არ ველოდი.

ავუხსენი, რომ ტელეფონით დამირეკეს და მომეჩვენა, რომ ჰოუზის ხმა ვიცანი. მის მარპლმა ჩაფიქრებული სახით დამიქნია თავი.

– ძალიან საინტერესოა. ამას იღბლიან შემთხვევითობასაც კი ვუნოდებდი. დიახ, სწორედ რომ დროზე მოასწარიტ მოსვლა.

– რას ნიშნავს „დროზე“? – ვკითხე შენუხებული ხმით.

– თქვენ ხომ მისტერ ჰოუზს სიცოცხლე შეუნარჩუნეთ, – გულწრფელად გაიოცა მის მარპლმა.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ მისთვის უკეთესი იქნება, თუ არ გამოჯანმრთელდება? – ვკითხე მე, – მისთვისაც და სხვებისთვისაც. ახლა ჩვენ ყველაფერი ვიცით და...

ლაპარაკი შევწყვიტე – მის მარპლი თავს ისე ენერგიულად აქნევდა, დამავინყდა კიდეც, რის თქმას ვაპირებდი.

– ცხადია, – განაცხადა მან, – ცხადია! მას სურდა, რომ ზუსტად ასე გეფიქრათ: თითქოს სიმართლე იცით და ყველასთვის აჯობებს, თუ ასე მოხდება. ახლა ყველაფერი ემთხვევა – წერილი, ფხვნილით მონამვლა, საბრალო მისტერ ჰოუზის უგუნებობა, მისი აღსარება. დიახ, ყველაფერი ემთხვევა, მაგრამ ეს სიცრუეა...

ჩვენ უსიტყვოდ მივაჩერდით მას.

- აი, რატომ მიხარია, რომ მისტერ ჰოუზი უსაფრთხო-  
დაა - საავადმყოფოში, სადაც ვერავინ მისწვდება. თუ გა-  
მოჯანმრთელდება, სიმართლეს მოგვიყვება.

- სიმართლეს?

- დიახ - რომ პოლკოვნიკ პროტეროს თავიდან თმის ერ-  
თი ღერიც არ ჩამოუგდია.

- სატელეფონო ზარი? - ვკითხე მე, - წერილი, ფხვნი-  
ლით მონამვლა. ყველაფერი ცხადია.

- მას სურდა, რომ თქვენ ასე გეფიქრათ. იგი ძალიან  
ჭკვიანია. წერილი შეინახა და მისთვის ხელსაყრელ დროს  
გამოიყენა - ფრიად ეშმაკური გათვლაა.

- ვინ არის ეს „იგი“? - ვკითხე მე.

- მკვლელი, - მიპასუხა მის მარპლმა.

შემდეგ კი მშვიდად დაამატა:

- მისტერ ლოურენს რედინგი...

### თავი XXX

უსაზღვროდ გავოცდით. ვფიქრობ, ორივეს გულწრფე-  
ლად გვჯეროდა, რომ იგი ჭკუაზე შეიშალა. ბრალდება სა-  
ოცრად სულელურად ჟღერდა.

თავდაპირველად, ენა პოლკოვნიკმა მელჩეტმა ამოიდ-  
გა. იგი ალერსიანად, ერთგვარი შესაბრალისი შემწყნარებ-  
ლობით ალაპარაკდა.

- ეს ხომ აბსურდია, მის მარპლ, - თქვა მან, - ახალგაზ-  
რდა რედინგი სრულიად სუფთაა.

- რა თქმა უნდა, - განაცხადა მის მარპლმა, - მან ხომ  
ამაზე წინასწარ იზრუნა.

- პირიქით, - ცივად შეეპასუხა პოლკოვნიკი მელჩეტი,  
- მან, რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა, რათა იგი მკვლე-  
ლობაში დაედანაშაულებინათ.

- დიახ, - მიუგო მის მარპლმა, - ყველა გაგვაცურა, მათ  
შორის, მეც. ხომ გახსოვთ, ძვირფასო მისტერ კლემენტ,

როგორ განვცვიფრდი იმის გაგონებაზე, რომ მისტერ რედინგმა დანაშაული აღიარა. თავში ყველაფერი ამერია და დავასკვენი, რომ დამნაშავე არ იყო, თუმცა მანამდე ამაში ეჭვი არ მეპარებოდა.

– მაშასადამე, ლოურენს რედინგზე გქონდათ ეჭვი?

– ვიცი, წიგნებში დამნაშავე ყოველთვის ის არის, ვისზეც ყველაზე ნაკლებად ეჭვობენ. მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ასე არ არის. უმეტეს შემთხვევაში სიმართლე ისაა, რაც თვალში მოგვხვდებათ. ყოველთვის მომწონდა მისის პროტერო, მაგრამ არც ის გამომეპარა, რომ იგი მისტერ რედინგის გავლენის ქვეშ მოექცა და მისი ყველა სურვილის შესასრულებლად მზად იყო. ლოურენსი იმ ახალგაზრდებს არ ჰგავს, რომლებიც სხვის ცოლთან ერთად გაქცევაზე ოცნებობენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქალს არაფერი აბადია. მისი აზრით, პოლკოვნიკი პროტერო დაბრკოლებას უქმნიდა, ამიტომ თავიდან უნდა მოეცილებინა. ზოგიერთი ახალგაზრდა მორალს არად დაგიდევთ.

პოლკოვნიკი მელჩეტი კარგა ხანია მოუთმენლად ფრუტუნებდა, ახლა კი იფეთქა.

– ასეთი სისულელე არასდროს მსმენია! ყველაფერი ვიცით, რასაც რედინგი აკეთებდა 6:50-მდე, ჰეიდოკმა კი მკაფიოდ გვითხრა, რომ ამ დროს პოლკოვნიკი პროტერო ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ხომ არ გგონიათ, რომ ექიმზე მეტი იცით? იქნებ ფიქრობთ, რომ ჰეიდოკმა განზრახ იცრუა, ღმერთმა იცის, რისთვის?

– ჩემი აზრით, დოქტორმა ჰეიდოკმა სიმართლე თქვა. იგი ძალზე ნესიერი კაცია. საქმე ის არის, რომ პოლკოვნიკ პროტეროს მისის პროტერომ ესროლა და არა მისტერ რედინგმა.

ჩვენ კვლავ გავშტერდით. მის მარპლმა მაქმანიანი ფიშუ<sup>1</sup> შეისწორა, ფუმფულა შალი ოდნავ უკან გადასწია და მოხუცი შინაბერას შესაფერისი, რბილი და ბუნებრივი კილოთი შეუდგა განსაცვიფრებელი ლექციის კითხვას.

<sup>1</sup> ფიშუ – თხელი სამკუთხა ან დიაგონალზე გადაკეცილი მუსლინის ან ბატისტის ნაჭერი, რომელიც მკერდს ფარავს.



- აქამდე საკუთარ თავს ამაზე საუბრის უფლებას არ ვაძლევდი. თუ ფიქრობთ, რომ ყველაფერი ზუსტად იცით, ეს მტკიცებულება არაა. სანამ აბსოლუტურად ყველა ფაქტს (როგორც ეს დღეს სალამოს ძვირფას მისტერ კლემენტს ვუთხარი) არ ახსნით, თქვენი მოსაზრებები თუ დასკვნები საეჭვო იქნება. მე მხოლოდ ერთი ფაქტის ახსნა მაკლდა და სრულიად მოულოდნელად, მისტერ კლემენტის კაბინეტიდან გამოსვლისას, ჩემი ყურადღება ფანჯარასთან მდგარმა, ქოთანში მოთავსებულმა პალმამ მიიქცია - სწორედ ის იყო საიდუმლოს ამოხსნის გასაღები. ამაში ეჭვი არ მეპარებოდა!

- გაგიჟდა, ნამდვილად გაგიჟდა, - ჩამჩურჩულა პოლკოვნიკმა მელჩეტმა.

მის მარპლი კი, თითქოს აქ არაფერიაო, ჭეშმარიტი ქალბატონისთვის დამახასიათებელი უშფოთველობითა და სინაზით განაგრძობდა თხრობას.

- ამ ამბავმა გული დამწყვიტა, ძალიან დამწყვიტა. საქმე ისაა, რომ ორივე მათგანი მომწონდა. ხომ იცნობთ ადამიანის ბუნებას. უნდა გითხრათ, რომ, როდესაც ერთიმეორის მიყოლებით ასე სულელურად დაიბრალეს დანაშაული, საოცარი შვება ვიგრძენი. გამიხარდა, რომ ვცდებოდი. ახლა ის უნდა დამედგინა, კიდევ ვის ჰქონდა პოლკოვნიკ პროტეროს მოკვლის მოტივი.

- შვიდი ეჭვმიტანილი! - ჩავიბურტყუნე მე.

მის მარპლმა გამიღიმა.

- დიახაც. ჯერ არჩერი - მის ჩადენილს არ ჰგავდა, მაგრამ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანს ბოლომდე ვერავინ ენდობა. რაც შეეხება თქვენს მერის, იგი დიდი ხანია, არჩერს ხვდება, თანაც ფიცხია. მოტივიც ჰქონდა და შესაძლებლობაც - სახლში ხომ მარტო იყო. მოხუც მისის არჩერს თავისუფლად შეეძლო მისტერ რედინგის პისტოლეტის მოპარვა და მისთვის ან შეილისთვის გადაცემა. შემდეგ ლეტიცია - მას თავისუფლება და ფული სჭირდებოდა, რათა თავის გემოზე ეცხოვრა. მრავალი შემთხვევა ვიცი, როდესაც ყველაზე მშვენიერი და ჰაეროვა-

ნი ქალიშვილები წესიერებასთან ძალზე მწყრალად იყვნენ, თუმცა ჯენტლმენები ამას არასდროს დაიჯერებენ.

თვალეები დამნაშავესავით ავაფახულე.

- ახლა ჩოგბურთის ჩოგანზეც ვთქვათ, - განაგრძო მის მარპლმა.

- ჩოგბურთის ჩოგანზე?

- დიახ, სწორედ იმაზე, თქვენს კართან, ბალახზე დაგდებულს რომ მოჰკრა თვალი კლარამ, მისის პრაის რიდლის მოსამსახურემ. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ მისტერ დენისი ჩოგბურთის კორტიდან იმაზე ადრე წამოვიდა, ვიდრე გვეუბნებოდა. თქვესმეტი წლის ასაკში ბიჭები ძალზე მგრძნობიარეები და გაუნონასწორებლები არიან - ლექტიციას ან თქვენ გამო მას ყველაფერზე შეეძლო წასვლა. ბოლოს, საბრალო მისტერ ჰოუზი და თქვენ თვითონ, ოღონდ ალტერნატივის სახით, როგორც იურისტები იტყვიან.

- მე? - შევძახე გაოცებულმა.

- დიახ, დიახ. გთხოვთ, მაპატიოთ - მე ეს ერთი წუთითაც არ მჯეროდა, მაგრამ საქმე დაკარგულ საეკლესიო ნივთებს შეეხებოდა. ბრალი ან თქვენ მიგიძლოდათ, ან მისტერ ჰოუზს, მისის პრაის რიდლი კი ყველას მიანიშნებდა, რომ ეს თქვენ ჩაიდინეთ, ძირითადად, იმის გამო, რომ ყოველგვარი გამოძიების წინააღმდეგი იყავით. რა თქმა უნდა, თავიდანვე მჯეროდა, რომ ეს მისტერ ჰოუზი იყო - იგი ძალზე მაგონებდა საბრალო ორგანიზატს, რომლის შესახებაც მოგიყევით, მაგრამ ბოლომდე დარწმუნებული ვერასდროს იქნები...

- ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, - პირქუშად დავამატე მე.

- მართალია. გარდა ამისა, რჩება მშვენიერი გრიზელა.

- მისის კლემენტი არაფერ შუაშია, - გაანყვეტინა პოლკოვნიკმა მელჩეტმა, - იგი მატარებელს 6:50-ზე ჩამოჰყვა.

- ამას თვითონ აცხადებს, - უპასუხა მის მარპლმა, - როგორც ვთქვით, ადამიანებს სიტყვაზე არ უნდა ვენდოთ. იმ საღამოს მატარებელმა, რომელიც 6:50-ზე უნდა ჩამომდგარიყო, ნახევარი საათით დააგვიანა. მაგრამ საკუთარი თვალით დავინახე, რომ გრიზელა შვიდის თხუთმეტ

ნუთხე ოულდჰოლისკენ მიემართებოდა. აქედან გამომდინარე, იგი უფრო ადრე ჩამოვიდა, სხვა მატარებლით. გეცოდინებათ, რომ იგი დაინახეს, არა?

მან გამომცდელად შემომხედა.

მისი მზერის მაგნეტიზმს დავემორჩილე და ბოლო ანონიმური წერილი გავუნოდე, ის, რომელიც ჩვენი საუბრის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე წავიკითხე. იქ დაწვრილებით ეწერა, როგორ გამოვიდა გრიზელდა ლოურენს რედინგის კოტეჯის შემინული კარიდან იმ საბედისწერო დღეს, შვიდის ოც ნუთხე.

არც მაშინ და არც შემდეგ კრინტი არ დამიძრავს საშინელი ეჭვის შესახებ, რომელიც გულში ისარივით მომხვდა. ეს კომმარული სიზმარივით წარმომედგინა: ლოურენსსა და გრიზელდას შორის არსებული უწინდელი სიახლოვე პროტერომ შეიტყო და დაიქადა, რომ ამას მე შემატყობინებდა. სასონარკვეთილმა გრიზელდამ პისტოლეტი მოიპარა და იგი სამუდამოდ დაადუმა. როგორც ვთქვი, ეს მხოლოდ კომმარული სიზმარი იყო, მაგრამ რამდენიმე გრძელი ნუთის განმავლობაში საშინელი რეალობის სახით მედგა თვალწინ.

არ ვიცი, იცოდა თუ არა ამის შესახებ მის მარპლმა. სავსებით შესაძლებელია. მის თვალს ხომ არაფერი გამოეპარებოდა.

მან წერილი დამიბრუნა და თავი ოდნავ დამიკრა.

– ამის შესახებ მთელი სოფელი ჭორაობდა, – თქვა მან, – ეს მართლა საკმაოდ საეჭვოდ გამოიყურებოდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მისის არჩერმა დაიფიცა, რომ შუადღისას, კოტეჯიდან წასვლისას, პისტოლეტი თავის ადგილას იდო.

იგი ნუთით გაჩუმდა, შემდეგ კი განაგრძო:

– მაგრამ მე მთავარს გადაუხვიე! მხოლოდ ერთი რამ მინდა – ეს ჩემს მოვალეობად მიმაჩნია – საიდუმლოს ჩემული ახსნა გაგიზიაროთ. თუ არ დამიჯერებთ, თავს იმით დავიმშვიდებ, რომ ყველაფერი ვიღონე, რაც შემეძლო. ჩემი სურვილი, ჯერ ბოლომდე დავრწმუნებულიყავი და მხო-

ლოდ შემდეგ მეთქვა, საბრალო მისტერ პოუს კინალამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

იგი კელავ გაჩუმდა. როცა საუბარი განაგრძო, მისი ხმა სხვაგვარად ჟღერდა – უფრო მტკიცედ და გადაჭრით. თავის მართლებიდან და მობოდიშების აღარაფერი ეტყობოდა.

– აი, როგორ ეხსნი მომხდარს. ხუთშაბათისთვის დანაშაული ბოლომდე დაიგეგმა, თავისი ყველა ნერილმანით. თავდაპირველად, ლოურენს რედინგმა ვიკარიუსთან შეიარა. იცოდა, რომ იგი შინ არ დახვდებოდა. თან პისტოლეტი ნაილო, რომელიც ფანჯარასთან ახლოს, ქოთანში მოთავსებულ პალმაში დამალა. როდესაც მღვდელი დაბრუნდა, ლოურენს რედინგმა თავისი იქ ყოფნა იმით ახსნა, რომ სოფლიდან გამგზავრება გადაენწყვიტა. ექვსის ნახევარზე ლოურენს რედინგმა ჩრდილოეთ კარიბჭის მიმდებარე ტერიტორიიდან ვიკარიუსს დაურეკა და ქალის ხმით დაელაპარაკა (თუ გახსოვთ, იგი ნიჭიერი მოყვარული მსახიობი იყო).

მისის პროტერო და მისი ქმარი ამ დროისთვის სოფელში გაემგზავრნენ. აქ ერთი ძალზე საინტერესო დეტალია (თუმცა ამას ყურადღება არავინ მიაქცია) – მისის პროტერომ თავისი ხელჩანთა შინ დატოვა. ეს ქალისთვის სრულიად უჩვეულო საქციელია. თითქმის ზუსტად შვიდის ოცნუთზე მან ჩემს ბალთან ჩაიარა და გამომელაპარაკა, რათა იგი კარგად შემეთვალისწინებინა და დამეფიქსირებინა, რომ თან არაფერი ჰქონდა, მით უმეტეს – იარაღი, და ჩვეულებრივად, ნორმალურად იქცეოდა. მათ იცოდნენ, რომ დაკვირვებული ქალი ვარ. შემდეგ მისის პროტერო სახლის კუთხეში თვალს მიეფარა და კაბინეტის ფრანგულ ფანჯარასთან მივიდა. საბრალო პოლკოვნიკი მაგიდასთან იჯდა და თქვენ ნერილს გნერდათ. ყველამ იცოდა, რომ ყურს აკლდა. ქალმა იქვე მდგარი ქოთნიდან პისტოლეტი ამოიღო, კაცს უკნიდან მიუახლოვდა, კეფაში ესროლა, იარაღი იატაკზე დააგდო, ელვასავით გაეარდა გარეთ და სახელოსნოსკენ გაიქცა. თითქმის ყველა დაიფიცებდა, რომ ასეთ მოკლე დროში იგი ამდენის გაკეთებას ვერაფრით მოასწრებდა!



– გასროლა? – ჩაეძია პოლკოვნიკი, – თქვენ ხომ გასროლა არ გაგიგონიათ?

– როგორც ვიცი, არსებობს მონყობილობა, რომელსაც მაქსიმის მაყუჩი<sup>1</sup> ჰქვია. მის შესახებ დეტექტიურ რომანებში წამიკითხავს. ჩემი აზრით, „დაცემინება“, რომელიც კლარას, მოსამსახურეს, მოესმა, სწორედ ეს გასროლა იყო. მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. მისის პროტერო სახელოსნოში მისტერ რედინგს შეხვდა. ისინი იქ ერთად შევიდნენ, მაგრამ მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ მანამდე არ წავიდოდი ბალიდან, – ასეთია ადამიანის ბუნება, – სანამ ისინი იქიდან არ გამოვიდოდნენ!

მის მარპლმა, ასე ხალისით რომ აღიარებდა საკუთარ სისუსტეებს, საბოლოოდ მოინადირა ჩემი გული.

– როდესაც სახელოსნოდან გამოვიდნენ, თავი ბუნებრივად, მხიარულადაც კი ეჭირათ. სწორედ აქ დაუშვეს მათ შეცდომა. თუ ისინი ერთმანეთს მართლა სამუდამოდ დაემშვიდობნენ, როგორც ამტკიცებდნენ, სხვაგვარ ხასიათზე უნდა ყოფილიყვნენ. ეს მათი შეთქმულების სუსტი რგოლი იყო. მათ ვერ გაბედეს შენუხებული ან შეშფოთებული სახის მიღება. მომდევნო ათი წუთისთვის კი მშვენიერი ალიბი შეიქმნეს (მგონი, ასე ჰქვია, არა?). ბოლოს მისტერ რედინგი თქვენს სახლში შევიდა და იქიდან თქვენს შესახვედრად გამოიქცა. ალბათ, დაგინახათ, როგორ მოუყვებოდით ბილიკს და კარგად გათვალა, რა დროში მოუახლოვდებოდით კუტიკარს. მან იატაკიდან პისტოლეტი და მაყუჩი აიღო, მაგიდაზე სხვა ხელით და სხვა მელნით დანერილი ყალბი ბარათი დატოვა, რომელზეც დრო იყო მითითებული. როდესაც სიყალბეს დაადგენდნენ, ამას ენი პროტეროზე გადაბრალეების უბადრუკ მცდელობად მიიჩნევდნენ.

– ამ დროს მან პოლკოვნიკ პროტეროს მიერ დანერილ ბარათს მოჰკრა თვალი, რაც მისთვის მოულოდნელობა აღმოჩნდა. მისმა უალრესად სხარტმა გონებამ მაშინვე

---

<sup>1</sup> ჰაირემ პერსი მაქსიმი (1869-1936 წწ.) – ამერიკელი გამოგონებელი, ცეცხლსასროლი იარაღის მაყუჩის (ხმის ჩამხშობის) ერთ-ერთი შემქმნელი.



გათვალა, რომ ეს წერილი შესაძლოა, მომავალში გამოსდგომოდა და თან წაიღო. მაგიდაზე მდგარი საათის ისრები კი გადასწია და ბარათში მითითებულ დროზე დააყენა – მშვენივრად იცოდა, რომ მას ისედაც თხუთმეტი წუთით წინ აყენებდნენ. ჩანაფიქრი იგივე იყო – მისის პროტეროზე გადაბრალების მცდელობა. შემდეგ სახლიდან გამოვიდა, კუტიკართან შეგხვდათ და სიგიჟემდე მისული კაცის როლი გაითამაშა. როგორც გითხარით, იგი მართლა ძალიან ჭკვიანია. როგორ მოიქცევა მკვლელი, რომელმაც ეს-ესაა, დანაშაული ჩაიდინა? ცხადია, შეეცდება, მაქსიმალურად ბუნებრივად მოიქცეს. მაშასადამე, მისტერ რედინგი საპირისპიროდ უნდა მოქცეულიყო. მან მაყუჩი გადააგდო და პისტოლექიანად პოლიციის განყოფილებაში წავიდა, სადაც სულელური თვითღიარება გააკეთა, რომელიც ყველამ დაუვიწყრეთ.

იყო რაღაც მომაჯადოებელი მის მარპლის მონათხრობში. იგი ისე დამაჯერებლად საუბრობდა, რომ ორივენი ვგრძნობდით – დანაშაული სწორედ ასე მოხდა და არა, სხვაგვარად.

– გასროლაზე რას იტყვით, ტყეში რომ გაისმა? – ვკითხე მე, – ეს ის დამთხვევაა, რომელზეც ამ საღამოს ამბობდით?

– ოჰ, არა, ჩემო კარგო! – მის მარპლმა თავი მტკიცედ გადააქნია, – ეს სულაც არ იყო დამთხვევა. პირიქით, ყველას აუცილებლად უნდა გაეგონა გასროლა, სხვაგვარად, მისის პროტეროს ეჭვის თვალით შეხედავდნენ. ზუსტად არ ვიცი, როგორ მოაწყობა ეს მისტერ რედინგმა, მაგრამ მივხვდი, რომ პიკრინის მჟავა ფეთქდება, თუ მას რამე მძიმე დაეცემა. ხომ გახსოვთ, ძვირფასო ვიკარიუსო, როდესაც მისტერ რედინგს ტყეში შეხვდით იმ ადგილას, სადაც კრისტალს მიაგენით. მას ხელში დიდი ქვა ეჭირა. ჭკვიანმა ჯენტლმენებმა ასეთი ეშმაკური მონყობილობა მოიგონეს: კრისტალების ზემოთ ქვას ჰკიდებენ. თოკამდე ბიკფორდის ზონარი ან ამნთები მიჰყავთ, თუ არ ავურიე. ლოურენსმა გათვალა, რომ იგი ოციოდე წუთის განმავლობაში იბუუტებდა. ასე რომ, აფეთქება დაახლოებით 6:30-ზე მოხ-

დებოდა, როდესაც ის და მისის პროტერო სახელოსნოდან გამოვიდოდნენ და სხვების თვალნი იქნებოდნენ. საიმედო მონყობილობაა – იმ ადგილას დიდი ქვა რჩება და მეტი არაფერი. მაგრამ მან ქვაზეც იზრუნა და წაიღო. სწორედ მაშინ შეხვდით თქვენ მას.

– ვფიქრობ, მართალი ხართ, – შევძახე მე, თან გამახსენდა, როგორ შეერთა ჩემს დანახვაზე მოულოდნელობისგან ლოურენს რედინგი. მაშინ არაფერი მიეჭვია, მაგრამ ახლა...

მომეჩვენა, რომ მის მარპლი ჩემს აზრებს კითხულობდა, რადგან თავი მრავალმნიშვნელოვნად დამიქნია.

– დიახ, – თქვა მან, – მისტერ რედინგისთვის ეს ძალზე უსიამოვნო შეხვედრა იყო, თანაც, სრულიად შეუფერებელ დროს. მაგრამ მან მარჯვედ დაიძვრინა თავი: ისეთი სახე მიიღო, თითქოს ქვა ჩემს ბაღში მოჰქონდა ალპინარიუმისთვის. მაგრამ საქმე ისაა, რომ... – მომდევნო სიტყვები მის მარპლმა განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოთქვა:

– ქვა სრულიად არ გამოდგებოდა ჩემი ალპინარიუმისთვის! აი, რამ დამაყენა კვალზე!

მთელი ამ დროის განმავლობაში პოლკოვნიკი მელჩეტი თითქოს ტრანსში იყო. ბოლოს მან სიცოცხლის ნიშანწყალი გამოავლინა, ერთი-ორჯერ ჩაიფრუტუნა, ცხვირი დაბნეულად მოიხოცა და თქვა:

– პატიოსან სიტყვას გაძლევთ... სიტყვას გაძლევთ, რომ...

მეტის თქმა ვერ გაბედა. ასე მგონია, რომ მის მარპლის უზადო, ლოგიკურმა მსჯელობამ ისიც ჩემსავით გააოგნა, ოღონდ ამის აღიარება არ სურდა.

პირიქით, მან ხელი გაიწვინა, დაჭმუჭნილ წერილს სტაცა და შესძახა:

– კარგი, ეს გასაგებია. პოუზის შესახებ რას იტყვით? მან ხომ დარეკა და აღიარა კიდევ?

– დიახ, ეს ლეთიური მითითება იყო. უეჭველია, მასზე მღვდლის ქადაგებამ იმოქმედა. იცით, მისტერ კლემენტ, შესანიშნავად იქადაგეთ, რამაც, ვფიქრობ, ძალზე ააღელვა მისტერ პოუზი. მან სინდისის ქეჯნას ველარ გაუძლო და

სურდა, რომ საეკლესიო შენირულობათა ბოროტად გამოყენება ელიარებინა.

– რა?

– დიახ... და ამან, ღვთის განგებით, მას სიცოცხლე შეუნარჩუნა (ვიმედოვნებ და მჯერა, რომ ასეც იქნება – დოქტორი ჰეიდოკი შესანიშნავი ექიმია). როგორც ვხვდები, მისტერ რედინგმა წერილი შეინახა (ეს რისკს უკავშირდებოდა, მაგრამ, ჩემი აზრით, მან ის საიმედო ადგილას დამალა) და იმის გარკვევა სცადა, თუ ვის შეეხებოდა იგი. მალე დარწმუნდა, რომ ეს მისტერ ჰოუზი იყო. როგორც გავიგე, გუშინ მან მთელი საღამო მასთან გაატარა. ეჭვი მაქვს, რომ წამლის ყუთი შეუცვალა, წერილი კი მისი ხალათის ჯიბეში დამალა. საბრალო ახალგაზრდა კაცი ვერაფერს იეჭვებდა და სასიკვდილო ფხვნილს დაღევდა. მისი სიკვდილის შემდეგ წერილს იპოვიდნენ და დაასკვნიდნენ, რომ მან ჯერ პოლკოვნიკი პროტერო მოკლა, შემდეგ კი სინდისმა არ მოასვენა და თავი მოიკლა. ჩემი აზრით, მისტერ ჰოუზმა წერილი დღეს ნახა – სანამლავის დაღვევის შემდეგ. ავადმყოფურ მდგომარეობაში მყოფს, მოეჩვენა, რომ ეს რალაც ზებუნებრივი იყო, თანაც ვიკარიუსის ქადაგების შემდეგ – და იგრძნო, რომ ყველაფერი უნდა ელიარებინა.

– ღმერთმანი, პატიოსნებას გეფიცებით! – თქვა პოლკოვნიკმა მელჩეტმა, – წარმოუდგენელია! ერთი სიტყვაც არ მჯერა!

პოლკოვნიკს ასე არადამაჯერებლად არასდროს ულაპარაკია. როგორც ჩანს, ამას თვითონაც მიხვდა და კიდევ ერთი შეკითხვა დასვა:

– მისტერ რედინგის კოტეჯიდან მისის პრაის რიდლისთან მეორე სატელეფონო ზარს როგორღა ახსნით?

– აჰ! – თქვა მის მარპლმა, – სწორედ ამას ვუნოდებ დამთხვევას. მისი ავტორი ძვირფასი გრიზელდა იყო, თუმცა, ვფიქრობ, მისტერ დენისმაც მიიღო მონაწილეობა. მათ შეიტყვეს, რა ხმებს ავრცელებდა მისის პრაის რიდლი ვიკარიუსის შესახებ და გადაწყვიტეს, რომ ამ გზით გაჩუმებას

აიძულებდნენ. დამთხვევა კი იმაში გამოიხატება, რომ ზარი და ტყეში გასროლა ერთდროულად გაისმა.

უეცრად გამახსენდა – ყველა, ვინც გასროლა გაიგონა, ამბობდა, რომ იგი ჩვეულებრივ გასროლას არ ჰგავდა. არც ცდებოდნენ. მაგრამ ძალზე ძნელი ასახსნელი იყო, თუ რაში გამოიხატებოდა ეს განსხვავება. პოლკოვნიკმა მელჩეტმა ჩაახველა.

– თქვენი ვერსია საკმაოდ დამაჯერებლად ჟღერს, მის მარპლ, – თქვა მან, – მაგრამ, ნება მიბოძეთ, შეგახსენოთ, რომ სამხილები არ გაქვთ.

– ვიცი, – მიუგო მის მარპლმა, – მაგრამ თქვენ ჩემი მინც გჯერათ, ხომ ასეა?

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ პოლკოვნიკმა უხალისოდ თქვა:

– დიახ, მჯერა. ნყეულიმც ვიყო, თუ ყველაფერი ასე არ მომხდარიყო. მაგრამ სამხილის მსგავსიც კი არაფერი გვაქვს!

ახლა მის მარპლმა ჩაახველა მსუბუქად.

– ამიტომაც გავიფიქრე, რომ შექმნილ ვითარებაში...

– დიახ?

– დასაშვები იქნება, თუ ხაფანგს დავაგებთ.

### თავი XXXI

ორივენი – პოლკოვნიკი მელჩეტისა და მეც – მის მარპლს მივაცქერდით.

– ხაფანგს? რომელ ხაფანგს?

მის მარპლი თითქოს გაუბედავად შეიშმუნა, მაგრამ ცხადი იყო, რომ იგი საგულდაგულოდ შემუშავებულ გეგმაზე საუბრობდა.

– დაუშვათ, მისტერ რედინგს ვილაც ურეკავს და აფრთხილებს.

პოლკოვნიკ მელჩეტს გაელიმა.

– „ყველაფერი გამჟღავნდა, თავს უშველეთ!“ ეს ძველე-

ბური ტრიუკია, მის მარპლ. არა, არ ვამბობ, რომ ცუდია. ზოგჯერ ამართლებს. მაგრამ ჩვენი მისტერ რედინგი ძალიან მკვირცხლია საიმისოდ, რომ ამ ხაფანგში გაებას.

– ვიცი, რალაც განსაკუთრებული უნდა მოვიფიქროთ, – თქვა მის მარპლმა, – ჩემი აზრით, – ეს მხოლოდ ვარაუდია და მეტი არაფერი, – იგი ისეთმა ადამიანმა უნდა გააფრთხილოს, რომელიც მსგავს საკითხებში არაორდინარული შეხედულებებითაა ცნობილი. დოქტორი ჰეიდოკი ზოგჯერ ისეთ აზრებს ახმოვანებდა, კაცი იფიქრებდა, მკვლელობასაც სულ სხვა თვალთ უყურებსო. მას რომ მიენიშნებინა, ვითომ, მისის სედლერმა ან მისმა რომელიმე ბავშვმა საკუთარი თვალთ ნახა, როგორ შეცვალა მან ფხვნილიანი კოლოფი, მაშინ, თუ მისტერ რედინგი უდანაშაულოა, ნათქვამს ყურადღებას არ მიაქცევს, მაგრამ თუ...

– მართალია, შესაძლოა, ნერვებმა უმტყუნოს და რამე სისულელე ჩაიდინოს.

– და თვითონ ჩაგვივარდეს ხელში. შესაძლებელია. კარგად მოგიფიქრებიათ, მის მარპლ. მაგრამ დათანხმდება კი ჰეიდოკი? თვითონ ბრძანეთ, რომ მისი შეხედულებები...

მის მარპლმა მკვირცხლად გაანყვეტინა.

– ოჰ! ეს ხომ მხოლოდ მოსაზრებებია! პრაქტიკაში ისინი არასდროს გამოიყენება, ასე არ არის? აი, ისიც, შეგიძლიათ თვითონ ჰკითხოთ.

მომეჩვენა, თითქოს ჰეიდოკს გაუკვირდა, რომ მის მარპლი ჩვენთან ერთად იმყოფებოდა. დაღლილი და განამებული სახე ჰქონდა.

– ზღვარზე ვიდეთით, – თქვა მან, – მისი სიცოცხლე ბენვზე ეკიდა. მაგრამ გამოძვრება. ექიმის მოვალეობა ავადმყოფის გადარჩენაა და მე იგი გადავარჩინე, თუმცა არანაკლებ გამიხარდებოდა, თუ ამას ვერ მოვახერხებდი.

– როდესაც მოისმენთ, რასაც ახლა გეტყვით, – უთხრა პოლკოვნიკმა მელჩეტმა, – აზრს აუცილებლად შეიცვლით.

მან მოკლედ და ლაკონიურად გააცნო ექიმს დანაშაულის მის მარპლისეული თეორია უკანასკნელი წინადადების ჩათვლით.



რამდენიმე წამის შემდეგ პატივი გვერგო, საკუთარი თვალთ გვენახა, თუ რას ნიშნავდა ის განსხვავება, რომელიც, მის მარპლის აზრით, თეორიასა და პრაქტიკას შორის არსებობდა.

ჰეიდოკის შეხედულებებმა მყისიერად განიცადა ძირეული ტრანსფორმაცია. მომეჩვენა, რომ ლანგარზე მოთავსებული ლოურენს რედინგის მოჭრილი თავის დანახვა სიამოვნებასაც კი მოჰგვრიდა. ვფიქრობ, მისი გამძვინვარება პოლკოვნიკ პროტეროს მკვლელობამ კი არა, საბრალო ჰოუზის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობამ გამოიწვია.

– წყეული არამზადა! – შესძახა მან, – წყეული არამზადა! და ეს საცოდავი ჰოუზი. მას დედა და და ჰყავს. მკვლელის დედისა და დის დამლა მათ სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვებოდათ, რაც საშინელ ტანჯვას მიაყენებდათ. ეს ლაჩარი და უნამუსო კაცის საქციელია!

თუ გსურთ, გაიგოთ, რა არის ნამდვილი გააფთრება, ჭეშმარიტი ჰუმანისტი უკიდურესად უნდა გააბრაზოთ.

– თუ ეს სიმართლეა, – დაამატა მან, – ჩემი იმედი გქონდეთ. ასეთი ადამიანი სიცოცხლის ღირსი არაა. საცოდავი და უმწეო ჰოუზი ამოიღო მიზანში!

ჰეიდოკი თანაგრძნობის გარეშე კოჭლ ძაღლსაც არ დატოვებდა.

იგი ენერგიულად მსჯელობდა მელჩეტან ოპერაციის დეტალების შესახებ. მის მარპლი ნასასვლელად მოემზადა. გაცილება შევთავაზე.

– რა კეთილი ხართ, მისტერ კლემენტ, – მითხრა მის მარპლმა, როდესაც დაცარიელებულ ქუჩას მიუყვებოდით, – ღმერთო ჩემო, შუალამე დამდგარა! ვიმედოვნებ, რაიმონდი აღარ დამელოდა და დასაძინებლად წავიდა.

– წესით, უნდა გამოეცილებინეთ, – ვთქვი მე.

– არ მითქვამს, რომ მივდიოდი, – გამოტყდა მის მარპლი.

მოულოდნელად რაიმონდ უესტის მიერ დანაშაულის შესახებ გაკეთებული დახვეწილი ფსიქოლოგიური ანალიზი გამახსენდა და გამელიმა.

– თუ თქვენი თეორია გამართლდება, რაშიც ეჭვი არ მე-

პარება, – ვთქვი მე, – თქვენს დისშვილს ბევრი ქულით ჩამოიტოვებთ უკან.

მის მარპლმაც გაიღიმა, ოღონდ შემწყნარებლური ღიმილით.

– ახლაც მახსოვს ჩემი დიდი ბებუის, ფანის სიტყვები. მაშინ თექვსმეტი წლის ვიყავი და მისი ნათქვამი სისულელედ მომეჩვენა.

– რა თქვა ასეთი? – ვკითხე მე.

– მას შემდეგი ფრაზის გამეორება უყვარდა: „ახალგაზრდებს ჰგონიათ, რომ მოხუცები სულელები არიან, მოხუცებმა კი იციან, რომ ახალგაზრდები სულელები არიან!“

### თავი XXXII

მოსაყოლი ძალიან ცოტა დარჩა. მის მარპლის გეგმამ გაამართლა. ვინაიდან ლოურენს რედინგი დამნაშავე იყო, მინიშნებამ იმის შესახებ, რომ წამლის შეცვლის მონმე არსებობდა, მას „სისულელე ჩაადენინა“. სინდისი რომ სუფთა ჰქონოდა, ეს არ დაემართებოდა.

რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. ვფიქრობ, თავდაპირველად გაქცევა დააპირა. მაგრამ თანამზრახველს ხომ ვერ მიატოვებდა? ვერ გაუჩინარდებოდა, სანამ მას არ დაელაპარაკებოდა. ამის დილამდე გადადება სარისკოდ მოეჩვენა, ამიტომ, იმავე ღამით შეიპარა ოულდჰოლში. მას ფეხდაფეხ პოლკოვნიკ მელჩეტის ორი ყველაზე გამოცდილი ხელქვეითი მიჰყვებოდა. ლოურენსმა კენჭი ესროლა ენი პროტეროს ფანჯარას, ქალი გააღვიდა და ჩურჩულით, დაჟინებით სთხოვა, რომ მასთან სალაპარაკოდ ქვევით ჩამოსულიყო. ცხადია, გარეთ უფრო უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს, რადგან შიგნით შესაძლოა, ლეტიციას გაჰღვიძებოდა. ამას ის მოჰყვა, რომ პოლიციის ორმა ოფიცერმა მათი საუბარი თავიდან ბოლომდე მოისმინა. საექვო აღარაფერი იყო. მის მარპლი მართალი აღმოჩნდა, ერთი დეტალიც არ შეშლია.

ლოურენს რედინგისა და ენი პროტეროს სასამართლო პროცესის შესახებ საზოგადოებამ ყველაფერი შეიტყო. მისი აღწერით თავს აღარ შეგანყენთ. მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ყველაზე მეტი საქებარი სიტყვა ინსპექტორ სლეკს ხვდა წილად. ითქვა, რომ დამნაშავეები მართლმსაჯულების წინაშე მისი გულმოდგინებისა და გამჭრიახობის წყალობით წარდგნენ. მის მარპლის სახელი არავის უხსენებია. თვითონაც ასე სურდა. იმის გაფიქრებაც კი თავზარს სცემდა, რომ პრესის ფურცლებზე მოხვდებოდა.

ლეტიციამ სასამართლომდე ცოტა ხნით ადრე შემომიარა. კვლავაც აჩრდილივით შემოვიდა ჩემს კაბინეტში. მითხრა, რომ თავიდანვე დედინაცვალზე ჰქონდა ეჭვი. ყვითელი ბერეტის ძებნა კი მხოლოდ საბაბი იყო, რათა ოთახი კარგად დაეთვალეირებინა. იმედოვნებდა, რომ რამეს მაინც მიაგნებდა, რასაც პოლიციამ ყურადღება არ მიაქცია.

– ჩემგან განსხვავებით, მათ სიძულვილი არ ამოძრავებდათ, – თქვა მან თავისი მეოცნებე ხმით, – სიძულვილი კი ადამიანს ძალას მატებს.

მან იქ ვერაფერი აღმოაჩინა, სამაგიეროდ, მაგიდის ქვეშ ენის საყურე შეაგდო.

– რადგან ვიცოდი, რომ მკვლეელი ის იყო, ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ყველა ხერხი გამოდგებოდა. მან მოკლა იგი.

ჩუმად ამოვიოხრე. ლეტიცია ვერასდროს შეძლებდა ზოგიერთი რამის დანახვას. გარკვეულწილად, მას მორალური დალტონიზმი სჭირდა.

– რა გეგმები გაქვთ, ლეტიცია? – ვკითხე მე.

– როდესაც ყველაფერი ჩაივლის, საზღვარგარეთ გავემგზავრები, – მიპასუხა მან და პაუზის შემდეგ დაამატა: – დიახ, საზღვარგარეთ გავემგზავრები დედაჩემთან ერთად.

გაოცებული მივაშტერდი. თავი დამიქნია.

– ნუთუ ვერ ხვდებოდით? მისის ლესტრენჯი დედაჩემია. შესაძლოა, იცით, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენია. ჩემი ნახვა უნდოდა და აქ გამოგონილი სახელით

ჩამოვიდა. მას ძველი მეგობარი, დოქტორი ჰეიდოკი ეხმარებოდა, – იგი ერთ დროს გატაცებულიც იყო მისით, – ამის შემჩნევა არ გაგიჭირდებოდათ. მგონი, არც ახლაა მის მიმართ გულგრილი. ვიცი, მამაკაცებს ყოველთვის მოსწონდათ დედაჩემი. ის დღესაც საოცრად მიმზიდველია. ასეთ თუ ისე, დოქტორი ჰეიდოკი ყველაფერს აკეთებდა მის დასახმარებლად. დედამ თავისი ნამდვილი სახელი დამალა, რათა ხალხს ჭორაობა და მითქმა-მოთქმა არ დაენყო. იმ საღამოს მამაჩემთან მივიდა. უთხრა, რომ კვდებოდა და ძალიან უნდოდა ჩემი ნახვა. მამა პირუტყვივით მოექცა. განუცხადა, რომ მშობლის უფლება ნართმეული ჰქონდა, რომ მე იგი მკვდარი მეგონა, თუმცა, პოლკოვნიკი პროტერო საკუთარი ცხვირის იქით ვერაფერს ხედავდა და არ იცოდა, რომ ეს არასდროს მჯეროდა.

დედა დანებებას არ აპირებდა. მას მიაჩნდა, რომ ამ თხოვნით ჯერ მამაჩემისთვის უნდა მიემართა. როდესაც მიხვდა, ასე არაფერი გამოვაო, ბარათი გამომიგზავნა. შევთანხმდით, რომ ჩოგბურთის კორტიდან ადრე წამოვიდოდი და შვიდის თხუთმეტ ნუთზე ბილიკის ბოლოში შევხვდებოდით. შევხვდით კიდეც, ახალი შეხვედრის დრო და ადგილი დავთქვით და ერთმანეთს შვიდის ნახევრამდე დავშორდით. საშინელ დღეში ჩავვარდი – ვფიქრობდი, ვაითუ, მამაჩემის მკვლელობაში დაადანაშაულონ-მეთქი – მას ხომ ნამდვილად ჰქონდა მისი სიძულვილის მიზეზი. ამიტომაც ავიპარე სხვენში და მისი პორტრეტი დავჭერი – პოლიციას შეეძლო, რამე ეყნოსა და იგი ნახატზე ამოეცნო, რისიც ძალიან მეშინოდა. დოქტორი ჰეიდოკიც შენუხებულნი ჩანდა. ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ დედაჩემი მართლა ეგონა მკვლელი – სასონარკვეთილებამდე მისული ქალი ხომ შედეგზე არ ფიქრობს.

იგი ნუთით გაჩუმდა.

– უცნაური ის არის, რომ ჩვენ ძალზე ახლოს ვართ ერთმანეთთან, მამასთან კი უცხოსავით ვიყავი. დედა... გადანყვეტილია, რომ მასთან ერთად საზღვარგარეთ წავალ და მის გვერდით ვიქნები... ბოლომდე.



იგი ნამოდგა. ხელზე ხელი დავადე.

– ღმერთმა დაგლოცოთ ორივენი, ლეტიცია, – ვუთხარი მე, – დარწმუნებული ვარ, ერთ მშვენიერ დღეს შენც გენვევა დიდი ბედნიერება.

– კარგი იქნებოდა, – თქვა მან და გაცინება სცადა, – აქამდე ბედი არ მანებივრებდა. თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არც აქვს. მშვიდობით, მისტერ კლემენტ. თქვენ ყოველთვის კარგად მექცეოდით. ძალიან კეთილი ხართ. გრიზელდაც.

გრიზელდა!

გულწრფელად ვუამბე, როგორ დამამნუხრა ანონიმურმა წერილმა. თავდაპირველად გაეცინა, შემდეგ კი სერიოზული სახით წამიკითხა ლექცია.

– მით უმეტეს, – თქვა მან ბოლოს, – რომ ვაპირებ, თავმდაბალი და ღვთისმოსოში ადამიანი გავხდე პილიგრიმი მამებივით<sup>1</sup>.

პილიგრიმი მამის როლში გრიზელდა ვერაფრით წარმომედგინა. ის კი განაგრძობდა:

– იცი, ლენ, ჩემს ცხოვრებაში რალაც დამადინჯებელი სიახლე შემოდის. ის შენს ცხოვრებაშიც შემოვა, ოღონდ სხვა სახით – უფრო გაგაახალგაზრდავებს, ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი მაქვს! აღარც „ჩემო პატარას“ დამიძახებ, რადგან ნამდვილი ბავშვი გვეყოლება – ჩემი და შენი. ლენ, გადავწყვიტე, რომ დროა, „ნამდვილი მეუღლე და დედა“ გავხდე. საოჯახო საქმესაც სერიოზულად მივხედავ. უკვე ვიყიდე ორი წიგნი მეოჯახეობის, ერთი კი დედობრივი სიყვარულის შესახებ, და თუ ვერც ეს მაქცევს იდეალურ ცოლად, არ ვიცი, კიდევ რა არის ამისთვის საჭირო! სამივე ძალიან სასაცილოა – არა, ცხადია, სერიოზული წიგნებია, მაგრამ განსაკუთრებით ბავშვების აღზრდის შესახებ და წერილმა გამახალისა.

<sup>1</sup> პილიგრიმი მამები – ინგლისელი ახალმოსახლეები, მკაცრი პურიტანელები, რომლებიც ჩრდილოეთ ამერიკაში ახალი კოლონიების შექმნის მიზნით 1620 წლიდან დასახლდნენ.



– შემთხვევით, იმაზეც ხომ არ გიყიღია წიგნი, როგორ უნდა მოექცეთ ქმარს? – ვკითხე წინდახედულად და ჩემკენ მივიზიდე.

– ეგ არ მჭირდება, – მიპასუხა გრიზელდამ, – ისედაც შესანიშნავი ცოლი ვარ. მთელი სულით და გულით მიყვარხარ. მეტი რა არის საჭირო?

– არაფერი, – ვთქვი მე.

– რატომ ერთხელ მაინც არ მეტყვი, რომ სიგიჟემდე გიყვარვარ?

– გრიზელდა, – ვუთხარი მე, – გაღმერთებ! მიყვარხარ! ველური, უიმედო, გიჟური სიყვარულით!

გრიზელდამ ღრმად და კმაყოფილებით ამოისუნთქა.

შემდეგ, მოულოდნელად ხელიდან დამისხლტა და შესძახა:

– რა სამწუხაროა! ჩვენთან მის მარპლი მოდის. სიტყვა არ დაგცდეს, ხომ გესმის? ისლა მაკლია, ზურგს უკან ბალიშები ჩამიდონ და დაყინებით მომთხოვონ, ფეხები შემალღებულ ადგილას შემოაწყვეო. უთხარი, გოლფის სათამაშოდ წავიდა-თქო. ეს კვალს აურევს, თანაც სიმართლეა – იქ ჩემი ყვითელი პულოვერი დამრჩა, არადა, მჭირდება.

მის მარპლი ფანჯარას მოუახლოვდა, შეჩერდა და ბოდიშის კილოთი გრიზელდა იკითხა.

– გრიზელდა გოლფის სათამაშო მინდორზე წავიდა, – ვუთხარი მე.

მის მარპლს შეშფოთება დაეტყო.

– ოჰ, რა არაგონივრული საქციელია მის მდგომარეობაში, – თქვა მან და სახეზე მშვენიერი, ძველმოდური, ნამდვილი ქალბატონისთვის, შინაბერა ქალბატონისთვის დამახასიათებელმა სინითლემ გადააჰკრა.

წუთიერი უხერხულობის დასაძლევად, სასწრაფოდ პროტეროს საქმეზე გადავერთეთ, აგრეთვე, „დოქტორ სტოუნზე“. ეს უკანასკნელი ცნობილი მძარცველი აღმოჩნდა, რომელიც სახელს ხშირად იცვლიდა. სხვათა შორის, მის კრემს თანამზრახველის ბრალდება მოუხსნეს. მან, რო-

გორც იქნა, აღიარა, რომ ჩემოდანი ტყეში წაიღო, ოღონდ ეს გულუბრყვილობით მოუვიდა: დოქტორმა სტოუნმა დაარწმუნა, რომ კონკურენტი არქეოლოგებს უფრთხოდა – ვითომ ისინი ძარცვაზეც კი წავიდოდნენ მისი თეორიის დისკრედიტაციისთვის. როგორც ჩანს, გოგონამ დაიჯერა ეს ზღაპრები. სოფელში ამბობდნენ, რომ ახლა იგი წამდვილ, ასაკოვან, უცოლო მამაკაცს ეძებდა, რომელსაც მდივანი სჭირდებოდა.

სანამ ვლაპარაკობდით, ერთი შეკითხვა არ მასვენებდა – როგორ შეიტყო მის მარპლმა ჩვენი ახალი საიდუმლო. მაგრამ მალე მან, მისთვის დამახასიათებელი ტაქტით, ყველაფერი ამიხსნა.

– ვიმედოვნებ, ძვირფას გრიზელდას ზედმეტი არ მოუვა, – ჩაილაპარაკა მან და მცირე პაუზის შემდეგ დაამატა: – გუშინ მაჩ-ბენჰემში მდებარე წიგნის მალაზიაში შევიარე...

საბრალო გრიზელდა – იგი წიგნმა გასცა დედობრივი სიყვარულის შესახებ!

– იცით, რა მაინტერესებს, მის მარპლ? – ვკითხე უეცრად, – თქვენ რომ მკვლელობა ჩაგედინათ, ოდესმე თუ მაინც შეძლებდნენ მის გახსნას?

– რა საშინელი აზრია! – შესძახა შემკრთალმა მის მარპლმა, – ვიმედოვნებ, ამ ცოდვას არასდროს ჩავიდენ.

– მაგრამ ადამიანის ბუნება ხომ ასეთია, – შევახსენე საკუთარი სიტყვები.

მის მარპლმა ღირსეულად შეაფასა ჩემი ხუმრობა და სასიამოვნოდ გაიცინა.

– ცელქობთ ხომ, მისტერ კლემენტ? – თქვა მან და წამოდგა, – თუმცა, ეს ბუნებრივია, თქვენ ხომ კარგ ხასიათზე ხართ.

გასვლისას გამომხედა და მითხრა:

– ძვირფასი გრიზელდა სიყვარულით მომიკითხეთ და გადაეცით, რომ პატარა საიდუმლოს შენახვა შესანიშნავად მეხერხება.

არა, საოცარი ქალია მის მარპლი...


# სანაწიბო

სანაწიბო I .....	5
სანაწიბო II .....	12
სანაწიბო III .....	22
სანაწიბო IV .....	30
სანაწიბო V .....	40
სანაწიბო VI .....	48
სანაწიბო VII .....	58
სანაწიბო VIII .....	63
სანაწიბო IX .....	70
სანაწიბო X .....	76
სანაწიბო XI .....	84
სანაწიბო XII .....	93
სანაწიბო XIII .....	106
სანაწიბო XIV .....	114
სანაწიბო XV .....	122
სანაწიბო XVI .....	131
სანაწიბო XVII .....	145
სანაწიბო XVIII .....	152
სანაწიბო XIX .....	161
სანაწიბო XX .....	170
სანაწიბო XXI .....	176
სანაწიბო XXII .....	182
სანაწიბო XXIII .....	196
სანაწიბო XXIV .....	205
სანაწიბო XXV .....	212
სანაწიბო XXVI .....	226
სანაწიბო XXVII .....	239
სანაწიბო XXVIII .....	243
სანაწიბო XXIX .....	245
სანაწიბო XXX .....	251
სანაწიბო XXXI .....	261
სანაწიბო XXXII .....	264

# კალიტრა L გირჩევთ

## აბათა კრისტი

### სიკვდილი ნილოსზე



ლინეტ რიჯუეის ბედნიერებისთვის საჭირო ყველაფერი ჰქონდა – სიმდიდრე, სილამაზე, გონიერება და დიდგვაროვანი საქმრო, მაგრამ არ ჰქონდა სიყვარული და იპოვა – საუკეთესო მეგობრის, ჯეკის შეყვარებული, საიმონ დოილი.


მაგრამ სიყვარულმა მას მხოლოდ სიკვდილი მოუტანა.

ვინ მოკლა ლინეტ დოილი – ქმარმა თუ შეყვარებულისგან მიტოვებულმა ჯეკიმ, ან იქნებ საეჭვო წარსულის მქონე რამდენიმე მგზავრთაგან რომელიმემ?

სახელგანთქმულ დეტექტივსა და მის მეგობარ პოლკოვნიკს ამ თავსატეხის ამოხსნა მოუწევთ.

## აბათა კრისტი

### მესამე გოგონა



ლონდონში, ნაქირავე ბინაში, სამი გოგონა ცხოვრობს. ერთი მდივანია, მეორე მხატვარი, მესამე კი, ნორმა რესტარიკი, ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობს. სწორედ ის მიმართავს პუაროს დახმარებისთვის – ამ, ერთი შეხედვით, ნერვიულ, გონებადაფანტულ გოგონას ჰგონია, რომ ადამიანი მოკლა, მაგრამ არ იცის ვინ, რიოდის და სად...

და ასპარეზზე კვლავ პატარა ბელგიელი – სახელგანთქმული მძებარი გამოდის. ამჯერად მეტისმეტად ჩახლართული საქმე უნდა გამოიძიოს – მოხდა თუ არა მართლაც მკვლელობა და ვინ არის ნამდვილი მკვლელი? მესამე გოგონა თუ ვილაც სხვა, რომელსაც მდიდარი მემკვიდრის თავიდან მოშორება სურს? იქნებ მკვლელი ნორას თავყვანისმცემელია, მეტსახელად „ფარშავანგი“?



## აბათა კრისტო

### და აღარავინ დარჩა




განმარტოებულ კუნძულზე ერთმანეთთან არაფრით დაკავშირებული ათი ადამიანი მიწვევით ჩადის, მაგრამ... მასპინძლები არსად ჩანან. სასტუმრო ოთახში, ლანგარზე, ფაიფურის ათი პატარა ინდიელის ფიგურა დევს, ხოლო სტუმრების საძინებლებში მხიარული საბავშვო ლექსია გაკრული.

ნეტავ რას მიანიშნებენ მასპინძლები სტუმრებს? ან არსებობენ კი? ვინ კლავს ერთიმეორის მიყოლებით სტუმრებს და რატომ ქრება თითოეული მკვლელის შემდეგ თითო ინდიელის ფიგურა? – ამ კითხვებზე პასუხს ზღვაში გადაგდებული ნერილი გასცემს.

## აბათა კრისტო

### მრუდე სახლი



ერთ უცნაურ, „მრუდე“ სახლში უცნაური, მაგრამ ძალიან მდიდარი ოჯახი ცხოვრობს. ოჯახის უფროსი რესტორნებისა და სასტუმროების დიდი ქსელის მფლობელია და ერთ მშვენიერ დღეს... ის მკვდარი იპოვეს. სავარაუდოდ, მონამღეს.

ამ დიდი ოჯახის ყველა წევრს ჰქონდა საფუძველი, რომ მოხუცი მოეკლა... დიდი მემკვიდრეობა, ჩანს, დიდი ცდუნებაც არის...

მაგრამ მის მკვლელს თურმე მემკვიდრეობა სულაც არ სჭირდება, მას, უბრალოდ, დეტექტივები და... შურისძიება უყვარს.

wignis el. versia  
moamzada:  
DiaDma  
DaTuCHaM





